



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ზაზა მეიშვილი

**ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ლალი ფაფიაშვილი

თბილისი

2021

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ინსტიტუტი და მის მიღებასთან, დასაბუთებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 2010 წლიდან ამოქმედდა. მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობის გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსაკუთრებული მოვლენაა. ამ ინსტიტუტით სახელმწიფო და საზოგადოება ერთიანდება; მოქალაქე წყვეტს მისივე საზოგადოების წევრის ბედს, რითაც აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას; მოსამართლე კი, ამ პროცესში მონაწილეობს, როგორც არბიტრი.

კვლევაში საუბარია ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღებასთან დაკავშირებულ, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე – ვერდიქტის დაუსაბუთებლობაზე, რასაც სადისერტაციო ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა. ნაფიც მსაჯულებს არ მოეთხოვებათ მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთება; თუმცა დასაბუთებას მოკლებული ვერდიქტის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, რამდენად შესწევს სამართალწარმოებას უნარი, წინ აღუდგეს თვითნებობას და მისცეს ბრალდებულს საშუალება, გაიგოს, თუ რატომ ცნეს დამნაშავედ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან საქართველოს სამართლებრივი ბაზისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების კუთხით ქართული სისხლის სამართლის პროცესი ძირითადად მოიცავს პროცედურებს, რომლებიც ფაქტობრივად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ შესაბამის საპროცესო გარანტიებს.

კვლევაში საუბარია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მიღებასთან, დასაბუთებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე; კონკრეტული ხარვეზების იდენტიფიცირებასთან ერთად, დისერტაციაში დასაბუთებულია მათი აღმოფხვრის საჭიროება და მოცემულია შესაბამისი გზები: საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მარეგულირებელი ნორმების შემდგომი სრულყოფის მიზნით შემუშავებულია რეკომენდაციები.

კვლევის მიზანია, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ინსტიტუტის შესწავლა. სადისერტაციო ნაშრომში მიმოხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია და განვითარების თანამედროვე ტენდენციები (როგორც საქართველოში, ისე იმ სახელმწიფოებში, სადაც ეს ინსტიტუტი ფაქტობრივად შეიქმნა და დროთა განმავლობაში განვითარდა). კვლევის საგანი გაშუქებულია, როგორც თეორიული, ასევე – პრაქტიკული კუთხით. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ როგორ ხდება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მიღება თანამედროვე პერიოდში და დადგენილია, რა ტიპის სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები წარმოიშობა ვერდიქტის დასაბუთებასა და მის გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის, 30 პარაგრაფის, 22 ქვეპარაგრაფისა და დასკვნისგან. დისერტაციას თან ერთვის ბიბლიოგრაფია და 2 დანართი. დისერტაციაში გამოყენებულია ისტორიული, ანალიტიკური, დოგმატური, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი სისხლის სამართლის პროცესში აქტუალური და სადისკუსიო თემაა. სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი მოსაზრებები საინტერესო იქნება როგორც პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ისე სისხლის სამართლის პროცესითა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი დაინტერესებული პირებისთვის, მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის.

## ABSTRACT

The dissertation analyzes the concept of the verdict of the jury and the legal and practical challenges related to rendering, substantiating, and appealing the judgment.

The jury court has been operational in Georgia since 2010. The jury court is a unique phenomenon considering the participation of the members of the society in rendering justice. The tool essentially unites the state and the society. Citizens decide the fate of their fellow citizen and acknowledge the responsibility. While the judge participates in this process as an arbitrator.

The research focuses on the most important issue related to rendering a verdict by the jurors – the lack of substantiation of the verdict, which is particularly highlighted in the dissertation. The jury is not required to substantiate the judgment. However, considering all circumstances, while hearing the verdict lacking substantiation, particular attention is paid to how the law can prevent arbitrariness and enable the accused to understand the verdict of guilty.

The comparative analysis of the Georgian legislative framework, jury court practice, the European Convention of Human Rights, and the case-law of the European Court of Human Rights demonstrates that the Criminal Procedure Code of Georgia encompasses procedures on the substantiation of the decision that are in line with procedural guarantees established by the European Court of Human Rights.

The study discusses the existing problems and challenges in rendering, substantiating, and appealing the jury verdict in Georgia. While identifying specific collisions, the author substantiates the need for eliminating the collisions and outlines relevant steps: for further refinement of the norms in the Georgian legislation regulating the jury verdict, the author presents tangible recommendations.

The research aims to scrutinize the concept of the verdict of the Jury. The history of the jury court's origin and the modern trends of development (in Georgia, as well as in states, where this institute was practically created and developed over time) are discussed.

The study subject is analyzed from the theoretical and practical aspects. The author analyses the process of rendering a verdict by the jury in the modern period and establishes legal and practical problems emerging with substantiation and appealing the verdict.

The paper is comprised of an introduction, 5 chapters, 30 paragraphs, 22 subparagraphs, and a conclusion. The references and 2 annexes are enclosed to the dissertation. Historical, analytical, dogmatic, systematic, logical, and comparative-legal research methods are used in the paper.

The jury verdict in the criminal law process is a topical and controversial issue. The discussion provided in the dissertation will be interesting for practicing lawyers, as well as for the persons interested in the criminal law proceedings and jury court, researchers and students.

## შინაარსი

გამოყენებული აბრევიატურა .....	XI
შესავალი .....	1
თავი I. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება .....	8
1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება (ზოგადი მიმოხილვა) .....	8
2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება ინგლისში .....	17
3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება აშშ-ში ..	21
4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება რუსეთში .....	25
5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში .....	29
5.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (ადრინდელი პერიოდი) .....	29
5.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (მეფის რუსეთის პერიოდი – 1868-1917 წლები) .....	34
5.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (პირველი რესპუბლიკა – 1918-1921 წლები) .....	37
5.4. ქართული ნაფიც მსაჯულთა მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში (1920-1921 წლები) .....	39
5.5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარება საქართველოში	

(2004-2010 წლები) .....	42
5.6. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარება საქართველოში	
(2011-2018 წლები) .....	45
6. დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ	
(თანამედროვე ტენდენციები) .....	50
7. შეჯამება .....	67
<b>თავი II. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთება .....</b>	<b>70</b>
1. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება და საერთაშორისო	
ინსტრუმენტების მიერ დადგენილი სტანდარტი .....	70
2. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთება და საერთაშორისო	
ინსტრუმენტების მიერ დადგენილი სტანდარტი .....	72
3. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთება .....	84
4. შეჯამება .....	88
<b>თავი III. მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების</b>	
<b>დასმა .....</b>	<b>91</b>
1. მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმა	
(საერთაშორისო გამოცდილება) .....	91
2. საქართველოში მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის	
შეკითხვების დასმა .....	96
3. შეჯამება .....	98
<b>თავი IV. მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/</b>	
<b>მითითებების მიცემა .....</b>	<b>101</b>
1. მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/	

მითითებების მიცემა (საერთაშორისო გამოცდილება) .....	101
2. საქართველოში მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა- განმარტებების/მითითებების მიცემა .....	105
2.1. მხარის მიერ მოსამართლის განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი .....	112
2.2. მოსამართლის უფლებამოსილება, განმარტოს მტკიცებულებების შეფასების წესი .....	118
2.3. დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნის შეზღუდვა .....	121
2.4. ნაფიცი მსაჯულებისათვის საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება .....	124
2.5. ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე ნემისმიერი სხვა მტკიცებულების თაობაზე ნაფიცი მსაჯულების ინფორმირება .....	128
<b>თავი V. ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრება .....</b>	<b>133</b>
1. ნაფიცი მსაჯულების რაოდენობა .....	133
2. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა თათბირისას მსაჯულის სათადარიგო მსაჯულით შეცვლა .....	141
2.1. სათათბირო ოთახში სათადარიგო მსაჯულის ყოფნა .....	146
3. ვერდიქტის მისაღებად საჭირო ნაფიც მსაჯულთა ხმების რაოდენობა (საერთაშორისო გამოცდილება) .....	149
4. საქართველოში ვერდიქტის მისაღებად საჭირო ნაფიც მსაჯულთა ხმების რაოდენობა .....	163



4.1. ვერდიქტის ფორმები .....	167
4.2. ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის ხელმოწერა .....	169
5. „Hung Jury“ (საერთაშორისო გამოცდილება) .....	172
6. „Hung Jury“ საქართველოში .....	175
7. „ნულიფიკაცია“.....	178
8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნა (საერთაშორისო გამოცდილება) .....	180
9. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნა .....	184
9.1. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა .....	185
9.2. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების დაშვება .....	190
9.3. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა	195
9.4. სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია .....	198
9.5. სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა .....	202
10. სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება (საერთაშორისო გამოცდილება) .....	206
11. საქართველოში სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება .....	208
12. ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრება (საერთაშორისო	

გამოცდილება) .....	215
13. საქართველოში ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრება .....	227
13.1. გამამტყუნებელ განაჩენზე შეტანილი საკასაციო საჩივრის	
სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილვა .....	231
13.2. მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო	
გადაწყვეტილების გამო გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება	232
13.3. დაკმაყოფილებული საკასაციო საჩივრის სამართლებრივი	
შედეგი .....	233
14. საქართველოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც	
მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა .....	240
<b>დასკვნა .....</b>	<b>245</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>273</b>
<b>დანართი 1 .....</b>	<b>287</b>
<b>დანართი 2 .....</b>	<b>289</b>

## გამოყენებული აბრევიატურა

### ქართული:

ა.შ.	ასე შემდეგ
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაზ.	გაზეთი
გვ.	გვერდი
ე.ი.	ესე იგი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
თბ.	თბილისი
იხ.	იხილე
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
ნაწ.	ნაწილი
ჟურნ.	ჟურნალი
რედ.	რედაქტორი
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სხვ.	სხვა
შეად.	შეადარე

### ინგლისური:

Art. – Article	პუნქტი, პარაგრაფი, მუხლი
----------------	--------------------------

<b>p. – page</b>	გვერდი
<b>para – paragraph</b>	აბზაცი
<b>v. – versus</b>	წინააღმდეგ
<b>Vol. – Volume</b>	ტომი

**რუსული:**

<b>стр. – страница</b>	გვერდი
------------------------	--------

მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება,  
ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი,  
ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა.  
იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი  
სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შემდგომისამებრ  
გაწმენდილი და კუთვნილ სიმალლეზე დაყენებული.

ილია ჭავჭავაძე<sup>1</sup>

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა და მისი საგანი:** სადისერტაციო ნაშრომი შეეხება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტთან დაკავშირებულ თავისებურებებს ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.

პროფესიონალი მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კლასიკურ პროცედურებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყანაში ასევე დანერგილია მართლმსაჯულების განხორციელების სპეციფიური ფორმა, რა დროსაც, გადაწყვეტილებას არა პროფესიონალი მოსამართლე, არამედ ნაფიცი მსაჯულები იღებენ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო<sup>2</sup> არის ადამიანების ჯგუფი,<sup>3</sup> რომლებიც დებენ ფიცს, სამართლებრივ საქმეზე გამოიტანონ ვერდიქტი,<sup>4</sup> რაც დაეფუძნება

---

<sup>1</sup> იხ.: *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 8.

<sup>2</sup> ინგლისურად – Jury Trial.

<sup>3</sup> ისტორიულად 12 ადამიანი.

<sup>4</sup> ვერდიქტი წარმოებულია ლათინური სიტყვებიდან: *vere dictum* – სიმართლის თქმა. იხ.: *ტრეესელი შ., სამერსი ს. ჯ.-ს* დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, გვ. 134.

სასამართლოში მათ წინაშე წარდგენილ მტკიცებულებებს.<sup>5</sup> ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი<sup>6</sup> კი, ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებაა სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეში სადავო საკითხთან დაკავშირებით.<sup>7</sup>

მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობის გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსაკუთრებული მოვლენაა. ამ ინსტიტუტით სახელმწიფო და საზოგადოება ერთიანდება; მოქალაქე წყვეტს მისივე საზოგადოების წევრის ბედს, რითაც აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას. მოსამართლე ამ პროცესში მონაწილეობს როგორც არბიტრი, იგი აკონტროლებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესის პირობებში ნაფიც მსაჯულთა მიერ უფლება-მოვალეობების განხორციელებისა და შესაბამისი ვერდიქტის მიღების პროცესს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიძლება განვიხილოთ როგორც: (1) მხარის უფლება, მიიღოს საქმის მოქალაქეთა მეშვეობით განხილვის შესაძლებლობა; (2) სიცოცხლისა და თავისუფლების უფლების გარანტია იმ საქმეებში, სადაც ბრალდებულს, შესაძლოა, მიესაჯოს სიკვდილით დასჯა ან თავისუფლების აღკვეთა; (3) მოქალაქეთა უფლება, მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და მოქალაქეობრივი მოვალეობა, მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში.<sup>8</sup>

---

<sup>5</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აგრეთვე ეძახიან: Petit Jury, Petty Jury. ეს ინსტიტუტი წარმოშობილია გვიანი შუა საუკუნეების ინგლისში: ძველი ფრანგული juree 'oath, inquiry'-დან, ლათინური jurata-დან. იხ.: *Feinman J. M.*, 1001 Legal Words You Need to Know, Oxford University Press, 2005, p. 105.

<sup>6</sup> ინგლისურად – Verdict.

<sup>7</sup> ვერდიქტი წარმოშობილია შუა საუკუნეების ინგლისში ანგლო-ნორმანური ფრანგული verdict-დან, ძველი ფრანგული veir 'true'-დან (ლათინური verus-დან) + dit-დან (ლათინური dictum 'saying'-დან). იხ.: *Feinman J. M.*, 1001 Legal Words You Need to Know, Oxford University Press, 2005, p. 203.

<sup>8</sup> *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 22.

თუმცა, ამავედროულად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის<sup>9</sup> ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე დისკუსიის საგანია.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდის (1918-1921წწ.) მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 იანვრის კანონით, შემოღებული იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო,<sup>10</sup> რომელმაც არა ერთი საქმე განიხილა, ხოლო საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლით, სასამართლოს თავში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით: „მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.“<sup>11</sup>

საბჭოთა ოკუპაციის შედეგად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი გაუქმდა. თუმცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 6 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიხედვით, საერთო სასამართლოებში საქმეები შესაძლებელია განიხილონ ნაფიცმა მსაჯულებმა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.<sup>12</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>13</sup> შესაბამისად, საქართველოში ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (თუმცა საწყის სტადიაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

---

<sup>9</sup> როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც.

<sup>10</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 8.

<sup>11</sup> გურგენიძე ე., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული – 1918-1921, ივერთა მხარე, 1990, გვ. 472. იხ. ასევე: <http://msajuli.ge/index.php?m=796>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>12</sup> საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, №3272, სსმ, 2, 06.02.2004.

<sup>13</sup> შემდეგში – სსსკ.

მოქმედებდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და ისიც განიხილავდა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) სისხლის სამართლის საქმეებს).<sup>14</sup>

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში<sup>15</sup> და მცირედით გაიზარდა მის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით განხილული საქმეების რაოდენობა. 2017 წლის 1 იანვრიდან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები შეიქმნა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში<sup>16</sup> და, შესაბამისად, გაიზარდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით განხილული საქმეების რაოდენობა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს, რომლის არსებობა განსაკუთრებით ფასეულია, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეშვეობით მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს ხალხი, საქართველოს მოქალაქეები.<sup>17</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – *ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, განმარტა, რომ: „ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მართლმსაჯულების განხორციელების უმთავრესი იდეა და მიზანი არის უშუალო დემოკრატიის ხელშესახეობის გაზრდა ზოგადად ხელისუფლებაში და ამ თვალსაზრისით დემოკრატიულობის კომპონენტის დანერგვა-გამლიერება სასამართლო ხელისუფლებაში. ხელისუფლებისადმი ხალხის

<sup>14</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“, №3616, სსმ, 50, 24.09.2010.

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>16</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, №5591-III, 24.06.2016.

<sup>17</sup> იხ. ციტირება: *კუბლაშვილი კ.*, სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, ბონა კაუზა, 2010, გვ. 3.



სანდოობას კანონზომიერად ზრდის ხალხის უშუალო მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელების ყველა დონეზე და მის ყველა შტოში.“<sup>18</sup>

ანალოგიურ შეფასებას აკეთებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის მნიშვნელობაზე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გურამ ნაჭყებია, რომელიც „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლისა და ანალიზისათვის“ პროექტის სამეცნიერო დირექტორი იყო. მისი მოსაზრებით: „საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებაში ყველაზე ძირეული პრინციპების – სამართლიანობის, კოლეგიალურობის, ხალხური სიბრძნისა და გონიერების – განვითარებას.“<sup>19</sup>

საინტერესოა ისიც, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ, ფაქტობრივად ასეთივე პოზიცია ჰქონდა ცნობილ ქართველ დრამატურგს, იურისტსა და პოლიტიკოსს, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრს, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთ ავტორს სამსონ დადიანს, რომელიც მიიჩნევდა, რომ: „სწორედ იქ, სადაც ხელმწიფება ხალხს ეკუთვნის და ხალხია გამგებელი და ბატონ-პატრონი თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, თვისი წევრთა მოქმედების განსჯაც მას უნდა ჰქონდეს.“<sup>20</sup>

---

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/557,571,576, II-92. იხ.: <http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqeebi-valerian-gelbaxiani-mamuka-nikolaishvili-da-aleqsandre-silagadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-872.page>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>19</sup> პროექტი ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ დააფინანსა. მისი მიზანი იყო შეესწავლა და ანალიზი გაეკეთებინა საქართველოში 2010 წლის ოქტომბერში ამოქმედებული სიახლისთვის – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისთვის. პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეცნიერებმა შეისწავლეს და ანალიზი გაუკეთეს საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ სამ სისხლის სამართლის საქმეს. იხ. *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., გოგინიაშვილი ნ., თუმანიშვილი გ.*, პროექტი – „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლისა და ანალიზისათვის“, თბ., 2013, 1, იხ. ასევე: <http://online.tsu.edu.ge/ge/science/9972/?p=18>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>20</sup> იხ. ციტირება: *კორძაძე ზ., ნემსწვერიძე თ.*, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016, გვ. 275.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულია 38 სისხლის სამართლის საქმე 49 პირის მიმართ და მიღებულია შესაბამისი ვერდიქტები,<sup>21</sup> რაც იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობით განხილული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა იზრდება. ამდენად, საინტერესოა: რა პრაქტიკული ხასიათის პრობლემები გამოიკვეთა ზოგადად ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტთან დაკავშირებით; მისი მიღების წესი; დასაბუთებისა და გასაჩივრების ასპექტები; ასევე, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხი, მით უფრო, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საქართველოში<sup>22</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს.

**კვლევის მიზანი:** იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე პერიოდში, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი და შესაბამისად, ამ შემთხვევაში ვერდიქტის მიმღები ერთადერთი ორგანო, 2010 წლიდან ამოქმედდა, საკითხი საკმაოდ აქტუალურია და სიღრმისეულ გამოკვლევას საჭიროებს.

სადისერტაციო კვლევის მიზანია: შეძლებისდაგვარად სრულყოფილად შეისწავლოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ინსტიტუტი; შესაბამისად, მიმოიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია და განვითარების თანამედროვე ტენდენციები (როგორც საქართველოში, ისე იმ სახელმწიფოებში, სადაც ეს ინსტიტუტი ფაქტობრივად შეიქმნა და დროთა განმავლობაში განვითარდა); ასევე განაზოგადოს, თუ როგორ ხდება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მიღება თანამედროვე პერიოდში; დაადგინოს, რა ტიპის სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები წარმოიშობა ვერდიქტის დასაბუთებასა და მის გასაჩივრებასთან დაკავშირებით; შესაბამისად, შეიმუშაოს რეკომენდაციები

---

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი: [supremecourt.ge](http://supremecourt.ge), ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა, 2019, 1, <http://supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nafici-msajulebis-mier-ganxiluli-saqmeebis-statistika.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>22</sup> ისევე როგორც, ფაქტობრივად თითქმის ყველგან, სადაც ეს ინსტიტუტი არსებობს.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მარეგულირებელი ნორმების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

**კვლევის მეთოდები:** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, ანალიტიკური, დოგმატური, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

**დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი სისხლის სამართლის პროცესში აქტუალური და სადისკუსიო თემაა. სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი მოსაზრებები საინტერესო იქნება როგორც პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ისე სისხლის სამართლის პროცესითა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი დაინტერესებული პირებისთვის, მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა:** ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის, 30 პარაგრაფის, 22 ქვეპარაგრაფისა და დასკვნისგან. დისერტაციას თან ერთვის ბიბლიოგრაფია და 2 დანართი. ნაშრომი სულ შეადგენს 302 გვერდს.

## თავი I. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება

ჰქმენით მართალი სამართალი,

დაბრძანდით ბჭობად.

ესქილე<sup>23</sup>

### 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება

(ზოგადი მიმოხილვა)

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობისა და განვითარების დიდი ისტორია გააჩნია. თუმცა, ბუნებრივია, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობის თავდაპირველად არსებული მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ დღეს არსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თანამედროვე მოდელებისგან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისი ფესვები სახელმწიფოების წარმოშობის ადრეულ ეტაპზე გააჩნია. საზოგადოება მართლმსაჯულების განხორციელებაში სხვადასხვა ფორმით უშუალოდ მონაწილეობდა ძველ საბერძნეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, ნორვეგიასა და შვედეთში.<sup>24</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველეს წინაპრად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას, იგივე ჰეილიას. დიკასტერია ერქვა მთავარ სასამართლო ადგილს, რომელიც მდებარეობდა ქალაქის მოედანზე. არისტოტელეს ცნობით, დიკასტერია შედგებოდა ხალხის მიერ არჩეული 1500 მოსამართლისაგან, რომელთაგან 501 კაცი იხილავდა ჩვეულებრივ სამოქალაქო და ყოფით საქმეებს. განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებს, რასაც შედეგად, შესაძლოა, მოჰყოლოდა

---

<sup>23</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 6.

<sup>24</sup> იორჰენდი ლ., *წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 11.

სიკვდილით დასჯა, თავისუფლების დაკარგვა, განდევნა, სამოქალაქო უფლებების დაკარგვა, საკუთრების ჩამორთმევა – იხილავდა ათასიდან ათას ხუთასამდე დიკასტი. გადაწყვეტილება მიიღებოდა ფარული კენჭისყრით. საკითხი წყდებოდა ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, განსასჯელი გამართლებულად ითვლებოდა.<sup>25</sup>

რომის რესპუბლიკის შექმნიდან იმპერიის დასრულებამდე, რომში არსებობდა ტრიბუნალები მსაჯულების მონაწილეობით. მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა მიმდინარეობდა მსაჯულთა საბჭოს წინაშე, რომელიც შედგებოდა 100 ან 1000 ადამიანისაგან. ისინი მონაწილეობდნენ ხმის მიცემაში პირის ბრალეულობის განსაზღვრის მიზნით.<sup>26</sup>

გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პირველად IX საუკუნეში საფრანგეთში დამკვიდრდა. ეს ინსტიტუტი ინგლისში ნორმანებმა 1066 წელს შეიტანეს და მას შემდეგ იგი ინგლისის სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილად აღიქმება.<sup>27</sup> ამის მიუხედავად,<sup>28</sup> დღევანდელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოს მე-11 საუკუნის ინგლისს უკავშირებენ.<sup>29 30</sup>

ინგლისური ზეგავლენით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გავრცელდა ინგლისის ყოფილ კოლონიებსა თუ სხვა ქვეყნებში, რომლებიც ადრე იმყოფებოდნენ ინგლისური ზეგავლენის ქვეშ და შემდეგ „საერთო სამართლის“ სისტემას

---

<sup>25</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 10.

<sup>26</sup> იქვე. გვ. 15.

<sup>27</sup> იხ. ციტირება: *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 148.

<sup>28</sup> იგულისხმება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების პირველად IX საუკუნეში საფრანგეთში შესაძლო დამკვიდრების ფაქტი.

<sup>29</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 11.

<sup>30</sup> ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობისა და განვითარების შესახებ იხილეთ ამ თავის მე-2 პარაგრაფი.

შეურთდნენ. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, ირლანდია, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია.<sup>31</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ კონტინენტური ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ, როგორცაა, მაგ.: დანია, ბელგია, ნორვეგია, ავსტრია, შვეიცარია, დღემდე შემოინახა საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სისტემა, თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ამ ქვეყნებში მეტად შეზღუდულია.<sup>32</sup> მაგ.: დანიაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები მხოლოდ სამოცამდე საქმეს იხილავენ წელიწადში.<sup>33</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩანასახი ნორვეგიაში პირველად გაჩნდა ჩვენი წელთაღრიცხვის 800 წელს. თავისუფალი ხალხის ყოველთვიური შეკრება<sup>34</sup> თითოეულ ოლქში ასრულებდა როგორც საკანონმდებლო, ასევე დავების გადაწყვეტის ფუნქციას. პროფესიული მოსამართლის თანამდებობა არ არსებობდა, მაგრამ დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 1100 წელს, გაჩნდა Ting-ის მრჩევლის ფუნქცია, რომლის ძირითადი კვალიფიკაცია სწორედ კანონის ცოდნას შეადგენდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამკვიდრდა მხოლოდ 1887 წელს, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებასთან ერთად.<sup>35</sup> ამჟამად, ნორვეგიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მხოლოდ მეორე ინსტანციაში, სააპელაციო განხილვისას გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარი საქმის ფაქტობრივ მხარეს ეხება. ამასთან, ჩადენილი დანაშაული უნდა ისჯებოდეს 6 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით. თუმცა ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა ასევე ვრცელდება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული და პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი

---

<sup>31</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 13.

<sup>32</sup> მაგ.: დანიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წელიწადში ას საქმეზე მეტს არ განიხილავს. იხ.: *Wiedmar N.*, *World Jury Systems*, Oxford University Press, 2000, p. 445.

<sup>33</sup> *Van Den Wingaert Cr.*, *Criminal Procedure Systems in the European Community*, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 72.

<sup>34</sup> ინგლისურად – Ting, როგორც მას ნორვეგიაში ეძახდნენ.

<sup>35</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 60-61.

აღმატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯადობიდან გამოირიცხება დანაშაულები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.<sup>36</sup>

ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვის შემდეგ, ამ ინსტიტუტმა მოგვიანებით არსებობა შეწყვიტა. ასე მაგ.: მე-19 საუკუნეში, ინგლისის გავლენით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ასევე გავრცელდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში – საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, იტალიასა და გერმანიაში. თუმცა, საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ამ ქვეყნების ნაწილმა, გარკვეული გამოცდილების შემდეგ, უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინგლისურ მოდელზე და უპირატესობა მიანიჭა ე.წ. შერეულ მოდელს, სადაც საქმეს ერთად იხილავენ მოსამართლე და მსაჯულები.<sup>37</sup>

საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღეს იმპერატორ ნაპოლეონის დროს, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიებზე – ძირითადად დიდ ქალაქებში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი კოლეგიისაგან: 1) 8 კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც წყვეტდა ბრალდებაში მიცემის საკითხს და 2) 12 ნაფიცი მსაჯულისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციით არსებითად იხილავდა საქმეებს და პროფესიონალი მოსამართლისაგან დამოუკიდებლად წყვეტდა განსასჯელის ბრალეულობის საკითხს. ასეთი სახით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საფრანგეთში იარსება მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, რის შემდეგაც ნაფიცი მსაჯულები და პროფესიონალი მოსამართლეები ერთ კოლეგიად გააერთიანეს. ამჟამად საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ცნობილია, როგორც „ასიზების სასამართლო“.<sup>38</sup>

---

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 16-17.

<sup>38</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 49.

გერმანიის მთავრობამ მსაჯულთა სასამართლო გააუქმა 1924 წლის 4 იანვარს, რადგან მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი არ აღიქვებოდა დასაბუთებულად და სამართლიანად.<sup>39</sup>

საინტერესოა ინდოეთის მაგალითი, სადაც მთავრობამ მსაჯულთა სასამართლო გააუქმა 1960 წელს იმ მოტივით, რომ მათზე ზეგავლენას ახდენდა მედია და საზოგადოებრივი აზრი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მსაჯულების მიერ ერთ-ერთი გახმაურებული საქმის განხილვის შემდეგ. ეს იყო საქმე – *კ. მ. ნანავატი მაჰარაშტრას შტატის წინააღმდეგ*, რომელზეც 8 მსაჯულმა ერთის წინააღმდეგ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, თუმცა ზემდგომმა სასამართლოებმა საქმე კვლავ დააბრუნეს განსახილველად.<sup>40</sup>

მეორეს მხრივ, ასევე იკვეთება ტენდენცია იმისა, რომ თანამედროვე პერიოდში ზოგი ქვეყანა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეანიმირებას ახდენს. მაგ.: მეოცე საუკუნის ბოლოს, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სისტემა აღადგინა ევროპის ორმა ქვეყანამ, ესპანეთმა და რუსეთმა, რაც გარკვეულწილად წარმოადგენდა მსოფლიო ტენდენციის შემობრუნებას საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სისტემის სასარგებლოდ.<sup>41</sup>

იმის მიუხედავად, რომ ესპანეთის 1812, 1837 და 1869 წლების კონსტიტუციები ადგენდნენ გარკვეული ტიპის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესს, ამ ინსტიტუტმა საკანონმდებლო რეგულირება მხოლოდ 1872 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ხოლო საბოლოოდ 1888 წლის კანონში „ნაფიც

---

<sup>39</sup> იქვე. გვ. 57.

<sup>40</sup> 1959 წელს კავას მანეკშაუ ნანავატი უნდა გაესამართლებინათ მისი მეუღლის სილვიას საყვარლის პრემ აჰუჯას მკვლელობის გამო. ამ დანაშაულმა შოკში ჩააგდო ერი, ხოლო მედიამ ურპეცენდენტოდ ფართოდ გააშუქა იგი. დაიწერა სხვადასხვა წიგნი და გადაიღეს რამდენიმე ფილმი. ეს იყო მსაჯულთა სასამართლოს მიერ უკანასკნელად განხილული საქმე ინდოეთში. საქმეში მთავარ საკითხად მიიჩნეოდა გარკვეულიყო, შემთხვევით მოხდა გასროლა თოფიდან, თუ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა. იხ.: *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 67.

<sup>41</sup> *იორჰენდი ლ.*, *წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 19.



მსაჯულთა შესახებ“ პოვა. ეს კანონი მოქმედებდა 1888 წლიდან 1923 წლამდე. შემდეგ მისი მოქმედება შეჩერდა პრიმო დე რივერას დიქტატურის პერიოდში და კვლავ განახლდა 1931-1936 წლებში.<sup>42</sup> რუსეთში კი, დღეის მდგომარეობით, ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ მკვლელობებს და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს განიხილავენ.<sup>43</sup>

ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ევროპის საბჭოს რამდენიმე ქვეყანას გააჩნია ნაფიც მსაჯულთა ისეთი სისტემა, რომელიც ნაკარნახევია მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონიერი სურვილით, განსაკუთრებით, ეს შეეხება ყველაზე მძიმე დანაშაულებს. სხვადასხვა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმით არსებობს, თითოეული მათგანი იმ ქვეყნის ისტორიას, ტრადიციებსა და სამართლებრივ კულტურას ასახავს.<sup>44</sup>

თანამედროვე პერიოდში ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ: ქვეყნები, რომელთაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რაიმე მოდელი ან ზოგადად, სისხლის სამართლის საქმეებში მსაჯულთა მონაწილეობის სისტემა არ აქვთ; ქვეყნები, რომლებიც გამოიყენებენ თანამშრომლობის მოდელს, კერძოდ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეებზე პროფესიონალ

---

<sup>42</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემეტიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 317.

<sup>43</sup> ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ., შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 17-18. იხ.: [http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>44</sup> ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (*Taxquet v. Belgium* [GC], N926/05, paragraph 83, ECHR 2010). იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 19. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

მოსამართლეებთან ერთად მსაჯულებიც თათბირობენ; და მესამე კატეგორია, რომელმაც სისხლის სამართლის საქმეებზე არჩევანი ნაფიც მსაჯულთა „ტრადიციული“ მოდელის სასარგებლოდ გააკეთა.<sup>45</sup> აღსანიშნავია ის, რომ განხილულ მოდელებს შორის, ევროპის საბჭოს თოთხმეტ წევრ ქვეყანას არასოდეს ჰქონია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა, ან სისხლის სამართლის საქმეებში მსაჯულთა მონაწილეობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ან გააუქმეს ეს სისტემა; ეს ქვეყნებია: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ნიდერლანდები, რუმინეთი, სან მარინო და თურქეთი. ამ ქვეყნებში, სისხლის სამართლის სასამართლო სისტემა შედგება მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეებისგან.<sup>46</sup>

თანამშრომლობის სისტემის მქონე წევრი ქვეყნებია: ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, მონაკო, მონტონეგრო, ნორვეგია (უმეტეს შემთხვევებში), პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, „მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა“ და უკრაინა. თანამშრომლობის სისტემა, რომელიც ასევე შესაძლოა, გამოყენებული იყოს ნაფიც მსაჯულთა ტრადიციულ მოდელთან ერთობლიობაში, ხასიათდება იმით, რომ პროფესიონალი მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები ყველა სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებას, ასევე ბრალეულობის და სასჯელის განსაზღვრის საკითხს, ერთობლივად ადგენენ.<sup>47</sup>

ევროპის საბჭოს ათმა ქვეყანამ არჩევანი ნაფიც მსაჯულთა ტრადიციული სასამართლო სისტემის სასარგებლოდ გააკეთა, კერძოდ: ავსტრია, ბელგია, საქართველო, ირლანდია, მალტა, ნორვეგია (მხოლოდ რთულ საქმეებში სააპელაციო ინსტანციის დონეზე), რუსეთის ფედერაცია, ესპანეთი, შვეიცარია (ჟენევის კანტონი), 2011 წლის 1 იანვრამდე, და გაერთიანებული სამეფო (ინგლისი, უელსი, შოტლანდია

---

<sup>45</sup> იქვე. paragraph 45.

<sup>46</sup> იქვე. paragraph 45.

<sup>47</sup> იქვე. paragraph 46.

და ჩრდილოეთ ირლანდია).<sup>48</sup> თავისი ტრადიციული ფორმით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება ნაფიცი მსაჯულებისა და რამდენიმე პროფესიონალი მოსამართლისგან. მსაჯულთა რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყანასა და განხილვის საგანზე. პროფესიონალ მოსამართლეთა რაოდენობა ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. ირლანდიაში, მალტაში, რუსეთში, ესპანეთში, შვეიცარიასა და გაერთიანებულ სამეფოში სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულებს თავმჯდომარეობს ერთი მოსამართლე. ავსტრიაში, ბელგიასა და ნორვეგიაში სასამართლო, ნაფიც მსაჯულებთან ერთად, სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შედგება. პროფესიონალ მოსამართლეებს არ შეუძლიათ ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალეულობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღება, ეს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში შედის.<sup>49</sup>

იაპონიაში მსაჯულთა ინსტიტუტი პირველად შემოიღეს 1923 წელს პრემიერ-მინისტრის კატო ტომოსაბუროს ინიციატივით. მაშინ ამ ინსტიტუტს ხშირად არ იყენებდნენ. იმ პერიოდში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არ გამოიყენებოდა, საბოლოო ვერდიქტი გამოჰქონდა მოსამართლეს. თუმცა, 2004 წლის მაისში, შემოიღეს კანონები ისეთი სისტემის დასაანერგად, რომელიც საერთო სამართლის ქვეყნებში არსებული მსაჯულთა სისტემის მსგავსი იქნებოდა. ეს კანონმდებლობა ამოქმედდა 2009 წლის მაისში.<sup>50</sup>

ახალი ზელანდიის სასამართლოებში მსაჯულები მონაწილეობენ სისხლის სამართლის ბრალდების საქმეების განხილვაში, ასევე – წვრილმანი დანაშაულის საქმეებზე, რომლებიც დასჯადია სამ თვეზე მეტი ხნის პატიმრობის ვადით.<sup>51</sup> ბელგიის კონსტიტუციით, ყველა მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ისეთი საქმეები, რომლებიც ეხება ცილისწამებას, პრესის დანაშაულს, შესაძლებელია, განიხილოს მხოლოდ მსაჯულთა სასამართლომ, გარდა რასისტული

---

<sup>48</sup> იქვე. paragraph 47.

<sup>49</sup> იქვე. paragraph 48.

<sup>50</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 69.

<sup>51</sup> იქვე. გვ. 47.

ხასიათის დანაშაულისა.<sup>52</sup> ავსტრიაში კი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იმართება იმ დანაშაულების განსახილველად, რომელთა ჩადენისთვისაც მინიმალური სანქცია ხუთი, ხოლო მაქსიმალური – ათი წლით თავისუფლების აღკვეთაა. ამ ზღვრის ქვემოთ საქმეები შესაძლოა შერეულმა ტრიბუნალმა განიხილოს, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც.<sup>53</sup>

სამხრეთ კორეაში ბოლო ხანს, პოლიტიკური და დემოკრატიული რეფორმების შემდგომ, კანონმდებლებმა მიიღეს კანონი, რომელიც ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულებისთვის. ამჟამად, ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ იმ საქმეებში, სადაც სახეზე იქნება მოპასუხის თანხმობა. გარდა ამისა, იმისათვის, რომ შესრულდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული გარანტია სასამართლო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება ამ ეტაპზე, მოსამართლისთვის მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათის იქნება.<sup>54</sup>

საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სისტემა ასევე მოქმედებს ზოგიერთი ლათინური ამერიკის (ნიკარაგუა, პანამა, ბრაზილია) და აფრიკის (განა, მალავი, უგანდა) ქვეყნებში.<sup>55</sup> მაგ.: ბრაზილიის კონსტიტუციით, წინასწარ განზრახვით ჩადენილ დანაშაულს, მკვლელობას ან მკვლელობის მცდელობას, აბორტს, ჩვილთა

---

<sup>52</sup> იქვე. გვ. 63.

<sup>53</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 17-18. იხ.: [http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsbachoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsbachoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>54</sup> *ვიდმარი ნ., კანსი ვ. კ.*, ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები – ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, გვ. 426.

<sup>55</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 17.

მკვლელობასა და თვითმკვლელობისკენ პროვოცირებას მსაჯულთა სასამართლო განიხილავს.<sup>56</sup>

განსაკუთრებით საინტერესოა არგენტინის მაგალითი, სადაც 1853 წლის კონსტიტუცია ითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ კანონის მიღებას, და ამის უფლებამოსილებას კონგრესს აძლევს, თუმცა ეს სასამართლო დღემდე არ შექმნილა.<sup>57</sup>

ანალოგიური სიტუაციაა ყაზახეთში, სადაც 1998 წლის 7 ოქტომბერს ყაზახეთის კონსტიტუციის 75-ე მუხლში შეტანილ იქნა დამატება, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართალწარმოების განხორციელების შესაძლებლობა, რაც 2000 წლის 25 დეკემბრის კანონითაც იქნა დადასტურებული და საპროცესო კანონმდებლობაშიც აისახა, მაგრამ ამას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეალურად შექმნა არ მოჰყოლია.<sup>58</sup>

## 2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა

### და განვითარება ინგლისში

იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოს მე-11 საუკუნის ინგლისს უკავშირებენ,<sup>59</sup> სასურველია, ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს ინგლისში ამ ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების საკითხს.

---

<sup>56</sup> ბუჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 72.

<sup>57</sup> *Hendler E. S.*, Lay Participation in the Judicial Process: The Situation in Argentina, St. Louis-Warsaw Trans`l, 2001, p. 81.

<sup>58</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 181.

<sup>59</sup> იხ.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 11.

ნაფიც მსაჯულთა თავდაპირველი კონცეფცია ინგლისში სავარაუდოდ შეტანილი იყო ნორმანების დაპყრობის შემდეგ, 1066 წელს.<sup>60</sup> თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ უილიამ დამპყრობელი 1066 წელს მეფე ჰაროლდის არმიას დაამარცხებდა, ნაფიცი მსაჯულების ჩანასახი უკვე არსებობდა მოწმეების მიერ მტკიცებულებების მიცემის სახით.<sup>61</sup>

1066 წელს ნორმანების დაპყრობის შემდეგ, ინგლისში დამკვიდრდა წესი, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ, ფიცის ქვეშ ეთქვათ სიმართლე<sup>62</sup>. თავდაპირველ პერიოდში მსაჯულებს ადგილობრივ საქმეებში ინფორმაციის წყაროდ იყენებდნენ, მაგრამ შემდეგ თანდათანობით მოხდა მათი მოწვევა სისხლის და სამოქალაქო საქმეების გადასაწყვეტად. სახელმწიფოს მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების აღიარება მოხდა 1215 წელს, როდესაც მეფემ საყოველთაო სახალხო მოთხოვნის ზეგავლენით ხელი მოაწერა ე.წ. „მაგნა კარტას“, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის უფლებას, მისი საქმე განხილული იქნას „თანამოქალაქეთა მიერ“.<sup>63</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისში, 1367 წლიდან დამკვიდრდა, რომ ერთსულოვანი ვერდიქტი სავალდებულო ყოფილიყო.<sup>64</sup> XV საუკუნიდან კი, ნაფიც

---

<sup>60</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch., Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40.* იხ. <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>61</sup> *ვიდმარი ნ., ჰანსი ვ. პ., ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები – ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, გვ. 26.*

<sup>62</sup> სიტყვა „ჟიური“ მოდის ლათინური სიტყვა „jurare“-დან, რომელიც დაფიცებას გულისხმობს.

<sup>63</sup> *იორჰენდი ლ., ჩიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 12.*

<sup>64</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch., Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40.* იხ. <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

მსაჯულთა სასამართლო საბოლოოდ ფორმირდება დამოუკიდებელ ორგანოდ, რომელიც წყვეტს საქმის ფაქტობრივ მხარეს.<sup>65</sup>

მე-17 საუკუნიდან „თავისუფლებათა დიდ ქარტია“<sup>66</sup> თანდათან დავიწყებას მიეცა და უპირატესობა კვლავ კეთილშობილთა მმართველობამ მოიპოვა. მეფემ თავისი სამეფო მოსამართლეების დახმარებით დაიწყო პირადი კონტროლის გაზრდა მსაჯულებსა და სამეფოზე. შუა საუკუნეებში მსაჯულებზე ხშირად ხორციელდებოდა სხვადასხვა ზეწოლა. მორჩილების მიზნით ისინი შეიძლება ჩაეკეტათ ოთახში, არ მიეცათ სითბო და საკვები, სანამ გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოიტანდნენ. ხელისუფლება არ ერიდებოდა „ურჩი“ მსაჯულების გაროზგვასა და დაჯარიმებასაც.<sup>67</sup>

შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. „ბუშელის საქმეზე“ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, იკრძალებოდა ნაფიცი მსაჯულის დაჯარიმება ან ციხეში ჩასმა ბრალდებულის გამართლებისთვის.<sup>68</sup> „ბუშელის საქმეზე“ მიღებული გადაწყვეტილების<sup>69</sup> ძალით, 1670 წლისათვის ნაფიც მსაჯულთა

---

<sup>65</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 148.

<sup>66</sup> ინგლისურად – Magna Charta.

<sup>67</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 19.

<sup>68</sup> *Гернем У.*, Суд присяжных заседателей, Москва, 1987, стр. 6.

<sup>69</sup> 1670 წელს ლონდონში გამართულმა სასამართლო პროცესმა უდიდესი გარდატეხა მოახდინა მართლმსაჯულებაში. ეს საქმე ისტორიაში შევიდა „ბუშელის საქმის“ სახელით. ლონდონის სისხლის სამართლის სასამართლო ასამართლებდა უილიამ პენს (ინგლისელი ფილოსოფოსი (1644-1718 წლები), ქადაგებდა დემოკრატიულობისა და რელიგიური თავისუფლების იდეებს) და მის მეგობარს (უილიამ მედს) შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. როდესაც 12 ნაფიცმა მსაჯულმა უარი თქვა, დამნაშავეებად გამოეცხადებინა ბრალდებულები, ისინი ორი ღამით ჩაკეტეს საკვების, წყლისა და საპირფარეოს გარეშე. მსაჯულებს ასევე მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ჯარიმის გადახდამდე. ოთხმა მსაჯულმა ბუშელის მეთაურობით უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე და დაპატიმრება გაასაჩივრა. მთავარმა მოსამართლემ (სერ ჯონ ვოგანი – ცნობილი ინგლისელი მოსამართლე (1603-1674 წლები)) ამ საკითხზე მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება. მან დაადგინა, რომ არც ერთი ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება დასჯილიყო თავისი ვერდიქტისათვის. იხ.: *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო

სასამართლო გადაიქცა მეფისა და სამეფო სასამართლოებისგან დამოუკიდებელ ორგანოდ, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა, მხოლოდ პროცესის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. შემდეგ საუკუნეში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ინგლისელებმა ჩრდილო ამერიკის კოლონიებშიც დაამკვიდრეს.<sup>70</sup>

თანამედროვე ინგლისში ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ მაშინ იხილავენ სისხლის სამართლის საქმეს, თუ ის განსახილველად შედის გვირგვინის სასამართლოში<sup>71</sup> და ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს. დღეის მდგომარეობით, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ ერთი ან ორი პროცენტი იხილება ნაფიცი მსაჯულების მიერ.<sup>72</sup> იგივე მოსაზრებას იზიარებენ სხვა ავტორებიც.<sup>73 74</sup> თუმცა ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების ერთადერთი არბიტრია და მისი გადაწყვეტილება წმინდათაწმინდად<sup>75</sup> მიიჩნევა.<sup>76</sup>

---

რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 19-21.

<sup>70</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 148.

<sup>71</sup> ინგლისურად – Crown Court.

<sup>72</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40. იხ. <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>73</sup> ინგლისში სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დანაშაულთა მხოლოდ ორ პროცენტს იხილავს. იხ.: *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 25.

<sup>74</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინგლისში დანაშაულთა მხოლოდ 2% იხილავს. იხ.: *ნაჭყებია გ., ლეკვიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბობაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 62.

<sup>75</sup> ინგლისურად – Something Sacrosainct.



### 3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა

#### და განვითარება აშშ-ში

ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტმა აშშ-ში უფრო მეტად შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა, ვიდრე ინგლისში.<sup>77</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი ყველაზე მეტად ამერიკულ მოდელთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ასევე საინტერესოა აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობისა და განვითარების ტენდენციები.

კოლონიური ეპოქიდან ცნობილია ერთი ფართოდ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე; კერძოდ, ჯონ პეტერ ზენგერის პროცესი, რომელმაც „შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ამერიკელზე იმით, რომ ხაზი გაუსვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლებას, როგორც ბასტიონს ოფიციალური რეპრესიებისგან თავის დასაცავად.“<sup>78</sup>

1734 წელს ამერიკელ ჟურნალისტს პეტერ ზენგერს ბრიტანეთის სამეფო ტახტის სახელით ბრალი წარედგინა New York Weekly Journal-ში მეფის ყველასგან მოძულებული გუბერნატორის კოსბის წინააღმდეგ მემამბოხე და ცილისმწამებლური სულისკვეთების სტატიის გამოქვეყნებისათვის.<sup>79</sup> სასამართლოს მოხელეები შეეცადნენ, რომ ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობაში კოსბის მომხრეები შეეყვანათ, მაგრამ ზოგიერთი წევრი ჰოლანდიური წარმოშობის და, შესაბამისად, ანტიბრიტანული განწყობის აღმოჩნდა.<sup>80</sup>

მას შემდეგ, რაც ზენგერის ადვოკატს, ალექსანდრე ჰამილტონს ფილადელფიიდან, ნება არ მისცეს მოწმეები წარმოედგინა ზენგერის ნათქვამის

---

<sup>76</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 95.

<sup>77</sup> *დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, განათლება, 1993, გვ. 315.

<sup>78</sup> იხ.: *Guinther J.*, The Jury in America, Facts on File Publications, 1988, p. 30.

<sup>79</sup> *Levy L. W.*, Emergence of a Free Press, Oxford University Press, 1985, p. 39-40.

<sup>80</sup> *Rutherford L.*, John Peter Zenger, His Press, His Trial and a Bibliography of Zenger Imprints, Dood, Mead & Company, 1904, p. 62.

ჭეშმარიტების დასადასტურებლად, მან მსაჯულებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ეს პროცესი არ ეხება მხოლოდ ჟურნალისტს ან ნიუ იორკის ჟურნალს. ამ პროცესის შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ყველა თავისუფალ მოქალაქეზე, რომელიც ბრიტანული მმართველობის ქვეშ ცხოვრობს ამერიკის კონტინენტზე. საქმე ეხება უფრო მეტს, საქმე ეხება თავისუფლებას.“<sup>81</sup> ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ზენგერი, ხოლო პროცესის შესახებ ცნობები ყველა კოლონიაში და ინგლისში გავრცელდა.<sup>82</sup>

ოცდაათი წლის შემდეგ იმ მიზეზით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს ისინი შეიძლება გაემართლებინა, ბრიტანელები ამერიკელ კოლონისტებს საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისათვის Admiralty Court-ში დევნიდნენ, რომელიც საქმეს იხილავდა ნაფიც მსაჯულთა გარეშე. სახელმწიფო ღალატის საქმე ინგლისში, კოლონისტების მონაწილეობისა და დასწრების გარეშე იხილებოდა.<sup>83</sup> ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ამ მოვლენებმა თავის მხრივ დააჩქარეს ამერიკული რევოლუცია.<sup>84</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ტომას ჯეფერსონმა დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ამერიკული კოლონიების ინგლისიდან გამოყოფის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა ბრიტანელების ქცევა, რომელმაც „ხშირ შემთხვევაში ჩვენ უფლება წაგვართვა, გვესარგებლა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესით.“<sup>85</sup>

---

<sup>67</sup> იხ.: *Levy L. W.*, *Emergence of a Free Press*, Oxford University Press, 1985, p. 42-44.

<sup>82</sup> იხ.: *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 63.

<sup>83</sup> *Alschuler A. W.*, *Deiss A. G.*, *A Brief History of the Criminal Jury in the United States*, University of Chicago Law School Review, 1994, 61, p. 867-928 (citing *Burke E.*, Letter to the Sheriffs of Brison, in 2 *The Works of the Right Honorable Edmund Burke*, Little, Brown, 9th ed., 1889, p. 189,192.).

<sup>84</sup> იხ.: *Ubbelohde C.*, *The Vice-Admiralty Courts and The American Revolution*, University of North Carolina Press, 1960, p. 209.

<sup>85</sup> იხ.: *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 64.

ამგვარად, 1734 წლიდან, ზენგერის საქმის განხილვის შემდეგ, ამერიკელმა კოლონისტებმა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს პოლიტიკური დატვირთვა შესძინეს, რის გამოც მან იურიდიულ-პოლიტიკური ინსტიტუტის სტატუსი შეიძინა და საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დამოუკიდებლობის მოპოვებაში.<sup>86</sup>

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ფაქტობრივად ერთადერთი უფლება, რომელსაც დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებამდე ყველა შტატის კონსტიტუცია აღიარებდა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება იყო.<sup>87</sup>

დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში, კონსტიტუციის მესამე მუხლისა და მეექვსე შესწორების განმარტებით, ნაფიცი მსაჯულები შეერთებული შტატების სასამართლოებში მხოლოდ ფედერალურ დანაშაულთა საქმეებს განიხილავდნენ.<sup>88</sup> ასე გაგრძელდა 1968 წლამდე, სანამ უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა, რომ მეექვსე შესწორებით გარანტირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება, კონსტიტუციის მე-14 შესწორებით ყველა მოქალაქისთვის გარანტირებული „სამართლიანი პროცესის უფლების“ ელემენტს წარმოადგენს.<sup>89</sup> აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საფუძვლიანად გამოიკვლია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული განვითარება, მისი კონსტიტუციური საფუძვლები და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აშშ-ს კონსტიტუცია არ მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წვრილმან დანაშაულთა საქმეებზე. მას შემდეგ დადგინდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა მოიცავს ყველა დანაშაულს, გარდა წვრილმანი დანაშაულისა, რომელიც

---

<sup>86</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი ბეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 30.

<sup>87</sup> *Alschuler A. W., Deiss A. G., A Brief History of the Criminal Jury in the United States*, University of Chicago Law School Review, 1994, 61, p. 867-928.

<sup>88</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 65.

<sup>89</sup> *Duncan v. Louisiana*, 391 U.S. 145 (1968). იხ.: <https://supreme.justia.com/cases/federal/us/391/145/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ითვალისწინებს 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთას, ან ჯარიმას, რომლის ოდენობაც არ არის მნიშვნელოვანი.<sup>90</sup>

ნიშანდობლივია, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების პარალელურად, განსაკუთრებით განვითარდა მე-19-მე-20 საუკუნეებში. შესაბამისად, ისევე როგორც არჩევნებში მონაწილეობის უფლება, იგი ყოველთვის არ იყო ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოქმედებდა შეზღუდვები, რომლებიც უკრძალავდა ქალებს, შავკანიანებს ან კოლონიის ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ქონებრივი სტატუსის არმქონე პირებს, ყოფილიყვნენ ნაფიცი მსაჯულები. ეს შეზღუდვები თანდათანობით გაუქმდა.<sup>91</sup> ამასთან, ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის საყოველთაო უფლების აღიარების პარალელურად, დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ალბათობით შერჩევის პრინციპი. 1970 წლამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა კორპუსს ფედერალური სასამართლოები დისკრეციულად ირჩევდნენ. თუმცა 1970 წელს, კონგრესმა სავალდებულოდ დაადგინა მათი შერჩევა ალბათობის საფუძველზე. შესაბამისად, აშშ-ის თითქმის ყველა შტატში ნაფიც მსაჯულთა შერჩევა

---

<sup>90</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 32.

<sup>91</sup> მაგ.: 1880 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე *სტრაუდერი დასავლეთ ვირჯინიის წინააღმდეგ (Strauder v. West Virginia, 100 U.S. 303 (1880))*, სადაც მოსამართლე უილიამ სტრონგმა ((1808-1895 წლები) – პენსილვანიის შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე; აშშ უზენაესი სასამართლოს ასოცირებული მოსამართლე; პოლიტიკოსი), რომელიც გამოხატავდა უმრავლესობის აზრს, მიუთითა, რომ მხოლოდ რასობრივი მოსაზრების საფუძველზე შავკანიანთა გამორიცხვა ნაფიც მსაჯულთა კორპუსიდან არღვევდა ამერიკის კონსტიტუციის მე-14 შესწორებით დადგენილ თანაბარი დაცვის გარანტიას (ინგლისურად – equal protection clause), ვინაიდან მე-14 შესწორება შავკანიანებს, თეთრკანიანების მსგავსად, უქმნიდა სამოქალაქო უფლებებით სრული და თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას. იხ.: ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 32-34.

კონკრეტულ საქმეებზე ხდება კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, საარჩევნო ან სხვა საყოველთაო სიებიდან.<sup>92</sup>

დღეის მდგომარეობით, ამერიკულ სამართალში მოქმედებს „საზოგადოებრივი ფენების გადაკვეთის პრინციპი“,<sup>93</sup> რომლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა კორპუსი საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს.<sup>94</sup> შესაბამისად, ამერიკული მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიცი მსაჯულები სასიცოცხლო როლს ასრულებენ.<sup>95</sup> ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არის ის, რომ აშშ-ში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ყოველწლიურად 100 000-ზე მეტი საქმე განიხილება.<sup>96</sup>

#### 4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა

##### და განვითარება რუსეთში

მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტის გათვალისწინებით, საინტერესოა, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა-განვითარებისა და საქართველოში მისი შესაძლო გავრცელების საკითხების მიმოხილვა.

ზოგადად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის იდეა მეფის რუსეთმაც გაიზიარა. რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების თაობაზე მოსაზრება პირველად 1767 წელს, ეკატერინე მეორეს რუსმა იურისტ-მეცნიერმა ს.ე.

---

<sup>92</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 30.

<sup>93</sup> ინგლისურად – Cross-section of the Community.

<sup>94</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 31-32.

<sup>95</sup> *Administrative Office of the United States Courts, Handbook for Trial Jurors Serving in the United States District Courts*, Administrative Office of the United States Courts, p. 1. იხ.: <https://www.flmd.uscourts.gov/sites/flmd/files/documents/handbook-for-trial-jurors.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>96</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, განათლება, 1993, გვ. 316.

დესნიცკიმ წარუდგინა. სახელმწიფო მოღვაწემ მ.მ. სპერანსკიმ კი, ეს ინსტიტუტი ალექსანდრე პირველს 1809 წელს შესთავაზა. თუმცა, ის რეალურად ამოქმედდა 1864 წელს, როცა იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ საყოველთაოდ ცნობილი სასამართლო რეფორმა ჩატარდა. სტარტი ამ სასამართლომ რუსეთში პირველად 1864 წლის 20 ნოემბერს აიღო და მოქმედებდა 1917 წლამდე – „სასამართლოს შესახებ დეკრეტი N1“-ის მიღების შემდეგ ის გაუქმდა.<sup>97</sup>

რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი ელემენტისაგან: I. პროფესიონალი ელემენტი – მოსამართლეთა სამკაციანი კოლეგია და II. ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი კოლეგია, რომელიც შედგებოდა გარკვეული კრიტერიუმებითა და დადგენილი პროცედურებით შერჩეული არაპროფესიონალი პირებისაგან. სხდომას თავმჯდომარეობდა პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც არ მონაწილეობდა ფაქტის, ანუ დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. სამაგიეროდ, იგი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე წყვეტდა ყველა სამართლებრივ საკითხს – როგორც საქმის არსებით განხილვის სტადიაზე, ისე ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე სასჯელის დანიშვნისას. ნაფიც მსაჯულებს მოსამართლე უწევდა პერმანენტულ სამართლებრივ კონსულტაციას, ხოლო სათათბიროდ გასვლის წინ, მათ მიმართავდა სადამრიგებლო სიტყვით. მსაჯულები თავიანთი რიგებიდან ირჩევდნენ ხელმძღვანელს. ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ საკასაციო წესით უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში – სენატში.<sup>98</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები თავიდან მეტ-ნაკლები წარმატებით შეუდგნენ საქმიანობას რუსეთში და საკმაო ავტორიტეტიც მოიხვეჭეს როგორც უბრალო ხალხში, ისე პროგრესულ ინტელიგენციაში. ამის მიზეზი იყო

---

<sup>97</sup> შარმანაშვილი ნ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარების ისტორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის ჟურნალი (ემდგნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს), 2018, 1, 124-142.

<sup>98</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 73.

გამამართლებელ განაჩენთა გამოტანის, განსასჯელთა მიმართ მანამდე არნახული გულმოწყალებისა და ჰუმანურობის გამომჟღავნების არაიშვიათი ფაქტები.<sup>99</sup>

ამგვარ შედეგს რუსეთის მეფის ხელისუფლების მძაფრი რეაქცია მოჰყვა, მით უმეტეს, რომ რევოლუციური გამოსვლები თანდათან გახშირდა. შესაბამისად, ხელისუფლება გადაჭრით დაადგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ყოველმხრივი შევიწროების გზას: მსაჯულები ვერ იღებდნენ ანაზღაურებას; ბევრი სახელმწიფო მოხელე აქტიურად მოითხოვდა მსაჯულთა სასამართლოების გაუქმებას. მიუხედავად ზემოთქმულისა, ამ ინსტიტუტმა ბოლომდე გაუძლო ზეწოლას და იგი ფაქტობრივად მხოლოდ 1917 წელს, ქვეყანაში არსებულ სისტემასთან ერთად, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად გაუქმდა.<sup>100</sup>

თითქმის 76-წლიანი ინტერვალის შემდეგ, 1993 წელს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში დაბრუნდა და ექსპერიმენტის სახით დაინერგა ფედერაციის 5 სუბიექტში, 1994 წლიდან კი – კიდევ 4 სუბიექტში. ნაფიც მსაჯულთა სისტემის ხელახალი დანერგვა რუსეთში ჯერ კიდევ ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში მომწიფდა. სსრ კავშირის დაშლისა და რუსეთის ფედერაციის ცალკე სახელმწიფოდ

---

<sup>99</sup> ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო ვერა ზასულიჩის საქმე ((1849-1919 წლები) – რუსი რევოლუციონერი, ნაროდნიკული და სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი; მონაწილეობდა ტერორისტული აქტების მოწყობაში), რომელიც 1878 წლის იანვარში პეტერბურგის ქალაქის თავს, გენერალ ფ. ტრეპოვს თავს დაესხა და პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით შეეცადა მის მოკვლას. თავდასხმის შედეგად გენერალი ტრეპოვი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. 1878 წლის 31 მარტს მსაჯულთა სასამართლომ ზასულიჩი სრულად გამამართლა. მიუხედავად უდიდესი პოლიტიკური ზეწოლისა, რომელიც ამ საქმის გამო განხორციელდა სასამართლოზე, მსაჯულთა გამამართლებელ ვერდიქტზე საკმაო ზეგავლენა მოახდინა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის – ანატოლი კონისა ((1844-1927 წლები) – გამოჩენილი რუსი იურისტი, ეწეოდა სამეცნიერო და საადვოკატო საქმიანობას, იყო უდიდესი ორატორი) და ბრალდებულის დამცველის პოზიციამ. ამას მოჰყვა უდიდესი რეზონანსი რუსეთსა თუ საზღვარგარეთ. ლიბერალურმა საზოგადოებამ ეს ფაქტი უაღრესად დადებითად შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ ზასულიჩის გამამართლებამ ანალოგიურ დანაშაულებრივ ქმედებებს გაუწია პროვოცირება. იხ.: *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 74-75.

<sup>100</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 75-76.

ფორმირების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ამ ინსტიტუტის დაუყოვნებლივი შემოღება რუსეთის მთელ ტერიტორიაზე საპროცესო და სხვა კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით. ამის განხორციელება მოხერხდა მხოლოდ 2001 წლის 18 დეკემბერს მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ჩეჩნეთის რესპუბლიკისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა 2004 წლის 1 იანვრიდან.<sup>101</sup>

2010 წლის 1 იანვარს ნაფიც მსაჯულთა სისტემა დაინერგა ჩეჩნეთში, რუსეთის ერთადერთ ფედერალურ რეგიონში, სადაც ეს ინსტიტუტი არ არსებობდა. ამით დასრულდა ნაფიც მსაჯულთა სისტემის რეფორმა, რომელიც 1993-1994 წლებში დაიწყო, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საცდელი სახით ცხრა ფედერალურ რეგიონში ჩატარდა – სანამ იგი სხვა რეგიონებსაც მოიცავდა.<sup>102</sup>

აღსანიშნავია ის, რომ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რუსეთში, 1994-2012 წლებში, ნაფიცმა მსაჯულებმა 15-22% საქმეებში გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 1% იყო<sup>103</sup>. როგორც უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტის<sup>104</sup> კრიმინოლოგიის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნიკოლაი კოვალიოვი მიიჩნევს, ასეთი დიდი სხვაობის მიზეზი ვერც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა იქნება და ვერც სასამართლო სისტემის განსაკუთრებული მიდგომა. მიზეზი ნაფიც მსაჯულთა და პროფესიონალ მოსამართლეთა მიერ მართლმსაჯულების სხვადასხვაგვარი აღქმაა. პროფესიონალი მოსამართლეები საკუთარ მიზნებს უფრო მეტად აიგივებენ

<sup>101</sup> იხ.: იქვე. გვ. 76.

<sup>102</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 26. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>103</sup> <http://www.cdep.ru/index.php?id=79>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>104</sup> ბრენტფორდი, კანადა.



სამართალდამცავ ორგანოთა მიზნებთან. სასამართლო მართლმსაჯულების მიზნად საზოგადოების დანაშაულისაგან გათავისუფლებას მიიჩნევს, ხოლო ნაფიც მსაჯულებს მართლმსაჯულება მისი პირდაპირი მნიშვნელობით ესმით, ანუ დავის კანონიერი და სამართლიანი მოგვარება.<sup>105</sup>

## **5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში**

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებამდე, ხალხის წარმომადგენლები მართლმსაჯულების განხორციელებაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ. ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდის (1918-1921 წლები) მიუხედავად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოღებული იქნა, თუმცა ეს ინსტიტუტი მალევე, საბჭოთა ოკუპაციის შედეგად (1921 წელს) გაუქმდა. ამასთან, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ახალი სსსკ-ის მიხედვით, საქართველოში სისხლის სამართლის საქმეები შესაძლებელია განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. ამ პარაგრაფში მიმოხილულია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა წარმოშობის და განვითარების შესაბამისი ეტაპები.

### **5.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (ადრინდელი პერიოდი)**

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას, მეცნიერთა ერთი ნაწილი გარკვეულ პარალელებს ავლებს სამედიატორო და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს შორის. მათი მოსაზრებით, ამ ინსტიტუტების

---

<sup>105</sup> იხ.: *კოვალიოვი ნ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ანალიზი, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 49.

დამაკავშირებელი ორი მთავარი დეტალი – ფიცის დადებასა და არაპროფესიონალ მსაჯულთა ორმხრივად არჩევის წესშია.<sup>106</sup>

სამედიატორო სასამართლოს ხევისურეთში ერქვა: „რჯული“. ხევისურეთში „რჯული“ ერქვა იქაურ სამართალსაც. არჩეულ მედიატორებს კი, „რჯულის კაცებს“ უწოდებდნენ, ხშირად კი – „ბჭეებს“. სადავო საქმის არსებით განხილვას ხევისურები „გარჯულვას“ უწოდებდნენ, გამოტანილ განაჩენს კი – „ნარჯულევს“; მხარეები კი, პროცესში „მერჯულეებად“ იწოდებოდნენ.<sup>107</sup>

სამედიატორო სასამართლოების პარალელურად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში, მართლმსაჯულების ფუნქციას ითავსებდა სახალხო თვითმმართველობის ორგანოებიც.<sup>108</sup>

მე-11 საუკუნემდე ქართულ სამართალში „მოსამართლის“ ცნებას აღნიშნავდნენ ტერმინით – „მსაჯული“, „ბჭე“. ტერმინი „მოსამართლე“, ქართველ მეცნიერთა მოსაზრებით, აღნიშნავდა როგორც სასამართლო ფუნქციების მქონე სახელისუფლო მოხელეს, რომელსაც სპეციალურად დავალებული ჰქონდა სადავო საქმეების განხილვა, ისე – სხვა პირსაც, რომელიც, როგორც მოდავე მხარის მიერ არჩეული პირი, მხოლოდ ამ კონკრეტული საქმის განხილვის დროს ასრულებდა მოსამართლის ფუნქციას სხვა პირებთან ერთად.<sup>109</sup>

ხევისურეთის ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი იყო სამართალწარმოების ისეთი სახე, როგორიც იყო „რჯული“, ანუ 4-დან 12-მდე

---

<sup>106</sup> იხ.: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი - სამედიატორო სასამართლო, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>107</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი - სამედიატორო სასამართლო ხევისურეთში, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>108</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი - სამედიატორო სასამართლო, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>109</sup> იხ. ციტირება: *ბუჯაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 16.

კაცისაგან – რჩეული პირებისაგან<sup>110</sup> – შემდგარი სასამართლო. საგულისხმოა, რომ ამ სასამართლოს წევრებს მსაჯულებს უწოდებდნენ. ისინი ძველი ადათ-ჩვევების მიხედვით იხილავდნენ მოსისხლეთა შერიგების, ქურდობის, განქორწინებისა და სხვა მსგავს საქმეებს.<sup>111</sup> „რჯულს“ ანუ სამედიატორო სასამართლოს ყველაზე ხშირად ხევსურეთში ჭრა-ჭრილობების საქმეზე, ასევე მკვლელობასა და ქურდობაზე მიმართავდნენ.<sup>112</sup>

„ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ წიგნის ავტორი გიორგი თედორაძე მიიჩნევს, რომ მთელი რჯული უძველეს დროს დაუწესებიათ; პირველად – ლიქოკის ხეობაში, სადაც ყველა კუთხის ხევსურებს მოუყრიათ თავი და დაუკანონებიათ ყოველივე ზემოაღნიშნული.<sup>113</sup> თუმცა „ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ წიგნის ავტორი და „არხოტის ახალი რჯულის“ ჩამწერი ალექსი ოჩიაური, „რჯულის კაცების“ ინსტიტუტის შემოღებას ერეკლე II-ს და ხევსურ მამუკა ბაკალიშვილს უკავშირებს.<sup>114</sup>

ხევსურეთში „რჯულის კაცების“ თანამდებობა არ არსებობდა, ამიტომ მხარეები თვითონ წყვეტდნენ, ვინ მოეწვიათ მსაჯულებად. ძირითადად, არჩევანი კეთდებოდა პატივსაცემ, ავტორიტეტულ, ღვთის მოშიშ პიროვნებაზე, რომელიც კარგად ერკვეოდა ხევსურულ „რჯულში“ (სამართალში).<sup>115</sup> როგორც წესი, მკვლელი

---

<sup>110</sup> ძირითადად უხუცესი, მაგრამ პირადი ღირსების გამო შესაძლებელი იყო ახალგაზრდებიც შეეყვანათ.

<sup>111</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 16.

<sup>112</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლო ხევსურეთში, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>113</sup> იხ. ციტირება: *ჯალაბაძე დ.*, ქართული ჩვეულებითი სამართალი 2, მეცნიერება, 1990, გვ. 67.

<sup>114</sup> შუად. იქვე, გვ. 82.

<sup>115</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლო ხევსურეთში, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

და მოკლულის პატრონი ირჩევდნენ მხოლოდ ავტორიტეტულ პირს.<sup>116</sup> იგივე მოსაზრებას იზიარებს ალექსი ოჩიაური, რომელიც როდესაც ჭრა-ჭრილობის წესებზე საუბრობს, განმარტავს, რომ „რჯულის კაცებს“ თვით მხარეები (დაჭრილის და დამჭრელის) ირჩევდნენ. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე მოწინააღმდეგის მიერ არჩეულ „კაცებს“ არ მოიწონებდა, ეს ფუნქცია „კაც-შუაკაცს“ ეკისრებოდა.<sup>117</sup>

„რჯულის კაცების“, ანუ „ბჭეების“ რაოდენობა საქმის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. მსუბუქი საქმე შეიძლება ორ „რჯულის კაცს“ მოეგვარებინა, მაგრამ მკვლელობაზე 12 მოსამართლეს ირჩევდნენ.<sup>118</sup> მსაჯულთა შემადგენლობა შეიძლება 5-6 პირისაგანაც ყოფილიყო შემდგარი.<sup>119</sup>

სასამართლო პროცესის დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენდა გადაწყვეტილების (ნარჯულევის) გამოცხადება.<sup>120</sup> „ნარჯულევი“ ანუ განაჩენი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით წყდებოდა და არა ხმათა უმრავლესობით.<sup>121</sup> თუ „რჯულის კაცები“ ერთსულოვან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ, მაშინ „რჯული“ იშლებოდა და მხარეებს ურჩევდნენ, ახალი „რჯულის კაცები“ აერჩიათ. თუ რატომ ვერ შედგა შეთანხმება და რომელი „ბჭე“ რა პოზიციაზე იდგა, ეს საიდუმლოდ რჩებოდა. გადმოცემით, „რჯული“ ერთი და იგივე საქმეზე შეიძლება ჩატარებულიყო

---

<sup>116</sup> ასეთ დასკვნას აკეთებს „ხევსურულ რჯულში“ თედორაძე გ.. იხ. ციტირება: *ჯალაბაძე დ.*, ქართული ჩვეულებითი სამართალი 2, მეცნიერება, 1990, გვ. 66.

<sup>117</sup> იხ. ციტირება: იქვე, გვ. 82.

<sup>118</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლო ხევსურეთში, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>119</sup> ასეთ დასკვნას აკეთებს „ხევსურულ რჯულში“ თედორაძე გ.. იხ. ციტირება: *ჯალაბაძე დ.*, ქართული ჩვეულებითი სამართალი 2, მეცნიერება, 1990, გვ. 66.

<sup>120</sup> *ჯალაბაძე დ.*, ქართული ჩვეულებითი სამართალი 2, მეცნიერება, 1990, გვ. 84.

<sup>121</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლო ხევსურეთში, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

მხოლოდ ცხრაჯერ.<sup>122</sup> აღსანიშნავია ის, რომ „რჯულის კაცები“ გადაწყვეტილების გამოტანისას ძირითადად პრეცედენტს ემყარებოდნენ.<sup>123</sup>

სვანური სამედიატორო სასამართლო ანუ „მორვალის“ სასამართლო ქართული სამართლებრივი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. სვანურ სამართალში შეინიშნებოდა სასამართლო პროცესის უძველესი ფორმა – საბრალდებო პროცესი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით; კერძოდ: მხარეები თვითონ ქმნიდნენ სასამართლოს შემადგენლობას, წარადგენდნენ მტკიცებულებებს, რომლებსაც მედიატორები აფასებდნენ და ამის საფუძველზე გამოჰქონდათ განაჩენი. მტკიცებულებათა შეკრებაში მოსამართლეები პასიურები იყვნენ. თავად სასამართლო პროცესი შეჯიბრებითი იყო, ხოლო მხარეები აბსოლუტურად თანასწორნი. მედიატორ მოსამართლეს სვანეთში „მორევი“ (მხ. რიცხვი) ერქვა („მორვალი“ – მრ. რიცხვი).<sup>124</sup>

არსებული წყაროებიდან ირკვევა, რომ ყველაზე ნაკლები რაოდენობა მედიატორებისა, რაც შეიძლებოდა მხარეებს დაესახელებინათ, იყო ორი (თითო-თითო – ორივე მხარეს), ხოლო მაქსიმალური – 24. „მორევთა“ რაოდენობა საქმის ხასიათის, სიმძიმის, სირთულის და მნიშვნელობის მიხედვით იცვლებოდა. 24 მედიატორი მხოლოდ მკვლელობის საქმეზე ირჩეოდა. მედიატორთა სასამართლოს კიდევ ერთი მონაწილე იყო – უფროსი მედიატორი, რომელსაც „მუწვრი“, ანუ „ნუგსაჩუ მეგნე“ ეწოდებოდა. „მუწვრის“ არჩევა ძირითადად რთულ და მძიმე საქმეებზე ხდებოდა.<sup>125</sup>

სამედიატორო სასამართლო ხევსურეთისა და სვანეთის მსგავსად მოქმედებდა საქართველოს მთის სხვა კუთხეებშიც, თითქმის ხევსურეთის ანალოგიური

---

<sup>122</sup> იქვე.

<sup>123</sup> ჯალაბაძე დ., ქართული ჩვეულებითი სამართალი 2, მეცნიერება, 1990, გვ. 84.

<sup>124</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლო სვანეთში, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>125</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლოს არსი სვანეთში, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

პრინციპით, მხოლოდ განსხვავებული სახელწოდებებით. ფშავში მედიატორ-მოსამართლეებს იხსენებენ როგორც „თავკაცებს“, „კაცთ საკითხავებს“, „ნაცად კაცებს“, „კითხულ კაცებს“, „რჯულის კაცებს“, „სოფლის თავკაცებს“, „მეზჭეებს“, „მერჯულეებს“, „ბჭეებს“, ასევე მედიატორებს. ხევში მედიატორ მოსამართლეებს „თემის კაცები“, „კითხული კაცები“ ან „თემის ხალხი“ ეწოდებოდა. მეცნიერთა მტკიცებით, სამედიატორო სასამართლო მოქმედებდა თუშეთშიც, თუმცა, ჩვენამდე მოსული ინფორმაციით, იქ შუამავლებს შერიგებაზე და აქედან გამომდინარე, სასამართლოზე დასათანხმებლად, ხევისბერები ირჩევდნენ (პარალელულად, არსებობდა უხუცესთა სასამართლოც).<sup>126</sup>

## 5.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (მეფის რუსეთის პერიოდი – 1868-1917 წლები)

რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში ეს ტრადიცია შეიცვალა მომრიგებელი მოსამართლის რუსული მოდელის დანერგვით. მეფის რუსეთის მმართველებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს მოსახლეობა, თავისი სამართლებრივი განვითარების დონით, არ იყო მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის.<sup>127</sup>

აღნიშნულ ფაქტს საინტერესოდ ხსნის ისტორიკოსი და ფილოლოგი სარგის კაკაბაძე. მისი მოსაზრებით: „რუსეთისგან განსხვავებით საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში არ იქნა შემოღებული ნაფიც მსაჯულთა დაწესება. ხოლო არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ კერძოდ საქართველოს ზოგ კუთხეში, მაგ.: ოდიშში, ცხენის ქურდობა, ხოლო სხვაგან სისხლის აღება და ყაჩაღობაც ზოგ ჩამორჩენილ თავადაზნაურულ წრეებში ითვლებოდა სასახელო საქმედ. შიშობდნენ

---

<sup>126</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლოები – ფშავი, მთიულეთი, ხევი, თუშეთი, 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=794>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>127</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 16.

ამიტომ, რომ ასეთ პირობებში ადგილობრივი ელემენტებისაგან ნაფიც მსაჯულთა დაწესებას შეეძლო ხელი შეეშალა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლისათვის.<sup>128</sup>

განსხვავებული მოსაზრებები აქვთ სხვა მეცნიერებს, რომლებიც უფრო სხვა ფაქტორებს უსვამენ ხაზს. ასე მაგ.: საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აბელ კიკვიძე მიიჩნევს, რომ: „საქართველოში ხალხის მიერ მსაჯულების არჩევა, ანუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მეფის მთავრობამ ზედმეტად მიიჩნია. თითქოს ქართველი ხალხი ჯერ კიდევ არ იყო საამისოდ მომზადებული; საქართველოში სასამართლო რეფორმა იმაში გამოიხატა, რომ 1868 წლიდან აქ დაწესდა ე.წ. სამთავრობო სასამართლო, რომელიც რუსი მოხელეებისაგან შედგებოდა.“<sup>129</sup>

თითქმის ანალოგიურად ფიქრობს ამიერკავკასიის კომიტეტის საგანგებო კომისიის წევრი მ. გრუზენბერგი, რომლის მოსაზრებით: „1864 წლის 20 ნოემბრის სასამართლო წესები კავკასიაში შემოტანილი იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარეშე. დაუშვა რა ასეთი მკვეთრი გადახვევა სასამართლო მოწყობის ზოგადი წესებიდან და ჩამოართვა რა კავკასიას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საუკეთესო ფორმა, საკანონმდებლო ხელისუფლება ეყრდნობოდა იმას, რომ კავკასიაში არ არსებობდა ადგილობრივი დაწესებულებები, ხოლო მოსახლეობა სხვადასხვა ტომებისაგან შედგებოდა, რომელიც იყო უკულტურო და მისი გაგება სისხლის აღების, ყაჩაღობისა და ქალის მოტაცების დანაშაულების შესახებ არ შეესაბამებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ ძირითად წარმოდგენებს.“<sup>130</sup> თუმცა მ. გრუზენბერგის პოზიციით, აღნიშნული სხვა მიზეზით იყო განპირობებული; კერძოდ: „მიისწრაფოდა რა იმისკენ, რომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე საკუთარი კონტროლის ქვეშ შეენარჩუნებინათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, როგორც საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალება, მაშინდელი

---

<sup>128</sup> იხ. ციტირება: *კაკაბაძე ს.*, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 წწ., მე-2 გამოცემა, ნეკერი, 2003, გვ. 173-174.

<sup>129</sup> შეად. *კიკვიძე ა.*, საქართველოს ისტორია XIX-XX სს. (1861-1921 წწ.), წიგნი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959, გვ. 34-35.

<sup>130</sup> შეად. *Грузенбергъ М. О.*, Судъ Присяжныхъ въ Закавказьѣ, Типографія Канцелярїи Особаго Закавказскаго Комитета, 1917, стр. 1.

მმართველი წრეები იმავდროულად უფრო ხოდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც სახალხო სასამართლოსა და ხალხის უფლების გამოხატვის შესაძლებლობას და ამიტომაც არ დაუშვეს მისი შემოღება არა მარტო კავკასიაში, არამედ სხვა საზღვრისპირა ტერიტორიებზეც (მაგ.: პოლონეთში).<sup>131</sup>

ქართული საზოგადოება დიდი იმედით ელოდა საქართველოში<sup>132</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამკვიდრებას.<sup>133</sup> აღნიშნულს ადასტურებს ცნობილი ქართველი დრამატურგის, იურისტისა და პოლიტიკოსის, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორის სამსონ დადიანის მოსაზრება, რომლის თანახმად: „ამის<sup>134</sup> სასურველობას და საჭიროებას მტკიცება არ ესაჭიროება ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის, – იმისათვის, კი ვინც მთელი ნახევარი საუკუნე იმას ვევედრებოდით რუსეთის მთავრობას, რომ ჩვენთვისაც მიენიჭებინათ ეს ინსტიტუტი.“<sup>135</sup> თუმცა, „რუსეთის ხელისუფლებისა და ადგილობრივი მთავრობის მეცადინეობით, ახალი სამართალი ცოტა განსხვავებულად შემოიღეს ჩვენში,<sup>136</sup> რის გამოც, დამკვიდრებული ტრადიციებისა და ჩვეულებების გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამ რეგიონისთვის შეუფერებლად იქნა მიჩნეული.<sup>137</sup>

---

<sup>131</sup> იხ.: იქვე.

<sup>132</sup> რომელიც იმჟამად რუსეთის გუბერნიას წარმოადგენდა.

<sup>133</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 20.

<sup>134</sup> საუბარია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე.

<sup>135</sup> იხ. ციტირება: კორძაძე ზ., ნემსწვერიძე თ., ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016, გვ. 275.

<sup>136</sup> იხ. ციტირება: მეტრეველი ვ., აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980, გვ. 117.

<sup>137</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 21.



### 5.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (პირველი რესპუბლიკა – 1918-1921 წლები)

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მცდელობა საქართველოში, ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის დროს იყო, რაც მაშინ კონსტიტუციითაც კი დაკანონდა, თუმცა ეს ინსტიტუტი სრულფასოვნად არ ამოქმედებულა, რადგანაც, მალევე, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია მოხდა.<sup>138</sup>

საქართველოს დროებითმა მთავრობამ მმართველობის დაწყებისთანავე გადაწყვიტა სასამართლო რეფორმის ჩატარება, რომელიც თავიდანვე მოიაზრებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას. პირველი საკანონმდებლო აქტი, სადაც ამ ინსტიტუტის შესახებ გაიჟღერა, იყო 1917 წლის 21 სექტემბერს მიღებული „სასამართლო დაწესებულების დებულება“. მოგვიანებით სათანადო ცვლილება შემუშავდა „სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში“.<sup>139</sup>

1919 წლის 17 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების“ შესახებ. ამ კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები 12 კაცის შემადგენლობით ტრადიციისამებრ, მოსამართლისაგან დამოუკიდებლად, წყვეტდნენ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა-არცნობის საკითხს.<sup>140</sup> აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, 1919 წლის 17 იანვარს მიღებული „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულება“ საკმაოდ პროგრესული იყო და ადგენდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დემოკრატიულ პრინციპებს.<sup>141</sup> „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს“

<sup>138</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – 1917-1921 წლები – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წლები), 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=796>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>139</sup> იქვე.

<sup>140</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 17.

<sup>141</sup> „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს“ დებულების თანახმად, ნაფიცი მსაჯული უნდა ამორჩეულ იქნეს ორივე სქესის იმ პირთაგან: ა) ვინც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (ქვეშევრდომია); ბ) იცის ქართული და წერა-კითხვა რომელიმე ენაზე; გ) ვინც წლოვანებით 25-ზე ნაკლები არ არის; დ) ვისაც ერთ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია იმ მაზრასა ან ქალაქში, სადაც ნაფიც-მსაჯულთა არჩევანი სწარმოებს. ნაფიც-მსაჯულად ყოფნა არ შეუძლიან: ა) ვინც დანაშაულობის გამო გამოძიებას ან

დებულება ასევე ითვალისწინებდა ნაფიცი მსაჯულებისათვის განკუთვნილი კითხვების შედგენის წესს.<sup>142</sup>

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის შესახებ“ საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23

---

სამართალში არის მიცემული, ვისაც კანონის წინააღმდეგ მოქმედებისათვის სასამართლოს დადგენილებით საპატიმრო, ანუ უფრო სასტიკის სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი და ვინც სამართალში იყო მიცემული ასეთი სასჯელის ღირსი დანაშაულისათვის და სასამართლოს დადგენილებით უდანაშაულოდ ცნობილი არ არის; ბ) ვინც სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვილია; გ) ვინც ვერ შემძლე მოვალედ არის გამოცხადებული; დ) ვინც ფლანგველობისა გამო მზრუნველობის ქვეშ იმყოფება; ე) ვინც ბრმა, ყრუ, მუნჯი და შეშლილია. გარდა აღნიშნული პირებისა, ნაფიც მსაჯულთა სიაში არ უნდა იქნეს შეტანილი: ა) მღვდელ-მსახური და ბერ-მონაზონი; ბ) სასამართლო დაწესებულებათა წევრი, ამ დაწესებულებათა კანცელარიის შტატის მოხელე და აგრეთვე სასამართლოს ბოქაული; გ) პროკურორი, მისი თანაშემწე და იმის კანცელარიის შტატის მოხელე; დ) სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, აგრეთვე ფოსტის და ტელეგრაფის განყოფილების უფროსი და რკინის გზის და ტელეგრაფის სადგურის უფროსი, თუ სათანადო თანაშემწე არ ჰყავთ; ე) ის პირი, რომელიც სამხედრო და საზღვაო უწყებაში ხელოსნის, ან ზღვის კანდელის ზედამხედველის თანამდებობაზე არის, ხოლო ომიანობის დროს ყოველი მოხელე, რომლის განთავისუფლება ნაფიც მსაჯულთაგან საჭიროდ იქნება ამ უწყებათა უფროსის მიერ; ვ) საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი; ზ) გუბერნიის (ოლქის), მაზრის, უბნის და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე; თ) საზოგადოდ მილიციის მოხელე. იხ.: *გურგენიძე ე.*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული – 1918-1921, ივერთა მხარე, 1990, გვ. 207-208. იხ. ასევე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – 1917-1921 წლები – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წლები), 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=796>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>142</sup> „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს“ დებულების მე-10 მუხლის თანახმად, კითხვები, რომელიც ნაფიც-მსაჯულების გადასაწყვეტია, უნდა შემუშავდეს თანახმად სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდებით დადგენილი საზოგადო წესისა, იმ განსხვავებით, რომ მათ შემუშავებს თვით თავმჯდომარე და იგივე გადასჭრის ამ კითხვების გამო მხარეთა და ნაფიც-მსაჯულების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და პასუხს. კითხვების საბოლოოდ დამტკიცება ეკუთვნის თავმჯდომარეს. იხ.: *გურგენიძე ე.*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული – 1918-1921, ივერთა მხარე, 1990, გვ. 214. იხ. ასევე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – 1917-1921 წლები – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წლები), 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=796>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

აპრილის დროებითი კანონით მოწესრიგდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ნაფიცი მსაჯულებისათვის განაცდურის ანაზღაურება და არაკანონიერი მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის მის მიმართ შესაბამისი ფინანსური და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრება.<sup>143</sup>

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ასევე გაჩნდა ჩანაწერი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ,<sup>144</sup> თუმცა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ნაფიცი მსაჯულები შეიცვალნენ სახალხო მსაჯულებით, რომლებიც ფორმალურად განასახიერებდნენ მსაჯულის ფუნქციას სასამართლოში.<sup>145</sup>

#### 5.4. ქართული ნაფიც მსაჯულთა მართლმსაჯულების

##### ისტორია გაზეთებში (1920-1921 წლები)

1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დაპყრობის შედეგად, სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ერთად, ქართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც ამოქმედებიდან მალევე გაუქმდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, 1920-1921 წლებში, საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა

---

<sup>143</sup> იხ.: გურგენიძე ე., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული – 1918-1921, ივერთა მხარე, 1990, გვ. 382-383. იხ. ასევე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – 1917-1921 წლები – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წლები), 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=796>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>144</sup> 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად: „მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.“ იხ.: გურგენიძე ე., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული – 1918-1921, ივერთა მხარე, 1990, გვ. 472. იხ. ასევე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – 1917-1921 წლები – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წლები), 2010, 1, <http://msajuli.ge/index.php?m=796>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>145</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 17.

სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და შესაბამისი ვერდიქტების გამოტანის შესახებ არსებული ინფორმაციის ნაწილი ხელმისაწვდომია. შესაბამისად, მისი გაცნობითა და მიმოხილვით, შესაძლებელია, გარკვეული სურათის შექმნა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი სხდომის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 10 მარტის ნომერში, რომლის თანახმად, „1920 წლის 8 მარტს შედგა პირველი სხდომა ნაფიც მსაჯულთა საოლქო სასამართლოსი. სასამართლოს განსახილველი ჰქონდა ორი საქმე ქურდობის შესახებ.“<sup>146</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ინსტიტუტი სხვადასხვა პირების მიერ ჩადენილ სხვადასხვა სახისა და კატეგორიის დანაშაულების საქმეებს იხილავდა. ასე მაგ.: იყო შემთხვევები, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განზრახ მკვლელობის საქმეებზე გამამართლებელი ვერდიქტები გამოჰქონდა. ამის დასტურია ე.წ. სტოლერმანის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ცოლის მკვლელობაში. სტოლერმანის მიერ ჩადენილი მკვლელობა განხილული იყო, როგორც განზრახ მოფიქრებული და ბრალდება ჰქონდა, რომლის ძალითაც ის უვადო კატორღით უნდა დასჯილიყო, მაგრამ სასამართლომ ის გაამართლა.<sup>147</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ასევე იხილავდა ყოფილი თანამდებობის პირებისა და სამხედრო პირების საქმეებსაც. ასე მაგ.: 1920 წლის 5 ივლისს თბილისის ოლქის სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით თბილისის ყოფილ გენერალ-გუბერნატორის შალვა მაღლაკელიძის, თბილისის საგუბერნიო

---

<sup>146</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, 1, მასში მითითებულია საგაზეთო სტატია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10.03.1920., <http://msajuli.ge/index.php?m=797>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>147</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, 1, მასში მითითებულია საგაზეთო სტატია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 06.03.1920., <http://msajuli.ge/index.php?m=797>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ბატალიონის ყოფილი კომენდანტის ჩაჩიბაიას და იმავე ბატალიონის მოსამსახურეების – შენგელიას, ხომტარიას, აზნაუროვის და იუშკევიჩის საქმის განხილვა დაიწყო. 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იყო ყველაზე დიდი საქმე, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა. მაღალაკელიძის და სხვათა საქმის განხილვა თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა და ამიტომ ეს პროცესი, იმ პერიოდის მართლმსაჯულების მუშაობაში, ყველაზე ხანგრძლივად ჩაითვალა. მაღალაკელიძეს და მასთან ერთად დაპატიმრებულ სახელმწიფო მოხელეებს ბრალდება რამდენიმე მუხლით ჰქონდათ წარდგენილი – ხაზინის ფულის გაფლანგვა, ყალბი დოკუმენტების გამოყენება და მოვალეობის გადამეტება. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა მაღალაკელიძე და აზნაუროვი გაამართლეს, ხოლო დანარჩენები დამნაშავედ ცნეს და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯეს: ჩაჩიბაიას – ორ წელიწადნახევრით, ხოლო იუშკევიჩს, ხომტარიას და შენგელიას – წელიწადნახევრით. სამოქალაქო საჩივარი სასამართლომ დააკმაყოფილა.<sup>148</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავდა ასევე ქრთამის ბრალდების საქმეებს. მაგალითად: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 10 მარტის ნომერში არსებული ინფორმაციის თანახმად: „იანვრის 29-ს ტფილისის ოლქის სასამართლოში დაიწყო საქმე გამომძიებელ ბადაშვილისა. 1920 წლის იანვრის 31-ს ბადაშვილი მექრთამეობისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული. საქმის განხილვა საბოლოოდ, გამომძიებლის სასარგებლოდ დასრულდა, ნაფიც მსაჯულთა საბჭომ საქმის მოსმენის შემდეგ გამომძიებელი გაამართლა და მისი პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.“<sup>149</sup>

---

<sup>148</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, 1, მასში მითითებულია საგაზეთო სტატია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25.11.1920., <http://msajuli.ge/index.php?m=797>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>149</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, 1, მასში მითითებულია საგაზეთო სტატია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.02.1920., <http://msajuli.ge/index.php?m=797>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმატებული საქმიანობის დასტურად შესაძლებელია, მივიჩნიოთ ის, რომ იმ პერიოდის საქართველოში გარკვეულწილად არსებობდა მოსაზრება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის გაფართოების შესახებ. ასე მაგ.: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ტუაფსეს განყოფილების ნამდვილი წევრის ევგენი გაბუნიას მოსაზრებით: „ოლქის სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც შემოდებულია, დღეს მხოლოდ სისხლის სამართლის განყოფილებებში მოქმედებს. უნდა იქნეს შემოდებული სამოქალაქო განყოფილებებშიაც, რომ ყველა ძიებით საქმეები ირჩეოდეს მათი მონაწილეობით.“<sup>150</sup>

## 5.5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარება

### საქართველოში (2004-2010 წლები)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 6 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიხედვით, საერთო სასამართლოებში საქმეები შესაძლებელია განიხილონ ნაფიცმა მსაჯულებმა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.<sup>151</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ახალი სსსკ-ის შესაბამისად, საქართველოში ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (თუმცა საწყის სტადიაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და ისიც განიხილავდა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე

---

<sup>150</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებგვერდი: msajuli.ge, ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, 1, მასში მითითებულია საგაზეთო სტატია, გაზ. „სახალხო საქმე“, 04.12.1920., <http://msajuli.ge/index.php?m=797>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>151</sup> საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, №3272, სსმ, 2, 06.02.2004.

მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) სისხლის სამართლის საქმეებს).<sup>152</sup>

აღსანიშნავია ის, რომ 2004 წლიდან 2010 წლამდე, საქართველოში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევები იმ მიზნით, რომ დადგენილიყო, თუ რამდენად ჰქონდა საზოგადოებას ინფორმაცია ზოგადად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რაობისა და მისი ამოქმედების თაობაზე და, შესაბამისად, რამდენად მზად იყო იგი ამისათვის.

2007 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის<sup>153</sup> შედეგების გაანალიზების თანახმად, შესაძლებელია, ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ზოგადი ინფორმირებულობის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო: რესპონდენტთა უმრავლესობას გაგონილი ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ,<sup>154</sup> ხოლო დამოკიდებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ დადებითი იყო.<sup>155</sup>

თუმცა, იმავდროულად, იკვეთებოდა სკეპტიკური დამოკიდებულება რეფორმისადმი საზოგადოების მზაობის შესახებ და ჰიპოთეზა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას საზოგადოების არასამართლებრივი მენტალიტეტი შეუშლიდა ხელს.<sup>156</sup> ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ დამოკიდებულებას ძირითადად ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრინციპები განაპირობებდა და არა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ყველაზე მეტი წონა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესს, ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმის

---

<sup>152</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“, №3616, სსმ, 50, 24.09.2010.

<sup>153</sup> კომპანია „ნიკოლო მ“, სოციოლოგიური კვლევა „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ინფორმირებულობა და დამოკიდებულება (ძირითადი დასკვნები და შედეგები)“, კვლევა ჩატარებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის“ პროექტის დაკვეთით, თბ., 2007, 2, <http://msajuli.ge/uploads/2007.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>154</sup> იქვე.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> იქვე.

მექანიზმებსა და მსაჯულთა მიმართ წაყენებულ აკრძალვებს მიენიჭა, რაც იმის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფორმალურ ფაქტორებთან შედარებით, უპირატესობა პიროვნულ ფაქტორებს ენიჭებოდა.<sup>157</sup>

2009 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის<sup>158</sup> მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების 66.1% ფლობდა ინფორმაციას, რომ საქართველოში უნდა ამოქმედებულიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად მოიმატა 2007 წელთან შედარებით – მაშინ ამ ინფორმაციას ფლობდა გამოკითხულთა მხოლოდ 39.9%.<sup>159</sup> თუმცა გამოკითხული რესპონდენტების 62.2% არ დათანხმდებოდა ნაფიც მსაჯულად არჩევას,<sup>160</sup> ხოლო კითხვაზე: „რამ შეიძლება გახადოს მოქალაქის მიერ ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება პრესტიჟული?“, ყველაზე ხშირად რესპონდენტები პასუხობდნენ: „სასამართლომ მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილებები“ (19.4%) და „სამართლიანობამ“ (12.9%).<sup>161</sup>

ამასთან, რესპონდენტების ნაწილი ინფორმირებული იყო, თუ ვის გამოაქვს ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. ასე მაგალითად: გამოკითხულთა 37.4%-ს მიაჩნდა, რომ ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს ერთად<sup>162</sup> და მხოლოდ 26.7%-მა იცოდა, რომ ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები (და არა მოსამართლე და/ან ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლე

---

<sup>157</sup> იქვე, 3.

<sup>158</sup> სოციალური კვლევების ინსტიტუტი (*Institute of Social Researches*), საბაზისო ცოდნისა და აღქმის კვლევა საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ (საბოლოო ანგარიში), კვლევა ჩატარებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის“ პროექტის დაკვეთით, თბ., 2009, 2, <http://msajuli.ge/uploads/2009.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> იქვე.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> იქვე, 4.



ერთად) იღებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარამეტრმა მნიშვნელოვნად დაიკლო 2007 წელთან შედარებით – მაშინ სწორ ინფორმაციას ფლობდა გამოკითხულთა 42.7%.<sup>163</sup>

## 5.6. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარება

### საქართველოში (2011-2018 წლები)

2012 წლის 1 ოქტომბრიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში<sup>164</sup> და მცირედით გაიზარდა მის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით განხილული საქმეების რაოდენობაც. თუმცა 2017 წლის 1 იანვრიდან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები შეიქმნა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში<sup>165</sup> და, შესაბამისად, გაიზარდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით განხილული საქმეების რაოდენობაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებიდან (2010 წლის 1 ოქტომბრიდან) 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა მიერ სულ განხილულია 38 სისხლის სამართლის საქმე 49 პირის მიმართ. აქედან:

- 2011 წელს განხილულია 2 საქმე 4 პირის მიმართ;
- 2012 წელს – 1 საქმე 1 პირის მიმართ;
- 2013 წელს – 4 საქმე 7 პირის მიმართ;
- 2014 წელს – 4 საქმე 7 პირის მიმართ;

<sup>163</sup> შეად. იქვე, 2.

<sup>164</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009., მუხლი 330.

<sup>165</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, №5591-III, 24.06.2016.

- 2015 წელს – 9 საქმე 10 პირის მიმართ;
- 2016 წელს – 4 საქმე 4 პირის მიმართ;
- 2017 წელს – 9 საქმე 10 პირის მიმართ;
- 2018 წელს – 5 საქმე 6 პირის მიმართ.<sup>166</sup>

სასამართლოების მიხედვით, აღნიშნული მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულია 27 სისხლის სამართლის საქმე (სულ განხილული საქმეების 71,1%);
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ – 8 საქმე (სულ განხილული საქმეების 21,1%);
- რუსთავის საქალაქო, გორისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოების მიერ – თითო-თითო საქმე (სულ განხილული საქმეების 2,6%-2,6%-2,6%).
- ბათუმის საქალაქო და თელავის რაიონულ სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით არც ერთი საქმე არ განხილულა.<sup>167</sup>

რაც შეეხება დანაშაულის სახის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებიდან (2010 წლის 1 ოქტომბრიდან) 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულია:

- სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) 7 საქმე (7 პირის მიმართ), მათ შორის ერთი საქმე – სსკ-ის 11<sup>1</sup>-108 მუხლით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის განზრახ მკვლელობა);
- სსკ-ის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) – 14 საქმე (19 პირის მიმართ), მათ შორის ერთი საქმე - სსკ-ის 11<sup>1</sup>-109 მუხლით (ოჯახის

<sup>166</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი: [supremecourt.ge](http://supremecourt.ge), ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა, 2019, 1, <http://supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nafici-msajulebis-mier-ganxiluli-saqmeebis-statistika.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>167</sup> იქვე.

ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში);

– სსკ-ის 19-109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში) – 9 საქმე (9 პირის მიმართ);

– სსკ-ის 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) – 2 საქმე (3 პირის მიმართ);

– სსკ-ის 25-109 (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება ან გაფლავვა), 185-ე (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით), 186-ე (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით – თითო-თითო საქმე (სულ 6 საქმე 11 პირის მიმართ).<sup>168</sup>

საინტერესოა ისიც, რომ ყოველი 4 ბრალდებული პირიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საშუალოდ გამტყუნდა 3 პირი და გამართლდა 1 პირი; კერძოდ: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებიდან (2010 წლის 1 ოქტომბრიდან) 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული 38 საქმიდან (49 პირის მიმართ) გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებული იყო 36 პირის მიმართ (73,5%), ხოლო გამამართლებელი ვერდიქტი – 13 პირის მიმართ (26,5%).<sup>169</sup>

ანალოგიური მონაცემები თითქმის იდენტურია ცალკეულ სასამართლოებთან მიმართებაში. ასე მაგალითად, ვერდიქტის ფორმები სასამართლოების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

– თბილისის საქალაქო სასამართლოში გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია 27 პირის მიმართ, გამამართლებელი – 10 პირის მიმართ;

– ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია 5 პირის მიმართ, გამამართლებელი – 3 პირის მიმართ;

---

<sup>168</sup> იქვე, 2.

<sup>169</sup> იქვე, 3.

– რუსთავის საქალაქო სასამართლოში გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია 2 პირის მიმართ;

– გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია თითო-თითო პირის მიმართ.<sup>170</sup>

ნიშანდობლივია ისიც, რომ ყოველი 3 მსჯავრდებული პირიდან 2 პირი სრულად გამტყუნდა, ხოლო 1 პირი ნაწილობრივ გამართლდა; კერძოდ: ნაფიც მსაჯულთა მიერ 36 პირის მიმართ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტების საფუძველზე გამოტანილი განაჩენების მიხედვით, წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ სრულად იქნა ცნობილი 24 პირი, ხოლო 12 პირის მიმართ გამოტანილია ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტი.<sup>171</sup>

ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენების საფუძველზე მსჯავრდებული 36 პირის მიმართ შეფარდებული სასჯელები ნაწილდება შემდეგნაირად:

- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 32 პირს (88,9%);
- უვადო თავისუფლების აღკვეთა – 2 პირს (5,5%);
- ჯარიმა – 1 პირს (2,8%);
- გათავისუფლდა ამნისტიით – 1 პირი (2,8%).<sup>172</sup>

მსჯავრდებულთა მიმართ შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის ვადები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 5 წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5 პირს;
- 5 წლიდან 10 წლის ჩათვლით – 5 პირს;
- 10 წლიდან 15 წლის ჩათვლით – 8 პირს;
- 15 წლიდან 20 წლის ჩათვლით – 12 პირს;

---

<sup>170</sup> იქვე, 3.

<sup>171</sup> იქვე, 4.

<sup>172</sup> იქვე, 4.

- 20 წლიდან 25 წლის ჩათვლით – 2 პირს;
- უვადო თავისუფლების აღკვეთა – 2 პირს.<sup>173</sup>

საინტერესოა ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ვერდიქტი გამოიტანა 5 ქალის (10,2%) და 44 კაცის (89,8%) მიმართ,<sup>174</sup> ხოლო გასამართლებული პირებიდან:

- 14-17 წლის ასაკის არის 1 პირი (2,0%);
- 18-24 წლის – 11 პირი (22,4%);
- 25-29 წლის – 9 პირი (18,4%);
- 30-49 წლის – 23 პირი (45,9%);
- 50 წელს ზემოთ – 5 პირი (10,2%).<sup>175</sup>

ამასთან, გასამართლებული 49 პირიდან:

- უმუშევარია 31 პირი;
- საჯარო მოსამსახურე – 11 პირი;
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის თანამშრომელი – 2 პირი;
- მუშა – 1 პირი;
- სტუდენტი – 1 პირი;
- პატიმარი – 3 პირი.<sup>176</sup>

განსაკუთრებით საინტერესოა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების სტატისტიკური მაჩვენებელი, რაც, გარკვეულწილად, შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის სანდოობის კრიტერიუმის განმსაზღვრელ ფაქტორადაც იქნეს მიჩნეული; კერძოდ: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული 38 საქმიდან (49 პირის მიმართ)

---

<sup>173</sup> იქვე, 4.

<sup>174</sup> იქვე, 4.

<sup>175</sup> იქვე, 4.

<sup>176</sup> იქვე, 4.

სააპელაციო სასამართლოებში საკასაციო წესით გასაჩივრდა მხოლოდ 18 საქმე (37,5%) 21 პირის მიმართ (42,8%).<sup>177</sup>

სააპელაციოს სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან:

- დაუშვებლად იქნა ცნობილი 3 საქმე (16,6%) 7 პირის მიმართ (33,3%);
- დატოვებულია განუხილველად 2 საქმე (11,1%) 3 პირის მიმართ (14%);
- განაჩენი დატოვებულია უცვლელად 10 საქმეზე (55,5%) 10 პირის მიმართ (48%);
- განაჩენი გაუქმდა სასჯელის დანიშვნის ნაწილში და დაუბრუნდა სასამართლოს სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის 1 საქმეზე (5,5%) 1 პირის მიმართ (5%).<sup>178</sup>

სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების შედეგად, ნათელია, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მხოლოდ 1 საქმეზე გააუქმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი და ისიც მხოლოდ სასჯელის დანიშვნის ნაწილში.

## **6. დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ**

### **(თანამედროვე ტენდენციები)**

როგორც ცნობილია, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ, არაერთგვაროვანია. შესაბამისად, საინტერესოა, საკუთარი პოზიციის დასაბუთებისათვის, რა არგუმენტებს იშველიებენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, როგორც საქართველოში, ისე სხვაგან.

ამა თუ იმ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამკვიდრებას მუდმივად თან სდევდა აზრთა სხვადასხვაობა. მას ან თავგამოდებით ქომაგობდნენ,

---

<sup>177</sup> იქვე, 7.

<sup>178</sup> იქვე, 7.

ან სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ. პრაქტიკულად, დღემდე არც ერთი სამართლებრივი ინსტიტუტი არ იწვევს იმდენ დავას და კამათს, რამდენსაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.<sup>179</sup> შესაბამისად, მართლმსაჯულების ძველ თუ თანამედროვე მექანიზმთა (სასამართლო სტრუქტურათა თუ ფორმათა) შორის ფაქტობრივად შეუძლებელია, მოიძებნოს თავისი იმანენტური ბუნებით უფრო წინააღმდეგობრივი, იურისტებსა თუ საზოგადოებაში დიამეტრულად საწინააღმდეგო შეფასებების ადრესატი მეორე ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.<sup>180</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი მოქალაქეების მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, არამედ ეს არის საკმაოდ რთული სასამართლო, რომელიც მოითხოვს მრავალი საკითხის გადაწყვეტას.<sup>181</sup> შესაბამისად, საინტერესოა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს ბრალდებულის უფლებას, გასამართლებული იქნეს „თანატოლების“ მიერ, თუ საზოგადოების უფლებას, მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელებაში.<sup>182</sup> აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ბრალდებულის უფლება, გასამართლებულ იქნეს თანამოქალაქეების მიერ, მას იცავს კორუმპირებული ან ზედმეტად გამრჯე პროკურორისაგან და ვიღაცის მორჩილი, მიკერძოებული ან ექსცენტრიული მოსამართლისგან. თუ ბრალდებულს ურჩევნია, მისი ქმედება განსაჯონ უფრო საღი აზრის მქონე ნაფიცმა მსაჯულებმა, ვიდრე გამოწვრთნილმა, მაგრამ ნაკლებად სიმპათიურად განწყობილმა ერთმა მოსამართლემ, მის არჩევანს გასაქანი უნდა მიეცეს.<sup>183</sup>

---

<sup>179</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგინაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 24.

<sup>180</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 92.

<sup>181</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 4.

<sup>182</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 4.

<sup>183</sup> *Duncan v. Louisiana*, 391 U.S., 1968, p. 155-156.

ლორდი დევლინის მოსაზრებით, თითოეული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პატარა პარლამენტია; არც ერთ ტირანს არ შეუძლია თავისი ქვეშევრდომების თავისუფლება თორმეტი თანამოქალაქის განსჯას მიანდოს. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფრო მეტია, ვიდრე მართლმსაჯულების იარაღი და კონსტიტუციის ერთი რგოლი. ეს არის ლამპიონი, რომელიც ადასტურებს, რომ თავისუფლება ცოცხლობს.<sup>184</sup>

როგორც ჯეფრი აბრამსონი<sup>185</sup> მიიჩნევს: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის როგორც საუკეთესო, ასევე ყველაზე უარესი მონაპოვარია.“<sup>186</sup> აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ საინტერესოა, რადგან ამ შემთხვევაში ერთმანეთს ერთნაირი სიმძაფრით უპირისპირდება, ერთი მხრივ, ხალხის მეტი ჩართულობისა და, შედეგად, მეტი დამოუკიდებლობის კომპონენტის დანერგვა სასამართლო ხელისუფლებაში და, მეორე მხრივ, მართლმსაჯულების აღჭურვის აუცილებლობა მეტი კომპეტენტურობითა და კვალიფიციურობით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად: „ორივე არგუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.“<sup>187</sup>

ბუნებრივია, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამ ინსტიტუტის მოწინააღმდეგენი ხშირად შენიშნავენ, რომ მსაჯულების მონაწილეობით გამართული პროცესები არაეფექტური და

---

<sup>184</sup> იხ. ციტირება: *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 17.

<sup>185</sup> „We, The Jury” – წიგნის ავტორი.

<sup>186</sup> იხ. ციტირება: *Abramson J.*, We, The Jury: The Jury System and the Ideal of Democracy, Harvard University Press, Third printing, 2003, p. 1.

<sup>187</sup> *კუბლაშვილი კ., მუმლაძე გ., გაბუნია მ., მელიქიძე თ., სიმსივე თ.*, ცოცხალი კონსტიტუცია – კონსტიტუციურ ნორმათა განმარტებანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, გვ. 512, იხ. ციტირება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/4/557,571,576, II-93, <http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaeqebi-valerian-gelbaxiani-mamuka-nikolaishvili-da-aleqsandre-silagadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdag-872.page>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.



მვირადღირებულია. საქმის განხილვა ამ დროს გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე პროფესიონალი მოსამართლეების მიერ საქმის გადაწყვეტა.<sup>188</sup>

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ნაფიც მსაჯულებს მოსამართლეებთან შედარებით, მოსმენის დაბალი კულტურა აქვთ, ამიტომაც ხშირია შესვენებები პროცესის დროს.<sup>189</sup> ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებული კიდევ ერთი კრიტიკული შენიშვნის მიხედვით, მათ არ შესწევთ უნარი გამოიტანონ საქმეზე სათანადო გადაწყვეტილება.<sup>190</sup> არსებობს მოსაზრებაც, რომ ნაფიცი მსაჯულები შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ადვოკატის მჭერმეტყველმა სიტყვამ, რომელიც საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად ადამიანის ემოციურ მხარეზე ზემოქმედებს.<sup>191</sup>

თუმცა, იმავდროულად, არსებობს რადიკალურად განსხვავებული შეფასებებიც. ასე მაგალითად, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის რობერტ ჯ. გრეი უმცროსის მოსაზრებით: „ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი არის გარანტია იმისა, რომ ჩვენს დემოკრატიას არ განაგებდნენ მხოლოდ ძლიერები და მდიდარნი, არამედ მას აშენებდეს თითოეული მოქალაქე თანასწორი ხმის უფლებით.“<sup>192</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სიცოცხლისუნარიანობის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გაჯერებულია საზოგადოებრივი, სახალხო ელემენტებით,<sup>193</sup> ხოლო ნაფიცი მსაჯულების არსებობის ფაქტი, ხელს უწყობს დემოკრატიული

---

<sup>188</sup> იხ.: *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 153.

<sup>189</sup> იხ.: *Гернем У.*, Суд присяжных заседателей, Москва, 1987, стр. 16.

<sup>190</sup> იხ.: *Frank J.*, Courts on Trial, Princeton University Press, 1949, p. 30.

<sup>191</sup> იხ.: *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 153.

<sup>192</sup> იხ. ციტირება: *ვიდმარი ნ., ჰანსი ვ. პ.*, ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები – ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, გვ. 9.

<sup>193</sup> *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 25.

ღირებულებებისა და თვითმმართველობის პრინციპების რეალიზაციას, მმართველობის პროცესში ჩვეულებრივი მოქალაქეების ჩაბმის გზით.<sup>194</sup> ამ ინსტიტუტის მომხრეების მოსაზრების თანახმად, თუ რიგითი მოქალაქეები ფართოდ მიიღებენ მონაწილეობას სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაში, შედარებით ეფექტური და მაღალი იქნება სასამართლო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულების ხარისხი.<sup>195</sup> შესაბამისად, მათი პოზიციაა, რომ პასუხი კითხვაზე – „არის თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დემოკრატიის იდეალი?“ – თავისთავად ცხადია. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის ერთ-ერთი ინსტიტუტი სხვა მრავალთა შორის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიის ზრდას.“<sup>196</sup>

ნაფიც მსაჯულთა სისტემებში პროფესიონალი მოსამართლისაგან/მოსამართლეებისაგან ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებლობა<sup>197</sup> სისტემის ძალზედ პოზიტიური ასპექტია. იგი შერეულ ტრიბუნალზე მეტად იძლევა საშუალებას, არაპროფესიონალმა პირებმა თავიანთი ღირებულებები, საღი აზრი და გამოცდილება ჩადონ ამ საქმეში და ფართო საზოგადოება ჩაერთოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, რადგან პროფესიონალ მოსამართლეთა გავლენა ვერდიქტის გამოტანისას გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შერეულ ტრიბუნალთა სისტემაში.<sup>198</sup>

---

<sup>194</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 154.

<sup>195</sup> იხ.: იქვე.

<sup>196</sup> იხ.: *კუსიანი ე.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – დემოკრატიის იდეალი? *ჟურნ. „ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი“*, №2(18), 2011, 44-55. სტატია ასევე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.library.court.ge/upload/29962012-09-26.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>197</sup> ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ თათბირისას და გადაწყვეტილების მიღებისას.

<sup>198</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.კ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 28. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწინააღმდეგენი არგუმენტებად იშველიებენ: მსაჯულთა არაპროფესიონალიზმს, რომელიც, მათი აზრით, მხარეებს აიძულებს ხშირად სამსახიობო ხელოვნებას მიმართონ; ასევე იმას, რომ თავად სასამართლო ვერდიქტი საკმაოდ არაპროგნოზირებადია და ხშირად სახტად ტოვებს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს; ნაფიც მსაჯულთა პროცესი მთლიანობაში ნელია და მოუქნელი, და საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს; ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი დემოკრატიულ სახელმწიფოში დროდადრო ეჭვქვეშ აყენებს კანონის უზენაესობის იდეას.<sup>199</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეების უპირველესი არგუმენტები კი არის ის, რომ: სახელმწიფო ძალაუფლებისაგან ინდივიდის დაცვის ყველაზე მყარ გარანტიას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იძლევა; ნაფიც მსაჯულებს გარკვეული საზოგადოებრივი კორექტივები შეაქვთ ხანდახან მოუქნელი და მკაცრი კანონების აღსრულებაში; სასამართლო იძლევა პროცესის მაქსიმალურ შეჯიბრებითობას და მხარეთა თანასწორობას; მსაჯულების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სამართლებრივი აზროვნების დონის ამაღლებისათვის და ა.შ.<sup>200</sup>

თუმცა, ბუნებრივია, ასევე არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკი. ასე მაგ.: მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მსაჯულთა სასამართლო<sup>201</sup> იმ ეპოქაში დემოკრატიულ ინსტიტუტს წარმოადგენდა, იგი მაინც არ იყო დაზღვეული ცალკეული შეცდომისაგან. ცნობილია, რომ სწორედ მსაჯულთა სასამართლომ ცნო დამნაშავედ კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე სოკრატე და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.<sup>202</sup>

---

<sup>199</sup> იხ.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 18.

<sup>200</sup> შეად.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 20-21.

<sup>201</sup> საუბარია ათენის მსაჯულთა სასამართლოზე.

<sup>202</sup> ბრალმდებელმა მელეტუსმა არქონტის წინაშე სახალხოდ დასდო ბრალი სოკრატეს ათენის ახალგაზრდა თაობის კორუფციაში ჩართვასა და ღვთაებათა უპატივცემულოდ მოხსენიებაში. მსაჯულებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს სოკრატეს სიკვდილით დასჯას. სოკრატეს თანამოაზრეებმა გაქცევა შესთავაზეს. ათენის მოქალაქეები მოელოდნენ, რომ იგი დათანხმდებოდა ამ

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, დაშინება ნაფიც მსაჯულთა ყველა სისტემის პრობლემაა. ეს განსაკუთრებულ პრობლემად იქცევა ისეთ საქმეებში, როცა პირს ბრალი ედება ტერორისტული საქმიანობის ან ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, ზოგიერთ სისტემაში, სასამართლო სხდომა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე ტარდება, როცა დაშინების რისკი განსაკუთრებით დიდია.<sup>203</sup> თუმცა, მათივე მოსაზრების მიხედვით, დაშინების პრობლემის გადასაწყვეტად სხვადასხვა ღონისძიების გატარებაა შესაძლებელი. მაგ.: ერთი საშუალებაა, ნაფიც მსაჯულთა მუდმივი იზოლირება სხვა პირთაგან, თუმცა ეს დამოკიდებულია სასამართლო შენობის სტრუქტურაზე; ბევრ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა დაშინება კანონით დასჯადი სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულია. გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა მოწყვლადობა დაშინების მიმართ შესაძლოა, გადამეტებული იყოს. მაგ.: ირლანდიის საქმეებში, რომლებშიც ცნობილი ბანდის წევრების დანაშაულს იხილავდნენ, ნაფიცმა მსაჯულებმა განსაკუთრებული სიმტკიცე გამოავლინეს, რათა მართლმსაჯულება სამართლიანად წარმართულიყო.<sup>204</sup>

თუმცა, მეორე მხრივ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ხელს უწყობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვას. როდესაც მოსამართლეს უხდება არაპოპულარული გადაწყვეტილებების გამოტანა, იგი ექცევა საზოგადოების ან თანამდებობის პირების მხრიდან კრიტიკის ქარცეცხლში. ნაფიცი მსაჯულები კი, საქმის დამთავრების შემდეგ ინარჩუნებენ ანონიმურობას და ნაკლებად ემუქრებათ აღნიშნული საფრთხე. ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებულნი

---

წინადადებას, მაგრამ სოკრატემ პრინციპულად უარყო ეს შეთავაზება. მან მიიღო განაჩენი და შესვა მისთვის განკუთვნილი შხამით სავსე ფიალა. იხ.: *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 12-14.

<sup>203</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 31. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>204</sup> იხ.: იქვე.

სახელმწიფოსთან და არა აქვთ პოლიტიკური ამბიციები, რაც ხაზს უსვამს მათ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხასიათს.<sup>205</sup>

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის ჟურნალისტების მიერ გაშუქება, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამართულ საქმიანობას. მათი მოსაზრებით, მედიის საშუალებით, ჯერ ერთი, შესაძლებელია, მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საქმის ირგვლივ,<sup>206</sup> ხოლო, მეორეს მხრივ, შეიძლება მსაჯულებს მიეწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ ბრალდების ან დაცვის სასარგებლოდ განაწყობს, ან ინფორმაცია, რომელიც დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი საქმის განხილვისას. ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს: ბრალდებულის ნასამართლობები, წინასწარ გამოძიებაში ბრალის აღიარება, დაუშვებლად ცნობილი საგამოძიებო მოქმედებების შედეგები და ა.შ.<sup>207</sup> აღნიშნული პოზიციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქმე – *კანადა R. v. Bernard*: 1993 წელს, ბერნარდი დაკავებულ იქნა ადამიანთა მოტაცების, გაუპატიურებისა და მკვლელობის ბრალდებებით. ეს მოვლენა ფართოდ გაშუქდა კანადური და აშშ-ის საინფორმაციო საშუალებების მიერ.<sup>208</sup> საჯარო გაშუქების აკრძალვის მიუხედავად, ნიუ იორკის, ასევე სხვა ამერიკული მედიის მიერ გადმოცემულ იქნა აკრძალული ინფორმაცია. 1993 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მრავალს უკვე გაგონილი ჰქონდა საქმის დეტალები ნაცნობებისგან, აშშ-ის

<sup>205</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 154.

<sup>206</sup> რაც ზეგავლენის ქვეშ აქცევს ნაფიც მსაჯულებს, როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს.

<sup>207</sup> იხ.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 42.

<sup>208</sup> ჰომოლკა გახდა საკუთარი ქმრის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების მთავარი მოწმე და 1993 წლის მაისში, მასთან გაფორმდა მეტად საკამათო საპროცესო შეთანხმება. მისი სრული თანამშრომლობისა და ჩვენების სანაცვლოდ, ჰომოლკას ბრალი წარედგინა ორ გაუფრთხილებელ მკვლელობაში, რომელთათვისაც უნდა მოეხადა სასჯელი 12 წლით თავისუფლების აღკვეთით. იხ.: *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 101-107.

გაზეთებისა თუ ინტერნეტის საშუალებით. ბერნარდის პროცესი 1995 წლამდე ვერ დაიწყო;<sup>209</sup> მსაჯულთა შერჩევის მთლიანი პროცესი კი, 5 დღე გაგრძელდა, რაც კანადური სასამართლოებისთვის უჩვეულოდ ხანგრძლივი პროცედურაა.<sup>210</sup>

ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, ნაფიცმა მსაჯულმა საქმე უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ სხდომაზე მოსმენილი და დანახული ინფორმაციის საფუძველზე. მაგრამ დღეს ეს თითქმის შეუძლებელია. მედია არა მხოლოდ განაწყობს პოტენციურ მსაჯულს ბრალდებულის სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ, არამედ ამყდვენებს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება საქმეზე დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენდეს. შესაბამისად, წამოიჭრება კონფლიქტი ორ ფუნდამენტურ უფლებას შორის – უფლება ინფორმაციის თავისუფლებაზე და ბრალდებულის უფლება სამართლიან სასამართლოზე.

ამ კონფლიქტში აშშ არჩევანს აკეთებს სიტყვის თავისუფლებაზე და არ ზღუდავს პრესას, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა, ხოლო ინგლისი პრიორიტეტს ანიჭებს სამართლიან პროცესს და ზღუდავს პრესის თავისუფლებას რეპრესიული თუ პრევენციული მექანიზმებით.<sup>211</sup>

1954 წელს, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ*, მიუთითა გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მედიის ზეგავლენისაგან სასამართლო პროცესის დასაცავად. ასეთ მექანიზმებად სასამართლომ ჩათვალა:

- 1) საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას;

---

<sup>209</sup> პროცესი 1995 წლის მაისში დაიწყო. 980 პოტენციური ნაფიცი მსაჯული გამოძახებული იქნა როიალ იორკ ჰოტელში, რომელიც დიდ სასამართლო დარბაზად გადაკეთდა. მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ნაფიცი მსაჯული გამოირიცხა პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობის, მიკერძოებისა თუ დაუსაბუთებელი აცილების მეშვეობით, 225 პოტენციური მსაჯული იქნა გამოძახებული ბერნარდოს საქმეზე. იხ.: იქვე.

<sup>210</sup> პოლ ბერნარდო ცნობილ იქნა დამნაშავედ მკვლელობებისა და სხვა ქმედებების ჩადენაში და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. იხ.: იქვე.

<sup>211</sup> *იორკენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 5.

2) საქმის განხილვის შეჩერება;

3) ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის საქმის დეტალების გახმაურების აკრძალვა;<sup>212</sup>

4) პოტენციური მსაჯულის წინასწარი დაკითხვა მოსამართლის ან მხარის მიერ იმის გამოსავლენად, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად;<sup>213</sup>

5) მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისადმი;

6) ნაფიც მსაჯულთა ჩაკეტვა, რაც გულისხმობს პროცესის მსვლელობის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა იზოლაციას საზოგადოებისაგან.<sup>214</sup>

1976 წელს, საქმეზე *ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ*, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ „საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას“. სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე უკიდურეს საშუალებად – მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა, ტრადიციული მექანიზმები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მედიას შეეძლო თავისუფლად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.<sup>215</sup>

აშშ-ისაგან განსხვავებით, ინგლისში 1981 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობას ეხება, მედიას შესაძლოა, აეკრძალოს და მის წინააღმდეგ აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ იგი გამოაქვეყნებს საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენ მასალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის შემტანმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ

---

<sup>212</sup> ე.წ. No Comment-ის წესი.

<sup>213</sup> ე.წ. Voire Dire.

<sup>214</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 100-101.

<sup>215</sup> იქვე, გვ. 101-102.

მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის არსებითი საფრთხე.<sup>216</sup>

შოტლანდიაში ამ კანონის მოქმედება კიდევ უფრო მკაცრია, ვინაიდან სასამართლოები არსებით საფრთხეს მიიჩნევენ, როგორც მინიმალურზე მეტ საფრთხეს. ამის გამო, პრესა მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს ნაფიც მსაჯულთა პროცესის გაშუქებისას. პროცესის სამართლიანობიდან გამომდინარე, მედიაზე აკრძალვების დაწესების მექანიზმებს ასევე იყენებენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.<sup>217</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია საქმე *მიდლტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, სადაც მომჩივნის ერთ-ერთი მოთხოვნით, მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება; კერძოდ: მომჩივნის მტკიცებით, საგაზეთო სტატიებში მუდმივად შუქდებოდა მის საქმეზე სასამართლო პროცესის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებები, რამაც მისი შეფასებით, გავლენა იქონია ნაფიც მსაჯულებზე მის წინააღმდეგ წინასწარ უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებაში.<sup>218</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებით, მიუკერძოებლობის დასადგენად უნდა შემოწმდეს სუბიექტური ტესტი – მოცემულ საქმეში კონკრეტულმა მოსამართლემ მსჯავრდება ხომ არ დააფუძნა პირად

---

<sup>216</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>217</sup> იქვე.

<sup>218</sup> სასამართლო პროცესი შოტლანდიაში დაიწყო 1993 წლის 15 მარტს. ყოველი სასამართლო განხილვის შემდეგ, შოტლანდიური გამოცემა აქტიურად ბეჭდავდა ინფორმაციას საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ. მომჩივნის ინტერესების დამცველმა სასამართლოს წინაშე დააყენა საკითხი საგაზეთო სტატიების შესაძლო უარყოფით გავლენაზე ნაფიც მსაჯულებთან მიმართებით. სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს მისცა მითითება, რომლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულებს უნდა უგულებელყოთ ნებისმიერი სპეკულაცია, კომენტარი, ასევე, საგაზეთო სტატია და არ მოქცეულიყვნენ ნებისმიერი მსგავსი ფაქტორის ზეგავლენის ქვეშ. ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი განაჩენი ერთხმად მიიღეს, დროის მოკლე მონაკვეთში – ვერდიქტის მისაღებად ნაფიცი მსაჯულების თათბირი გაგრძელდა 52 წუთის განმავლობაში.



მოსაზრებებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადად, პიროვნული მიუკერძოებლობა ივარაუდება მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. დამატებით, უნდა შემოწმდეს ობიექტური ტესტი – შეფასდეს, არსებობს თუ არა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, საკმარისი გარანტიები ლეგიტიმური ეჭვების გასაფანტად. შესაბამისად, მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით მომჩივნის შიშს ხომ არ აქვს ობიექტური გამართლება.<sup>219</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ გაერთიანებულ სამეფოში სათათბირო ოთახში განხილვას მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები ესწრებიან, რომლებიც თავიანთ გადაწყვეტილებას არ ასაბუთებენ. შესაბამისად, ძნელია, განისაზღვროს ნაფიც მსაჯულთა დისკუსიის შინაარსი. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად შეუძლებელია წარმოადგინო მტკიცებულება ერთ ან რამდენიმე ნაფიც მსაჯულთან მიმართებით მიკერძოების ეჭვების დასამტკიცებლად. ამგვარ შემთხვევებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, არსებობს თუ არა ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად ობიექტური გარანტიები. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში მკაფიო მითითების მიცემა საკმარისი ფაქტორია, დადგინდეს ნაფიც მსაჯულთა ობიექტური მიუკერძოებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საქმეში არ არსებობდა რომელიმე ნაფიცი მსაჯულის მხრიდან სუბიექტური მიკერძოების რაიმე ნიშანი.<sup>220</sup> ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ მომჩივნის შიში ნაფიც

---

<sup>219</sup> ზემოაღნიშნული პრინციპები თანაბრად ვრცელდება თითოეულ ნაფიც მსაჯულზე, რადგან ისინი ფაქტების შემფასებელი არიან.

<sup>220</sup> საგაზეთო სტატიების მეშვეობით ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენასთან დაკავშირებით განმცხადებლის შიშის ობიექტურ გამართლებასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სხდომის თავმჯდომარისთვის ცნობილი გახდა საგაზეთო სტატიების შესახებ, მან მიმართა ნაფიც მსაჯულებს მკაფიო მითითებით, რა დროსაც მოსამართლემ ხაზი გაუსვა ნაფიც მსაჯულთა ვალდებულებას, გადაწყვეტილება მიეღოთ სასამართლოში მათ წინაშე წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე და უგულებელყოთ და არ მოქცეულიყვნენ სხვა ნებისმიერი ფაქტორის, სპეკულაციის, კომენტარის ან საგაზეთო სტატიების ზეგავლენის ქვეშ. ამასთან, საგაზეთო სტატიები საკმაოდ მცირე მნიშვნელობის იყო და შეფასების გარეშე აღწერდა სასამართლო განხილვების პერიოდში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

მსაჯულთა მიკერძობასთან დაკავშირებით არ იყო ობიექტურად გამართლებული და საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად სცნო.<sup>221</sup>

ზოგადი შეფასებების გარდა, ასევე საინტერესოა, თუ როგორია დამოკიდებულება კონკრეტულად ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ. მაგ.: ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ნაფიცი მსაჯულების როლი კლებულობს დიდ ბრიტანეთში.<sup>222</sup> როგორც ისინი მიიჩნევენ, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიცადა მნიშვნელოვანი დადმასვლა არა მხოლოდ კონტინენტურ ევროპაში, არამედ მის სამშობლოში – ინგლისსა და მეზობელ ირლანდიაში. თუმცა, ამ თვალსაზრისით, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აღდგენა რუსეთსა და ესპანეთში ამ ტენდენციის მოულოდნელი შემოტრიალებაა.<sup>223</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, ინგლისში ნაფიცი მსაჯულების შესახებ დისკუსიების ტენდენცია ნაფიცი მსაჯულის პერსპექტივის უგულებელყოფისკენ იყო მიმართული, თუმცა ამჟამად, როგორც ზოგადად საზოგადოების, ისე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებში ნაფიც მსაჯულად ყოფნის ინტერესი გაზრდილია.<sup>224</sup> ამასთან, ინგლისში კვლევათა საფუძველზე შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ ბრალდებულთა უმეტესი ნაწილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ირჩევს იმ რწმენით, რომ გამართლების შანსი აქ

---

<sup>221</sup> *მიდლტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Middleton v. United Kingdom (dec), N23934/94, ECHR 1996)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 63-66. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>222</sup> იხ.: *მელჰაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 150.

<sup>223</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 3-4.

<sup>224</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, *Law and Contemporary Problems*, Spring 1999, 62, 2, 7-40. იხ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

უფრო მეტია, ვინაიდან მაგისტრატა სასამართლო უფრო პოლიციის მიმართაა კეთილგანწყობილი.<sup>225</sup>

შოტლანდიური ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სერიოზული გამოწვევის გარეშე, არსებობს დიდი ხნის განმავლობაში,<sup>226</sup> მაგრამ ირლანდიაში ჩანს, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემა მომავალში საფრთხის ქვეშ დადგება, თუ არ იქნა გადადგმული ნაბიჯები იმ ნდობის შესაქმნელად, რომ სისტემას სამართლიანი და სანდო ვერდიქტების გამოტანა ძალუმს და ეს შესაბამისობაში არ იქნა მოყვანილი თანამედროვე ირლანდიის სისხლისსამართლებრივი იუსტიციის მოთხოვნებთან.<sup>227</sup>

კორნელის უნივერსიტეტის<sup>228</sup> პროფესორი ვალერი ჰანსი და დუკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის<sup>229</sup> პროფესორი ნეილ ვიდმარი მიიჩნევენ, რომ ყველა მტკიცებულების შეფასების შედეგად, ვერდიქტი არის მკვეთრად ამერიკული ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს სასარგებლოდ.<sup>230</sup> მათი მოსაზრების თანახმად, ხუთი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულ სისტემატურ კვლევებში, აღმოაჩინეს, რომ მოსამართლეები ეთანხმებიან ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უმეტეს საქმეებში.<sup>231</sup> საინტერესოა ისიც, რომ ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ

---

<sup>225</sup> იხ.: ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 27.

<sup>226</sup> Duff P., The Scottish Criminal Jury: a Very Peculiar Institution, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 173-201. იხ.: <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1129&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>227</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 310.

<sup>228</sup> ინგლისურად – Cornell University.

<sup>229</sup> ინგლისურად – Duke University School of Law.

<sup>230</sup> Hans V.P., Vidmar N., The Verdict on Juries, Judicature, March-April 2008, 91, 5, 226-230. იხ.: <https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1376&context=facpub>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>231</sup> იხ.: ვიდმარი ნ., ჰანსი ვ.პ., ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები – ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, გვ. 418.

ზოგადად ნაფიცი მსაჯულები სწორად აფასებენ მტკიცებულებებს და იყენებენ შესაბამის კანონს.<sup>232</sup>

ნაფიც მსაჯულთა პროცესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნორვეგიის სისხლის სამართლებრივი იუსტიციის სისტემის განვითარებაში, თუმცა მკაცრი კრიტიკის ქვეშ ექცევა. უფრო ხშირად, მოსამართლეები, პროკურორები და მსაჯულების დიდი ნაწილი ქმნის საზოგადოების იმ ფენას, რომელიც ნაფიც მსაჯულთა პროცესს აკრიტიკებს. ყველაზე უფრო მეტად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მხარს უჭერენ ადვოკატები. რაც შეეხება კანონმდებლებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ნაფიც მსაჯულთა პროცესი მათთვის უფრო დემოკრატიულ ინსტიტუტს წარმოადგენს, ვიდრე შერეული სასამართლო.<sup>233</sup>

ნორვეგიაში ნაფიც მსაჯულთა სისტემის მოწინააღმდეგეები მიუთითებენ შემდეგ ნაკლოვანებებზე: იმის გამო, რომ მსაჯულები არ ასაბუთებენ ვერდიქტს, მისი სისწორის გაკონტროლება შეუძლებელია; არსებობს არასწორი გადაწყვეტილებების გამოტანის უფრო მაღალი რისკი;<sup>234</sup> ნაფიც მსაჯულთა გამოყენება სააპელაციო საქმეებზე არამიზანშეწონილია, ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ცვლის მშრალი „დიახ“ ან „არა“ ტიპის ვერდიქტი; ნაფიც მსაჯულთა პროცესები ძვირია და ხანგრძლივი; რთულ საქმეებზე ნაფიც მსაჯულებს პროფესიონალების რჩევა სჭირდებათ.<sup>235</sup> თუმცა, მეორეს მხრივ, ნორვეგიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეები მიუთითებენ შემდეგ უპირატესობებზე: ის არის უფრო დემოკრატიული; მას შემოაქვს საღი აზრი სისხლის სამართლებრივი იუსტიციის სისტემაში; ნაფიცი მსაჯულები უფრო

---

<sup>232</sup> *Bornstein B. H., Greene E.*, Jury Decision Making: Implications for and from Psychology, *Current Directions in Psychological Science*, February 2011, 20 (1), 63-67. *იხ.*:

[https://www.researchgate.net/publication/258128199\\_Jury\\_Decision\\_Making\\_Implications\\_For\\_and\\_From\\_Psychology](https://www.researchgate.net/publication/258128199_Jury_Decision_Making_Implications_For_and_From_Psychology), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>233</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), *ლეთა*, 2007, გვ. 77-78.

<sup>234</sup> ეს ეხება როგორც გამამართლებელ, ისე გამამტყუნებელ ვერდიქტებს.

<sup>235</sup> *იხ.*: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), *ლეთა*, 2007, გვ. 78-79.

ნაკლებად ექცევიან ბრალდების მხარის ზეგავლენის ქვეშ,<sup>236</sup> შერეულ სასამართლოში, ნაფიცი მსაჯულები ექცევიან პროფესიონალი მოსამართლეების დომინირების ქვეშ.<sup>237</sup>

ბელგიაში, მკვლევარების უმრავლესობა მხარს უჭერს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმებას. მათი აზრით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არის მეტად უცნაური დაწესებულება, რომელიც ვერ ეწყობა ნაპოლეონის კოდექსის ინკვიზიციურ ხასიათს. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების ცნობილმა ავტორმა ჰუსტონ ჰელიმ განმარტა: „ეს არის გოთური ტიპის პორტალი თანამედროვე შენობაზე“.<sup>238</sup> ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საწინააღმდეგოდ გამოითქვა აზრი, რომ იგი სასამართლო პროცესს შოუდ აქცევს. კრიტიკოსთა ამ თვალსაზრისის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა შესაძლებლობა – გამოიტანოს ირაციონალური ვერდიქტი, არის მისი ნაკლი და არა უპირატესობა.<sup>239</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბელგიაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შენარჩუნების საკითხი საკმაოდ სადავო გახდა<sup>240</sup>, ამ ინსტიტუტის სასარგებლოდ აღნიშნავენ, რომ: ეს არის ერთადერთი ნამდვილი დემოკრატიული დაწესებულება, სადაც გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და, ასევე, ამ სასამართლოს აქვს დიდი აღმზრდელობითი ეფექტი. მეორე უპირატესობა არის ის, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს იგი არ არის შეზღუდული რაციონალური აზროვნებით.<sup>241</sup>

---

<sup>236</sup> კარგად მოქმედებს ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი.

<sup>237</sup> შეად.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 84.

<sup>238</sup> ფრანგულად – un portail gothique sur un batiment moderne.

<sup>239</sup> იხ. ციტირება: *Van Den Wingeart Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 28.

<sup>240</sup> აღნიშნული განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, ECHR 2010)*.

<sup>241</sup> შეად.: *Van Den Wingeart Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 28.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ საქართველოშიც ასეთივე არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ამ ინსტიტუტის მიმართ, იურისტების ნაწილში არსებული ნეგატიური პოზიციის საწინააღმდეგოდ, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამ შეიძლება ხელი შეუწყოს იმას, რომ საზოგადოებას (ნაფიც მსაჯულებს) აუმაღლდება სამართლებრივი შეგნება და უფრო მეტად გაეცნობა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს და ნორმებს.<sup>242</sup> მათი არგუმენტების შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში შეიძლება არ ჰგავდეს რომელიმე სხვა სისტემას და სავარაუდოდ, მას დამკვიდრებისათვის გარკვეული დრო დასჭირდება, მაგრამ ამ სისტემის დამკვიდრების გადადება,<sup>243</sup> გამოსავალი არ არის. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ყოველთვის ნაადრევად ჩაითვლება, ვიდრე მისი ამოქმედების პირველი მცდელობა არ განხორციელდება.<sup>244</sup> ამასთან, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იმ მოსაზრებაზე, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამ შეიძლება ასევე ხელი შეუწყოს იმას, რომ თანამოქალაქეებს თანდათანობით ჩამოუყალიბდეთ სახელმწიფოებრივად აზროვნება.<sup>245</sup>

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესები, მართალია, საკმარისი არ არის სრულყოფილი ანალიზისა და საბოლოო დასკვნის გაკეთებისთვის, მაგრამ როგორც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გურამ ნაჭყებია მიიჩნევს: „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა საქართველოს რეალობაში გაამართლა.“<sup>246</sup> მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული, „ნაფიც მსაჯულთა

---

<sup>242</sup> იხ.: ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბობაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 364.

<sup>243</sup> ანუ იმ დროისთვის, როდესაც ხალხი მზად იქნება ამ ინსტიტუტისთვის.

<sup>244</sup> იხ. ციტირება: სონგულია ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(32), 2012, 73-89.

<sup>245</sup> იხ. ციტირება: ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბობაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 364.

<sup>246</sup> პროექტი ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ დააფინანსა. მისი მიზანი იყო შეესწავლა და ანალიზი გაეკეთებინა საქართველოში 2010 წლის ოქტომბერში ამოქმედებული სიახლისთვის – ნაფიც

ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლისა და ანალიზისათვის“ პროექტის ფარგლებში, მკვლევარებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ საქმეზე ვერდიქტის გამოტანა არაპროფესიონალებს უწევთ, რაც მეცნიერთა მხრიდან ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი. მათი მოსაზრების თანახმად, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართულმა სასამართლო პროცესებმა აჩვენა, რომ საქმის განხილვა და გადაწყვეტა მოხდა ნაფიც მსაჯულთა შინაგანი რწმენის და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე.<sup>247</sup>

## 7. შეჯამება

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისი ფესვები სახელმწიფოების წარმოშობის ადრეულ ეტაპზე გააჩნია, მაგრამ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობის თავდაპირველად არსებული მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ დღეს არსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თანამედროვე მოდელებისგან. ამასთან, დღევანდელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოს მე-11 საუკუნის ინგლისს უკავშირებენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვის შემდეგ, ამ ინსტიტუტმა მოგვიანებით არსებობა შეწყვიტა.

---

მსაჯულთა ინსტიტუტისთვის. პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეცნიერებმა შეისწავლეს და ანალიზი გაუკეთეს საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ სამ სისხლის სამართლის საქმეს. იხ. *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., გოგნიაშვილი ნ., თუმანიშვილი გ.*, პროექტი – „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლისა და ანალიზისათვის“, თბ., 2013, 1, <http://online.tsu.edu.ge/ge/science/9972/?p=18>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>247</sup> აღნიშნული დასკვნის დასასაბუთებლად, ავტორები მიუთითებენ, რომ კვლევის დროს იყო შემთხვევა, როდესაც ვერდიქტის გამოტანისას ნაფიც მსაჯულთა შორის ხმები გაიყო. ასევე, ნაფიცმა მსაჯულებმა, პირველ სამ საათში, ერთხმად ვერ მიიღეს გადაწყვეტილება. იხ. *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა), ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, N1, 2020, 270-287.

ქართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი ყველაზე მეტად ამერიკულ მოდელთან არის დაკავშირებული. თუმცა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებამდე, ხალხის წარმომადგენლები მართლმსაჯულების განხორციელებაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ; აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ იმჟამად მოქმედ სამედიატორო სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შორის გარკვეული პარალელების გავლება შესაძლებელია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მცდელობა საქართველოში, ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წლები) დროს იყო, რაც მაშინ კონსტიტუციაც კი დაკანონდა; თუმცა ეს ინსტიტუტი სრულფასოვნად არ ამოქმედებულა, რადგანაც მალევე, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია მოხდა, რის შედეგად, ნაფიცი მსაჯულები შეიცვალნენ სახალხო მსაჯულებით, რომლებიც ფორმალურად განასახიერებდნენ მსაჯულის ფუნქციას სასამართლოში. მიუხედავად ამისა, 1920-1921 წლებში, საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და შესაბამისი ვერდიქტების გამოტანის შესახებ არსებული ინფორმაციის ნაწილი ხელმისაწვდომია. მისი გაცნობითა და მიმოხილვით, შესაძლებელია, ითქვას, რომ ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის საქმეებს აქტიურად იხილავდნენ.

პროფესიონალი მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კლასიკურ პროცედურებთან ერთად, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს აღდგენა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 6 თებერვლის საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიღებამ განაპირობა, რომლის საფუძველზე, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან საერთო სასამართლოებში საქმეები ასევე ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება.

მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობის გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსაკუთრებული მოვლენაა. ბუნებრივია, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, მის მიმართ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ საქართველოშიც ასეთივე არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ამ შემთხვევაში მთავარი გახლავთ ის, რომ ერთმანეთს ერთნაირი სიმძაფრით უპირისპირდება, ერთის მხრივ, ხალხის მეტი ჩართულობისა და, შედეგად, მეტი დამოუკიდებლობის კომპონენტის დანერგვა სასამართლო ხელისუფლებაში და, მეორეს მხრივ, მართლმსაჯულების აღჭურვის აუცილებლობა მეტი კომპეტენტურობითა და კვალიფიციურობით. ორივე არგუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესები, ჯერჯერობით, საკმარისი არ არის სრულყოფილი ანალიზისა და საბოლოო დასკვნის გაკეთებისთვის; თუმცა ფაქტია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ეტაპობრივად ფართოვდება და საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობით განხილული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა იზრდება. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობა ხელს შეუწყობს იმას, რომ საზოგადოებას (ნაფიც მსაჯულებს) აუმაღლდება სამართლებრივი შეგნება და უფრო მეტად გაეცნობა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს და ნორმებს და ამით მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება.

## თავი II. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთება

ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღებასთან დაკავშირებული, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საკითხია, რასთან მიმართებაშიც, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მოსაზრებები არაერთგვაროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამდენად, განსაკუთრებით საინტერესოა, ერთის მხრივ, თუ რა სტანდარტებია დადგენილი საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და, შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ვერდიქტის დასაბუთებასთან დაკავშირებით და, მეორეს მხრივ, რამდენად შეესაბამება ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულს.

### 1. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება და საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ დადგენილი სტანდარტი

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ როგორია საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ დადგენილი სტანდარტი ზოგადად სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებით.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებების თანახმად, ადამიანის უფლებათა არც ერთ საერთაშორისო ინსტრუმენტში არ არის მითითებული სასამართლოს ვალდებულების შესახებ, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილებები.<sup>248</sup> არც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ტექსტი შეიცავს დებულებას დასაბუთებული გადაწყვეტილების ძირითადი უფლების შესახებ. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ნელ-ნელა დაინერგა, რომ სასამართლო განხილვისას სამართლიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება.<sup>249</sup> ამასთან,

---

<sup>248</sup> იხ.: ტრექსელი შ., სამერსი ს. ჯ.-ს დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, გვ. 129.

<sup>249</sup> იხ.: ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, საქმეზე – ზაროული ბელგიის წინააღმდეგ, განმარტა რამდენიმე აუცილებელი გარანტია; კერძოდ:

1. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძველზე გასაჩივრების შესაძლებლობა არსებობს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების დასაბუთება;

2. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა დამოკიდებულია სპეციალურ გარემოებებზე, მათ შორის:

i. საქმის თავისებურებაზე;

ii. საქმის კომპლექსურობაზე.<sup>250</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა უშუალო კავშირშია სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურ განხორციელებასთან და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნებისმიერი სასამართლო ვალდებულია, ცხადყოს, თუ რა დაედო საფუძვლად მის გადაწყვეტილებას.<sup>251</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე არ მოითხოვს, მხარეების მიერ დაყენებულ ნებისმიერ არგუმენტს განაჩენში დეტალური პასუხი გაეცეს.<sup>252</sup> გადაწყვეტილება საერთო ჯამში უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული, რაც გარკვეულწილად

---

<sup>250</sup> ზაროული ბელგიის წინააღმდეგ (*Zarouali v. Belgium* (dec.), N20664/92, ECHR 1994). იხ.: ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>251</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>252</sup> *Vitkauskas D., Dikov G.*, Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2012, p. 71.

დამოკიდებულია თავად გადაწყვეტილების შინაარსსა და ყოველი საქმის კონკრეტულ გარემოებებზე.<sup>253</sup>

სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობის მხარდამჭერი ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა უდევს მას საფუძვლად. თუმცა ეს არგუმენტიც კარგავს დამაჯერებლობას, როდესაც ბოლო ინსტანციის სასამართლოსაც ევალება გადაწყვეტილების დასაბუთება. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მე-6 მუხლის<sup>254</sup> გამოყენება და მისი შედეგები არ შემოიფარგლება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ის ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, რომელთა უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სრულად მოტივირებული.<sup>255</sup>

ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა. ადამიანის უფლებათა სამართალი ამ მიმართებით ადგენს სტანდარტებს, რომელთა უზრუნველყოფა აუცილებელია ეროვნულ დონეზე.<sup>256</sup>

## **2. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთება და საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ დადგენილი სტანდარტი**

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განმარტების თანახმად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6

---

<sup>253</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>254</sup> იგულისხმება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.

<sup>255</sup> იხ.: ტრექსელი შ., სამერსი ს. ჯ.-ს დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, გვ. 129.

<sup>256</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

მუხლის ფარგლებში „ტრიბუნალი“ არ ნიშნავს აუცილებლად საქმის განხილვას პროფესიონალი მოსამართლეებისა და იურისტების მონაწილეობით.<sup>257</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ინსტრუმენტული ხასიათის გარანტია და იგი სხვა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საშუალებაა,<sup>258</sup> სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ დადგენილი სტანდარტი ვრცელდება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზეც.

მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირდაპირი და ავტომატური მოთხოვნა არ არის დასაბუთებული ვერდიქტი,<sup>259</sup> მაგრამ ნაფიცი მსაჯულების, როგორც არბიტრთა როლი და დასაბუთებული გადაწყვეტილების კრიტერიუმები განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.<sup>260</sup> შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა ასევე ეხება ნებისმიერ არასტანდარტული წესით განხორციელებულ სასამართლოსაც, განსაკუთრებით,

---

<sup>257</sup> ზაროული ბელგიის წინააღმდეგ (*Zarouali v. Belgium* (dec.), N20664/92, ECHR 1994). იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 16. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>258</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 7. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, სადაც ნაფიც მსაჯულებს არ მოეთხოვებათ მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთება.<sup>261</sup>

ბუნებრივია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვა მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლებას. ასეთ დროს, მოტივირებული გადაწყვეტილების ნაცვლად, ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი.<sup>262</sup> თუმცა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი პირდაპირ შემხებლობაში მოდის სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და, კერძოდ, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებასთან იმდენად, რამდენადაც აღნიშნული წესით მიღებულ გადაწყვეტილებას თან არ სდევს მსაჯულთა მხრიდან შესაბამისი დასაბუთება.<sup>263</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ*<sup>264</sup> განმარტა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კითხვის ქვეშ არ უნდა

---

<sup>261</sup> *მაკბრაიდი ჯ.*, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი), ევროპის საბჭო, 2011, გვ. 292. იხ.: *პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Papon v. France (No.2) (dec.))*, paragraph 6, N54210/00, ECHR 2001).

<sup>262</sup> *ტრექსელი შ., სამერსი ს. ჯ.-ს დახმარებით*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, გვ. 134.

<sup>263</sup> *ბურჯანაძე გ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>264</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ* ორი გადაწყვეტილება მიიღო. მეორე სექციის მიერ 2009 წლის 13 იანვარს მიღებულ პირველ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას. იხ.: *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 73-74. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

დადგეს, თუმცა სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანად წარიმართა.<sup>265</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ევროსაბჭოს შესაბამის წევრ სახელმწიფოთა პრაქტიკა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენების კუთხით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოსა და შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებასთან მიმართებით გარკვეული სტანდარტი ჩამოაყალიბა.<sup>266</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნით,<sup>267</sup> „ტრადიციული“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებას არ ახდენს. ეს ეხება ყველა ქვეყანას, ესპანეთისა და შვეიცარიის (ჟენევის კანტონი) გარდა.<sup>268 269</sup>

---

<sup>265</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 84, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 19-20. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>266</sup> *ბურჯანაძე გ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>267</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 56, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 13. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>268</sup> ესპანეთში, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველი – დასადგენი ფაქტების ჩამონათვალი; მეორე – დაუდგენელი ფაქტების ჩამონათვალი; მესამე – მსაჯულთა გადაწყვეტილება, დამნაშავეა თუ არა; მეოთხე – მტკიცებულებების მითითებით დასაბუთების მოკლე აღწერა, რომელსაც ეფუძნება განაჩენი და არგუმენტები იმისა, საჭიროებენ თუ არა კონკრეტული ფაქტები დადგენას; მეხუთე ნაწილი შედგება იმ ჩანაწერებისგან, რომლებშიც ასახულია ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქმის განხილვისას, მაგრამ არ ამხელენ ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს თათბირის საიდუმლოების პრინციპი. იხ.: *ტაქსკე ბელგიის*

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ბელგინ ლაგარეს ესპანეთის წინააღმდეგ*, აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილება<sup>270</sup> შეიცავდა ფაქტების ჩამონათვალს, რომელთა არსებობაც მსაჯულებმა დადგენილად მიიჩნიეს მომჩივნის დამნაშავედ ცნობისას, აგრეთვე, ამ ფაქტების სამართლებრივ ანალიზს და სასჯელის განსაზღვრის მიზნებისთვის იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომელთაც ზეგავლენა იქონიეს მომჩივნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6

---

*წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 57, ECHR 2010)*. იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 13. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>269</sup> 1991 წლამდე, ჟენევის კანტონის (შვეიცარია) ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი აკმაყოფილებდა დასაბუთებულობის მოთხოვნას, რადგან მსაჯულები მათ წინაშე დაყენებულ თითოეულ კონკრეტულ კითხვაზე „დიახ“ ან „არა“ პასუხს გასცემდნენ. თუმცა, 1991 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ფედერალურმა სასამართლომ მსგავსი პასუხები არასაკმარისად მიიჩნია და მომავალში, კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსგან უფრო დასაბუთებული განაჩენის გამოტანა მოითხოვა. 1992 წელს ჟენევის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე და 308-ე მუხლებში შეიტანეს შესწორებები, რომელთა თანახმად, მსაჯულებს მოეთხოვათ დასაბუთების მითითება, რაც გამოტანილი ვერდიქტის თუ გადაწყვეტილების სიცხადისთვის იქნებოდა აუცილებელი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, მსაჯულებს მოეთხოვებოდა, განმარტონ: „ძირითადი მტკიცებულებების გათვალისწინების ან უარყოფის მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რომელთაც დაეფუძნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერდიქტის თუ სხვა გადაწყვეტილების გამოტანისას; ასევე უნდა განიმარტოს მსაჯულთა გადაწყვეტილება სასჯელის ან სხვა ზომის დაკისრებასთან დაკავშირებით“. იხ.: *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 58, ECHR 2010)*. იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 14. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>270</sup> რომელსაც ნაფიც მსაჯულთა თათბირის ჩანაწერი ერთვოდა თან.



მიუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, საკმარის დასაბუთებას შეიცავდა.<sup>271</sup> აღსანიშნავია ის, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ესპანეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ.<sup>272</sup>

თუმცა არც სხვა იმ ქვეყნებთან მიმართებაში დაუდგენია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი, სადაც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთება არ ხდება. ასე მაგალითად: საქმეზე – *სარიკი დანიის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე გამოტანა თავისთავად არ იყო კონვენციის<sup>273</sup> მოთხოვნათა დარღვევა.<sup>274</sup> სასამართლომ განმარტა, რომ კონვენცია<sup>275</sup> არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი არ ეწინააღმდეგება კონვენციას<sup>276</sup> იმისდა მიუხედავად, რომ მასში არ იყო მოცემული მსჯავრდების საფუძვლები.<sup>277</sup>

---

<sup>271</sup> *ბელერინ ლაგარეს ესპანეთის წინააღმდეგ (Bellerin Lagares v. Spain (dec.))*, N31548/02, ECHR 2003). იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 26. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>272</sup> იხ.: სქოლიო 268.

<sup>273</sup> იგულისხმება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

<sup>274</sup> *დოლიძე ა.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (სტატიათა კრებული), საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, 43-59.

<sup>275</sup> იგულისხმება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

<sup>276</sup> იგულისხმება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

<sup>277</sup> *სარიკი დანიის წინააღმდეგ (Saric v. Denmark (dec.))*, N31913/96, ECHR 1996). იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 25-26. ხელმისაწვდომია

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ლერმიტე საფრანგეთის წინააღმდეგ*, განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია არ მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთებას, ხოლო განაჩენში მოტივაციის არარსებობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც განმცხადებლის ბრალეულობას ადგენენ არაპროფესიონალი მსაჯულები, თავისთავად წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციასთან. მიუხედავად ამისა, სამართლიანი პროცესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ბრალდებულსაც, და რა თქმა უნდა, საზოგადოებასაც უნდა შეეძლოს გამოტანილი განაჩენის აღქმა; ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გარანტიაა თვითნებობის წინააღმდეგ.<sup>278</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მიმდინარე საქმეში, რომელსაც ესწრებოდნენ არაპროფესიონალი მსაჯულები, უნდა შემუშავებულიყო სპეციალური პროცედურები, რამდენადაც ნაფიცი მსაჯულებისგან, როგორც წესი არ მოითხოვება, ან დაშვებული არაა, დაასაბუთონ პირადი მოსაზრებები. ამგვარი საპროცესო გარანტიები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემულ მითითებებს ან სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სამართლებრივ საკითხებს ან წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ნაფიცი მსაჯულებისათვის მოსამართლის მიერ დასმულ ზუსტ, არაორაზროვან კითხვებს, რომელიც აყალიბებს სტრუქტურას, რომელზეც დაფუძნებულია განაჩენი. აღნიშნული კი გარკვეულწილად აბალანსებს იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცემულ პასუხებს არ აქვთ დასაბუთება. ბოლოს,

---

შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>278</sup> *ლერმიტე ბელგიის წინააღმდეგ (Lhermite v. Belgium, no. N34238/09, paragraph 66-67, 26 May 2015)*. იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 35. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულისათვის გასაჩივრების ნებისმიერი საშუალება ხელმისაწვდომი იყოს.<sup>279</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ*, აღნიშნა, რომ ბრალდების მხარეს და ბრალდებულს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეპროტესტებინათ შეკითხვები და ასევე, ეთხოვათ სხდომის თავმჯდომარისთვის, მისცემოდათ შესაძლებლობა, დაესვათ ერთი ან რამდენიმე დამატებითი შეკითხვა ნაფიცი მსაჯულებისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ მსაჯულებმა სხდომის თავმჯდომარის მიერ დასმულ 768 კითხვას გასცეს პასუხი და ჩათვალა, რომ კითხვებმა განაჩენისთვის საკმარისი საფუძველი ჩამოაყალიბეს და მათმა სიზუსტემ საკმარისად დააბალანსა ის ფაქტი, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი დაუსაბუთებელი იყო. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და დაუშვებლად ცნო საჩივარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში არგუმენტაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით.<sup>280</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ, ერთის მხრივ, აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია არ ითხოვს მსაჯულებისგან მათი განაჩენის დასაბუთებას და მისი მე-6 მუხლი არ ეწინააღმდეგება მსაჯულების მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას მაშინაც კი, როცა ვერდიქტი დაუსაბუთებელია.<sup>281</sup> თუმცა, მეორეს მხრივ, სასამართლომ

---

<sup>279</sup> იქვე. paragraph 68.

<sup>280</sup> *პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Papon v. France (No.2) (dec.)*, N54210/00, ECHR 2001). იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 26. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>281</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC]*, N926/05, paragraph 90, ECHR 2010). იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

განმარტა, რომ მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ბრალდებულს და, რა თქმა უნდა, საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაიგონ გამოტანილი განაჩენი; ეს წარმოადგენს თვითნებობისგან სასიცოცხლო მნიშვნელობის დაცვის გარანტიას.<sup>282</sup> თავდაპირველად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბუნდოვან და ზოგად კითხვებზე გაცემული ლაკონური პასუხების და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს<sup>283</sup> მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტის არსებითი მიზეზების შეჯამების არარსებობის პირობებში, განმცხადებელს დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მართლმსაჯულება თვითნებურად და არაგამჭვირვალედ განხორციელდა. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს არ შეეძლო გაეგო და დასთანხმებოდა საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებას.<sup>284</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდა ამისა, ვინაიდან საქმე ეხებოდა რამდენიმე ბრალდებულს, კითხვები ყოველივე მათგანისთვის შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.<sup>285</sup>

---

პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 20. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>282</sup> იქვე.

<sup>283</sup> ინგლისურად – Assize Court, როგორც მას ბელგიაში უწოდებენ.

<sup>284</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 74. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>285</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 98, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 21-22. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ამ გადაწყვეტილებამ ევროპის საბჭოს მასშტაბით დატოვა შთაბეჭდილება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახლა უკვე მოეთხოვებოდა დასაბუთებული ვერდიქტის გამოტანა, ევროპული სასამართლოს ადრინდელი გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ, რომელთა თანახმადაც, საფუძვლებზე მითითება არ იყო სავალდებულო.<sup>286</sup> შესაბამისად, გადაწყვეტილება გასაჩივრდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე.<sup>287</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2011 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, მიუთითა არაპროფესიონალი მოსამართლეების მიერ საქმის განხილვის სისტემებს შორის არსებით განსხვავებებზე ევროპის საბჭოს მასშტაბით და განმარტა, რომ მისი როლი არ იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ან არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვის სისტემების ჰარმონიზაცია. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას<sup>288</sup> და ცალსახად დაადგინა, რომ კონვენცია<sup>289</sup> არ მოითხოვს ვერდიქტის დასაბუთებას.<sup>290</sup> თუმცა ადამიანის

---

<sup>286</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 74. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>287</sup> მოპასუხე სახელმწიფომ (ბელგიამ) და სამმა სახელმწიფომ, რომლებიც მხარეებს წარმოადგენდნენ (ირლანდიამ, გაერთიანებულმა სამეფომ და საფრანგეთმა) წარმოადგინეს მყარი არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ნაფიც მსაჯულებს არ შეიძლება მოეთხოვებოდეთ დასაბუთებული ვერდიქტების უზრუნველყოფა და, რომ ამ ქვეყნებში მოქმედ არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვის სისტემები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაში იყო იმის მიუხედავად, რომ იქ არ არსებობდა დასაბუთებული გადაწყვეტილებების მოთხოვნა.

<sup>288</sup> მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ დიდი პალატის გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

<sup>289</sup> იგულისხმება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

<sup>290</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისად, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოითხოვს, რომ ბრალდებულსა და საზოგადოებას: „შეეძლოს გამოტანილი ვერდიქტის გაგება; ეს უმნიშვნელოვანესია თვითნებობის წინააღმდეგ დაცვის მექანიზმების უზრუნველსაყოფად.“<sup>291</sup>

შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიდგომა, რაც განახორციელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს ან მსაჯულთა გადაწყვეტილებაში მკაფიოდ, ნათლად და ჯეროვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საქმეებზე ვერდიქტების გამოტანის მიზეზები.<sup>292</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ* ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასაბუთებას მოკლებული ვერდიქტის განხილვისას სასამართლოს ამოცანაა, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაზღვროს, რამდენად შესწევს სამართალწარმოებას უნარი, წინ აღუდგეს თვითნებობას და მისცეს ბრალდებულს საშუალება, გაიგოს, თუ რატომ ცნეს დამნაშავედ.<sup>293</sup>

ამ საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარკვეული სახის საპროცესო გარანტიები განსაზღვრა; კერძოდ:

---

პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 74-75. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>291</sup> იქვე. გვ. 75.

<sup>292</sup> *ბოხაშვილი ბ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 245.

<sup>293</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 93, ECHR 2010)*. იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 21. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ* მიღებული გადაწყვეტილების 92-ე პარაგრაფის შესაბამისად: „იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოები თავის მოვალეობას სამოქალაქო მსაჯულებთან ერთად ახორციელებენ, ნებისმიერი სახის განსაკუთრებული პროცედურის ადაპტაცია უნდა მოხდეს, მითუმეტეს მაშინ, როცა მსაჯულებს არ მოეთხოვებათ ან არ ეძლევათ უფლება, წარმოადგინონ საკუთარი განაჩენის დასაბუთება.“<sup>294</sup> ამგვარ საპროცესო გარანტიას შესაძლოა წამოადგენდეს, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის მიერ მსაჯულთათვის სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების ან მითითებების მიცემა; მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე ზუსტი, ცალსახა კითხვების დასმა, რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს და შესაბამისად, საკმარისად დააბალანსებენ იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა პასუხები არ იქნება დასაბუთებული და ბოლოს,

---

<sup>294</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ საქმეზე* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას, ბელგიისა და საფრანგეთის გარდა, ირლანდიაში, ინგლისსა და უელსში, შოტლანდიაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, დანიასა და ნორვეგიაში ნაფიც მსაჯულთა სისტემის რეფორმა არ მოჰყოლია. აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის გადაწყვეტილების მიღებამდე, მთელ რიგი ქვეყნების, მაგალითად, შოტლანდიისა და ნორვეგიის სასამართლოებმა ცალსახად დაადგინეს, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემა შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. ამასთანავე სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემა ითვალისწინებს დაცვის საკმარის მექანიზმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბრალდებულს ესმოდეს სისხლის სამართლის სასამართლოს ვერდიქტი, რომ ენდობოდეს ვერდიქტს და, რომ სრულად იყოს დაცული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. იხ.: *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 77. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

გასათვალისწინებელია ბრალდებულის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა.<sup>295</sup>

### 3. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის საერთო იურისდიქციის სასამართლოების კომპეტენციის ფარგლებში მართლმსაჯულების განხორციელების ალტერნატიული ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, უნდა პასუხობდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის ყველა აუცილებელ მოთხოვნას.<sup>296</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს; კერძოდ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – *ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, აღნიშნა, რომ: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის რა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლო სისტემის ნაწილი, ის თავისთავად ექცევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ქვეშ.“<sup>297</sup>

---

<sup>295</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 92, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 20-21. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>296</sup> *ერემაძე ქ.*, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში – საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, მერიდიანი, 2018, გვ. 243.

<sup>297</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/557,571,576, II-95. იხ.: <http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqeebi-valerian->



მართალია, სახელმწიფო ხელისუფლება საკუთარი მიხედულების ფარგლებში განსაზღვრავს ამ ინსტიტუტის გამოყენებისა და გავრცელების შემთხვევებსა და წესს, თუმცა, ცხადია, ეს არ გულისხმობს კანონმდებლის შეუზღუდავ შესაძლებლობებს, ის შეზღუდულია კონსტიტუციური წესრიგით და, პირველ რიგში, ფუნდამენტური უფლებებით.<sup>298</sup> ამდენად, კანონმდებელი არ თავისუფლდება კონსტიტუციური ვალდებულებისაგან, რომ ამ საკითხების მომწესრიგებელი კანონი არა მხოლოდ სრულად შეესაბამებოდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს, არამედ, იმავდროულად, არ იწვევდეს არც ერთ სხვა უფლებაში არათანაზომიერ, გაუმართლებელ ჩარევას.<sup>299</sup> შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის საერთო იურისდიქციის სასამართლოების კომპეტენციის ფარგლებში მართლმსაჯულების განხორციელების ალტერნატიული ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, უნდა პასუხობდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის ყველა აუცილებელ მოთხოვნას.“<sup>300</sup> მოტივირებული სასამართლო განაჩენის უფლება კი, ბრალდებულის ერთ-ერთი უფლებაა როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თანახმად.<sup>301</sup> თუმცა აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთების ვალდებულება არ არსებობს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით მოტივირებული უნდა იყოს

---

[gelbaxiani-mamuka-nikolaishvili-da-aleqsandre-silagadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-872.page](http://gelbaxiani-mamuka-nikolaishvili-da-aleqsandre-silagadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-872.page),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>298</sup> იქვე. II-94.

<sup>299</sup> იქვე.

<sup>300</sup> იქვე. II-98.

<sup>301</sup> იხ. ციტირება: *ვაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მერიდიანი, 2015, გვ. 731.

მხოლოდ სასჯელის ნაწილში.<sup>302</sup> ამასთან, სხდომის თავმჯდომარემ ეჭვი არ უნდა შეიტანოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტში და არც სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციაში.<sup>303</sup>

საინტერესოა ის, რომ საქართველოს მიერ წარდგენილ, პაქტის<sup>304</sup> შესრულების შესახებ მეოთხე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით, 2014 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებულ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნით რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ კომიტეტი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკმარის გარანტიებს, რათა ბრალდებულს და საზოგადოებას შეემლოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გააზრება.<sup>305</sup> ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, აუცილებელია, გამოკვლევულ მტკიცებულებათა შეჯამების უზრუნველყოფა სასამართლოზე და ასევე შესაბამისი შეკითხვების დასმის უზრუნველყოფა. ალტერნატივის სახით შეიძლება ასევე ესპანეთისა და ბელგიის მოქმედი სისტემების გათვალისწინებაც, როდესაც მსაჯულები ახდენენ თავიანთი გადაწყვეტილების მოკლედ დასაბუთებას. ამდენად, ყველა ვითარებაში აუცილებელია დამატებითი გარანტიების დადგენა.<sup>306</sup>

თუმცა, მეორეს მხრივ, ევროპულ კონვენციას<sup>307</sup> და პრეცედენტულ სამართალთან საქართველოს სამართლებრივი ბაზისა და პრაქტიკის მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების კუთხით ქართული სისხლის სამართლის პროცესი მოიცავს იმ პროცედურებს, რომლებიც, ერთი

---

<sup>302</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>303</sup> საქართველოს სსსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>304</sup> იგულისხმება 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი.

<sup>305</sup> იხ.: *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 11. იხ.: *United Nations Human Rights Committee, Concluding Observations on the Fourth Periodic Report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/4, 19 August 2014, paragraph 14.*

<sup>306</sup> იხ. ციტირება: *ბურჯანაძე გ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>307</sup> იგულისხმება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

შეხედვით, აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს<sup>308</sup> მოთხოვნებს.<sup>309</sup> უფრო მეტიც, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მოქმედი სისტემა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ* მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან საქმის არსებითად განხილვა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის სრული განხილვის ფარგლებს, რის საფუძველზეც, ბრალდებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველებს იგებს და ასევე უზრუნველყოფილია დაცვის მექანიზმები თვითნებობის წინააღმდეგ.<sup>310</sup>

როგორც უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტის<sup>311</sup> კრიმინოლოგიის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნიკოლაი კოვალიოვი მიიჩნევს, საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემები, მაგალითად: გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიის რესპუბლიკაში და საქართველოში, რომელიც ზოგადი ვერდიქტის საფუძველზე გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას გულისხმობს, შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს.<sup>312</sup> ამასთან, საქართველოს ნაფიც მსაჯულთა

---

<sup>308</sup> იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

<sup>309</sup> *დოლიძე ა.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (სტატიათა კრებული), საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, გვ. 43-59.

<sup>310</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 80-81. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>311</sup> ბრენტფორდი, კანადა.

<sup>312</sup> იხ. ციტირება: *კოვალიოვი ნ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის

სისტემის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობას ადასტურებს ასევე ის, რომ არსებობს საქმის განხილვის მექანიზმები ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე<sup>313</sup> იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება საფრთხესთან არის დაკავშირებული დანაშაულის სიმძიმიდან ან მსაჯულების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ან როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას ბრალდებულთან მიმართებაში.<sup>314</sup>

#### 4. შეჯამება

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო განხილვისას სამართლიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების

---

ანალიზი, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 59.

<sup>313</sup> იგულისხმება 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი პროცედურა, რომლის თანახმად, თუ, დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო საფრთხე შექმნოდა ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად ხელყოფილი ყოფილიყო მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევდა ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავდა მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

<sup>314</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.კ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 80-81. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

დასაბუთებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ დადგენილი სტანდარტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე ვრცელდება, სადაც მოტივირებული გადაწყვეტილების ნაცვლად, ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კითხვის ქვეშ არ უნდა დადგეს, თუმცა სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანად წარიმართა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბრალდებულს და, რა თქმა უნდა, საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაიგონ გამოტანილი განაჩენი; ეს კი, თვითნებობისგან სასიცოცხლო მნიშვნელობის დაცვის გარანტიას წარმოადგენს.

შესაბამისად, იმისათვის, რომ, ერთის მხრივ, სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხე აღიკვეთოს და, მეორეს მხრივ, ბრალდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, გაიგოს ის, თუ რატომ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფაქტობრივად სამი სახის საპროცესო გარანტია დაადგინა:

ა) მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ზუსტი, ცალსახა შეკითხვების დასმა, რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს;

ბ) სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების ან მითითებების მიცემა;

გ) ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთების ვალდებულება არ არსებობს; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით, მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ სასჯელის ნაწილში. მიუხედავად ამისა, ზოგადად ვერდიქტის დასაბუთების საკითხის თვალსაზრისით, ქართული სისხლის სამართლის პროცესი მოიცავს იმ პროცედურებს, რომლებიც აკმაყოფილებს

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო გარანტიებს, რის საფუძველზეც, ბრალდებულს შეუძლია გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძვლების გაგება და ასევე უზრუნველყოფილია დაცვის მექანიზმები თვითნებობის წინააღმდეგ. ამასთან, შემდეგ თავებში დეტალურად იქნება განხილული შესაბამისი საპროცესო გარანტიები, რომლებიც საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას აღკვეთენ სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხეს და ბრალდებულს უზრუნველყოფენ შესაძლებლობით, გაიგოს ის, თუ რატომ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ.

### თავი III. მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმა

#### 1. მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმა

##### (საერთაშორისო გამოცდილება)

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის დამბალანსებელ საპროცესო გარანტიას შესაძლებელია, წარმოადგენდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმული ნათელი და არაორაზროვანი შეკითხვები, რომლებიც ვერდიქტის საფუძვლების დადგენაში ეხმარება ნაფიც მსაჯულებს, ან იმ ფაქტის საკმარისად დაბალანსება, რომ გამამტყუნებელ ვერდიქტში მისი მიღების განმაპირობებელი მიზეზები არ არის დასახელებული.<sup>315</sup>

ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ საქმეზე – *რ. ბელგიის წინააღმდეგ* განმარტა, რომ შეკითხვები არის დასაბუთებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საშუალება, მაგრამ აქვე განსაზღვრა აუცილებელი გარანტიები, რომლებიც სავალდებულო წესით კუმულაციურად უნდა არსებობდნენ, რათა საბოლოოდ მიღწეულ იქნეს დასაბუთებულობის სტანდარტი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად; კერძოდ:

1. შეკითხვები უნდა იყოს ნათელი;
2. ორივე მხარეს უნდა შეეძლოს შეკითხვათა ინიცირება მოსამართლის წინაშე;
3. შეკითხვები უნდა ემყარებოდნენ გარემოებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ბრალდების ფორმულირებას;
4. ზემოაღნიშნული გარემოებები სასამართლოზე უნდა იყოს განხილული;

---

<sup>315</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 8. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

5. მთავარი შეკითხვები უნდა ეხებოდეს თითოეულ წარდგენილი დანაშაულის შემადგენლობის *corpus delicti*-ს;

6. მთავარ შეკითხვათა გაყოფა შესაძლებელია, ოღონდ იმ პირობით, რომ არ მოხდება საკითხის ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ფორმულირება;<sup>316</sup>

7. თითოეული ბრალდება უნდა იყოს წარდგენილი ინდივიდუალური შეკითხვით;

8. მთავარი შეკითხვები უნდა იყოს ფორმულირებული სხვა ფაქტებისაგან განცალკევებით;<sup>317</sup>

9. სასამართლოს წინაშე წარდგენილი შეკითხვის უარყოფის შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი დასაბუთება;

10. როდესაც არსებობს ამისათვის სპეციალური მიზეზი და ზემოაღნიშნული პირობები ვერ უზრუნველყოფენ განაჩენის დასაბუთებას, აუცილებელი ხდება მოსამართლის მხრიდან ბრალისა და სასჯელის დამატებითი დასაბუთება.<sup>318</sup>

თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ზუსტი, ცალსახა კითხვების დასმის, როგორც სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხის აღმკვეთი საპროცესო გარანტიის შესახებ, არა ერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა. ასე მაგ.: საქმეზე – *კაპორნი საფრანგეთის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარეს და ბრალდებულს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეპროტესტებინათ შეკითხვები და ასევე, ეთხოვათ სხდომის თავმჯდომარისთვის, მისცემოდათ შესაძლებლობა, დაესვათ ერთი ან რამდენიმე დამატებითი შეკითხვა

---

<sup>316</sup> შესაძლებელია ალტერნატიული შეკითხვებიც.

<sup>317</sup> როგორებიცაა, მაგ.: შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და შემსუბუქების საფუძვლები.

<sup>318</sup> *რ. ბელგიის წინააღმდეგ (R. v. Belgium (dec.))*, N15957/90, ECHR 1992). იხ.: *ბურჯანაძე გ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.



ნაფიც მსაჯულებისათვის.<sup>319</sup> შესაბამისად, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და დაუშვებლად ცნო საჩივარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში არგუმენტაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით.<sup>320</sup>

საქმეზე – *ლეგილონი საფრანგეთის წინააღმდეგ*, განმცხადებელი დავობდა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არ იყო დასაბუთებული და ნაფიცი მსაჯულებისთვის არ იყო განმარტებული დანაშაულის ელემენტები, თუ რა წარმოადგენდა ძალადობას, მუქარას და ა.შ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერდიქტის ფორმა ითვალისწინებდა მკაფიო შეკითხვებს, რომლებზე პასუხებიც, ასევე, იყო მკაფიო და დაცვის მხარეს აძლევდა საშუალებას, გაეგო ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი. სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში არსებობდა საკმარისი გარანტიები თვითნებობის გამოსარიცხად.<sup>321</sup>

მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ზუსტი და ცალსახა შეკითხვების დასმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე ბრალდებულის არსებობის შემთხვევაში; კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, რამდენიმე ბრალდებულის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმული შეკითხვები იყოს მკაფიო, თითოეულ ბრალდებულთან მიმართებაში შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებების მითითებით, რაც დაეხმარება ნაფიც მსაჯულებს ბრალდებულთა ინდივიდუალური

---

<sup>319</sup> *პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Papon v. France (No.2) (dec.), N54210/00, ECHR 2001)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 26. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>320</sup> იქვე.

<sup>321</sup> *ლეგილონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Legillon v. France, N53406/10, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 32. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *გოკტეპე ბელგიის წინააღმდეგ*<sup>322</sup> დაადგინა დარღვევა იმ საფუძველით, რომ დასმული შეკითხვები იყო ზოგადი და ბუნდოვანი შინაარსის და არ ემსახურებოდა თითოეული ბრალდებულის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზანს.<sup>323</sup> მოცემულ საქმეში ნაფიც მსაჯულთა მიერ დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით ცალ-ცალკე კითხვების დასმაზე უარის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან სასამართლომ დაასკვნა, რომ ამით შეუძლებელი გახდა განმცხადებლის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა.<sup>324</sup>

რაც შეეხება მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ დამოკიდებულებას; მთელ რიგ ქვეყნებში, საქმის განხილვის დაწყებამდე, მსაჯულებს კონკრეტული კითხვების სიას გადასცემენ. შვიდი სახელმწიფო<sup>325</sup> ხსენებულ პრაქტიკას მისდევს.<sup>326</sup> მაგ.: ავსტრიაში,

---

<sup>322</sup> *Goktepe v. Belgium*, N50372/99, paragraph 28, ECHR 2005.

<sup>323</sup> იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 8. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>324</sup> *გოკტეპე ბელგიის წინააღმდეგ (Goktepe v. Belgium)*, N50372/99, paragraph 28, ECHR 2005). იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 31. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>325</sup> ავსტრია, ბელგია, ირლანდია, ნორვეგია, რუსეთი, ესპანეთი და შვეიცარია.

<sup>326</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium)* [GC], N926/05, paragraph 49, ECHR 2010). იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გამოტანა ხდება დეტალური კითხვარის საფუძველზე, რომელიც სხვადასხვა ბრალდების ყველა ძირითად ელემენტს განმარტავს და შეიცავს შეკითხვებს, რომლებზეც უნდა გაიცეს „დიახ“ ან „არა“ პასუხი;<sup>327</sup> ნორვეგიაში კი, ნაფიცი მსაჯულების მიმართ დასმული შეკითხვების უმრავლესობა მოითხოვს პასუხის გაცემას, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში; ასევე, იმ ფაქტების მოკლე აღწერას, რომელსაც ბრალდების მხარე ადასტურებს.<sup>328</sup>

რუსეთში მიღებული „საკითხების სია“ მოიცავს სამ ძირითად შეკითხვას:

1. სახეზეა თუ არა დანაშაულის შემადგენლობა?<sup>329</sup>
2. მტკიცდება თუ არა ბრალდებულის, როგორც დანაშაულის ჩამდენის, ვინაობა?
3. არის თუ არა ის ბრალეული დანაშაულის ჩადენაში?<sup>330</sup>

თუმცა უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტის<sup>331</sup> კრიმინოლოგიის ასოცირებული პროფესორის, დოქტორ ნიკოლაი კოვალიოვის მოსაზრებით, რუსეთში როგორც პროფესიონალი მოსამართლეები, ასევე არაპროფესიონალები, პრობლემებს სპეციალური ვერდიქტებისათვის კითხვების ფორმულირებაში აწყდებიან. მოსამართლეებისთვის, ნაფიცი მსაჯულებისა და სააპელაციო სასამართლოებისთვის მთავარ პრობლემას თავად სპეციალური ვერდიქტის სისტემა

---

პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 12. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>327</sup> იქვე. paragraph 51.

<sup>328</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 72.

<sup>329</sup> ლათინურად – corpus delicti.

<sup>330</sup> *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) – სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ. 331.

<sup>331</sup> ბრენტფორდი, კანადა.

წარმოადგენს, უფრო კონკრეტულად კი, მარტივი დამნაშავეობა-უდანაშაულობის კითხვის გარდა ნაფიცი მსაჯულებისათვის ბევრი დამატებითი კითხვის დასმა.<sup>332</sup>

## 2. საქართველოში მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმა

მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის დამბალანსებელ ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას შესაძლებელია, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმული ზუსტი და ცალსახა შეკითხვები წარმოადგენდეს, საქართველოს სსსკ-ით დადგენილ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელში მსაჯულთათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის,<sup>333</sup> რადგან საქართველოს კანონმდებლობით არჩეული იქნა ე.წ. ანგლოსაქსური მიდგომა, რომლის მიხედვით, მსაჯულთათვის შეკითხვების დასმა არ ხდება.<sup>334</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლის 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტითა<sup>335</sup> და შესაბამისი განმარტებითი ბარათით<sup>336</sup> სხვა ცვლილებებსა და დამატებებთან ერთად, ვერდიქტის

---

<sup>332</sup> იხ. ციტირება: *კოვალიოვი ნ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ანალიზი, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 28-29.

<sup>333</sup> *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მერიდიანი, 2015, გვ. 732.

<sup>334</sup> *ბურჯანაძე გ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>335</sup> იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123250?>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>336</sup> იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123251?>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

დასაბუთებასთან დაკავშირებულ დებულებებშიც ცვლილებები იქნა ინიცირებული; კერძოდ: ცვლილებათა პაკეტის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს, კონკრეტულ კითხვებზე პასუხების გაცემით, თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაეწყვიტათ ბრალდებულის უდანაშაულობის ან დამნაშავეობის საკითხი.<sup>337</sup> კანონპროექტის მიხედვით, ნაფიც მსაჯულებს წარდგენილ ბრალდებებზე ვერდიქტის გამოტანისას უნდა ეხელმძღვანელათ არა მარტივი ვერდიქტით,<sup>338</sup> არამედ 6 პუნქტიანი კითხვარით, რომელიც მოიცავდა: ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტების, მართლწინააღმდეგობის, ბრალეულობის, შემამსუბუქებელი/დამამძიმებელი გარემოებების, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხების განსაზღვრას.

ცვლილების პროექტის მიმართ ძირითადად უარყოფითი შეფასებები გაკეთდა. ასე მაგ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კონსტიტუციური კვლევების ცენტრის, მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრისა და თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივი განცხადების თანახმად, ნაფიცი მსაჯულებისთვის ვერდიქტის გამოტანა ამ პრინციპით მისაღები არ იყო, რადგან კითხვარში წარმოდგენილი საკითხების განსაზღვრას სპეციალური ცოდნა ესაჭიროებოდა; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერდიქტის გამოტანისას, როგორც წესი, უნდა მსჯელობდეს ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე, რაც საფუძვლად დაედება მათ ვერდიქტს; წარდგენილი ცვლილებები კი, ქმნიდა ისეთ პროცესს, რომელშიც ნაფიც მსაჯულებს ძალიან გაუჭირდებოდათ გადაწყვეტილების მიღება, მათთვის ძალიან რთულად გასაგები კითხვარის გამო.<sup>339</sup> შესაბამისად, არსებობდა რეკომენდაციები, რომ მოქმედი კანონმდებლობით

<sup>337</sup> იხ.: *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 39.

<sup>338</sup> დამნაშავეა/არ არის დამნაშავე.

<sup>339</sup> იხ.: *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრი, თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი*, ერთობლივი განცხადება, 30.10.2015. იხ.: <https://conlaw.iliauni.edu.ge/erthoblivi-gantskhadeba-conlaw-jelec-nihr/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

განსაზღვრული ზოგადი ვერდიქტის გამოტანის სისტემა შენარჩუნებულიყო.<sup>340</sup> მსგავსი მოსაზრება ჰქონდა უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტის<sup>341</sup> კრიმინოლოგიის ასოცირებულ პროფესორს, დოქტორ ნიკოლაი კოვალიოვს, რომლის შეხედულებით, უმჯობესი იყო, ქართველ კანონმდებლებს შეენარჩუნებინათ არსებული ზოგადი ვერდიქტის მიღების სისტემა და არ მიეღოთ შეთავაზებული სპეციალური ვერდიქტის გამოტანის წესი, რათა თავიდან აეცილებინათ შესაძლო პრობლემები, რომლებიც ანალოგიური ცვლილებების გამო რუსეთში შეიქმნა.<sup>342</sup>

საბოლოოდ, 2016 წლის 20 ივნისს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტიდან სპეციალურ ვერდიქტთან დაკავშირებული დებულებები ამოღებული იქნა და ამით ნაფიც მსაჯულთა სპეციალური ვერდიქტის შემოღებაზე ფაქტობრივად უარი ითქვა.

### 3. შეჯამება

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის დამბალანსებელ ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას შესაძლებელია, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმული ზუსტი და ცალსახა შეკითხვები წარმოადგენდეს, საქართველოს სსკ-ით დადგენილ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელში მსაჯულთათვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული დამაფიქრებელია, რადგან შესაძლებელია, ამით (ანუ სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის შესაბამისი შეკითხვების წარუდგენლობით) გარკვეული კითხვის ნიშნები გაჩნდეს, თუ რამდენად არის

<sup>340</sup> იხ.: *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 41.

<sup>341</sup> ბრენტფორდი, კანადა.

<sup>342</sup> იხ. ციტირება: *კოვალიოვი ნ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ანალიზი, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 29.

აღკვეთილი სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ქვეყნის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელში მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმა აპრობირებული მეთოდია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ზუსტი, ცალსახა შეკითხვების (რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს) წარდგენის პროცედურა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიჩნეულია სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხის აღმკვეთ ერთ-ერთ და არა ერთადერთ საპროცესო გარანტიად. შესაბამისად, რადგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სამართლებრივ საკითხებთან/მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/მითითებების მიცემისა და ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრების პროცედურები (ანუ სხვა შესაბამისი საპროცესო გარანტიები, რაზეც შემდეგ თავებში დეტალურად ვისაუბრებთ), სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების წარუდგენლობა სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხეს ფაქტობრივად არ წარმოშობს.

რაც შეეხება 2016 წლის 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტს, რითაც ვერდიქტის დასაბუთებასთან დაკავშირებულ დებულებებში ცვლილებები იქნა ინიცირებული; მასთან მიმართებით შესაძლებელია ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთებასთან დაკავშირებულ დებულებებში საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან წარდგენილი ცვლილებები ქმნიდა ისეთ პროცესს, რომელშიც ნაფიც მსაჯულებს ძალზედ გაუჭირდებოდათ გადაწყვეტილების მიღება, მათთვის რთულად გასაგები შეკითხვების გამო; ნაფიცი მსაჯულებისათვის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტების, მართლწინააღმდეგობის, ბრალეულობის საკითხების თაობაზე სპეციალური ცოდნის მოთხოვნა არასწორია და ზოგადად ხელს უშლის საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ბრალდებულის საქმის განხილვის იდეის პრაქტიკულად განხორციელებას. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, დღეის მდგომარეობით მოქმედი საქართველოს

სსსკ-ის მიხედვით, დადგენილია სხვა შესაბამისი საპროცესო გარანტიები (კერძოდ: სამართლებრივ საკითხებთან/მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/მითითებების მიცემა და ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა), რომლებიც საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას აღკვეთენ სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხეს და ბრალდებულს უზრუნველყოფენ შესაძლებლობით, გაიგოს ის, თუ რატომ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ. ამდენად, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთებასთან დაკავშირებულ დებულებებში საკანონმდებლო ცვლილებების შეტანაზე სამართლიანად ითქვა უარი.



## თავი IV. მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/ მითითებების მიცემა

### 1. მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/ მითითებების მიცემა (საერთაშორისო გამოცდილება)

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას, გასათვალისწინებელია სამართალწარმოების სპეციფიკა, რადგან ნაფიც მსაჯულებს არ მოეთხოვებათ, უფრო მეტიც, ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, უფლება არ აქვთ, დაასაბუთონ ვერდიქტის განმაპირობებელი პირადი მოსაზრებები. ასეთ დროს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს, შეფასდეს, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები იმისთვის, რომ თავიდან აცილებულიყო თვითნებობის რაიმე რისკი, და ესმოდა თუ არა ბრალდებულს მისი მსჯავრდების საფუძვლები. შესაბამისად, საპროცესო გარანტიას შეიძლება წარმოადგენდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიწოდებული მითითებები.<sup>343</sup> ამდენად, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტში დასაბუთების არარსებობა შესაძლოა, არ იყოს დარღვევა იქ, სადაც აღნიშნული დასაბუთება შესაძლებელია, დადასტურდეს საქმის სხვა მასალებიდან, კერძოდ, ბრალდების დადგენილებიდან და ნაფიცი მსაჯულებისათვის სხდომის თავმჯდომარის მიერ მიცემული შეკითხვებისა და მითითებებისგან.<sup>344</sup> ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისიის ოფისის მიერ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობით შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

<sup>343</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 8. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>344</sup> Vitkauskas D., Dikov G., Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2012, p. 71.

შემთხვევაში, მოსამართლის მითითებები<sup>345</sup> ნაფიც მსაჯულთა მიმართ მიუკერძოებელი და სამართლიანი უნდა იყოს. აქ ის იგულისხმება, რომ ბრალდებისა და დაცვის პოზიციები იმგვარად უნდა იქნეს გადმოცემული, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რომელიც დაცულია თვითნებობისგან. ამ არსებითი მოვალეობის დარღვევა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას უტოლდება.<sup>346</sup>

საინტერესოა, თუ როგორია სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ხდება თუ არა, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შესაბამისი ახსნა-განმარტებების ან მითითებების მიცემა. მაგ.: აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს მოტივირება და დასაბუთება არ სჭირდება. აშშ-ში ვერდიქტის გამოტანისას ნაფიცი მსაჯულები ითვალისწინებენ როგორც მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვას, ისე მხარეთა წინადადებებს, რომლებიც ამ სიტყვის წარმოთქმამდე წერილობით წარედგინა მოსამართლეს. მათში მხარეები გადმოსცემენ თავიანთ თვალსაზრისს არსებული მტკიცებულებების, განსასჯელის ბრალეულობის დადასტურებისა თუ დაუდასტურებლობის თაობაზე.<sup>347</sup>

ირლანდიაში, ინგლისსა და უელსში მტკიცებულებების შესწავლის შემდგომ, მოსამართლე მსაჯულებს საქმის საბოლოო შემაჯამებელ ვარიანტს წარუდგენს. ის მათ შეახსენებს უკვე მოსმენილ მტკიცებულებებს. ამასთან, მოსამართლე კონკრეტული მტკიცებულებების სწორი კუთხით გათვალისწინების თაობაზე დირექტივებს იძლევა. ის ასევე, აწვდის მსაჯულებს ინფორმაციასა და ახსნა-განმარტებებს სამართლებრივი ნორმების შესახებ. ამ კონტექსტში, მოსამართლე

---

<sup>345</sup> N3.2.4 მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისთვის.

<sup>346</sup> იხ.: *ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობით*, ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების შესახებ: მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის – პროფესიული მომზადების გამოცემათა სერია N9), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2003, გვ. 274.

<sup>347</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 39.

აკეთებს განმარტებებს დანაშაულის შემადგენელი ელემენტების თაობაზე და ადგენს მსჯელობის კონკრეტულ ხაზს, რომლის მიდევნებაც აუცილებელია მსაჯულთა მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ვერდიქტის გამოსატანად.<sup>348</sup>

ანგლოსაქსური მოდელის კლასიკურ შემთხვევად ითვლება ინგლისის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ხდება მტკიცებულებათა შეჯამება<sup>349</sup> და სამართლებრივი განმარტებების მიცემა. შინაარსობრივად ამ დროს სასამართლო იძლევა:

1. საკითხთა ფართოდ იდენტიფიცირებას;
2. ზოგადსამართლებრივ საკითხებსა და დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებზე განმარტებებს;
3. განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორ აწესრიგებენ საკითხებს სამართლის ნორმები;
4. საკითხის გარშემო ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მათგან მომდინარე შესაძლო დასკვნების შესახებ განმარტებებს.<sup>350</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ის სამართლებრივი მიდგომები, რაც არსებობს ბელგიაში, ნორვეგიასა და ჟენევის

---

<sup>348</sup> ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (*Taxquet v. Belgium* [GC], N926/05, paragraph 50, ECHR 2010). იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 12. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>349</sup> ინგლისურად – Summing-up.

<sup>350</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46. იხ.: A Review of the Criminal Courts of England and Wales by The Right Honourable Lord Justice Auld: Interpreters Chapters 155-161 (2001), Chapter 11 – The Trial: Procedures and Evidence, 43-ე პუნქტი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://zakon.co.uk/admin/resources/downloads/2001-lord-auld-report-on-the-review-of-criminal-justice-system-interpreters-chapters-155-161.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

კანტონში (შვეიცარია). ასე მაგ.: ბელგიაში, პროფესიონალი მოსამართლე შესაძლებელია, მიიწვიონ სათათბირო ოთახში კონკრეტული საკითხების განსამარტად, თუმცა მას არ აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი ბრალეულობასთან დაკავშირებით ან კენჭისყრაში მიიღოს მონაწილეობა.<sup>351</sup> ნორვეგიაში, მტკიცებულებათა განხილვის დასრულების შემდეგ, პროკურორი წარადგენს წერილობითი კითხვარის პროექტს, რაზეც ადვოკატს შეუძლია, კომენტარი გააკეთოს, ხოლო საბოლოო კითხვარს მოსამართლე ამტკიცებს.<sup>352</sup> ამასთან, ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ, სათათბირო ოთახში სხდომის თავმჯდომარე გამოიძახონ. თუმცა, თუ მსაჯულები ჩათვლიან, რომ ისინი საჭიროებენ დამატებით განმარტებებს გასაცემ პასუხებთან, ასევე გამოსაყენებელ სამართლებრივ პრინციპებსა თუ პროცედურასთან დაკავშირებით, ან თუ ისინი მიიჩნევენ, რომ შეკითხვები უნდა შეიცვალოს ან საჭიროა ახალი შეკითხვის დასმა, ისინი უნდა დაბრუნდნენ სასამართლო დარბაზში, რომ შესაბამისი საკითხის განხილვა მხარეების თანდასწრებით გააგრძელონ.<sup>353</sup> ჟენევის კანტონში (შვეიცარია) კი, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე მსაჯულთა დახმარების მიზნით, თათბირში იღებს მონაწილეობას, თუმცა ბრალეულობასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა

---

<sup>351</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 54, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 13. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>352</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 74.

<sup>353</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 54, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 13. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

არ შეუძლია. სასამართლო მდივანი ასევე ესწრება განხილვას, რათა მიღებული გადაწყვეტილებები და დასაბუთების ჩაწერა აწარმოოს.<sup>354</sup>

## 2. საქართველოში მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/ მითითებების მიცემა

როგორც აღინიშნა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავ საპროცესო გარანტიას შეიძლება წარმოადგენდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიწოდებული ახსნა-განმარტებები ან მითითებები.

შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით არჩეულ იქნა ე.წ. ანგლოსაქსური მიდგომა, რომლის მიხედვით, ხდება ერთი ვერდიქტის წარდგენა თითოეული ბრალდების გარშემო, ყოველგვარი დამატებითი ფორმულირებებით.<sup>355</sup> შესაბამისად, საქართველოს სსსკ საკმაოდ დეტალურად არეგულირებს და ადგენს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ და ფაქტობრივ საკითხებზე მსაჯულთათვის განმარტებების წარდგენის შესაძლებლობას და ამ პროცესში მხარეების მონაწილეობას.<sup>356</sup> ასე მაგ.: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე.<sup>357</sup> ანუ, საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს მოსამართლის ვალდებულებას, ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს მათ მიერ გამოსაყენებელი კანონი. ამასთან, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის, რომ

<sup>354</sup> იქვე, paragraph 55.

<sup>355</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46.

<sup>356</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მერიდიანი, 2015, გვ. 732.

<sup>357</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

აღნიშნულს სხდომის თავმჯდომარე მინიმუმ ორჯერ ახორციელებს: პირველად – სხდომის გახსნისას<sup>358</sup> და მეორედ – სათათბირო ოთახში გასვლამდე,<sup>359</sup> რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავ დამატებით საპროცესო გარანტიას წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ადგენს მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მტკიცებულებების შეფასების წესის განმარტების პროცედურას; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი.<sup>360</sup>

შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულებისათვის როგორც სამართლებრივ საკითხებთან, ისე მტკიცებულებებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების მიცემის პროცედურას. უფრო მეტიც: საქართველოს სსსკ დეტალურად განსაზღვრავს გამოსაყენებელ კანონსა და მტკიცებულებების შეფასების წესთან დაკავშირებული განსამარტი საკითხების ჩამონათვალს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს ისეთ სამართლებრივ საკითხებს, როგორიცაა:

1) ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი;<sup>361</sup>

2) ბრალდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დადასტურების აუცილებლობა, ამ ქმედების ობიექტური შემადგენლობის თითოეული ელემენტის არსებობის დამტკიცების ჩათვლით; განზრახვისა და

<sup>358</sup> ანუ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის საწყის ეტაპზე.

<sup>359</sup> ანუ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დასრულების ეტაპზე.

<sup>360</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>361</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

გაუფრთხილებლობის არსი და მნიშვნელობა; მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები;<sup>362</sup>

3) უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება;<sup>363</sup>

4) ის, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს უნდა ემყარებოდეს;<sup>364</sup>

5) ის, რომ სხდომის მიმდინარეობისას ნაფიც მსაჯულებს უფლებათა აქვთ, აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები;<sup>365</sup>

6) თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ვერდიქტის გამოტანის წესი;<sup>366</sup>

7) ის, რომ ჯერ კენჭი უნდა უყარონ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით;<sup>367</sup>

8) ის, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.<sup>368</sup>

საქართველოს სსსკ-ის იგივე მუხლის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს მტკიცებულებებთან დაკავშირებით ისეთ საკითხებს, როგორცაა:

1) მტკიცებულებათა შეფასების ძირითადი წესი;<sup>369</sup>

2) ის, რომ ყოველგვარი გონივრული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება, აგრეთვე გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შინაარსი;<sup>370</sup>

<sup>362</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>363</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>364</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>365</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>366</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>367</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>368</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>369</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

3) ის, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს;<sup>371</sup>

4) ის, რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს; რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით; რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით.<sup>372</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ნაფიც მსაჯულებს განმარტებები წერილობითაც გადაეცემათ,<sup>373</sup> რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას, მუდმივად ჰქონდეთ წვდომა აღნიშნულ ინფორმაციასთან. ეს კი თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავ მყარ საპროცესო გარანტიას წარმოადგენს.

ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განმარტებისას სხდომის თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით თავისი პირადი შეხედულების გამოხატვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება,<sup>374</sup> ხოლო თავად ეს განმარტებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სსსკ-ს და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს.<sup>375</sup>

საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარეს წერილობით დაუსვან დამატებითი შეკითხვები.<sup>376</sup> აღნიშნული უფლებამოსილება ასევე მითითებულია საქართველოს სსსკ-ის 235-ე მუხლში, რომლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, მიიღონ დამატებითი

---

<sup>370</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>371</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>372</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>373</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>374</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>375</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>376</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.



განმარტებები სამართლებრივ საკითხებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით. ასე მაგ.: როგორც წესი, ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, სასამართლოსაგან მიიღოს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტება. თუმცა მას ასევე უფლება აქვს, თავისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს მიიღოს დამატებითი განმარტება კანონის შესახებ.<sup>377</sup> ანალოგიურად, ნაფიცი მსაჯული უფლებამოსილია, მიიღოს როგორც წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ, ისე სასამართლო სხდომის დროს, დამატებითი განმარტება მოწმისაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ხოლო მხარისაგან – დასკვნითი სიტყვის შესახებ.<sup>378</sup> ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლიც ადგენს პროცედურას, რომლის თანახმად, თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში ნაფიცი მსაჯული მიიჩნევს, რომ სჭირდება დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, იგი სხდომის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგენს დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნას შესაბამისი კითხვების მითითებით.<sup>379</sup>

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოსამართლის განმარტებების შემუშავების პროცესში მხარეთა<sup>380</sup> ჩართულობის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლის მიერ შემუშავებული განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს.<sup>381</sup> აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლო

---

<sup>377</sup> იქვე.

<sup>378</sup> იქვე.

<sup>379</sup> იქვე.

<sup>380</sup> საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში მხარეს წარმოადგენს: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.

<sup>381</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

სხდომის თავმჯდომარეს.<sup>382</sup> ეს უფლებამოსილება მნიშვნელოვანია, რადგან მხარეს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს კანონის თაობაზე განმარტებების შექმნის პროცესში და ამ მიზნით მოსამართლეს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები. ამით გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტებების შემუშავებაში მხარის ჩართულობა ფაქტობრივად უზრუნველყოფილია, რაც მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პროცესისათვის აუცილებელ სეგმენტს წარმოადგენს.

ამდენად, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების ან მითითებების მიწოდებასთან, როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავ საპროცესო გარანტიასთან მიმართებით, საქართველოს სსსკ ადგენს შემდეგ პროცედურებს:

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აძლევს განმარტებებს;
2. განმარტებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სსსკ-ს და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს;
3. სხდომის თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით თავისი პირადი შეხედულების გამოხატვა;
4. განმარტებები უნდა გაკეთდეს:
  - ა) გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;
  - ბ) სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესის შესახებ;
5. განსამარტი საკითხების ჩამონათვალი დეტალურად არის განსაზღვრული;
6. განმარტებები უნდა გაკეთდეს მინიმუმ ორჯერ:
  - ა) პირველად – სხდომის გახსნისას;
  - ბ) მეორედ – სათათბირო ოთახში გასვლამდე;
7. ნაფიც მსაჯულებს განმარტებები წერილობითაც გადაეცემათ;
8. ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, მიიღონ დამატებითი განმარტებები:
  - ა) სამართლებრივ საკითხებზე;

---

<sup>382</sup> იქვე.

ბ) მტკიცებულებებთან დაკავშირებით;

9. განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს;

10. მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ნაფიცი მსაჯულებისათვის მოსამართლის მიერ სამართლებრივ და ფაქტობრივ საკითხებზე ობიექტური და მიუკერძოებელი განმარტებების წარდგენის ვალდებულებას და ამ პროცესში როგორც მხარეების ჩართულობას, ისე თავად ნაფიცი მსაჯულების მიერ დამატებითი განმარტებების მოთხოვნის უფლებამოსილებას. ამრიგად, საქართველოს სსსკ-ით დადგენილია ნორმები და განსაზღვრულია პროცედურები, რითაც უზრუნველყოფილია, ქართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის გამომრიცხავი, შესაბამისი საპროცესო გარანტიის არსებობა.

ანალოგიური დასკვნა გაკეთდა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე; კერძოდ: იმის გათვალისწინებით, რომ საქმის არსებითად განხილვისას პროფესიონალი მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს დეტალურად განუმარტავს მოქმედ კანონმდებლობას, სისხლის ბრალდების შინაარსსა და მის სამართლებრივ საფუძველს, მტკიცებულების შეფასების ძირითად წესებს, უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება და, ამასთან, მოსამართლის ინსტრუქციის შემდეგ დაცვისა და ბრალდების მხარეები ზეპირად წარმოადგენენ მტკიცებულებებს, შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სისტემა შესაბამისობაშია როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ*,<sup>383</sup> ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან.<sup>384</sup> ამასთან,

<sup>383</sup> *Taxquet v. Belgium* [GC], N926/05, ECHR 2010.

<sup>384</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სისტემა ითვალისწინებს ორ საშუალებას, რომლებიც, როგორც ხელს უწყობს მსაჯულებს, უკეთ გაიაზრონ სამართალწარმოების პროცესი, ისე, ეხმარება მათ თავიანთი მოვალეობების შესრულებაში; კერძოდ:

ა) მოსამართლე მითითებებს იძლევა წერილობითი ან ზეპირი ფორმით;

ბ) სხდომის მიმდინარეობისას მსაჯულებს აქვთ ჩანაწერების გაკეთების უფლება.<sup>385</sup>

თუმცა სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის სამართლებრივ საკითხებთან/მტკიცებულებებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების/მითითებების მიწოდებასთან, როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავ საპროცესო გარანტიასთან მიმართებით, საქართველოს სსსკ-ში გარკვეული პრობლემები და შეუსაბამობები არსებობს, რაც შემდეგ ქვეპარაგრაფებში დეტალურად იქნება განხილული.

## 2.1. მხარის მიერ მოსამართლის განმარტებებში ცვლილებებისა და

### დამატებების შეტანაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი

საქართველოს სსსკ-ის ზოგიერთ ნორმასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვის ნიშნები არსებობს. ასე მაგ.: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ მის მიერ მომზადებულ გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შუამდგომლობით.<sup>386</sup>

---

პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 80-81. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>385</sup> იხ.: იქვე.

<sup>386</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

ამასთან, საინტერესოა ამ მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადება, რომლის მიხედვით, თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.<sup>387</sup>

შესაბამისად, თუ სათათბირო ოთახში გასვლამდე მხარე არ მიმართავს შუამდგომლობით სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს და არ მოითხოვს მის მიერ მომზადებული გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას, ის კარგავს უფლებას, საკასაციო საჩივრით გაასაჩივროს ამ განმარტებების სამართლიანობა და კანონიერება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიურად წესრიგდება მტკიცებულებების შეფასების წესის შესახებ განმარტებების მიცემის პროცედურაც, რადგან საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე აღნიშნულ განმარტებებს იძლევა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით,<sup>388</sup> ანუ მხარის მიერ საკასაციო საჩივრის წარდგენის შეუძლებლობის შესახებ არსებული წესი ვრცელდება მტკიცებულებების შეფასების წესის შესახებ მოსამართლის მიერ შემუშავებულ განმარტებებზეც.

ერთის მხრივ, შესაძლებელია ითქვას, რომ ეს დანაწესი სამართლიანია, რადგან ზოგადად, თუ საწყის ეტაპზე მხარე უარს აცხადებს რაიმე უფლებით სარგებლობაზე, მას, როგორც წესი, შემდგომში ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს. ანუ ამ შემთხვევაში, რადგან მხარე მოსამართლეს არ მიმართავს გამოსაყენებელი კანონის ან/და სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასებების წესის შესახებ განმარტებებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შუამდგომლობით, მას ერთმევა ამ განმარტებების სამართლიანობასა და კანონიერებასთან დაკავშირებით საკასაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა.

თუმცა, მეორეს მხრივ, ბუნებრივია, დაისმის შეკითხვა, თუ რამდენად სამართლიანია და კანონიერია თავად ეს აკრძალვა და ამით საფრთხე ხომ არ ექმნება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების

---

<sup>387</sup> იქვე.

<sup>388</sup> იქვე.

განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავ შესაბამის საპროცესო გარანტიას?

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, როგორც წესი, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს მიღებული. ზოგადად, სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სსსკ-ისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში.<sup>389</sup> როგორც ცნობილია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე.<sup>390</sup> აღნიშნულით ხაზგასმულია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული ვერდიქტის კანონიერების შეფასების საკითხში, მოსამართლის განმარტებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეს შეუძლია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა.<sup>391</sup> ანუ მოსამართლის განმარტებებისა დაშვებული არსებითი შეცდომა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების საფუძველს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში საჩივრდება.<sup>392</sup> ამდენად, ცალსახაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემული განმარტებების კანონიერებასა და სამართლიანობას.

---

<sup>389</sup> საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>390</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>391</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>392</sup> საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.

შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადების არსებული რედაქცია<sup>393</sup> ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.

ამ სამართლებრივ პრობლემაზე საუბრისას, აღსანიშნავია ფაქტობრივად იდენტურ საკითხთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;<sup>394</sup> კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ნოემბრის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენით ბრალდებული ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და გამართლდა, თუმცა ის ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს და ხელახალი განხილვისა და სასჯელის დანიშვნის მიზნით, მოითხოვეს საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში დაბრუნება. საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი გახლდათ ის, რომ კასატორების მოსაზრებით, სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა, რადგან მან ნაფიც მსაჯულებს არ განუმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის დათქმა, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ

---

<sup>393</sup> თუ მხარე ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე არ მიმართავს მოსამართლეს შუამდგომლობით განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.

<sup>394</sup> იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-05-16.

დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის, რომ მოსამართლემ აღნიშნული განმარტება დროულად გადასცა მხარეებს, თუმცა დაცვის მხარეს განმარტებაში ცვლილების შეტანის შესახებ შუამდგომლობით სხდომის თავმჯდომარისათვის არ მიუმართავს, რის გამოც, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადებიდან<sup>395</sup> გამომდინარე, მოსამართლის განმარტების სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გამხდარიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საფუძველი. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ამ ნაწილში დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.<sup>396</sup>

ამდენად, ფაქტია, რომ მოსამართლის მიერ განმარტებაში შესაძლო შეცდომის დაშვების შემთხვევაში, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადებიდან გამომდინარე, ამ შეცდომის გასწორების სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან ამ შემთხვევაში დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ განიხილება, ანუ ფაქტობრივად საქართველოს სსსკ შესაძლებლობას არ იძლევა, რომ გასწორდეს გამოსაყენებელი კანონისა და მტკიცებულებების შეფასების წესის შესახებ გაკეთებულ განმარტებებში მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა და, რაც მთავარია, მისი თანამდევი შესაძლო კანონსაწინააღმდეგო შედეგი.

ამასთან, მხარემ გასაჩივრების ალტერნატიულ საფუძველად შესაძლებელია საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი<sup>397</sup> გამოიყენოს.

---

<sup>395</sup> თუ მხარე ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე არ მიმართავს მოსამართლეს შუამდგომლობით განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.

<sup>396</sup> იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-05-16.

<sup>397</sup> სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო საქართველოს სსსკ-ის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს.



თუმცა ამ საფუძვლით გასაჩივრების პერსპექტივასთან დაკავშირებით გარკვეული რისკი მაინც არსებობს, რადგან აღნიშნული დარღვევა განპირობებულია მოსამართლის მიერ განმარტებებში დაშვებული იმ შეცდომით, რის გამოც, განმარტებებში ცვლილებების შეტანის შუამდგომლობა მხარეს არ დაუყენებია. შესაბამისად, ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა<sup>398</sup> საკასაციო საჩივრის წარდგენას შეუძლებელს ხდის. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა ანალოგიურ შემთხვევებში შესაძლებელია, მოსამართლის განმარტებებში დაშვებული იყოს ისეთი შეცდომები, რომლებიც ვერდიქტის გამოტანის წესს არ ეხება.<sup>399</sup> მოსამართლის ასეთი შეცდომის გამო, მხარე ვერც ერთი საფუძვლით ვერ წარადგენს საკასაციო საჩივარს, რადგან აღნიშნული შეცდომა საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილ გასაჩივრების საფუძველს არ წარმოშობს. ანუ, დანარჩენ შემთხვევებში მხარის მიერ საკასაციო საჩივრის წარდგენის ალტერნატიული შესაძლებლობა ფაქტობრივად გამორიცხებულია.

ამრიგად, ამ მაგალითის განხილვის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადების არსებული რედაქცია<sup>400</sup> შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რადგან ეს ნორმა არ იძლევა გამოსაყენებელი კანონისა და მტკიცებულებების შეფასების წესის შესახებ განმარტებებში მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომისა და მისი თანამდევ კანონსაწინააღმდეგო შედეგის გასაჩივრების გზით გასწორების შესაძლებლობას. შესაბამისად, სასურველია, აღნიშნულ მუხლში შევიდეს შესწორება და მხარეებს ამ საფუძვლითაც ჰქონდეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების

---

<sup>398</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადება.

<sup>399</sup> მაგ.: მოსამართლემ არასწორად განმარტა გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.

<sup>400</sup> თუ მხარე ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე არ მიმართავს მოსამართლეს შუამდგომლობით განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.

უფლება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებული იქნეს მესამე წინადადება: „თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.“ და საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „აღნიშნული განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს. ისინი უფლებამოსილი არიან სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის შუამდგომლობით.“.

## 2.2. მოსამართლის უფლებამოსილება, განმარტოს

### მტკიცებულებების შეფასების წესი

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ფაქტობრივ საკითხებზე განმარტებების წარდგენის პროცედურა, რომლის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი.<sup>401</sup>

ზოგადად, ასეთი ტიპის განმარტებები მიჩნეულია, როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის გამომრიცხავი, ერთ-ერთი საპროცესო გარანტია. შესაბამისად, ამ პროცედურის არსებობა მნიშვნელოვანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაფიცი მსაჯულებისათვის აუცილებელია მტკიცებულებების შეფასების მარეგულირებელი ნორმების შინაარსის ცოდნა, რათა მათ ვერდიქტი კანონის მოთხოვნების შესაბამისად მიიღონ. ამიტომაც ამ ტიპის ინფორმაციის ნაფიცი მსაჯულებისათვის სრულყოფილად მიწოდება ძალზედ მნიშვნელოვანი პროცედურაა. თუმცა, მეორეს მხრივ, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების არსებულ რედაქციასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვის ნიშნები არსებობს;

<sup>401</sup> საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება.

კერძოდ: აღნიშნულ ნორმაში მითითებულია, რომ მოსამართლე უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს მტკიცებულებების შეფასების წესი, ანუ გამოყენებულია სიტყვა: „უფლებამოსილია“. ეს კი არანაირად არ გულისხმობს აუცილებლად შესასრულებელ დავალებას და ფაქტობრივად ასოცირდება მოსამართლის დისკრეციასთან, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტოს განმარტებების გაკეთების საკითხი; ანუ თავად სხდომის თავმჯდომარემ დაადგინოს, განუმარტოს თუ არა ნაფიც მსაჯულებს მტკიცებულებების შეფასების წესი.

ასეთი შეფასების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც, რომელშიც სიტყვა „უფლებამოსილება“ განმარტებულია, როგორც უფლებების ქონა, უფლებამოსილის მდგომარეობა,<sup>402</sup> ხოლო სიტყვა „ვალდებულება“ – როგორც ის, რაც ვისმე ევალება, ნებაყოფლობით ნაკისრი დავალება; მოცემული პირობის მიხედვით აუცილებლად შესასრულებელი რამ.<sup>403</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითქმის ანალოგიურ შემთხვევაში, ანუ მოსამართლის მიერ გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტებების მიცემის პროცედურის ნაწილში, საქართველოს კანონმდებლობა სიტყვას: „უფლებამოსილება“ არ იყენებს და შესაბამისი ნორმის არსებული რედაქცია ამ ნაწილში იმპერატიული ხასიათისაა; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე.“<sup>404</sup> ფაქტობრივად ასეთივე ვალდებულებითი შინაარსის მატარებელია ის ნორმა, რაც განმარტებების მხარეებისათვის გადაცემის საკითხს აწესრიგებს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს.<sup>405</sup> ანუ ამ ორ ანალოგიურ

---

<sup>402</sup> იხ.: აბაშიძე ირ., მეტრეველი რ., ჩიქობავა არნ., ძიძიგური შ., ჭაბაშვილი მ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986, გვ. 434.

<sup>403</sup> იხ.: იქვე. გვ. 226.

<sup>404</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>405</sup> იქვე.

სიტუაციაში გამოყენებულია სიტყვები: „ამღევს განმარტებებს“ და „უნდა გადაეცეთ“, რაც გულისხმობს აუცილებლად შესასრულებელს და არა უფლების ქონას.

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებაში სიტყვა: „უფლებამოსილია“-ს არსებობის ფაქტი შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რადგან ის ფაქტობრივად ადგენს მოსამართლის დისკრეციას, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს მტკიცებულებების შეფასების წესის თაობაზე განმარტებების გაკეთების საკითხი და არ გულისხმობს ყველა შემთხვევაში ასეთი განმარტებების ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემის ვალდებულებას.

ასევე, სასურველია ამავე წინადადებიდან ამოღებული იქნეს სიტყვა: „მოკლედ“, რადგან სიტყვათა წყობა: „მოკლედ განუმარტოს“ უშვებს ისეთი შემთხვევის არსებობის შესაძლებლობასაც, სადაც გარკვეული მიზეზების გამო, მოსამართლე სრულყოფილად არ განმარტავს მტკიცებულებების შეფასების წესს.<sup>406</sup> აღნიშნული კი, შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლში შევიდეს შესწორება და ამ მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება: „სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი.“ შეიცვალოს რედაქციით:

1. „სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი.“;

<sup>406</sup> ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს მოტივს, თუ რატომ განმარტა არასრულყოფილად მოსამართლემ ეს წესი; მაგ.: შეცდომა დაუშვა, თუ ასეთი განმარტება საკმარისად მიიჩნია.

ანდა შემდეგი რედაქციით:

2. „სხდომის თავმჯდომარე სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს აძლევს განმარტებებს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესის თაობაზე.“.

### 2.3. დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნის შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის გამოსაყენებელი კანონისა და სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესის თაობაზე განმარტებების მიცემის შემდეგ, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, მიიღონ დამატებითი განმარტებები, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამორიცხვისათვის მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა. ნაფიცი მსაჯულების აღნიშნული უფლებამოსილება მითითებულია, მათ შორის, საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში ნაფიცი მსაჯული მიიჩნევს, რომ სჭირდება დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, იგი სხდომის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგენს დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნას შესაბამისი კითხვების მითითებით.<sup>407</sup>

ამასთან, აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსამართლე მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას;<sup>408</sup> ანუ ამ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულის მოთხოვნის დაკმაყოფილება სხდომის თავმჯდომარისათვის სავალდებულო არ არის და ეს მოთხოვნა ფაქტობრივად შუამდგომლობის მსგავსად განიხილება, რაც შეიძლება აღქმული იქნეს ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების შეზღუდვად. მაგრამ, მეორეს მხრივ, დამატებითი განმარტების შესახებ ნაფიცი მსაჯულის მოთხოვნა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია არ ეხებოდეს არც კანონს, არც ფაქტობრივ გარემოებებს და არც დასკვნით სიტყვას ან/და შესაბამისი

<sup>407</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>408</sup> საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლი.

კითხვები არ იყოს ზუსტად ფორმულირებული. ამიტომაც აუცილებელია ასეთი ე.წ. „ფილტრის“ არსებობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნაფიცი მსაჯულების მიერ არარელევანტური ან არასწორად ფორმულირებული კითხვების დასმა.

თუმცა საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლთან მიმართებით პრობლემურია მისი მესამე წინადადება, რომლის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ნაფიც მსაჯულს წერილობითი მოთხოვნის წარდგენა შეუზღუდოს.<sup>409</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნის წარდგენის შეზღუდვა არასწორია, რადგან ამით ნაფიც მსაჯულს ფაქტობრივად ერთმევა უფლება, გაარკვიოს მისთვის ბუნდოვნად დარჩენილი საკითხი. ასეთმა შეზღუდვამ კი, გამორიცხული არ არის, ნაფიცი მსაჯულების მიერ არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვიოს.

ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ბრალდების მხარის მიერ დასკვნითი სიტყვის წარდგენის შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულმა სრულყოფილად ვერ გაიგო, პროკურორი სახელმწიფო ბრალდებას აფუძნებდა თუ არა კონკრეტულ მტკიცებულებას და სურდა, დაეზუსტებინა ეს საკითხი. მაგ.: პროკურორმა ზოგადად მოიხსენია საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე დაკითხული ერთ-ერთი მოწმე, თუმცა ამ მოწმის ჩვენებაზე, როგორც ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, დეტალურად არ უსაუბრია. შესაბამისად, ნაფიცმა მსაჯულმა წერილობით მიმართა მოსამართლეს, რითაც სურდა, მოეთხოვა დასკვნითი სიტყვის შესახებ დამატებითი განმარტება; კერძოდ: ნაფიც მსაჯულს სურდა გაეგო, სათათბირო ოთახში თათბირის დროს, ემსჯელა თუ არა ამ მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობაზე.

ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით ბრალდების მხარემ სხდომის თავმჯდომარეს შუამდგომლობით მიმართა და მოითხოვა ნაფიცი მსაჯულის მიერ წარდგენილი მოთხოვნის შეზღუდვა. პროკურორმა თავისი შუამდგომლობის საფუძველად მიუთითა ის, რომ ამ ნაფიც მსაჯულს მანამდე უკვე რამდენიმე მსგავსი მოთხოვნა

---

<sup>409</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

ჰქონდა წარდგენილი, რომლებიც ან არარელევანტური იყო<sup>410</sup> ან/და მის მიერ წარდგენილი კითხვების ბუნდოვანობის გამო, მოთხოვნის გაგება ვერ მოხერხდა.

მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა გაიზიარა, ნაფიცი მსაჯულის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მას არ მისცა დამატებითი განმარტება. შესაბამისად, ნაფიცმა მსაჯულებმა თათბირის დროს ასევე იმსჯელეს და გამამტყუნებელი ვერდიქტი დააფუძნეს ამ მოწმის ჩვენებას, ანუ იმ მტკიცებულებას, რაც დასკვნითი სიტყვის წარდგენისას, ბრალდების მხარეს მტკიცებულებად არ მიუჩნევია; ე.ი. ნაფიცმა მსაჯულებმა ფაქტობრივად არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

ამრიგად, ამ კონკრეტული მაგალითის განხილვის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლის მესამე წინადადების არსებული რედაქცია<sup>411</sup> შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რადგან ეს ნორმა უსაფუძვლოდ ზღუდავს ნაფიცი მსაჯულის უფლებას, მოითხოვოს დამატებითი განმარტებები. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ნორმაში საუბარია არა წარდგენილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესაძლებლობაზე, არამედ ზოგადად მოთხოვნის წარდგენის შეზღუდვაზე, რაც არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული, თუნდაც ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ან ნაფიც მსაჯულთა თათბირის ვადის შესაძლო გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით იყოს განპირობებული.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლში შევიდეს შესწორება და ამოღებული იქნეს ნაფიცი მსაჯულის დამატებითი განმარტებების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შეზღუდვის შესაძლებლობა; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლიდან ამოღებული იქნეს მესამე წინადადება: „სხდომის

<sup>410</sup> ამ სისხლის სამართლის საქმეს არ ეხებოდა.

<sup>411</sup> სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ნაფიც მსაჯულს წერილობითი მოთხოვნის წარდგენა შეუზღუდოს.

თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუზღუდოს ნაფიც მსაჯულს წერილობითი მოთხოვნის წარდგენა.“ და საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში ნაფიცი მსაჯული მიიჩნევს, რომ სჭირდება დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, იგი სხდომის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგენს დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნას შესაბამისი კითხვების მითითებით. სხდომის თავმჯდომარე ამ კოდექსით დადგენილი წესით, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.“.

#### **2.4. ნაფიცი მსაჯულებისათვის საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება**

სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის სამართლებრივ საკითხებთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით განმარტებების მიცემის პროცედურის ფარგლებში აღსანიშნავია საქართველოს სსსკ-ის 237-ე მუხლი, რომლის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აწვდის ინფორმაციას განსახილველ საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხებზე საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე.<sup>412</sup>

ნაფიცი მსაჯულების ამგვარი ინფორმირება, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია, რათა მათ ჰქონდეთ ბრალდებულთან მიმართებით სრულყოფილი მონაცემები, რაც ვერდიქტის მიღებაში დაეხმარებათ. თუმცა, მეორეს მხრივ, გასარკვევია, თუ რა ტიპის ინფორმაციის მიღება ხდება ამ გზით და ზოგადად, რა მიზანს ემსახურება ამ ინფორმაციის მიწოდება. ამისათვის აუცილებელია დეტალურად შევავსოთ აღნიშნული მუხლით განსაზღვრული დებულებები:

1. საქართველოს სსსკ-ის 237-ე მუხლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულებს სხვა სისხლის სამართლის საქმეში არსებული საპროცესო შეთანხმების შესახებ

---

<sup>412</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.



მიეწოდებათ ინფორმაცია. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება ამ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის საზიანოდ ან სასარგებლოდ არსებული მტკიცებულება.<sup>413</sup> ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, აგრეთვე, საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლი,<sup>414</sup> რომლის თანახმად, ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ნემისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან. ამდენად, ამ ინფორმაციას ამ საქმეში, როგორც წესი, მტკიცებულებითი ძალა ფაქტობრივად არ შეიძლება ჰქონდეს.

2. ეს საპროცესო შეთანხმება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს დაკავშირებული ამ ბრალდებულის მიმართ ამ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ბრალდებასთან. ნებისმიერ შემთხვევაში იგი სხვა სისხლის სამართლის საქმეში ამ ან სხვა პირის ბრალდებასთან მიმართებით უნდა იყოს გაფორმებული. ამასთან, ამ საპროცესო შეთანხმების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის მიზანი ვერ იქნება ბრალდებულის წინა ნასამართლობის, როგორც წარგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშნის<sup>415</sup> დადასტურების განზრახვა, რადგან, ჯერ ერთი: აღნიშნული შემთხვევა მოწესრიგებულია საქართველოს სსსკ-ის სხვა მუხლით;<sup>416</sup> და მეორეც: განაჩენი ნასამართლობაზე, როგორც პრეიუდიცია,<sup>417</sup> ბრალდების მხარემ დაცვის მხარესა და სასამართლოს გაცილებით ადრე და თან სხვა პროცედურით უნდა გადასცეს.<sup>418</sup> შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა სამართლებრივი მიზანი აქვს აღნიშნულ პროცედურას.

---

<sup>413</sup> მაგ.: მოწმის ჩვენება ან ექსპერტიზის დასკვნა.

<sup>414</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>415</sup> მაგ.: განზრახ მკვლელობა, ჩადენილი არაერთგზის; დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

<sup>416</sup> საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლის თანახმად, ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი).

<sup>417</sup> საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>418</sup> საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ

3. საპროცესო შეთანხმება განსახილველ საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხზე უნდა იყოს დამტკიცებული, თუმცა რაში გამოიხატება საქმესთან მისი კავშირის არსებობა, ეს ზუსტად განსაზღვრული არ არის და არაერთგვაროვანი განმარტებების შესაძლებლობას არ გამოირიცხავს.

4. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს „აწვდის“ აღნიშნულ ინფორმაციას, ანუ მუხლის არსებული რედაქცია იმპერატიულად ადგენს ყველა შემთხვევაში მოსამართლის მიერ ასეთი განმარტების მიცემის ვალდებულებას და არ იძლევა სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც ასევე დამატებითი პრობლემის მომტანი შეიძლება იყოს, რადგან ასეთი განმარტებები შესაძლებელია ბრალდებულისათვის საზიანო აღმოჩნდეს.

5. მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ასეთი ტიპის ინფორმაციის მიცემის ვალდებულება დასტურდება ასევე თავად ამ მუხლის<sup>419</sup> სათაურით: „ნაფიცი მსაჯულების სავალდებულო ინფორმირება საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე“.

6. სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის საპროცესო შეთანხმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს; კერძოდ: ამ ინფორმაციით ბრალდების მხარე შეეცადოს, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებაზე არასწორი ზემოქმედება მოახდინოს. ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, სადაც ბრალდებულს ბრალად ედება ჯგუფურად განზრახ მკვლელობის<sup>420</sup> ჩადენის ფაქტი. ამ დანაშაულისათვის ბრალი ორ პირს წაუყენეს, თუმცა გამოძიების ეტაპზე მეორე ბრალდებულმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისი საქმის

---

მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

<sup>419</sup> საქართველოს სსსკ-ის 237-ე მუხლი.

<sup>420</sup> დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

განხილვაზე უარი განაცხადა და გამოძიებასთან ითანამშრომლა. შესაბამისად, ამ სისხლის სამართლის საქმისგან<sup>421</sup> მეორე პირის ბრალდების საქმე გამოყოფილი იქნა და, იმის გათვალისწინებით, რომ მან აღიარა ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ჩადენის ფაქტი, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რაც მოგვიანებით დაამტკიცა სასამართლომ და გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მიმართა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს და მოითხოვა, რომ საპროცესო შეთანხმების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ ნაფიცი მსაჯულებისათვის, რადგან აღნიშნული საპროცესო შეთანხმება განსახილველ საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხზე იყო დადებული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სსსკ-ის 237-ე მუხლის არსებული რედაქცია იმპერატიულად ადგენს მოსამართლის მიერ ყველა შემთხვევაში ასეთი განმარტების მიცემის ვალდებულებას, ვიღებთ სიტუაციას, როდესაც მოსამართლე, სავალდებულო წესით, ნაფიც მსაჯულებს მიაწვდის ინფორმაციას იმ საპროცესო შეთანხმების თაობაზე, სადაც ბრალდებულის თანამონაწილე პირი აღიარებს ჯგუფურად დანაშაულის ჩადენის ფაქტს. ეს კი, ალბათობის მაღალი ხარისხით, ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა თათბირის დროს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად ამ ინფორმაციითაც იხელმძღვანელონ, რაც წესით დაუშვებელია, რადგან ეს ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. აღსანიშნავია ისიც, რომ არც თუ ისე იშვიათად, ასეთი შინაარსის მქონე საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებული პირი, ნებისთ თუ უნებლიედ, ასახელებს მისი თანამონაწილის ვინაობას, რაც ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებაზე ამ გზით არასწორი ზეგავლენის მოხდენის საფრთხის დონეს კიდევ უფრო ზრდის.

ამრიგად, ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი მიზნის მიღწევას

---

<sup>421</sup> ანუ ე.წ. „ძირითადი“ საქმისგან.

ემსახურება საქართველოს სსსკ-ის 237-ე მუხლის არსებული რედაქცია.<sup>422</sup> ამასთან, შესაბამისი კონკრეტული მაგალითის განხილვის შედეგად, ნათელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის აღნიშნული მუხლი შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რადგან ეს ნორმა სხდომის თავმჯდომარეს ავალდებულებს, ნაფიც მსაჯულებს მიაწოდოს ინფორმაცია, რაც შესაძლებელია ბრალდებულისათვის უსაფუძვლოდ ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

შესაბამისად, სასურველია, რომ საქართველოს სსსკ-იდან 237-ე მუხლი ამოღებული იქნეს.

## **2.5. ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების თაობაზე ნაფიცი მსაჯულების ინფორმირება**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის გამომრიცხავი საპროცესო გარანტიის არსებობისათვის ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.<sup>423</sup>

საინტერესოა, რომ აღნიშნული მუხლი, ერთი შეხედვით, ნაფიცი მსაჯულებისათვის ინფორმაციის მიცემის პროცედურას კი არ განსაზღვრავს, არამედ,

<sup>422</sup> სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აწვდის ინფორმაციას განსახილველ საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხებზე საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე.

<sup>423</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

პირიქით, გარკვეულ შემთხვევებში ასეთი ინფორმაციის მიწოდების აკრძალვას ახდენს; მაგ.: ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ.

ზოგადად, აღნიშნული შეზღუდვა მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი ტიპის ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლებელია, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებაზე არასწორი ზეგავლენა მოახდინოს. ასე მაგ.: იმის დასასაბუთებლად, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა, ბრალდების მხარემ ასევე მიუთითოს ბრალდებულის ადრინდელ ნასამართლობაზე.<sup>424</sup> ბუნებრივია, ასევე სამართლიანია, რომ ნაფიც მსაჯულებს არ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ნემისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

თუმცა საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლი ადგენს საერთო წესიდან გამონაკლისებს, ანუ როდესაც ნაფიცი მსაჯულებისათვის ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვა არ ვრცელდება ორ შემთხვევაზე:

1. თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი;
2. თუ გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად.

ზემოაღნიშნული პირველი საგამონაკლისო შემთხვევის დაშვება გასაგებია, რადგან ბრალდების მხარეს განაჩენი ნასამართლობაზე, როგორც პრეიუდიცია,<sup>425</sup> დაცვის მხარისა და სასამართლოსათვის ისედაც უნდა ჰქონდეს გადაცემული; კერძოდ: წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე.<sup>426</sup> ამ წესის

---

<sup>424</sup> ანუ იმ ფაქტზე, რომ ბრალდებულს მანამდეც ჩაუდენია დანაშაული.

<sup>425</sup> საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>426</sup> საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის<sup>427</sup> თანახმად, ბრალდებულის ადრინდელი განაჩენი ნასამართლობაზე დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება მიჩნეული და გინდაც მოგვიანებით, საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლის შესაბამისად, მოხდეს ამ ფაქტის თაობაზე ნაფიცი მსაჯულების ინფორმირება, ეს არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ამ ინფორმაციას მტკიცებულების ძალა მიენიჭოს და ჩაითვალოს წარდგენილი ბრალდების მაკვალიფიცირებელი ნიშნის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

რაც შეეხება მეორე საგამონაკლისო სიტუაციას, როდესაც ნაფიცი მსაჯულებისათვის ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია, თუ ეს გამიზნულია ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად.

ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რა სამართლებრივი მიზანი აქვს ასეთი ტიპის ინფორმაციის ნაფიცი მსაჯულებისათვის მიწოდებას, რადგან ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად. უფრო მეტიც, თეორიულადაც კი, თითქმის წარმოუდგენელია რაიმე კავშირის აღმოჩენა ამ ორ მოცემულობას შორის;<sup>428</sup> ზოგიერთ შემთხვევაში კი, ამან შეიძლება ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას გარკვეული საფრთხე შეუქმნას. ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს იმ ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც მანამდე ნასამართლევა. საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე, მტკიცებულებების გამოკვლევისას, ბრალდებული დაიკითხა, რომელმაც მის

---

<sup>427</sup> ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

<sup>428</sup> მაგ.: დავუშვათ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომაზე ბრალდებულმა დაკითხვისას განაცხადა, რომ ნასამართლევი არ ყოფილა; აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი, ბრალდების მხარემ მის მიმართ წინათ გამოტანილი განაჩენი წარმოადგინა. მაგრამ თუ ამ განაჩენს ამ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს, ის ხომ მანამდე (კერძოდ: წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე) ისედაც უნდა იყოს საქმეში წარდგენილი?

მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ აღიარა. ამის საპასუხოდ, სახელმწიფო ბრალმდებელმა დასკვნითი სიტყვისას, ნაფიც მსაჯულებს აცნობა ბრალდებულის ნასამართლობის შესახებ, რაც დაასაბუთა იმით, რომ აღნიშნული ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად იყო გამიზნული.

პირველ რიგში, თითქმის შეუძლებელია, პროკურორმა რაიმე სახით დააკავშიროს ერთმანეთთან ამჟამად განსახილველი სისხლის სამართლის საქმე და ბრალდებულის წინა ნასამართლობის ფაქტი, რადგან ნაფიცი მსაჯულების მიერ განსახილველი საქმისათვის არანაირი მტკიცებულებითი მნიშვნელობა ამ პირის მიმართ მანამდე გამოტანილ განაჩენს არ გააჩნია. თუმცა, მეორეს მხრივ, პროკურორი შეიძლება, შეეცადოს ბრალდებულის საზიანოდ გამოიყენოს მისი ადრინდელი ნასამართლობა; მაგ.: სახელმწიფო ბრალმდებელმა მიუთითოს, რომ ბრალდებული მანამდე მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევი ანდა ნასამართლევია ცრუ ჩვენების მიცემისათვის,<sup>429</sup> რითაც პროკურორი ფაქტობრივად ცდილობს, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა თათბირის დროს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად ამ ინფორმაციითაც იხელმძღვანელონ<sup>430</sup>, რაც წესით დაუშვებელია, რადგან ეს ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ამრიგად, ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი მიზნის მიღწევას ემსახურება საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლში არსებული წინადადება: „გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად“. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული წინადადება შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი იყოს, რადგან მისი თანამდევი შედეგი შეიძლება ბრალდებულისათვის უსაფუძვლოდ ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

<sup>429</sup> დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

<sup>430</sup> ანუ ის, რომ ბრალდებული „მიდრეკილია“ ასეთი დანაშაულების ჩადენაში, ანდა ბრალდებული იტყუება, რადგან ადრე ნასამართლევია ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

შესაბამისად, სასურველია, რომ საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლიდან ამოღებული იქნეს სიტყვები: „ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად“ და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი), აგრეთვე ნემისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.“.



## თავი V. ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრება

ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების უფლების არსებობის ფაქტი სამართალწარმოებისას თვითნებობის საფრთხის აღმკვეთი ერთ-ერთი საპროცესო გარანტიაა, რაც, თავის მხრივ, ბრალდებულისთვის ქმნის შესაძლებლობას, გაიგოს ის, თუ რატომ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ.

### 1. ნაფიცი მსაჯულების რაოდენობა

განაჩენის გასაჩივრების პროცედურების შეფასებამდე, სასურველია, განხილული იქნეს, თუ როგორ იღებს ვერდიქტს და ნიშნავს სასჯელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხის გარკვევამდე საინტერესოა, თუ რამდენი მსაჯულისგან შედგება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თანამედროვე პერიოდში, რასაც, თავის მხრივ, ვერდიქტის მიღების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველეს წინაპრად მიჩნეული, ძველ ათენში არსებული დიკასტერია 5000 ძირითადი და 1000 სათადარიგო მოსამართლისაგან შედგებოდა, რომელთაც ირჩევდნენ 30 წელს მიღწეული მოქალაქენი, ერთი წლის ვადით;<sup>431</sup> თუმცა ისტორიულად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების რაოდენობა 12 იყო.<sup>432</sup>

დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების უმრავლესობაში მსაჯულთა რაოდენობა თორმეტით განისაზღვრება; ასე მაგ.: ავსტრალიაში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში 12 ნაფიცი მსაჯული მონაწილეობს.<sup>433</sup> ავსტრალიის კონსტიტუციის მე-80 მუხლის

---

<sup>431</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 11.

<sup>432</sup> *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States – Third Edition, West Group, 2003, p. 299.

<sup>433</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 40-41.

თანახმად, ნებისმიერი ბრალდების საქმე სასამართლოში მსაჯულების მონაწილეობით უნდა განიხილებოდეს. ამასთან, პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 1841 წლის აპრილში, ქალაქ ბერიმაში<sup>434</sup> შედგა.<sup>435</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ირლანდიაშიც 12 მსაჯულისგან შედგება,<sup>436</sup> რომლებსაც მსაჯულთა კანდიდატების რიცხვიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არჩევს ოლქის არქივარიუსი, ხოლო მსაჯულთა კანდიდატები საარჩევნო სიიდან შეირჩევიან.<sup>437</sup> ირლანდიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ხელმისაწვდომია სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე ცილისწამების საქმეებზე.<sup>438</sup> თუმცა კონკრეტული ტერორისტული და ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევაში, გენერალურ პროკურორს შეუძლია გასცეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ბრალდებული გასამართლდეს სპეციალურ სისხლის სამართლის სასამართლოში<sup>439</sup>. ამ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულების ნაცვლად, სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლო სამი მოსამართლისგან შედგება, რომელთაგან ერთი რაიონული სასამართლოდანაა, ერთი – საოლქო, ხოლო ერთიც – უმაღლესი სასამართლოდან.<sup>440</sup>

ინგლისში, 1981 წლიდან კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ხდება საარჩევნო სიიდან 12 ნაფიცი მსაჯულის შემთხვევითი შერჩევა.<sup>441</sup> დანიაში ნაფიც

---

<sup>434</sup> ახალი სამხრეთ უელსის შტატი ავსტრალიაში.

<sup>435</sup> *ბეჟამვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 40.

<sup>436</sup> *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 117.

<sup>437</sup> *ბეჟამვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 45.

<sup>438</sup> იქვე.

<sup>439</sup> რაც სპეციალური იურისდიქციის სასამართლოს გულისხმობს.

<sup>440</sup> *ბეჟამვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 46.

<sup>441</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40. იხ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

მსაჯულთა სასამართლოში სამი მოსამართლე და 12 ნაფიც მსაჯულია,<sup>442</sup> ხოლო სასამართლო განსჯადობა ვრცელდება საქმეებზე, სადაც პროკურორი მოითხოვს 4 წელზე მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას.<sup>443</sup> რუსეთში კი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ერთი მოსამართლისა და 12 მსაჯულის მონაწილეობით განიხილავს სისხლის სამართლის რთული კატეგორიის საქმეებს, თუ ამას შუამდგომლობს ბრალდებული.<sup>444</sup>

კანადური ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყოველთვის 12 მსაჯულის მონაწილეობას გულისხმობს,<sup>445</sup> სათადარიგო მსაჯულების გარეშე. სასამართლოში საქმის განხილვისას მსაჯულის ჩამოშორების შემთხვევაში, თუ მსაჯულთა რაოდენობა ათამდე შემცირდება, სასამართლო განხილვა გრძელდება.<sup>446</sup> 1982 წელს მიღებული კანადის კონსტიტუციური კანონის – უფლებათა და თავისუფლებათა კანადური ქარტიის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, რომელიც ისჯება ხუთი წლით ან მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით,<sup>447</sup> სარგებლობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებით.<sup>448</sup> თუმცა

---

<sup>442</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 72.

<sup>443</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 23.

<sup>444</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 76.

<sup>445</sup> *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 110.

<sup>446</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 44.

<sup>447</sup> გარდა იმ დანაშაულებისა, რომლებიც სამხედრო კანონმდებლობის მიხედვით, სამხედრო სასამართლოების განსჯადობას ექვემდებარება.

<sup>448</sup> Canadian Chapter of Rights and Freedoms, Art. 11. იხ.: <http://www.efc.ca/pages/law/chapter/chapter.text.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

კანადის სისხლის სამართლის კოდექსი უფრო ნაკლები სიმძიმის დანაშაულებისთვისაც უშვებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯადობას.<sup>449</sup>

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ნაფიცი მსაჯულებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრინციპების მიხედვით,<sup>450</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიცი მსაჯულების სასამართლო უნდა შედგებოდეს:

1) თორმეტი ადამიანისგან, თუ სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვს თვეზე მეტი ვადით; ანუ ე.წ. Felonies<sup>451</sup> საქმეები;

2) სულ მცირე ექვსი ადამიანისგან, თუ სასჯელის მაქსიმალური ზომა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვის ან უფრო ნაკლები ვადით; ანუ ე.წ. Misdemeanor<sup>452</sup> საქმეები.<sup>453</sup>

---

<sup>449</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 25. იხ.: Criminal Code of Canada. იხ.: <http://www.efc.ca/pages/law/cc/cc.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>450</sup> პრინციპი 3-B-C.

<sup>451</sup> სისხლის სამართლის სერიოზული დანაშაულის ძველი სახელწოდება. იხ.: *ქოლინი პ., ჭანტურია ლ., კვაჭაძე მ., პაპავა ვლ.*, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, მეორე ქართული ჩასწორებული, შევსებული და დამატებული გამოცემა, პროფესიული ლექსიკონების სერია 2004–013, რევაზ ბერულავას გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“, 2004, გვ. 243. Felony ასევე განიმარტება როგორც დანაშაული, რომელშიც ხშირად ჩართულია ძალადობა და რომელიც განიხილება როგორც უფრო სერიოზული დანაშაული, ვიდრე Misdemeanour, და რომელიც, როგორც წესი, ისჯება 1 წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთით ან სიკვდილით. იხ. *Feinman J. M.*, 1001 Legal Words You Need to Know, Oxford University Press, 2005, p. 72.

<sup>452</sup> წვრილმანი დანაშაული. იხ.: *ქოლინი პ., ჭანტურია ლ., კვაჭაძე მ., პაპავა ვლ.*, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, მეორე ქართული ჩასწორებული, შევსებული და დამატებული გამოცემა, პროფესიული ლექსიკონების სერია 2004–013, რევაზ ბერულავას გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“, 2004, გვ. 369. Misdemeanor (ბრიტანულად Misdemeanour) ასევე განიმარტება როგორც დანაშაული, რომელიც განიხილება აშშ-ში (და ადრე გაერთიანებულ სამეფოში) როგორც ნაკლებად სერიოზული დანაშაული, ვიდრე Felony. იხ.: *Feinman J. M.*, 1001 Legal Words You Need to Know, Oxford University Press, 2005, p. 124.

<sup>453</sup> *American Bar Association*, Principles for Juries and Jury Trials, August 2005, p. 15. იხ.: <http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAJuryprinciples.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვერდიქტის გამოტანამდე ნებისმიერ დროს, მხარეები, სასამართლოს ნებართვით, შეიძლება ნაფიცი მსაჯულების ნაკლებ რაოდენობაზე შეთანხმდნენ, თუმცა არავითარ შემთხვევაში მათი რაოდენობა ექვსზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო არ უნდა დაეთანხმოს ამგვარ შეთანხმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული, მას შემდეგ, რაც სასამართლო განუმარტავს უფლებას, გასამართლდეს სრული შემადგენლობის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ და ასევე ამ უფლების უარყოფის შედეგებს, ამ უფლებაზე უარს პირადად განაცხადებს.<sup>454</sup>

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, იმისათვის, რომ მეექვსე შესწორების მოთხოვნა დაცულ იქნეს, შტატის სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა კორპუსი მინიმუმ 6 მსაჯულისგან უნდა შედგებოდეს.<sup>455</sup> თუმცა შტატის სასამართლო ორგანიზაციის 2011 წლის სპეციალური ანგარიშის თანახმად, აშშ-ის 51-ივე შტატის საერთო იურისდიქციის სასამართლოებში ე.წ. Felonies საქმეები ყველა შემთხვევაში<sup>456</sup> 12 ნაფიცი მსაჯულის შემადგენლობით განიხილება. რაც შეეხება ე.წ. Misdemeanor საქმეების განხილვის სტატისტიკას: 50 შტატიდან შესაბამისი საქმეების 64% იხილება 12 ნაფიცი მსაჯულის შემადგენლობით, საქმეების 30% – 6 ნაფიცი მსაჯულის შემადგენლობით, ხოლო საქმეების 6% – სხვა რაოდენობის შემადგენლობით.<sup>457</sup> აღნიშნული სტატისტიკა შესაძლებელია იმითაც აიხსნას, რომ მრავალრიცხოვანი მსაჯულთა სასამართლო უფრო ხანგრძლივად თათბირობს და ნაფიც მსაჯულებს უფრო დეტალურად ახსოვთ სასამართლოზე მოსმენილი ჩვენებები. ამგვარად, მეტი ალბათობაა, რომ თორმეტი ადამიანი უფრო სწორ შედეგს მიიღებს.<sup>458</sup>

---

<sup>454</sup> იქვე.

<sup>455</sup> იხ.: *Ballew v. Georgia*, 435 U.S., 1978, 223.

<sup>456</sup> ანუ შემთხვევების 100%.

<sup>457</sup> *Malega R., Cohen Th. H.*, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics, State Court Organization, 2011, Special Report. November 2013, p. 10. იხ.: <https://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco11.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>458</sup> *American Bar Association, Principles for Juries and Jury Trials*, August 2005, p. 16. იხ.:

ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში მსაჯულები განსხვავებული რაოდენობით არიან წარმოდგენილები. დადგენილი სასამართლო პროცედურის შესაბამისად, კოლეგია შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე მოსამართლისა და ცალკეულ შემთხვევებში დადგენილი თანაფარდობის გათვალისწინებით – 6, 9, 12 ან 24 ნაფიცი მსაჯულის შემადგენლობით. ამასთან, შესაძლებელია ითქვას, რომ ქვეყნებს შორის ამ მიმართებით ერთნაირი მიდგომა ან საერთო წესი არ არსებობს. მაგ.: საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საქმე განიხილება 3 მაგისტრატისა და 9 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით<sup>459</sup> იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია მძიმე დანაშაული, რისთვისაც სასჯელის სახით შესაძლოა, განისაზღვროს პატიმრობა 10 წელიწადზე მეტი ხნის ვადით.<sup>460</sup> შოტლანდიაში ნაფიც მსაჯულთა ჟიური სამოქალაქო საქმეებზე 15 წევრისგან შედგება, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე – 12 წევრისგან.<sup>461</sup>

ესპანეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 9 ნაფიცი და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან შედგება;<sup>462</sup> ფრანკოს დიქტატურის შემდეგ, 1978 წლის კონსტიტუციამ დაუშვა მსაჯულთა ინსტიტუტი;<sup>463</sup> კერძოდ: კონსტიტუციის 125-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს მოქალაქეებს, ნაფიც მსაჯულთა სახით

---

<http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAjuryprinciples.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>459</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 47.

<sup>460</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 49.

<sup>461</sup> იქვე. გვ. 26.

<sup>462</sup> *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 320.

<sup>463</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 53.

მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ,<sup>464</sup> ხოლო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უშუალოდ რეგულირდება 1995 წლის ორგანული კანონით ნაფიც მსაჯულთა ტრიბუნალის შესახებ, რომლის მიხედვით, აღნიშნული სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება პიროვნების, პატივისა და ღირსების, ადამიანის სხვა უფლებებისა და თავისუფლებების, უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ასევე თანამდებობრივი დანაშაულები და განზრახ ცეცხლის წაკიდებით ჩადენილი დანაშაულები.<sup>465</sup>

შვედეთში მსაჯულებს 6 წლის ვადით ირჩევს კომუნის კრება;<sup>466</sup> პორტუგალიაში კი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „კოლექტიური სასამართლო“ მოსამართლეებისა<sup>467</sup> და ოთხი ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება.<sup>468</sup>

იტალიაში სააპელაციო სასამართლოში ცალკე სექციის სახით იქმნება ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, რომელიც უფლებამოსილია, აპელაციის წესით განიხილოს ქვედა რგოლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე შეტანილი საჩივრები; ქვედა რგოლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში კი, საქმეს ორი პროფესიონალი მოსამართლე და ექვსი არაპროფესიონალი<sup>469</sup> მოსამართლე იხილავს.<sup>470</sup> იტალიაში მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებიც ითვალისწინებს მაქსიმუმ 24-წლიან ან სამუდამო პატიმრობას და ასევე, სისხლის სამართლის სხვა სერიოზული

---

<sup>464</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 151.

<sup>465</sup> იქვე.

<sup>466</sup> იქვე. გვ. 150.

<sup>467</sup> „კოლექტიური სასამართლო“ სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შედგება.

<sup>468</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 337.

<sup>469</sup> ე.წ. „სახალხო“.

<sup>470</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 151.

დანაშაულები; კერძოდ: ტერორიზმის დანაშაული, განზრახი და არაგანზრახი მკვლელობა, სახელმწიფო მოღვაწე პირზე თავდასხმა სიცოცხლის ხელყოფის მიზნით, ისევე როგორც სამართლის სხვა საკითხები,<sup>471</sup> რომლებიც ეთიკურ და პროფესიულ შეფასებას საჭიროებს.<sup>472</sup>

იაპონური სისტემა ამ მხრივ განსაკუთრებულია, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაშია ექვსი მსაჯული, რომლებიც საზოგადოების წევრებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არიან შერჩეული და ასევე – სამი პროფესიონალი მოსამართლე;<sup>473</sup> თუმცა იმ საქმეებზე, სადაც ბრალეულობის შესახებ არსებითი დავა არ მიმდინარეობს, სასამართლო შემადგენლობა 4 არაპროფესიონალი და ერთი პროფესიონალი მოსამართლისაგან შედგება.<sup>474</sup> 2004 წლის 28 მაისს, იაპონიის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, შერჩეულ მოქალაქეებს, როგორც მსაჯულებს მძიმე სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება მოეთხოვებათ.<sup>475</sup>

ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში მსაჯულები განსხვავებული რაოდენობით არიან წარმოდგენილნი და ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი დამოკიდებულება არ არსებობს.

უმეტეს ქვეყნებში მოქმედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მსგავსად, საქართველოშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა 12 მსაჯულით განისაზღვრება. საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან შედგება;<sup>476</sup> თუმცა საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია მიიღოს

---

<sup>471</sup> მაგ.: ევთანაზია.

<sup>472</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 52.

<sup>473</sup> იქვე. გვ. 69.

<sup>474</sup> იქვე. გვ. 71.

<sup>475</sup> იქვე. გვ. 70.

<sup>476</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.



გადაწყვეტილება უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ.<sup>477</sup> აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეები, როგორც წესი, ორ სათადარიგო მსაჯულს ამტკიცებენ, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც მათი რაოდენობა სამით განისაზღვრება.

## 2. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა თათბირისას მსაჯულის სათადარიგო მსაჯულით შეცვლა

როგორც აღინიშნა,<sup>478</sup> საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც წესი, 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულების შერჩევა საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე ხდება, შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ეტაპზე წარმოიშვას საქმეში მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება<sup>479</sup> ან სხვა მიზეზის გამო ვერ შეძლოს ნაფიცმა მსაჯულმა საქმის განხილვაში მონაწილეობის გაგრძელება.<sup>480</sup> სწორედ ამ მიზნით არის განპირობებული სისხლის სამართლის პროცესში სათადარიგო მსაჯულის ინსტიტუტის არსებობა, რათა მან საქმიდან დათხოვნილი ნაფიცი მსაჯული ჩაანაცვლოს და შესაბამისად, საქმის განხილვა გაგრძელდეს.

აღნიშნული მიზნის რეალიზაციის შესაძლებლობა ფაქტობრივად მოცემულია საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომლის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისას, მსაჯულის მიერ კანონის სხვადასხვა ფორმით აშკარად დარღვევის შემთხვევაში, მოსამართლე აფრთხილებს მას, ხოლო მსაჯულის მიერ დარღვევის განმეორებისას, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს

---

<sup>477</sup> საქართველოს სსსკ-ის 224-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>478</sup> იხ.: ამ თავის პირველი პარაგრაფი.

<sup>479</sup> მაგ.: სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ნაფიცი მსაჯული ადვოკატი გახდა, რაც საქართველოს სსსკ-ის 30-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, შეუთავსებლობის საფუძველია.

<sup>480</sup> მაგ.: სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ნაფიცი მსაჯულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

იგი და სათადარიგო მსაჯულით შეცვალოს.<sup>481</sup> ამასთან, თუ წარმოიქმნა ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ვალდებულება და სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოწურული აღმოჩნდა, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.<sup>482</sup>

ამდენად, თუ ვიღებთ შემთხვევას, როდესაც საქმიდან დათხოვნილი ნაფიცი მსაჯულის ჩანაცვლება შეუძლებელია იმის გამო, რომ სათადარიგო მსაჯულების შემადგენლობა ამოწურულია, მაშინ ნაფიც მსაჯულთა არსებული შემადგენლობის დათხოვნა და ახალი შემადგენლობის შერჩევა ლოგიკურია და წარმოშობილი პრობლემის გადაჭრის ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს სსსკ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის შემცირების შესაძლებლობას ითვალისწინებს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.<sup>483</sup> შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული წესი, რომელიც ნაფიცი მსაჯულის დათხოვნისას მოსამართლეს ავალდებულებს, დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა იმ შემთხვევაში, თუ სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოწურულია, შესაძლებელია, გარკვეულწილად თანხვედრაში არ იყოს საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებებთან.

ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

---

<sup>481</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>482</sup> საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>483</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის<sup>484</sup> საქმის განხილვის მიზნით ჩატარებულ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე მოსამართლემ დაამტკიცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 12 ნაფიცი მსაჯულისა და 2 სათადარიგო მსაჯულის შემადგენლობით. სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე 2 ნაფიცი მსაჯულის ჩანაცვლების აუცილებლობა<sup>485</sup> დადგა, რის გამოც, მოსამართლემ ისინი სათადარიგო მსაჯულებით შეცვალა. ამდენად, სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოიწურა; თუმცა საქმის განხილვა გაგრძელდა, რომლის დასრულების შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტის მისაღებად სათათბირო ოთახში გავიდნენ. ნაფიცი მსაჯულების თათბირისას, ერთმა მსაჯულმა ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, რაც უფროსმა მსაჯულმა დაუყოვნებლივ აცნობა მოსამართლეს. სხდომის თავმჯდომარემ გააფრთხილა ნაფიცი მსაჯული, თუმცა მან ხმის მიცემისაგან ისევ შეიკავა თავი. დარღვევის განმეორების გამო, მოსამართლემ დაითხოვა იგი, თუმცა ვერ შეძლო მისი სათადარიგო მსაჯულით შეცვლა, რადგან სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოწურული იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება; კერძოდ:

1. მართალია, ნაფიცი მსაჯულების რაოდენობა 11-მდე შემცირდა, რაც საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მათი სრული შემადგენლობის დათხოვნის აუცილებლობას წარმოშობს, მაგრამ საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეების განხილვისას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ათზე ნაკლები მსაჯული; ანუ საქართველოს სსსკ-ის

---

<sup>484</sup> მაგ.: განზრახ მკვლელობა – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

<sup>485</sup> მაგ.: ერთი ნაფიცი მსაჯული გამომძიებლად დაინიშნა, მეორე კი – უეცრად გარდაიცვალა.

27-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამ შემთხვევაში, ადგენს ნაფიცი მსაჯულების თათბირის გაგრძელებისა და ვერდიქტის გამოტანის შესაძლებლობას.

2. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს სსსკ-ის 232-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა ამ კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, სხდომის თავმჯდომარე იწყებს მსაჯულთა ხელახალ შერჩევას და საქმის განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით იწყება თავიდან.<sup>486</sup> შესაბამისად, ამ მუხლის თანახმად, მსაჯულთა ხელახალი შერჩევა უნდა დაიწყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა ამ კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე, ანუ საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ რაოდენობაზე, ნაკლები აღმოჩნდება.

3. ნაფიც მსაჯულთა არსებული შემადგენლობის სრულად დათხოვნა და მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღის დანიშვნა ფაქტობრივად საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას იწვევს, რადგან ახალი მსაჯულების შერჩევას, მათ მიერ საქმის არსებითად განხილვასა და ვერდიქტის მიღებას, როგორც წესი, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება; ამან კი, თავის მხრივ, შესაძლებელია დამატებით სხვა სამართლებრივი პრობლემები შექმნას. მაგ.: დაირღვეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ვადა;<sup>487</sup> დადგეს ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული პატიმრობის<sup>488</sup> ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საკითხი და ა.შ.

ამრიგად, ამ შემთხვევის განხილვის შედეგად, ნათელია, რომ საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული მოსამართლის ვალდებულება, ნაფიცი მსაჯულის დათხოვნისას, თუ სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა

---

<sup>486</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>487</sup> საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

<sup>488</sup> საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

ამოწურული აღმოჩნდება, დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა, ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 232-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რომლებიც ამ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულების თათბირის გაგრძელებისა და ვერდიქტის გამოტანის შესაძლებლობას ადგენენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილის არსებულ რედაქციაში შევიდეს ცვლილება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის მე-4 ნაწილის ბოლო წინადადება: „თუ წარმოიქმნა ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ვალდებულება და სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოწურული აღმოჩნდა, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.“ შეიცვალოს წინადადებით: „თუ წარმოიქმნა ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ვალდებულება და ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა ამ კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.“ და საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თითოეული ნაფიცი მსაჯული გამოხატავს საკითხისადმი თავის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას. ნაფიც მსაჯულს უფლება არა აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ნაფიცი მსაჯული ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მოსამართლეს, თუ რომელიმე მსაჯული თავს იკავებს ხმის მიცემისაგან, მოსამართლის მიერ მიცემულ მითითებებს უგულებელყოფს, იმ მტკიცებულებას ითვალისწინებს, რომელიც სასამართლოში არ გამოკვლეულა, აშკარა მიკერძოებას გამოხატავს ან/და სხვაგვარად აშკარად არღვევს კანონს. ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია გააფრთხილოს ნაფიცი მსაჯული, ხოლო მის მიერ დარღვევის განმეორებისას დაითხოვოს იგი და სათადარიგო მსაჯულით შეცვალოს. თუ წარმოიქმნა ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ვალდებულება და ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა ამ კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული

შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.“.

## 2.1. სათათბირო ოთახში სათადარიგო მსაჯულის ყოფნა

როგორც უკვე აღინიშნა,<sup>489</sup> ნაფიც მსაჯულთა თათბირის დროს, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯული შესაძლებელია სათადარიგო მსაჯულით შეიცვალოს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადგილზე თათბირით ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღება დაუშვებელია, რადგან სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მიღების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად;<sup>490</sup> ანუ ყველა შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულების თათბირი უნდა გაიმართოს სათათბირო ოთახში.

ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ დღეის მდგომარეობით, სათათბირო ოთახში სათადარიგო მსაჯულის ყოფნა დაუშვებელია, რადგან საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა გარდა, არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.<sup>491</sup> შესაბამისად, როდესაც ნაფიც მსაჯულთა თათბირისას, მოსამართლე დაითხოვს მსაჯულს და მას სათადარიგო მსაჯულით შეცვლის, მაშინ სამართლებრივი პრობლემა წარმოიქმნება; კერძოდ:

1. ნაფიც მსაჯულთა თათბირის მიმდინარეობისას სათადარიგო მსაჯულის სათათბირო ოთახში არ ყოფნის ფაქტი ფაქტობრივად თათბირის თავიდან დაწყების ვალდებულებას წარმოშობს, რადგან სათადარიგო მსაჯულისთვის უცნობია სათათბირო ოთახში მის არყოფნამდე მიმდინარე თათბირის დეტალები; მაშინ როდესაც, სათადარიგო მსაჯულის სათათბირო ოთახში თათბირის დაწყებიდანვე

<sup>489</sup> იხ.: ამ თავის მე-2 პარაგრაფი.

<sup>490</sup> საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>491</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

ყოფნის შემთხვევაში, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა თათბირი გაგრძელდება და მისი თავიდან დაწყების ვალდებულება არ წარმოიშობა.

2. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირის ვადა შეზღუდულია.<sup>492</sup>

3. სათათბირო ოთახში ნაფიცი მსაჯულის სათადარიგო მსაჯულით შეცვლის გამო, თათბირის ვადის თავიდან ათვლის შესაძლებლობას საქართველოს სსსკ არ ითვალისწინებს.

4. ამასთან, 2017 წლის 1 იანვრამდე არსებული საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სათათბირო ოთახში ნაფიც მსაჯულთა გარდა, სათადარიგო მსაჯულებიც იმყოფებოდნენ.<sup>493</sup>

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ირინა აქუბარდიას მოსაზრებით, 2017 წლის 1 იანვრამდე არსებული საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილი დახვეწას საჭიროებდა, რადგან სათათბირო ოთახში არ უნდა იმყოფებოდეს სათადარიგო მსაჯული. მას ხმის მიცემის უფლება არა აქვს. იგი სხდომის დარბაზში იმყოფება, რომ შეცვალოს რომელიმე ნაფიცი მსაჯული, თუ დადგება ასეთი შეცვლის აუცილებლობა სხდომის დასრულებამდე და არა სათათბირო ოთახში.<sup>494</sup>

ზოგადად, ნაფიცი მსაჯულების მიმართ მოქმედებს პრინციპი, რომელიც ადგენს, რომ მათი თათბირი და შესაბამისი გადაწყვეტილების მოტივაცია არის საიდუმლო, რაც არის ფუნდამენტური გარანტია, რადგან მასზე დგას მთლიანად ინსტიტუტის გამართული საქმიანობა. ამის გამართლებაა ის, რომ მოსახლეობა, რომელიც გამოდის სამართალშემფარდებლის როლში, უნდა იყოს დაცული მათი ინდივიდუალური გადაწყვეტილების შესაძლო გამხელისაგან, რათა თავიანთ თავზე

---

<sup>492</sup> იხ.: ამ თავის მე-4 პარაგრაფი.

<sup>493</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>494</sup> იხ.: *აქუბარდია ირ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29), 2011, 131-138.

არ იწვნიონ არასასურველი შედეგები.<sup>495</sup> შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა თათბირისას, სათათბირო ოთახში მსაჯულების გარდა, სხვა პირის ყოფნა დაუშვებელია, თუმცა გარკვეული გამონაკლისები არსებობს. ასე მაგ.: ესპანეთში ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სამართლებრივ საკითხებზე საკონსულტაციოდ, სათათბირო ოთახში მიიწვიონ იურიდიული განათლების მქონე პირი. ფაქტობრივად, მას იწვევენ ვერდიქტის შედგენაში დახმარების გასაწევად. ამ ნოვაციას ესპანეთში აქვს თავისი კონკრეტული მიზეზი – ის, რომ ნაფიც მსაჯულებს ევალებათ ვერდიქტის „მოკლე წერილობითი საფუძვლის გადმოცემა“.<sup>496</sup>

ამდენად, ლოგიკურია, რომ სათათბირო ოთახში ნაფიცი მსაჯულების გარდა, არავინ არ იმყოფებოდეს. თუმცა ბუნებრივია, ეს შეზღუდვა სათადარიგო მსაჯულებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან ისინი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში შედიან და თათბირის საიდუმლოების გაუვრცელებლობის ვალდებულება მათზეც ვრცელდება.

ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სისტემა შესაძლებელია, უშვებდეს ან არ ითვალისწინებდეს ნაფიც მსაჯულთა თათბირისას მსაჯულის სათადარიგო მსაჯულით შეცვლის შესაძლებლობას. თუმცა, თუ კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობა<sup>497</sup> თათბირის მიმდინარეობის დროს მსაჯულის შეცვლის შესაძლებლობას ადგენს, ამ შემთხვევაში უმჯობესია, სათადარიგო მსაჯული სათათბირო ოთახში იმყოფებოდეს, რათა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება თავიდან იქნეს აცილებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სათადარიგო მსაჯული სათათბირო ოთახში თათბირის დაწყების მომენტიდან იმყოფებოდეს; ანუ ფაქტობრივად აღდგეს 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 256-ე

---

<sup>495</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46. იხ.: გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gregory v. The United Kingdom*), 25.02.1997, paragraph 44.

<sup>496</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 297.

<sup>497</sup> ისე, როგორც საქართველოს სსსკ.



მუხლის პირველი ნაწილის რედაქცია. შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის პირველი ნაწილის არსებულ რედაქციაში შევიდეს ცვლილება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებაში: „ნაფიც მსაჯულთა გარდა, არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.“ სიტყვები: „ნაფიც მსაჯულთა გარდა“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა გარდა“ და საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მიღების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად. ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა გარდა, არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.“.

### **3. ვერდიქტის მისაღებად საჭირო ნაფიც მსაჯულთა ხმების რაოდენობა**

#### **(საერთაშორისო გამოცდილება)**

თანამედროვე პერიოდში ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. ამ მიზნით, სხვადასხვა ქვეყანა ნაფიცი მსაჯულების ხმების განსხვავებულ თანაფარდობას ადგენს. მაგ.: ზოგან ვერდიქტი ერთხმად მიიღება, ზოგან – ხმათა ორი მესამედით და ა.შ. თუმცა ისტორიულად ნაფიცი მსაჯულები ვალდებულნი იყვნენ, გადაწყვეტილება ერთხმად მიეღოთ. ამასთან, ფაქტობრივად არ არსებობს ნათელი ახსნა იმისა, თუ რატომ ხდებოდა ერთსულოვანი ვერდიქტის გამოყენება. არის ოთხი თეორია, თუ რატომ არსებობს ერთსულოვანი ვერდიქტის აუცილებლობა:

1. ერთსულოვნება დაკავშირებულია 12 მსაჯულის ისტორიულ მნიშვნელობასთან. მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც დაიწყო ამგვარი პროცესები, 12 მსაჯული უბრალოდ ფაქტის დამდგენი კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა მოწმესაც და იცოდა საქმის გარემოებათა შესახებ. ამგვარად, ძველ პროცესში მხარეს ევალებოდა, მოენახა 12 მსაჯული, რომლებიც ფიცის ქვეშ დაადასტურებდნენ მხარის პოზიციას. ამის შემდგომ, როდესაც ახალი პროცესი შემოვიდა, რიცხვი 12 დარჩა

ისევე, როგორც დარჩა ერთსულოვნების აუცილებლობაც, რაც მსაჯულებმა უნდა გამოხატონ მხარის პოზიციის დასადასტურებლად;

2. ერთსულოვნება ჩამოყალიბდა იმის გამო, რომ ძველად მსაჯულებმა იცოდნენ საქმის გარემოებები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის პოზიციები გაიყოფოდა, იყო რისკი, რომ ფიცის დარღვევისათვის უმცირესობა ან უმრავლესობა დაისჯებოდა;

3. ერთსულოვნების აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ არ არსებობდა ბრალდებულის დაცვის მექანიზმები და ეს ახდენდა ამის კომპენსაციას;

4. ერთსულოვანი ვერდიქტები ჩამოყალიბდა შუასაუკუნეობრივი კონცეფციის მიხედვით, რომლის თანახმადაც, რაიმეზე შეთანხმება ერთსულოვანი უნდა იყოს.<sup>498</sup>

ისტორიული უპირატესობა, რომელიც ენიჭება ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვან გადაწყვეტილებებს, ირეკლავს საზოგადოების ძლიერ სურვილს, მიიღოს ზუსტი და სწორი ვერდიქტი, რომელიც იქნება საზოგადოების წევრების გააზრებული და ზედმიწევნითი განხილვისა და თათბირის შედეგი.<sup>499</sup> ამასთან, როგორც ჩანს, შეუძლებელია, დაამტკიცო, რომ ერთსულოვანი ვერდიქტის მოთხოვნა პოზიტიურად ასოცირდება ნაფიცი მსაჯულების ვალდებულების შეგრძნებასთან, დაადგინონ სიმართლე.<sup>500</sup> თუმცა მსაჯულთა რიცხოვნება არ არის მატერიალური სამართლის ნაწილი, არამედ მხოლოდ პროცედურულია და ამიტომაც, იგი ვერ

---

<sup>498</sup> *Sankoff P.*, Majority Jury Verdicts and the Chapter of Rights and Freedoms, University of British Columbia Law Review, Vol. 39, 2006, p. 333-369. იხ.: [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=929396](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=929396), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>499</sup> *American Bar Association*, Principles for Juries and Jury Trials, August 2005, p. 22. იხ.: <http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAjuryprinciples.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>500</sup> *Jacobsohn G. J.*, The Unanimous Verdict: Politics and the Jury Trial, Washington University Law Review, Vol. 1977, Issue 1, 1977, p. 39-58. იხ.: [https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2574&context=law\\_lawreview](https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2574&context=law_lawreview), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

მოახდენს გავლენას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მოქმედებაზე, იმის მიუხედავად, იქნება დაშვებული ერთსულოვანი გადაწყვეტილებები, თუ არა.<sup>501</sup>

ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერებით, პირველი საქმე,<sup>502</sup> სადაც ნათლად ჩანს მოთხოვნა ერთსულოვანი ვერდიქტის თაობაზე, განხილულ იქნა 1367 წელს.<sup>503</sup>

დღეის მდგომარეობით, ერთსულოვან ვერდიქტს ითხოვს აშშ-ის შტატების უმრავლესობა და ფედერალური კანონმდებლობა, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალიის სამი შტატი, და დედაქალაქი.<sup>504</sup>

აშშ-ის საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საპროცესო ფედერალური წესების 31(ა) წესის<sup>505</sup> თანახმად, ვერდიქტი უნდა იყოს ერთსულოვანი.<sup>506</sup>

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ნაფიცი მსაჯულებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრინციპების<sup>507</sup> მიხედვით, ერთსულოვანი გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც

---

<sup>501</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 289.

<sup>502</sup> Anonymous Case Lib. Assisarum, 41, 11, 1367. იხ.: *Pound R.*, Readings on the History and System of the Common Law, Second Edition, Boston, 1925, p. 123. იხ.:

[https://famguardian.org/Publications/ReadOnHistSystCommLaw/Readings\\_on\\_the\\_History\\_and\\_System\\_of\\_th.pdf](https://famguardian.org/Publications/ReadOnHistSystCommLaw/Readings_on_the_History_and_System_of_th.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>503</sup> *Sankoff P.*, Majority Jury Verdicts and the Chapter of Rights and Freedoms, University of British Columbia Law Review, Vol. 39, 2006, p. 333-369. იხ.: [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=929396](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=929396), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>504</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 61.

<sup>505</sup> ვერდიქტი.

<sup>506</sup> Federal Rules of Criminal Procedure for the United States District Courts, Federal Criminal Code and Rules, West Group, 2000, p. 116.

<sup>507</sup> პრინციპი 4-B-C.

იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.<sup>508</sup> ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ ამავე პრინციპის თანახმად, ვერდიქტის გამოტანამდე ნებისმიერ დროს, მხარეები, სასამართლოს ნებართვით, შეიძლება შეთანხმდნენ არაერთსულოვან ვერდიქტზე. ამგვარი შეთანხმება კანონიერად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მკაფიოდ იყოს მითითებული, თუ რამდენი ნაფიცი მსაჯულის ხმა არის საკმარისი ვერდიქტის მისაღებად. თუმცა სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო არ უნდა დაეთანხმოს ამგვარ შეთანხმებას, თუ ბრალდებული, მას შემდეგ, რაც სასამართლო განუმარტავს უფლებას ერთსულოვან ვერდიქტთან დაკავშირებით, პირადად – წერილობით ან ზეპირად სასამართლო სხდომაზე, უარს განაცხადებს ამ უფლებაზე.<sup>509</sup>

საინტერესოა ის, რომ აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვანი ვერდიქტის აუცილებლობა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა 1897 წელს, მაგრამ ეს წესი უარყოფილ იქნა 1972 წელს. 1999 წლისათვის 30-ზე მეტ შტატში კანონმდებლობით ნებადართულია ხმათა უმრავლესობით გამოტანილი ვერდიქტები სამოქალაქო საქმეებზე, მაგრამ ორეგონისა და ლუიზიანის შტატებში ამგვარი ვერდიქტები დაშვებულია სისხლის სამართლის საქმეებზეც.<sup>510</sup> იმასთან დაკავშირებით, თუ ხმის მიცემის რა ზღვარი იყო საჭირო ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის გადასაწყვეტად, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ერთსულოვანი გადაწყვეტილება არ იყო კონსტიტუციური მოთხოვნა შტატებისათვის.<sup>511</sup>

შესაბამისად, აშშ-ში არაერთსულოვანი ვერდიქტები ნებადართულია შტატების დონეზე იმ საქმეების განხილვისას, სადაც სასჯელად არ ინიშნება სიკვდილით დასჯა. ამასთან, ფედერალური სისხლის სამართლის საქმეების

---

<sup>508</sup> *American Bar Association, Principles for Juries and Jury Trials*, August 2005, p. 15. იხ.: <http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAJuryprinciples.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>509</sup> იხ.: იქვე, p. 21.

<sup>510</sup> *ბეჟამვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 37.

<sup>511</sup> *Burnham W.*, *Introduction to the Law and Legal System of the United States – Third Edition*, West Group, 2003, p. 300.

განხილვისას, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის ერთსულოვნად მიღების ვალდებულება ჯერ კიდევ არსებობს.<sup>512</sup> თუმცა არაერთსულოვან ვერდიქტებს მხოლოდ ლუიზიანა და ორეგონი უშვებს.<sup>513</sup>

შტატის სასამართლო ორგანიზაციის 1998 წლის სტატისტიკის თანახმად, როგორც ფედერალურ დონეზე, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატის<sup>514</sup> საერთო იურისდიქციის სასამართლოებში როგორც ე.წ. Felonies, ისე ე.წ. Misdemeanor საქმეების განხილვისას, ნაფიცი მსაჯულების მიერ მიიღება ერთსულოვანი ვერდიქტი.<sup>515</sup>

რაც შეეხება ლუიზიანის შტატს: ე.წ. Misdemeanor საქმეების განხილვისას, ნაფიცი მსაჯულების მიერ მიიღება ერთსულოვანი ვერდიქტი.<sup>516</sup> ე.წ. Felonies საქმეების განხილვისას, სადაც სასჯელად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, ნაფიცი მსაჯულების მიერ მიიღება ერთსულოვანი ვერდიქტი;<sup>517</sup> ერთსულოვანი ვერდიქტი მიიღება ასევე სხვა ე.წ. Felonies საქმეების გარკვეულ ნაწილზე,<sup>518</sup> ხოლო დანარჩენ ე.წ. Felonies საქმეებზე გადაწყვეტილება მიიღება 12-დან 10 ხმით.<sup>519</sup>

ორეგონის შტატში ე.წ. Misdemeanor საქმეების განხილვისას, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტი მიიღება 5/6 წესით;<sup>520</sup> ე.წ. Felonies საქმეების

---

<sup>512</sup> *Hunter M.*, Improving the Jury System: Nonunanimous Verdicts, Abstract, Public Law Research Institute. იხ.: [www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf](http://www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>513</sup> *Rottman Et Al., David B.*, State Court Organization 1993, 1995, p. 274-279.

<sup>514</sup> ლუიზიანას, ორეგონისა და პუერტო რიკოს გარდა.

<sup>515</sup> *U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics*, State Court Organization 1998. p. 278-282. იხ.: <https://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco98.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>516</sup> 6-დან 6 ხმა.

<sup>517</sup> 12-დან 12 ხმა.

<sup>518</sup> 12-დან 12 ხმა.

<sup>519</sup> *U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics*, State Court Organization 1998. p. 278-282. იხ.: <https://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco98.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>520</sup> 6-დან 5 ხმა.

განხილვისას, სადაც ბრალდებულს ბრალი ედება მკვლელობის ჩადენაში, ნაფიცი მსაჯულების მიერ მიიღება ერთსულოვანი ვერდიქტი,<sup>521</sup> ხოლო დანარჩენ საქმეებზე ვერდიქტი მიიღება 5/6 წესით, ანუ 12-დან 10 ხმით.<sup>522</sup>

პუერტო რიკოში როგორც ე.წ. Felonies, ისე ე.წ. Misdemeanor საქმეების განხილვისას, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტი მიიღება 12-დან 9 ხმით.<sup>523</sup>

შტატის სასამართლო ორგანიზაციის 2011 წლის სპეციალური ანგარიშის თანახმად კი, აშშ-ის ყველა შტატის საერთო იურისდიქციის სასამართლოებში როგორც ე.წ. Felonies, ისე ე.წ. Misdemeanor საქმეების განხილვისას, ნაფიცი მსაჯულების მიერ ყველა შემთხვევაში<sup>524</sup> მიიღება ერთსულოვანი ვერდიქტი. რაც შეეხება 25 შტატში მოქმედ შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღების სტატისტიკას: ე.წ. Misdemeanor საქმეების განხილვისას, 96% შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულების მიერ მიიღება ერთსულოვანი ვერდიქტი.<sup>525</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ში სამეცნიერო კვლევები უთითებენ, რომ სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების უმრავლესობა საკუთარ გადაწყვეტილებას საკმაოდ სწრაფად იღებს; კერძოდ: ერთსულოვანი გადაწყვეტილების მისაღწევად საქმეების 30% შემთხვევებში, საკმარისია მხოლოდ ერთი კენჭისყრის ჩატარება; დარჩენილი საქმეების 90% შემთხვევებში, ფაქტობრივად „იმარჯვებენ“ პირველი კენჭისყრისას უმრავლესობაში მყოფი ნაფიცი მსაჯულები; ხოლო გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, შეუძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი კენჭისყრისას უმცირესობაში

---

<sup>521</sup> 12-დან 12 ხმა.

<sup>522</sup> *U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics, State Court Organization* 1998. p. 278-282. იხ.: <https://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco98.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>523</sup> იქვე.

<sup>524</sup> ანუ საქმეების 100%.

<sup>525</sup> *Malega R., Cohen Th. H.*, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics, State Court Organization, 2011, Special Report. November 2013, p. 10. იხ.: <https://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco11.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

მყოფი ნაფიცი მსაჯულების რაოდენობა დიდია.<sup>526</sup> ამასთან, აშშ-ში ვერდიქტის განხილვის საშუალო ხანგრძლივობა, როგორც სისხლის სამართლებრივ, ისე სამოქალაქო საქმეებზე, 5 საათია.<sup>527</sup>

კანადაში ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი ყოველთვის ერთსულოვანი უნდა იყოს.<sup>528</sup> მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულებს მტკიცებულებათა შესახებ შესაძლებელია, ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრება, მსაჯულთა საბოლოო ვერდიქტი – ცნონ თუ არა პირი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ – უნდა იყოს ერთსულოვანი.<sup>529</sup> შესაბამისად, კანადაში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე უნდა იყოს ერთსულოვანი.<sup>530</sup>

ავსტრალიის დედაქალაქის გარშემო ტერიტორიებზე და ქუინსლენდში ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ ერთსულოვნად. თუმცა, ავსტრალიის ზოგიერთ შტატში ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უმრავლესობით; კერძოდ: სამხრეთ ავსტრალიის, ვიქტორიის, დასავლეთ ავსტრალიის, ტასმანიის, ჩრდილოეთის ტერიტორიებსა და ახალ სამხრეთ უელსში ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ ხმათა უმრავლესობით.<sup>531</sup>

---

<sup>526</sup> იხ.: *Bureau of International Information Programs United States Department of State, Outline of the U.S. Legal System*, 2004, p. 114.

<sup>527</sup> *რეხვიაშვილი თ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: ანალიტიკური მიმოხილვა, თბილისი, 2010, გვ. 4. იხ.: [www.library.court.ge/upload/nafic\\_msajulTa\\_sasamarTlo.pdf](http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>528</sup> *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემეტიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 110.

<sup>529</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 43.

<sup>530</sup> *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 100.

<sup>531</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 40-41.

2006 წელს, პიტერ სანკოფის<sup>532</sup> მიერ გაცხადებული მოსაზრების თანახმად, მას შემდეგ, რაც ახალ ზელანდიაში ახალი კანონი ამოქმედდებოდა, რითაც ერთსულოვანი ვერდიქტის მიღება სავალდებულო აღარ არის, კანადა გახდებოდა ერთადერთი ქვეყანა, რომელიც თავის ტერიტორიაზე, ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილულ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, ითხოვს ვერდიქტის ერთსულოვნად მიღებას.<sup>533</sup> შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ახალ ზელანდიაში ნაფიცმა მსაჯულებმა თავდაპირველად უნდა სცადონ ერთსულოვანი ვერდიქტის მიღება. თუ ნაფიცი მსაჯულები ერთსულოვანი ვერდიქტის მიღებას გონივრულ ვადაში ვერ ახერხებენ<sup>534</sup>, რაც განპირობებულია საქმის ბუნებითა და სირთულით, მაშინ შესაძლებელია, უმრავლესობით ვერდიქტის მიღება. მაგ.: სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელია, გადაწყვეტილება მიღებული იქნეს ყველა ნაფიცის მსაჯულის მიერ, ერთის გამოკლებით; ანუ 11 ხმით 1 ხმის წინააღმდეგ, როდესაც საქმეს იხილავს ნაფიცი მსაჯულების სრული შემადგენლობა.

დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ დღეის მდგომარეობით, მხოლოდ კანადაში არსებობს სავალდებულო მოთხოვნა, რომლის მიხედვით, ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილულ ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, ყველა შემთხვევაში, ვერდიქტი ერთსულოვნად უნდა იქნეს მიღებული.

თანამედროვე პერიოდში, იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ახორციელებენ, უპირატესობა თანდათანობით ვერდიქტის არაერთსულოვნად მიღების წესს მიენიჭა, რასაც ბუნებრივია, გარკვეულწილად ლოგიკური ახსნა აქვს. მაგ.: არაერთსულოვანი ვერდიქტის მომხრეები ამტკიცებენ, რომ უმრავლესობითი ვერდიქტი შესაძლებლობას იძლევა, განეიტრალოს ნაფიც მსაჯულთა კორპუსში

---

<sup>532</sup> ახალი ზელანდიის ოკლენდის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის უფროსი ლექტორი.

<sup>533</sup> *Sankoff P.*, Majority Jury Verdicts and the Chapter of Rights and Freedoms, University of British Columbia Law Review, Vol. 39, 2006, p. 333-369. იხ.: [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=929396](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=929396), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>534</sup> ნაფიც მსაჯულთა თათბირი უნდა გრძელდებოდეს არა ნაკლებ 4 საათისა. იხ.: *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 304.



ხშირად აღმოჩენილი ერთი ან ორი „ექსტრემისტი წევრის“ პოზიციები.<sup>535</sup> ასევე არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების უუნარო ჟიურის შექმნის სიხშირემ, და მასთან დაკავშირებულმა მთელმა გართულებებმა, საერთო სამართლის სხვადასხვა ქვეყანა აიძულა, დაეშვა უმრავლესობითი ვერდიქტი<sup>536</sup> და უარი ეთქვა ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვნების მოთხოვნაზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოდიოდა.<sup>537</sup> ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ არაერთსულოვანი ვერდიქტის უმთავრესი კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის ძირს უთხრის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბრალდებულის ბრალი გონივრული ეჭვის გარეშე<sup>538</sup> უნდა დადგინდეს.<sup>539</sup>

ირლანდიაში, ინგლისში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის გამოსატანად ერთსულოვნება სავალდებულო იყო 1970-იან წლებამდე (ინგლისსა და უელსში) და 1980-იან წლებამდე (ირლანდიაში). თუმცა დღეისათვის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის გამოტანა შესაძლებელია 12 მსაჯულიდან 10 მსაჯულის მხარდაჭერით იმ პირობით, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ერთსულოვანი ვერდიქტის გამოსატანად სულ მცირე ორი საათის განმავლობაში მსჯელობდა.<sup>540</sup>

---

<sup>535</sup> იხ.: *Lloyd-Bostock S., Thomas Ch., Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40.* იხ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>536</sup> ინგლისურად – Majority Verdict.

<sup>537</sup> იხ.: *იორკენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა)*, ლეთა, 2007, გვ. 54-55.

<sup>538</sup> ინგლისურად – Proof Beyond Reasonable Doubt.

<sup>539</sup> იხ.: *Lloyd-Bostock S., Thomas Ch., Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40.* იხ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>540</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 65. იხ.:

ზოგადად ინგლისში განასხვავებენ ვერდიქტის ოთხ ვარიანტს:

ა) გენერალური ვერდიქტი, როდესაც ნაფიცი მსაჯულები ერთმნიშვნელოვნად წყვეტენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ;

ბ) ვერდიქტი, რომელიც დიფერენცირებულია, ანუ როცა წარდგენილი ბრალდების ერთ ნაწილში ვერდიქტი გამამტყუნებელია, ხოლო სხვა ნაწილში – გამამართლებელი;

გ) ვერდიქტი, რომელიც განსასჯელს ცნობს დამნაშავედ არა წარდგენილ, არამედ სხვა, უფრო მსუბუქ დანაშაულში;

დ) სპეციალური ვერდიქტი, როცა ნაფიცი მსაჯულები დადგენილად მიიჩნევენ გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ბრალდებას, მაგრამ ღიად ტოვებენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ. ასეთი ვერდიქტები გამოიყენება, როგორც წესი, შეურაცხი პირების მიმართ.<sup>541</sup>

საუკუნეების განმავლობაში, ინგლისში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ერთსულოვანი უნდა ყოფილიყო და ეს გამოყენებული იქნა, როგორც მოდელი აშშ-ისთვის. თუმცა ერთსულოვანი ვერდიქტის მოთხოვნა ინგლისში გაუქმდა „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ“ 1967 წლის კანონით, რომლის თანახმად, ნებადართული გახდა უმრავლესობით<sup>542</sup> ვერდიქტის გამოტანა.<sup>543</sup> 1974 წელს, ინგლისში „ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, თუკი ნაფიცი მსაჯულები ორი საათის განმავლობაში ვერ მივლენ

---

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),  
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>541</sup> ბეჟამვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 25.

<sup>542</sup> ათი ხმით ორი ხმის წინააღმდეგ.

<sup>543</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, *Law and Contemporary Problems*, Spring 1999, 62, 2, 7-40. იბ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ერთსულოვან ვერდიქტამდე, ხმათა უმრავლესობით<sup>544</sup> ხდება საქმეზე ვერდიქტის გამოტანა.<sup>545</sup> დღესდღეობით, მსგავსი სახით უმრავლესობითი ვერდიქტები დაშვებულია ასევე ავსტრალიის 5 შტატში, ამერიკის ორ შტატში<sup>546</sup> და ირლანდიაში.<sup>547</sup>

ირლანდიის 1937 წლის კონსტიტუციის 38.5 მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტი ერთსულოვანი უნდა იყოს. თუმცა უზენაესმა სასამართლომ მოახდინა აღნიშნული მუხლის სხვაგვარი ინტერპრეტაცია და დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე უმრავლესობის მიერ გამოტანილი ვერდიქტი საკმარისია საკონსტიტუციო გარანტიის დასაცავად.<sup>548</sup> შესაბამისად, ირლანდიაში სისხლის სამართლის საქმეზე ვერდიქტი შესაძლებელია, არ იყოს ერთსულოვანი, თუ საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის შემდეგ, 10 ნაფიცი მსაჯული შეთანხმდება ვერდიქტზე, მაშინ როდესაც მსაჯულთა რაოდენობა არა ნაკლებ თერთმეტია.<sup>549</sup>

1984 წლამდე, საბერძნეთში სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტი ერთსულოვანი უნდა ყოფილიყო. თუმცა ამჟამად, ერთსულოვნების მოთხოვნა აღარ არსებობს, რადგან თერთმეტი ნაფიცი მსაჯულის თათბირის შემთხვევაში ვერდიქტი ათი ხმით მიიღება. ამასთან, მოსამართლე ვერ მიიღებს არაერთსულოვან ვერდიქტს, სანამ არ მიიჩნევს, რომ საქმის ბუნებისა და

---

<sup>544</sup> 12 ან 11 ნაფიცი მსაჯულის თათბირის შემთხვევაში ვერდიქტის მისაღებად საკმარისია 10 ხმა; 10 ნაფიცი მსაჯულის თათბირის შემთხვევაში – 9 ხმა; 9 ნაფიცი მსაჯულის თათბირის შემთხვევაში კი – 8 ხმა.

<sup>545</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 23-24.

<sup>546</sup> ლუიზიანა და ორეგონი.

<sup>547</sup> *იორჰენდი ლ.*, *წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 55.

<sup>548</sup> *ნაჭყებია გ.*, *ლეკვეიშვილი მ.*, *ივანიძე მ.*, *შალიკაშვილი მ.*, *თუმანიშვილი გ.*, *გოგნიაშვილი ნ.*, *ბოხაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 118.

<sup>549</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 45.

სირთულის გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულებს თათბირისათვის საკმარისი და გონივრული დრო<sup>550</sup> ჰქონდათ.<sup>551</sup>

შოტლანდიური ნაფიც მსაჯულთა სისტემის ყველაზე უცნაური თავისებურება უდავოდ არის ის, რომ ის იცნობს სამი სახის ვერდიქტს: დამნაშავე, უდანაშაულო და „არ მტკიცდება“. საინტერესოა, რომ არც პრეცედენტული სამართალი და არც კანონმდებლობა არ იძლევა „არ მტკიცდება“ ვერდიქტის დეფინიციას. თუმცა მას იგივე იურიდიული შედეგი აქვს, რაც უდანაშაულოდ ცნობას.<sup>552</sup> შოტლანდიაში ნაფიც მსაჯულთა ჟიური სისხლის სამართლის საქმეებზე შედგება 15 წევრისაგან, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე – 12 წევრისაგან.<sup>553</sup> ამასთან, შოტლანდიური სისტემა არაერთსულოვანი ვერდიქტის უკიდურეს ფორმას ადგენს, რომელშიც 15 წევრიან ნაფიც მსაჯულთა კორპუსს ვერდიქტი უბრალო უმრავლესობით<sup>554</sup> გამოაქვს.<sup>555</sup> ამდენად, გაიოლებულია გადაწყვეტილების მიღების წესი და ვერდიქტი ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოაქვთ იმ შემთხვევაში, თუ უმცირესობაში აღმოჩნდება არა უმეტეს ორი მსაჯულისა ან თუ მსაჯულები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას 23 საათის მანძილზე.<sup>556</sup> თუმცა როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეები

---

<sup>550</sup> როგორც წესი, ასეთი ვერდიქტი არ მიიღება, თუ ნაფიც მსაჯულებს თათბირისათვის სულ მცირე ორ საათზე ნაკლები დრო დასჭირდათ.

<sup>551</sup> *Van Den Wingaert Cr., Criminal Procedure Systems in the European Community*, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 224.

<sup>552</sup> *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემათიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 259.

<sup>553</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 26.

<sup>554</sup> 8 ხმით 7 ხმის წინააღმდეგ.

<sup>555</sup> *Duff P., The Scottish Criminal Jury: a Very Peculiar Institution, Law and Contemporary Problems*, Spring 1999, 62, 2, 173-201. იხ.: <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1129&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>556</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 150.

მიუთითებენ, შოტლანდიაში მტკიცების ტვირთი უფრო მკაცრია, ვიდრე ინგლისში. შესაბამისად, ჯერჯერობით შოტლანდიურ სისტემას შეცვლის საფრთხე არ ემუქრება.<sup>557</sup>

ვერდიქტის მიღების საინტერესო მოდელია ბელგიაში, სადაც 12 ნაფიცი მსაჯული ხმათა უმრავლესობით წყვეტს, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული.<sup>558</sup> როდესაც 7 მსაჯული აცხადებს ბრალდებულს დამნაშავედ, ხოლო 5 მსაჯული – უდანაშაულოდ, საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა 3 პროფესიონალ მოსამართლეს. ამასთან, მოსამართლეებს შეუძლიათ, ერთხმად დაუჭირონ მხარი უდანაშაულობის ვერდიქტს და მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობა<sup>559</sup> მიიჩნევს, რომ პირი დამნაშავეა, საბოლოო ვერდიქტით ბრალდებული უდანაშაულოდ იქნება ცნობილი. ანუ, განაჩენი 12 მსაჯულისა და 3 პროფესიონალი მოსამართლის ხმათა უმრავლესობით<sup>560</sup> მიიღება<sup>561</sup>.

ბრაზილიაში შვიდი ნაფიცი მსაჯული ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული.<sup>562</sup> შვედეთში კი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, თუ მას ხუთიდან 4 მსაჯული მისცემს ხმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას ღებულობს მოსამართლე.<sup>563</sup> რაც შეეხება იაპონიას: ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გამოსატანად იაპონიაში საჭიროა მსაჯულთა რიცხოვრივი უმრავლესობა; ამასთან, უმრავლესობის ვერდიქტს ერთი

---

<sup>557</sup> *Duff P.*, The Scottish Criminal Jury: a Very Peculiar Institution, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 173-201. იხ.: <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1129&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>558</sup> ხმათა თანაბარი რაოდენობა ნიშნავს, რომ პირი არ არის დამნაშავე.

<sup>559</sup> 7 ნაფიცი მსაჯული.

<sup>560</sup> 8 ხმით 7 ხმის წინააღმდეგ.

<sup>561</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 63.

<sup>562</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>563</sup> *მელქაძე ო., დვალი ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000, გვ. 150-151.

პროფესიონალი მოსამართლე მაინც უნდა უჭერდეს მხარს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სამ პროფესიონალ მოსამართლეს კოლექტიურად შეუძლია ვეტო დაადოს უმრავლესობის, ანუ ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილ ვერდიქტს.<sup>564</sup>

ავსტრიაში ვერდიქტის გამოსატანად საჭიროა ნაფიც მსაჯულთა ხმების უბრალო უმრავლესობა.<sup>565</sup> ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება ბრალდებულის სასარგებლოდ მიიღება.<sup>566</sup> დანიაში კი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა სამი მოსამართლისა და თორმეტი ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, რომლებიც ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას ცალ-ცალკე იღებენ. პირის დამნაშავედ ცნობის ვერდიქტს თორმეტი ნაფიცი მსაჯულიდან ხმა უნდა მისცეს რვა ნაფიცმა მსაჯულმა, ხოლო სამი პროფესიონალი მოსამართლიდან – ორმა მოსამართლემ.<sup>567</sup> ანუ, დანიაში ვერდიქტი ხმათა ორი მესამედით მიიღება. ეს არის ე.წ. ორმაგი გარანტიის<sup>568</sup> პრინციპი.<sup>569</sup>

ესპანეთის კანონმდებლობა ვერდიქტის მისაღებად საჭირო ნაფიც მსაჯულთა ხმების განსხვავებულ რაოდენობას ადგენს; კერძოდ: ესპანეთში ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ნებისმიერი გადაწყვეტილება ცხრიდან შვიდი ხმით უნდა იქნეს

---

<sup>564</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 70.

<sup>565</sup> რადგან ავსტრიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 წევრისაგან – 2 მოსამართლისა და 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტის მისაღებად საჭიროა მინიმუმ ხუთი ხმა პლიუს ერთი ხმა.

<sup>566</sup> ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ., შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 66. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>567</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 72.

<sup>568</sup> ინგლისურად – Double Guarantee.

<sup>569</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 72.

მიღებული; მაშინ როდესაც, მის სასარგებლოდ ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ ხუთი ხმით იქნეს მიღებული.<sup>570</sup> ნორვეგიაში კი, ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების მიღებას კვალიფიციური უმრავლესობა<sup>571</sup> სჭირდება.<sup>572</sup>

რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ერთი მოსამართლისა და 12 მსაჯულის მონაწილეობით განიხილავს სისხლის სამართლის რთული კატეგორიის საქმეებს, თუ ამას შუამდგომლობს ბრალდებული. კანონის თანახმად, ნაფიცმა მსაჯულებმა სამი საათის განმავლობაში უნდა მიიღონ ერთსულოვანი ვერდიქტი. თუ ეს ვერ მოხერხდა, გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება. ამასთან, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება ბრალდებულის სასარგებლოდ გამოდის.<sup>573</sup>

ამდენად, ნათელია, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობასთან დაკავშირებით, თანამედროვე პერიოდში ერთიანი დამოკიდებულება არ არსებობს.

#### **4. საქართველოში ვერდიქტის მისაღებად საჭირო**

##### **ნაფიც მსაჯულთა ხმების რაოდენობა**

ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღების პროცედურასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული რეგულაციები ფაქტობრივად ინგლისში მოქმედი წესების მსგავსია, რადგან საქართველოს სსსკ-ის თანახმად, დროის განსაზღვრულ პერიოდში

---

<sup>570</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 335.

<sup>571</sup> ექვსი ხმა.

<sup>572</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 64-66.

<sup>573</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 76-77.

ვერდიქტის ერთსულოვნად მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება ხმათა გარკვეული უმრავლესობით უნდა მიიღონ; კერძოდ: ნაფიცმა მსაჯულებმა თავდაპირველად ვერდიქტი ერთსულოვნად უნდა მიიღონ, რისთვისაც მათ 4 საათი ეძლევათ;<sup>574</sup> ანუ კანონმდებლობა უპირატესობას ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას ანიჭებს.

თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, შესაბამისად, იცვლება ვერდიქტის მიღების წესი. საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომდევნო 8 საათის განმავლობაში, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 10 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 9 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 8 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 4 ხმით.<sup>575</sup>

ამდენად, ვერდიქტის ერთხმად მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად ნაფიცი მსაჯულების ხმების განსხვავებული რაოდენობაა საჭირო. ასე მაგ.:

ა) ვერდიქტი ფაქტობრივად ხმათა ორ მესამედზე მეტით მიიღება, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 11<sup>576</sup> ან 10<sup>577</sup> ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება;

ბ) ვერდიქტი ხმათა ორი მესამედით მიიღება, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 12<sup>578</sup>, 9<sup>579</sup> ან 6<sup>580</sup> ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება;

---

<sup>574</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>575</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>576</sup> 11 ხმიდან ვერდიქტის მისაღებად საჭიროა 8 ხმა.

<sup>577</sup> 10 ხმიდან ვერდიქტის მისაღებად საჭიროა 7 ხმა.

<sup>578</sup> 12 ხმიდან ვერდიქტის მისაღებად საჭიროა 8 ხმა.

<sup>579</sup> 9 ხმიდან ვერდიქტის მისაღებად საჭიროა 6 ხმა.



გ) ვერდიქტი ხმათა უმრავლესობით მიიღება, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 8<sup>581</sup> ან 7<sup>582</sup> ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ 2017 წლის 1 იანვრამდე არსებული საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ერთსულოვანი გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი იყო 3 საათი,<sup>583</sup> ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ვერდიქტი უნდა მიღებულიყო მომდევნო 6 საათის<sup>584</sup> განმავლობაში.<sup>585</sup> ამდენად, კანონმდებელმა გაზარდა როგორც ვერდიქტის ერთხმად, ისე ხმათა უმრავლესობით მიღების ვადა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 12 საათიანი თათბირის შედეგად ვერდიქტის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის მიერ დამატებითი განმარტებების მიღებისა და სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ, ნაფიც მსაჯულებს გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით 3 საათი ეძლევათ.<sup>586</sup> ამასთან, თუ ნაფიცი მსაჯულები ამ ვადის განმავლობაშიც ვერ მიიღებენ ვერდიქტს, სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს, ორი ალტერნატიული გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი:

ა) ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის მისაღებად მისცეს დამატებით გონივრული ვადა, ან

ბ) დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.<sup>587</sup>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ირინა აქუბარდიას

---

<sup>580</sup> 6 ხმიდან ვერდიქტის მისაღებად საჭიროა 4 ხმა.

<sup>581</sup> 8 ხმიდან ვერდიქტის მისაღებად საჭიროა 5 ხმა.

<sup>582</sup> 7 ხმიდან ვერდიქტის მისაღებად საჭიროა 4 ხმა.

<sup>583</sup> დღეს მოქმედი 4 საათის ნაცვლად.

<sup>584</sup> დღეს მოქმედი 8 საათის ნაცვლად.

<sup>585</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>586</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები.

<sup>587</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

მოსაზრებით, ვერდიქტის გამოტანის ასეთი ხანგრძლივი პროცესი ამცირებს მისი სარწმუნოების ხარისხს, ამიტომ უნდა შემცირდეს დრო და უფრო გამარტივდეს ვერდიქტის გამოტანის პროცედურა.<sup>588</sup> თუმცა, მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თითოეულ განსახილველ საქმეზე. იგი მარტივ საქმეზე შეიძლება რამდენიმე წუთშიც დამთავრდეს; მაგ.: ერთ-ერთ საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება 15 წუთში მიიღეს; ხოლო რთულ საქმეზე – შეიძლება მთელი დღეც გაგრძელდეს.<sup>589</sup>

ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის შემთხვევაში, გადაწყვეტილება ვერდიქტის მიღების თავდაპირველი პროცედურის მსგავსად მიიღება,<sup>590</sup> თუმცა, თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს გადაწყვეტილების მიღების უნარი, ბრალდებულის მიმართ ფაქტობრივად გამამართლებელი ვერდიქტი გამოდის.<sup>591</sup> შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ვერდიქტის მიღების საკმაოდ საინტერესო და სხვა ქვეყნებში მოქმედი პროცედურებისაგან მეტნაკლებად განსხვავებულ წესს ადგენს, რადგან ის

---

<sup>588</sup> იხ.: *აქუბარდია ირ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №2(29), 2011, 131-138.

<sup>589</sup> *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მერიდიანი, 2015, გვ. 721.

<sup>590</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-6 და მე-4 ნაწილების მიხედვით, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილებების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილებები მომდევნო 8 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 10 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 9 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 8 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 4 ხმით. ამასთან, 12 საათიანი თათბირის შედეგად ვერდიქტის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულებს გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით 3 საათი ეძლევათ.

<sup>591</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

ბრალდების მხარისათვის მესამე შანსის მიცემის<sup>592</sup> შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მეორე ჯერზეც მიუღებლობის შემთხვევაში, ბრალდებული გამართლებულად ითვლება. აღნიშნული წესი ფაქტობრივად სამართლიანია, რადგან არ შეიძლება სახელმწიფო ბრალდებას უსასრულოდ მიეცეს შანსი, დაარწმუნოს საზოგადოების წარმომადგენლები, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა. შესაბამისად, ასეთი შეზღუდვის დაწესება გონივრული და აუცილებელია.

#### 4.1. ვერდიქტის ფორმები

საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარემ ყოველ ბრალდებულზე უნდა მოამზადოს ვერდიქტის 2 ფორმა, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს წარედგინება: ერთი – გამამართლებელი ვერდიქტის, მეორე – გამამტყუნებელი ვერდიქტის. ამ ნორმით დადგენილი წესი ლოგიკურია, რადგან, როგორც აღინიშნა, ნაფიცი მსაჯულები უფლებამოსილები არიან, მიიღონ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი.<sup>593</sup> თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა ფაქტობრივად ვერდიქტის დამატებითი ფორმის წარდგენის ვალდებულებას ადგენს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული. ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს დამატებით წარედგინებათ გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა. შესაბამისად, შესაძლებელია, მივიღოთ სიტუაცია, როდესაც საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, პროკურორი ბრალდებულის შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო მსჯავრდებას მოითხოვს, თუმცა საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს ამ ახალ ბრალდებასთან

<sup>592</sup> ანუ გამამტყუნებელი ვერდიქტის მიღების.

<sup>593</sup> იხ.: ამ თავის მე-4 პარაგრაფი.

დაკავშირებით ვერდიქტის ფორმას ვერ წარუდგენს. ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ – მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით განზრახ მკვლელობის<sup>594</sup> ბრალდების საქმეს. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ, პროკურორმა მიიჩნია, რომ ნაფიც მსაჯულებს შესაძლებელია, მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით გამამტყუნებელი ვერდიქტი არ მიეღოთ, რის გამოც, მან დამატებით მოითხოვა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულებს ასევე ემსჯელათ ბრალდებულის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ – განზრახ მკვლელობის<sup>595</sup> ბრალდებით გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შესაძლებლობაზე. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს განუმარტა, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული<sup>596</sup>, რომლის შემადგენლობის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავდა წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული<sup>597</sup> და აუხსნა, თუ რა იყო საერთო და განმასხვავებელი მათ შორის. თუმცა, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებასთან დაკავშირებით გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას ვერ წარუდგენს, რადგან საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით გამამართლებელი და გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმები უნდა წარუდგინოს.

<sup>594</sup> ამ დანაშაულისათვის სასჯელის სახით დადგენილია 11-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

<sup>595</sup> ამ დანაშაულისათვის სასჯელის სახით დადგენილია 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

<sup>596</sup> ამ შემთხვევაში განზრახ მკვლელობა.

<sup>597</sup> ამ შემთხვევაში მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით განზრახ მკვლელობა.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველ ნაწილში შევიდეს შესწორება; კერძოდ: სიტყვების: „სხდომის თავმჯდომარემ“ წინ დაემატოს სიტყვები: „ამ კოდექსის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა,“ და საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ კოდექსის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სხდომის თავმჯდომარემ ყოველ ბრალდებულზე უნდა მოამზადოს ვერდიქტის 2 ფორმა, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს წარედგინება: ერთი – გამამართლებელი ვერდიქტის, მეორე – გამამტყუნებელი ვერდიქტის.“.

#### 4.2. ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის ხელმოწერა

საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლი ვერდიქტის გამოცხადების წესს განსაზღვრავს. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის ხელმოწერის შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ვერდიქტს.<sup>598</sup> ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის გამოცხადებამდე, მოსამართლე ვალდებულია, ვერდიქტის ფორმის კანონის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში დარწმუნდეს. შესაბამისად, თუ მოსამართლე ვერდიქტის ფორმას კანონის მოთხოვნების შეუსაბამოდ მიიჩნევს, იგი ვერდიქტს უბრუნებს უფროს მსაჯულს და მოითხოვს შეცდომების გასწორების მიზნით, სათათბირო ოთახში ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას.<sup>599</sup> ამდენად, აუცილებელია, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტის ფორმის სავალდებულო მოთხოვნები სრულყოფილად იქნეს განსაზღვრული.

საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვერდიქტის წაკითხვის შედეგად, სხდომის თავმჯდომარე უნდა დარწმუნდეს შემდეგში:

---

<sup>598</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>599</sup> საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

ა) ვერდიქტი თითოეულ ბრალდებაზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული;

ბ) არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის;

გ) ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე.<sup>600</sup>

აღნიშნული ნორმა შესაბამის საფუძვლებს, ერთის მხრივ, ამომწურავად ჩამოთვლის. თუმცა შესაძლებელია, არსებობდეს სიტუაცია, რომელიც საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ საფუძვლებში არ შედიოდეს. ასე მაგ.: ვერდიქტის გამოცხადებას წინ უსწრებს ნაფიც მსაჯულთა თათბირი, სადაც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უფროსი მსაჯული ავსებს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს, რომელშიც შეაქვს კენჭისყრის საერთო შედეგები და რომელსაც ყველა ნაფიცი მსაჯული ადასტურებს ხელმოწერით.<sup>601</sup> ამდენად, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის ხელმოწერა მნიშვნელოვანი კომპონენტია იმისათვის, რომ დადგინდეს ვერდიქტის კანონის შესაბამისად მიღების ფაქტი; თუმცა საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილში ვერდიქტის ნაფიცი მსაჯულების მიერ ხელმოწერით დადასტურების შესახებ არ არის მითითებული, რაც სამართლებრივ პრობლემას წარმოშობს.

ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

თათბირის დაწყებიდან 2 საათისა და 25 წუთის გასვლის შემდეგ, 12 ნაფიცმა მსაჯულმა სათათბირო ოთახში გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. შესაბამისად, უფროსმა მსაჯულმა შეავსო ვერდიქტის ფორმა, რომელშიც ზუსტად ასახა კენჭისყრის საერთო შედეგები, თუმცა ვერდიქტს 12 ნაფიცი მსაჯულიდან მხოლოდ 11-მა მსაჯულმა მოაწერა ხელი. სასამართლო სხდომის დარბაზში ნაფიცი მსაჯულების დაბრუნების შემდეგ, უფროსმა მსაჯულმა სხდომის თავმჯდომარეს ვერდიქტი გადასცა. ამ შემთხვევაში სასამართლო სხდომის დარბაზში უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის გამოცხადებამდე, ვერდიქტის ფორმის კანონთან

<sup>600</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>601</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

შესაბამისობის დადგენისას, ნაფიცი მსაჯულის მიერ ვერდიქტის ხელმოწერლობა ფაქტობრივად ვერ შეფასდება საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტად, რადგან:

1. 12 ნაფიცი მსაჯულიდან ვერდიქტს ხელს 11 მსაჯული აწერს, რითაც დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნა, რადგან კენჭისყრის საერთო შედეგებს ყველა ნაფიცი მსაჯული ხელმოწერით არ ადასტურებს.

2. თუმცა ამით საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა<sup>602</sup> არ ირღვევა, რადგან აღნიშნული ნორმა ხაზს უსვამს მხოლოდ ვერდიქტის სწორი კენჭისყრის შედეგად მიღების საკითხს.

3. ამ შემთხვევაში დაცულია საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 4 საათის განმავლობაში მოახერხა ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება.

4. კენჭისყრის შედეგი ვერდიქტში სწორად არის ასახული.

5. შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები დაცულია.

ამდენად, ამ შემთხვევაში მოსამართლე უფროს მსაჯულს ვერდიქტს ვერ დაუბრუნებს და შეცდომების გასასწორებლად სათათბირო ოთახში ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას ვერ მოითხოვს. ამას კი, ფაქტობრივად კანონის მოთხოვნის დარღვევით მიღებული ვერდიქტის გამოცხადება მოჰყვება, თავისი თანამდევი სამართლებრივი შედეგით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ჩამონათვალში ასევე მითითებული იყოს ვერდიქტის ნაფიცი მსაჯულების მიერ ხელმოწერით დადასტურების შესახებ. შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტი: „ვერდიქტს ყველა ნაფიცი მსაჯული ხელმოწერით ადასტურებს.“.

<sup>602</sup> ვერდიქტი თითოეულ ბრალდებაზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული.

## 5. „Hung Jury“<sup>603</sup> (საერთაშორისო გამოცდილება)

ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურის შეფასებისას სასურველია, ასევე განხილული იქნეს ის სპეციფიური საკითხი, რასაც „Hung Jury“-ს უწოდებენ.

ბუნებრივია, ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მისაღებად საჭიროა ხმათა გარკვეული რაოდენობა. ამასთან, როგორც წესი, ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს იღებენ ერთსულოვნად ან ხმათა ორი მესამედით.<sup>604</sup> ამდენად, კენჭისყრის შედეგად შესაძლებელია, ვერდიქტის მისაღებად საჭირო ნაფიც მსაჯულთა ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ იქნეს მიღწეული.<sup>605</sup> შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა კორპუსს, რომელიც გადაწყვეტილებას ვერ ღებულობს, გადაწყვეტილების უუნარო – Hung Jury ეწოდება.<sup>606</sup>

იმ ქვეყნებში, სადაც ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებენ, აღნიშნული ტიპის პრობლემა ფაქტობრივად არ არსებობს. ასე მაგ.: შოტლანდიის სისხლისსამართლებრივ ჟიურის შეუძლია როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანა უბრალო

<sup>603</sup> გადაწყვეტილების მიღების უუნარო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

<sup>604</sup> ასე მაგ.: საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილებების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილებები მომდევნო 8 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 10 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 9 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 8 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 4 ხმით.

<sup>605</sup> მაგ.: საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, 12 ნაფიცი მსაჯულიდან 6-მა ნაფიცმა მსაჯულმა გამამტყუნებელ ვერდიქტს დაუჭირა მხარი, ხოლო დარჩენილმა 6-მა – გამამართლებელ ვერდიქტს; ანდა 12 ნაფიცი მსაჯულიდან 7-მა ნაფიცმა მსაჯულმა გამამტყუნებელ ვერდიქტს დაუჭირა მხარი, ხოლო დარჩენილმა 5-მა – გამამართლებელ ვერდიქტს.

<sup>606</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 54.



უმრავლესობით – რვა ხმით შვიდის წინააღმდეგ. შესაბამისად, არ არსებობს ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა, გადაწყვეტილების მიღების უუნარო ჟიური.<sup>607</sup> ნებისმიერი პროცესი მთავრდება ვერდიქტით.<sup>608</sup> ანუ, თუ ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობა მხარს არ უჭერს გამამტყუნებელ ვერდიქტს, შოტლანდიაში ბრალდებული გამართლებულად ითვლება.<sup>609</sup>

განსხვავებული მიდგომაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც, ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს, როგორც წესი, ერთხმად იღებენ. შესაბამისად, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ აღნიშნული წესი უნდა შეიცვალოს. ასე მაგ.: გადაწყვეტილება მიღებული იქნეს ხმათა უმრავლესობით, რადგან აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობით მიღებული ვერდიქტები ნათლად შეამცირებს Hung Jury-ის რიცხვს.<sup>610</sup>

აშშ-ში ერთ-ერთი პოპულარული წინადადებაა, რომ ე.წ. Felonies-ის საქმეების განხილვისას, გაუქმდეს ერთსულოვანი ვერდიქტის მოთხოვნის წესი და, მის ნაცვლად, მიღებულ იქნეს სუპერუმრავლესობით<sup>611</sup> ვერდიქტის მიღების წესი. შესაბამისად, აღარ რჩება ეჭვი, რომ ასეთი მიდგომა, უმრავლეს იურისდიქციებში, არსებითად შეამცირებს Hung Jury-ის შემთხვევების რიცხვს.<sup>612</sup> ამდენად, აშშ-ში ნაფიც

---

<sup>607</sup> ინგლისურად – Hung Jury.

<sup>608</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 255.

<sup>609</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40. იხ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>610</sup> *Hunter M.*, Improving the Jury System: Nonunanimous Verdicts, Abstract, Public Law Research Institute. იხ.: [www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf](http://www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>611</sup> მაგ.: 11-1-ზე ან 10-2-ზე ხმათა უმრავლესობით.

<sup>612</sup> *Hannaford-Agor P.L., Hans V.P., Mott N.L., Munsterman G.T.*, – *The National Center for State Courts, Are Hung Juries a Problem?* September 30, 2002, p. 86. იხ.: <http://www.ncsc-jurystudies.org/What-We-Do/~media/Microsites/Files/CJS/What%20We%20Do/Are%20Hung%20Juries%20A%20Problem.aspx>

მსაჯულთა სისტემის ზოგიერთ დამკვირვებელს სჯერა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის ერთსულოვნად მიღების თაობაზე არსებული მოთხოვნა უნდა შეიცვალოს, სერიოზული სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს. ნაფიცი მსაჯულებისათვის ნებართვის მიცემით, რომ საქმეებზე 10-2 ან 11-1 კენჭისყრით მიიღონ გადაწყვეტილება, შემცირდება გადაწყვეტილებამიუღებელ საქმეთა რაოდენობა და დაიზოგება დრო და ფული.<sup>613</sup> თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთსულოვანი გადაწყვეტილება სავალდებულოა, მსაჯულები უფრო მეტი ყურადღებით იკვლევენ მტკიცებულებებს, უფრო მეტ დროს უთმობენ თათბირს და უფრო მეტჯერ ატარებენ კენჭისყრას. ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთსულოვანი გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო, ნაფიცი მსაჯულები ხშირად თათბირს წყვეტენ, როგორც კი მინიმალური ქვორუმი შედგება.<sup>614</sup>

თავდაპირველად ინგლისში ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი ერთხმად უნდა მიეღოთ, თუმცა ერთსულოვანი ვერდიქტის მოთხოვნა გაუქმდა „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ“ 1967 წლის კანონით, რომლის თანახმად, ნებადართული გახდა უმრავლესობით ვერდიქტის გამოტანა.<sup>615</sup> შესაბამისად, ინგლისში ბრალდებული გამართლებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც 12 ნაფიცი მსაჯულიდან მინიმუმ 10 მხარს უჭერს მის გამართლებას,<sup>616</sup> ხოლო

---

<http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAJuryprinciples.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>613</sup> *Hunter M.*, Improving the Jury System: Nonunanimous Verdicts, Abstract, Public Law Research Institute. იხ.: [www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf](http://www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>614</sup> *American Bar Association*, Principles for Juries and Jury Trials, August 2005, p. 22. იხ.: <http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAJuryprinciples.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>615</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40. იხ.: <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>616</sup> იქვე.

ვერდიქტის მისაღებად საჭირო ხმათა უმრავლესობის მიუღწევლობა იწვევს Hung Jury-ის, საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობით.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, ინგლისში ერთსულოვან ვერდიქტთა რიცხვი მაინც ჭარბობს არაერთსულოვან ვერდიქტებს.<sup>617</sup> მაგ.: 1996 წლის სასამართლო სტატისტიკის თანახმად, ინგლისში, გვირგვინის სასამართლოში ბრალდებულის მიერ თავის დამნაშავედ არ ცნობის შემდეგ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენთა 20%-ში არაერთსულოვანი ვერდიქტი იქნა გამოტანილი.<sup>618</sup> ეს კი, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთსულოვანი ვერდიქტების გაუქმებამდე 10%-ზე ნაკლებ შემთხვევებში ვერ ხდებოდა გადაწყვეტილების გამოტანა.<sup>619</sup> ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ინგლისში ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების 40% მთავრდება გამამართლებელი ვერდიქტით.<sup>620</sup>

## 6. „Hung Jury“ საქართველოში

ინგლისის კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოს სსსკ-ის მიხედვით, ვერდიქტის მისაღებად საჭირო ნაფიცი მსაჯულების ხმათა უმრავლესობის მიუღწევლობა ფაქტობრივად Hung Jury-ის იწვევს, თუმცა საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობით; კერძოდ: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის 12 ნაფიცი მსაჯულის შემადგენლობით განხილვის

---

<sup>617</sup> ბეჟამვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 23-24.

<sup>618</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 55.

<sup>619</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 297.

<sup>620</sup> *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40. იბ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

შემთხვევაში,<sup>621</sup> მათ გადაწყვეტილება თათბირის პირველი 4 საათის განმავლობაში უნდა მიიღონ ერთხმად. ამ ვადაში ვერდიქტის მიღების შეუძლებლობისას კი, ვერდიქტის მიღების წესი იცვლება და გადაწყვეტილება 8 ხმით მიიღება.<sup>622</sup> შესაბამისად, შესაძლებელია, აღმოჩნდეს ისე, რომ ნაფიცი მსაჯულების თათბირისას, კენჭისყრის შედეგად ვერდიქტი ვერ იქნეს მიღებული.<sup>623</sup>

აღსანიშნავია ის, რომ სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი ვერ მიიღეს;<sup>624</sup> კერძოდ: გიორგი ოქროპირიძის საქმესთან დაკავშირებით 2015 წლის 05 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი შემადგენლობის მიერ ვერდიქტი ვერ იქნა მიღებული.<sup>625</sup> ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ამ საქმის განხილვისას, მას შემდეგ, რაც მსაჯულებმა ვერ მიიღეს ვერდიქტი და დანიშნულ იქნა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომა, ბრალდების მხარემ იშუამდგომლა საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვა<sup>626</sup> იმ მოტივებით, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობა<sup>627</sup>

---

<sup>621</sup> ანუ ნაფიც მსაჯულთა რა რაოდენობითაც ხდება, როგორც წესი, საქმეების განხილვა.

<sup>622</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>623</sup> მაგ.: გამამართლებელ ვერდიქტს მხარი დაუჭირა 7 ნაფიცმა მსაჯულმა, ხოლო გამამტყუნებელ ვერდიქტს – 5 ნაფიცმა მსაჯულმა; ან გამამართლებელ ვერდიქტს მხარი დაუჭირა 5 ნაფიცმა მსაჯულმა, ხოლო გამამტყუნებელ ვერდიქტს – 7 ნაფიცმა მსაჯულმა; ანდა გამამართლებელ ვერდიქტს მხარი დაუჭირა 6 ნაფიცმა მსაჯულმა, ხოლო გამამტყუნებელ ვერდიქტს – ასევე 6 ნაფიცმა მსაჯულმა.

<sup>624</sup> ფავიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მერიდიანი, 2015, გვ. 672-673.

<sup>625</sup> შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ., ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 36.

<sup>626</sup> 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ, დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო საფრთხე შექმნოდა ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად ხელყოფილი ყოფილიყო მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევდა ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი

ასახებოდა ნაფიც მსაჯულებზე და გადაწყვეტილების მიღებისას ისინი ვერ იქნებოდნენ ობიექტურები და მიუკერძოებლები, რითაც დაირღვეოდა ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>628</sup> ამასთან, ბრალდების მხარის შუამდგომლობა სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან მოსამართლემ მიიჩნია, რომ:

1. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო ის საფრთხეები, რაზეც ბრალდების მხარე აპელირებდა და

2. ასეთი საფრთხეების არარსებობის პირობებში საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვით დაირღვეოდა ბრალდებულის არჩევანის უფლება, საქმე განეხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

საინტერესოა, რომ აღნიშნულ საქმეზე თავად ბრალდებულმაც არ თქვა უარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, მიუხედავად იმისა, რომ, საზოგადოებაში გავრცელებული აზრის თანახმად, ის მართლაც დამნაშავედ მიიჩნეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ეს საქმე ჯერჯერობით ერთადერთია, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. სხვა ყველა შემთხვევაში ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს ვერდიქტი – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი.<sup>629</sup> ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მოგვიანებით, 2015 წლის 26 დეკემბერს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე შემადგენლობამ ამ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანა.<sup>630</sup>

---

სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავდა მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

<sup>627</sup> ანუ დაუცველობის განცდა; წინასწარ შექმნილი მიდგომა, რომ ბრალდებული დამნაშავეა; ასევე განცდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემამ ვერ გაამართლა.

<sup>628</sup> ეს საქმე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სასამართლო პრაქტიკაში მხარემ აღნიშნული უფლებამოსილებით ფაქტობრივად მხოლოდ ერთხელ, ამ შემთხვევაში ისარგებლა.

<sup>629</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მერიდიანი, 2015, გვ. 672-673.

<sup>630</sup> შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ., ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 36.

## 7. „ნულიფიკაცია“

ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებასთან არის დაკავშირებული ასევე ე.წ. „ნულიფიკაციის“ საკითხი. ბლექის ლექსიკონი ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაციას განმარტავს, როგორც ნაფიც მსაჯულთა მიერ შეცნობით და წინასწარგანზრახულად მტკიცებულების უკუგდებას, ან კანონის გამოყენებაზე უარის თქმას, რითაც ნაფიც მსაჯულებს უნდათ მიაწიონ, რომ აღნიშნულ სოციალურ საკითხს უფრო ფართო განზომილება აქვს, ვიდრე კონკრეტულ საქმეს, ან ის, რომ კანონის მოთხოვნა საქმის იურიდიული შედეგების შესახებ ეწინააღმდეგება, ნაფიც მსაჯულთა სამართლიანობის, ან მორალის გრძნობას.<sup>631</sup>

იმისათვის, რომ განაჩენი ჩაითვალოს ნულიფიკაციად, ნაფიცმა მსაჯულებმა ხმა უნდა მისცენ ბრალდებულის გათავისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ესმით, ბრალდებული დამნაშავეა კანონისა და ფაქტების მიხედვით.<sup>632</sup>

ნულიფიკაციის მომხრეები აქცენტს აკეთებენ სწორედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ტირანიისაგან დაცვის გარანტიის, ფუნქციაზე. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, წინააღმდეგობის მიუხედავად, ფაქტია, რომ ნულიფიკაცია მომავალშიც იარსებებს, ვინაიდან ეს ნაფიც მსაჯულთა „თავისუფლების“ გარდაუვალი შედეგია; იმ თავისუფლებისა, რომელმაც, თავის მხრივ, ყოველი მოქალაქე სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტი გამოყენებისგან უნდა დაიცვას.<sup>633</sup> თუმცა ნულიფიკაციის მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ნულიფიკაცია ძირს უთხრის კანონის უზენაესობას და მართლწესრიგს.<sup>634</sup>

---

<sup>631</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 54. იხ.: [https://archive.org/stream/BlacksLawDictionary-Editions1-9/Black%27s%20Law%20Dictionary%20-%20Editions%201-9/7th%20Edition\\_djvu.txt](https://archive.org/stream/BlacksLawDictionary-Editions1-9/Black%27s%20Law%20Dictionary%20-%20Editions%201-9/7th%20Edition_djvu.txt), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>632</sup> *ვიდმარი ნ., ჰანსი ვ. პ.*, ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები – ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, გვ. 267.

<sup>633</sup> იხ.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 64.

<sup>634</sup> შეად.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 59.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში არ არსებობს სტატისტიკა, თუ რამდენად ხშირად ხდება, ან შეიძლება მოხდეს ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაცია, რადგან შეკითხვა, პირის მსჯავრდებისათვის მტკიცებულება იყო თუ არა მყარი, არის განაჩენის საკითხი; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კი, არ მოეთხოვება, დაასაბუთოს ვერდიქტი.<sup>635</sup> თუმცა, თუკი ნაფიცი მსაჯულები არასწორად აღიქვამენ ფაქტებს, ვერ გაიაზრებენ კანონს, არ არასწორად შეუფარდებენ ერთმანეთს კანონსა და ფაქტებს, ასეთ პროცესს ვერ ვუწოდებთ ნულიფიკაციას.<sup>636</sup>

ინგლისში ზოგიერთ საქმეში ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლებელია, არ გამოიყენონ ის კანონი, რომელსაც ისინი მიიჩნევენ ცუდ კანონად. მაგ.: ინგლისში მკვლელობის იურიდიული დეფინიცია არ მოითხოვს მკვლელობის განზრახვას. ლორდ გოფის<sup>637</sup> წინაშე განხილულ საქმეში ნაფიცმა მსაჯულებმა უარყვეს მკვლელობის ეს დეფინიცია და ბრალდებული მკვლელობაში გაამართლეს. ლორდ გოფის მოსაზრებით, ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ შეძლეს ბრალდებულისათვის მკვლელობის სახელის დარქმევა.<sup>638</sup>

ნულიფიკაციის შემთხვევა რუსეთშიც მოხდა, როდესაც ივანოვოს ოლქში, 2000-იანი წლების დასაწყისში, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული კრასნინას საქმის განხილვისას ნაფიცმა მსაჯულებმა დაასკვნეს: „არ არის დამნაშავე, თუმცა მკვლელობა მან ჩაიდინა.“<sup>639</sup>

---

<sup>635</sup> *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States – Third Edition, West Group, 2003, p. 88.

<sup>636</sup> *ვიდმარი ნ., ჰანსი ვ. პ.*, ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები – ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, გვ. 267.

<sup>637</sup> ინგლისურად – Lord Goff.

<sup>638</sup> იხ.: *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, 7-40. იხ.:

<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>639</sup> იხ. ციტირება: *რეხვიაშვილი თ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: ანალიტიკური მიმოხილვა, თბილისი, 2010, გვ. 13. იხ.: [www.library.court.ge/upload/nafic\\_msajulTa\\_sasamarTlo.pdf](http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაცია სამართლებრივად შესაძლებელია; თუმცა, რადგან ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება დაცულია და ნაფიც მსაჯულთა გარდა, არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში,<sup>640</sup> ფაქტობრივად შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტის მიღება რითი იყო განპირობებული; მაგ.: იმით, რომ:

1. ნაფიცმა მსაჯულებმა მიიჩნიეს, რომ საქმეში არ არსებობდა გამამტყუნებელი ვერდიქტის მისაღებად საჭირო მტკიცებულებების ერთობლიობა; თუ

2. ბრალდებულის მსჯავრდებისათვის საკმარისი მტკიცებულებების საქმეში არსებობის მიუხედავად, ნაფიცმა მსაჯულებმა გარკვეული მიზეზის გამო,<sup>641</sup> ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი ვერდიქტი არ მიიღეს.

შესაბამისად, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაციის სტატისტიკა არ არსებობს და ამ საკითხის განზოგადება ფაქტობრივად შეუძლებელია.

## 8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნა

### (საერთაშორისო გამოცდილება)

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, მონაწილეობენ თუ არა ნაფიცი მსაჯულები სასჯელის დანიშვნის პროცესში და როგორია სხვადასხვა ქვეყნების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აშშ-ში, როგორც წესი, სასჯელს ნიშნავს და სასჯელის ზომას განსაზღვრავს მოსამართლე.<sup>642</sup> ასე მაგ.: სისხლის სამართლის საქმეებზე კალიფორნიის ნაფიც

<sup>640</sup> საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>641</sup> მაგ.: ბრალდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის მიუხედავად, ნაფიცი მსაჯულების მოსაზრებით, ეს ქმედება არ უნდა შედიოდეს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ დანაშაულთა ჩამონათვალში და ა.შ.

<sup>642</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგინიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 92.



მსაჯულთა სასამართლოს ინსტრუქციების<sup>643</sup> თანახმად, თათბირის დროს, ნაფიცმა მსაჯულებმა არ უნდა იმსჯელონ ან განიხილონ ჯარიმის ან სასჯელის საკითხი.<sup>644</sup> უფრო მეტიც, აღნიშნული ინსტრუქცია განმარტავს, რომ ამ საკითხმა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე არანაირი გზით არ უნდა მოახდინოს გავლენა.<sup>645</sup> მხოლოდ რამდენიმე შტატში, გამონაკლისის სახით, სასჯელის განსაზღვრისას აქტიურად მონაწილეობენ ნაფიცი მსაჯულები.<sup>646</sup>

ქვეყნებში, სადაც საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს,<sup>647</sup> ნაფიცი მსაჯულები იძლევიან მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, რომელიც სავალდებულო არ არის მოსამართლისათვის.<sup>648</sup>

ინგლისში ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის გამოტანის შემდეგ ტარდება განაჩენის გამოტანის წინა გამოძიება, რომელიც გულისხმობს განსასჯელის მიმართ ყველა საჭირო მონაცემის შეკრებას.<sup>649</sup> აღნიშნულ მონაცემებს მოსამართლის დავალებით აგროვებს პრობაციის სამსახური ან სოციალური სამსახურის თანამშრომელი.<sup>650</sup>

კანადაში მსჯავრდებულისათვის სასჯელის დაკისრება მოსამართლის და არა ნაფიც მსაჯულთა უფლებამოსილებას შეადგენს.<sup>651</sup> თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ

---

<sup>643</sup> ინსტრუქცია 17.42.

<sup>644</sup> იხ.: *The Committee on Standard Jury Instructions, Criminal of the Superior Court of Los Angeles County (California)*, California Jury Instructions (Criminal), Sixth Edition, Vol. 2, West Publishing Co., 1996, p. 638.

<sup>645</sup> იხ.: იქვე.

<sup>646</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგინიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 92.

<sup>647</sup> მაგ.: ინგლისი, კანადა, ავსტრალია.

<sup>648</sup> *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 51.

<sup>649</sup> იგულისხმება წარსული ნასამართლობა, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი თუ პროფესიული საქმიანობა.

<sup>650</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 25.

<sup>651</sup> *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 111.

ვერდიქტის მიღებისგან განსხვავებით, მსჯავრდებულისთვის სასჯელის დაკისრება არა ნაფიცი მსაჯულების, არამედ მოსამართლის უფლებამოსილებაა,<sup>652</sup> კანადაში იმ შემთხვევაში, როდესაც სრულწლოვან პირს მსჯავრი დაედება მეორე ხარისხის მკვლელობაში, მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს უნდა აცნობოს, რომ კანონით დასაშვებია მსჯავრდებულის პირობითი გათავისუფლება 10-წლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ, და შეეკითხოს მათ, სურთ თუ არა რეკომენდაციის შემუშავება იმ საკითხზე, თუ 10-დან 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის რა ვადაში უნდა მიეცეს ბრალდებულს პირობით გათავისუფლებაზე შუამდგომლობის დაყენების უფლება.<sup>653</sup> ამასთან, ნაფიც მსაჯულებს არ ევალებათ რეკომენდაციის მიცემა, ხოლო მიცემული რეკომენდაცია მოსამართლისათვის არ არის შემბოჭველი.<sup>654</sup>

საბერძნეთში დამნაშავესთვის სასჯელის მისჯა მოსამართლის კომპეტენციაა. ნაფიცი მსაჯულები ამ პროცესში რაიმე როლს არ თამაშობენ.<sup>655</sup>

შოტლანდიაში ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის გამოტანისას უფლება არ აქვთ, მიიღონ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაცია, ვინაიდან, მიჩნეულია, რომ სასჯელის დანიშვნის უფლებამოსილება ერთპიროვნულად მოსამართლეს ეკუთვნის.<sup>656</sup>

თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში სასჯელის დანიშვნის პროცესში ამა თუ იმ ფორმით ნაფიცი მსაჯულებიც მონაწილეობენ. ასე მაგ.: დანიაში, მოსამართლეები და მსაჯულები ერთად წყვეტენ სასჯელის დაკისრების საკითხს. ამ მიმართებით თითო

---

<sup>652</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 101.

<sup>653</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 111-112.

<sup>654</sup> იქვე.

<sup>655</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 225.

<sup>656</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 111.

ნაფიც მსაჯულს აქვს ერთი ხმა და პროფესიონალ მოსამართლეებს: თითოს – ოთხი ხმა.<sup>657</sup> შესაბამისად, ერთის მხრივ, საზოგადოების წარმომადგენლებსა და პროფესიონალ იურისტებს შორის ხმის მიცემის ბალანსი დარღვეულია,<sup>658</sup> თუმცა, საბოლოო ჯამში, ნაფიც მსაჯულებსა და მოსამართლეებს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ<sup>659</sup>, რადგან დანიაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სამი მოსამართლისა და თორმეტი ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება.<sup>660</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის საინტერესო მოდელი არსებობს ნორვეგიაში, სადაც ვერდიქტი გამოაქვს ათ ნაფიც მსაჯულს, მაგრამ მათგან მხოლოდ სამი იღებს მოსამართლესთან ერთად სასჯელის შესახებ გადაწყვეტილებას.<sup>661</sup> თუმცა ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ნორვეგიაში თუ ვერდიქტი ადგენს განსასჯელის ბრალეულობას, წილისყრით შეირჩევა სამი მოსამართლე. შესაბამისად, იქმნება შერეული სასამართლო სამი პროფესიონალი მოსამართლისა და ოთხი მსაჯულის შემადგენლობით და ასე ხდება სასჯელის შეფარდება.<sup>662</sup>

ამდენად, ცალსახაა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის პროცესში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს.

---

<sup>657</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 72.

<sup>658</sup> ნაფიცი მსაჯულის ერთი ხმა მოსამართლის ოთხი ხმის წინააღმდეგ.

<sup>659</sup> ნაფიცი მსაჯულების თორმეტი ხმა მოსამართლეების თორმეტი ხმის წინააღმდეგ.

<sup>660</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 72.

<sup>661</sup> *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, სანი, 1999, გვ. 257.

<sup>662</sup> იხ.: *იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009, გვ. 81.

## 9. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ

### სასჯელის დანიშვნა

საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს.<sup>663</sup> ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ნაფიცი მსაჯულების გარეშე სისხლის სამართლის საქმის განხილვის შემთხვევაში, სასჯელის დანიშვნის მიზნით სპეციალური სხდომა არ იმართება; ანუ საქართველოს კანონმდებლობა სასჯელის დანიშვნის სხდომის ინსტიტუტს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის ითვალისწინებს.

სასჯელის დანიშვნის სხდომა უნდა გაიმართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 დღისა;<sup>664</sup> ანუ, ერთის მხრივ, დაცვისა და ბრალდების მხარეებს თითქოსდა მაქსიმუმ 3 დღიანი ვადა აქვთ იმისათვის, რომ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დამდგენი მტკიცებულებების გამოკვლევისათვის მოემზადონ. შესაბამისად, შესაძლებელია, არსებობდეს მოსაზრება, რომ აღნიშნული ვადა არაგონივრულად მცირეა და ამის გამო, მხარეები სრულყოფილად მომზადებულები ვერ წარსდგებიან სასჯელის დანიშვნის სხდომაზე. თუმცა, მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ ინფორმაციას მხარეები ფაქტობრივად გაცილებით ადრე ფლობდნენ, რადგან, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეზე ამ მტკიცებულებების დაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია, ჯერ კიდევ წინასასამართლო სხდომაზე და, ამასთან, ეს მტკიცებულებები მხარეებს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აქვთ გამოკვლეული. ამდენად, ვერდიქტის გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში სასჯელის დანიშვნის სხდომის ჩატარებამ, წესით, მხარეებს პრობლემები არ უნდა შეუქმნას.

<sup>663</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>664</sup> საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

## 9.1. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა

საქართველოს კანონმდებლობა ბრალდებისა მხარესა და დაცვის მხარეს აძლევს შესაძლებლობას, რომ მათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე საკითხის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით.<sup>665</sup> ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, გამოხატოს პოზიცია მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასჯელთან დაკავშირებით წარდგენილ მოსაზრებაზე.<sup>666</sup>

ამდენად, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეები უფლებამოსილნი არიან, როგორც, თავის მხრივ, წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით, ისე გამოხატონ პოზიცია მეორე მხარის მიერ წარდგენილ ანალოგიურ მოსაზრებაზე. ბუნებრივია, აღნიშნული მოსაზრებები უნდა დაეყრდნოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ უკვე განხილულ, სისხლის სამართლის საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებებს. თუმცა პრობლემურია ის, რომ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეებს შეუძლიათ ასევე წარადგინონ სხვა მტკიცებულებები;<sup>667</sup> ანუ ის მტკიცებულებები, რომლებიც წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს ამ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად არ დაუშვია და მხარეებს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე არ გამოუკვლევიათ. შესაბამისად, შესაძლებელია, სასამართლოს განაჩენი დაეფუძნოს სასამართლო სხდომაზე არგამოკვლეულ მტკიცებულება(ებ)ს. ამდენად, აღნიშნული საკითხის დაზუსტება სასურველია:

<sup>665</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>666</sup> იქვე.

<sup>667</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილი.

1. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თუ რა სახის მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას ადგენს საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ ზოგადად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით - მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.<sup>668</sup> შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე, როგორც წესი, მხარემ უნდა წარადგინოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან/და დამამძიმებელ გარემოებებს ადგენენ.<sup>669</sup>

2. უმრავლეს შემთხვევებში, ასეთი სახის მტკიცებულებებს მხარეები სასჯელის დანიშვნის სხდომაზე გაცილებით ადრე წარადგენენ. ისინი წინასასამართლო სხდომაზე უკვე ცნობილია დასაშვებ მტკიცებულებებად და მხარეების მიერ გამოკვლეულია სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. შესაბამისად, ეს მტკიცებულებები უკვე გამოკვლეულ მტკიცებულებებს წარმოადგენენ და არ შედიან სხვა ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებათა ჩამონათვალში.

3. თუმცა შესაძლებელია, მხარემ იხელმძღვანელოს საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის არსებული რედაქციით და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დამდგენი მტკიცებულებები წარადგინოს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე. ამ შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები მხარეებმა უნდა გამოიკვლიონ და შესაბამისად, მათი გათვალისწინებითაც უნდა დაინიშნოს სასჯელი. თუმცა, საბოლოო ჯამში, აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში სასჯელის

<sup>668</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>669</sup> როგორც წესი, საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკაში ასეთი სახის მტკიცებულებებია: ბრალდებულის დახასიათება, ცნობა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ა.შ.

დანიშვნის დროს შეფასდება მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს ადგენენ.

4. ზემოაღნიშნული შემთხვევის გარდა, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარემ შესაძლებელია, წარადგინოს სხვა გამოუკვლევ მტკიცებულებები, რომლებიც არ ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. აღნიშნული კი, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს; კერძოდ: ამ მტკიცებულებებით ბრალდების მხარე შეეცადოს, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნაზე არასწორი ზემოქმედება მოახდინოს. ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ა. ბრალდების მხარემ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე წარადგინა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულება.<sup>670</sup> აღნიშნული მტკიცებულება პროკურორმა საქართველოს სსსკ-ით დადგენილი ვადის დარღვევით მოიპოვა და ის, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულება, ამ მიზეზით ვერ დაურთო სისხლის სამართლის საქმეს.

ბ. ერთის მხრივ, შესაძლებელია, პროკურორის მიერ ამ ეტაპზე ასეთი მტკიცებულების წარდგენის მიზანი გაუგებარი იყოს, რადგან ნაფიც მსაჯულთა მიერ მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი ვერდიქტი უკვე მიღებულია და ამ მტკიცებულების დამატებით სამართლებრივი შედეგი არ შეიცვლება.

გ. თუმცა ბრალდების მხარეს ამ მტკიცებულებით შესაძლებელია, სურდეს, რომ მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე და მსჯავრდებულის დამატებითი მამხილებელი მტკიცებულების წარდგენით, უზრუნველყოს მისი უსამართლოდ უფრო მკაცრად დასჯა, რისი განხორციელების შესაძლებლობაც ამ შემთხვევაში რეალურია.

---

<sup>670</sup> მაგ.: დანაშაულის თვითმხილველი პირის გამოკითხვის ოქმი, სადაც ეს პირი მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს ადასტურებს.

დ. ამდენად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ის სხვა გამოუკვლევ მიტკიცებულებები, რომლებიც მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს არ ადგენენ, შესაძლებელია, ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

5. ანალოგიური სიტუაცია შესაძლებელია, შეიქმნას დაცვის მხარის მიერ იმ სხვა გამოუკვლევ მიტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში, რომლებიც არ ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. ამ მოსაზრების შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ა. დაცვის მხარემ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე წარადგინა მიტკიცებულება, რითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულს დანაშაული არ ჩაუდენია.<sup>671</sup> აღნიშნული მიტკიცებულება ადვოკატმა საქართველოს სსსკ-ით დადგენილი ვადის დარღვევით მოიპოვა და ის, როგორც დაცვის მხარის მიტკიცებულება, ამ მიზეზით ვერ დაურთო ამ სისხლის სამართლის საქმეს.

ბ. ამ შემთხვევაშიც, ერთის მხრივ, შესაძლებელია, ადვოკატის მიერ ამ ეტაპზე ასეთი მიტკიცებულების წარდგენის მიზანი გაუგებარი იყოს, რადგან ნაფიც მსაჯულთა მიერ მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი ვერდიქტი უკვე მიღებულია და ამ მიტკიცებულების დამატებით სამართლებრივი შედეგი არ შეიცვლება.

გ. თუმცა დაცვის მხარეს ამ მიტკიცებულებით შესაძლებელია, სურდეს, რომ მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე და მსჯავრდებულის გამამართლებელი მიტკიცებულების წარდგენით უზრუნველყოს მისი უსამართლოდ უფრო მსუბუქად დასჯა, რაც ამ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია, მოხდეს.

---

<sup>671</sup> მაგ.: დანაშაულის თვითმხილველი პირის გამოკითხვის ოქმი, სადაც ეს პირი აცხადებს, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილას არა მსჯავრდებული, არამედ სავარაუდოდ სხვა პირი იმყოფებოდა.



6. და ბოლოს, ასევე გასარკვევია, აღნიშნულ სამართლებრივ ნორმაში<sup>672</sup> შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე მითითება, ხომ არ გამორიცხავს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხვა სახის მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას და შესაბამისად, ადგენს მხოლოდ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების განმსაზღვრელი მტკიცებულებების წარდგენის უფლებას. თუმცა საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის არსებული რედაქციის თანახმად, სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით, მხარეები სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსაზრებებს წარადგენენ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.<sup>673</sup> ამდენად, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით მოსაზრებების წარდგენის უფლება, არ გამორიცხავს მხარის მიერ სხვა არგამოკვლეული მტკიცებულებ(ებ)ის წარდგენის შესაძლებლობას.

7. ზემოაღნიშნული შემთხვევები ადასტურებს იმას, რომ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარის მიერ იმ სხვა გამოუკვლევ მტკიცებულებების წარდგენით, რომლებიც არ ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, მსჯავრდებულს უსამართლოდ უფრო მკაცრი ან მსუბუქი სასჯელი დაენიშნოს, რაც დაუშვებელია; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამით შესაძლებელია, მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა დამძიმდეს. ამასთან, აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმად, დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძველად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.<sup>674</sup>

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლში შევიდეს შესწორება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველ

<sup>672</sup> იგულისხმება საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>673</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>674</sup> იქვე.

წინადადებაში სიტყვები: „საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით,“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს,“ და საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, სასამართლოს წარუდგინენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით.“.

## 9.2. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების დაშვება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს მტკიცებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსსკ სპეციალურ დათქმას აკეთებს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადების თანახმად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც;<sup>675</sup> ანუ ვიღებთ სიტუაციას, როდესაც დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება შესაძლებელია, გამოკვლეული იქნეს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე და ის საფუძველად დაედოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენს. ეს კი, ბუნებრივია, გარკვეულ კითხვებს წარმოშობს. ამდენად, ამ საკითხის დაზუსტება სასურველია:

---

<sup>675</sup> იქვე.

1. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს სსსკ<sup>676</sup> არ ადგენს შესაძლებლობას იმისა, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დაშვებული, გამოკვლეული და გამოყენებული იქნეს მანამდე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება. ამასთან, ეს წესი ვრცელდება როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ისე პროფესიონალი მოსამართლის (მოსამართლეების) მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცედურებზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გამონაკლისი<sup>677</sup> ეხება მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სასჯელის დანიშვნის სხდომას.

2. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის აღნიშნული ნორმის<sup>678</sup> არსებული რედაქცია მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის პროცედურასთან დაკავშირებით არასწორ დებულებას შეიცავს; კერძოდ: სიტყვები: „საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც“ საქართველოს სსსკ-ის მოთხოვნებს არ შეესაბამება, რადგან მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე<sup>679</sup> და საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა არ ხდება.<sup>680</sup>

3. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ისიც, რომ თითქმის ანალოგიური შინაარსის ნორმა არსებობდა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს სსსკ-ში, რომლის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით.<sup>681</sup>

---

<sup>676</sup> იქვე.

<sup>677</sup> იგულისხმება დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლო დაშვება.

<sup>678</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადება.

<sup>679</sup> საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>680</sup> როგორც წესი, საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დადგინდება, რომ მტკიცებულება კანონის არსებითი დარღვევით არის მოპოვებული, ამ შემთხვევაში სასამართლო მტკიცებულებას დაუშვებლად არ ცნობს; როგორც წესი, სასამართლო განაჩენში მტკიცებულებას ამ მიზეზით არ იზიარებს.

<sup>681</sup> საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, N13-14, 20/03/1998.

თუმცა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის აღნიშნული ნორმის<sup>682</sup> რედაქცია მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადების არსებული რედაქციისგან; კერძოდ:

ა. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და სასჯელის დანიშვნის სხდომის ინსტიტუტებს არ ითვალისწინებდა და ფაქტობრივად დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმეზე დაშვება პროფესიონალი მოსამართლის მიერ სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე იყო შესაძლებელი.

ბ. ამ სახის საგამონაკლისო უფლებამოსილებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ დაცვის მხარეს ჰქონდა. ბრალდების მხარე არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა დაუშვებლად მიჩნეული დაცვის მტკიცებულების საქმეზე დაშვება.

გ. შესაბამისად, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, შეუძლებელი იყო ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება.

დ. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულს (მსჯავრდებულს) და მის ადვოკატს (ადვოკატებს) ბრალდების იმ მტკიცებულების დაშვება უნდა მოეთხოვათ, რომელიც დაცვის მხარისთვის სასარგებლო იყო. თუმცა ამის პრაქტიკულად განხორციელების წარმოდგენაც კი, თითქმის შეუძლებელია, რადგან ბრალდების მხარის მტკიცებულებების ჩამონათვალში, წესით, დაცვის მხარის სასარგებლო მტკიცებულება არ უნდა იყოს მითითებული.

ე. შესაბამისად, საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკაში ფაქტობრივად არ არსებობდა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული უფლების დაცვის მხარის მიერ გამოყენების პრეცედენტი.

4. საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადების მიხედვით, დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების სასჯელის დანიშვნის სხდომაზე

---

<sup>682</sup> საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

დაშვების გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე, რაც ლოგიკური და სწორია, რადგან ამ საკითხის განხილვა სცდება ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციის ფარგლებს. უფრო მეტიც, ამ შუამდგომლობის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე უნდა მოხდეს.<sup>683</sup>

5. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაშვების შუამდგომლობა შესაძლებელია, დააყენოს როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარემ.

6. მხარე უფლებამოსილია, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოითხოვოს დაუშვებლად ცნობილი როგორც თავისი მტკიცებულების, ისე მეორე მხარის მტკიცებულების დაშვება.<sup>684</sup> ბუნებრივია, მოწინააღმდეგე მხარის დაუშვებელი მტკიცებულების დაშვების მოთხოვნა სამართლებრივად გარკვეულწილად გაუგებარია,<sup>685</sup> თუმცა საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადების არსებული რედაქცია ამის შესაძლებლობას არ კრძალავს.

7. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების დაშვების შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმეში უკვე არსებულ იმ მტკიცებულებებთან ერთად, რომლებიც მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს ადგენენ, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დამატებით განხილული და შეფასებული იქნება მსჯავრდებულის სასარგებლო მტკიცებულება. ეს კი, საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი

---

<sup>683</sup> ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა მომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურისგან, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს განიხილავს წინასასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

<sup>684</sup> მაგ.: მსჯავრდებულის ადვოკატმა მოითხოვოს ბრალდების მხარის დაუშვებელი მტკიცებულების დაშვება, ხოლო პროკურორმა - დაცვის მხარის დაუშვებელი მტკიცებულების დაშვება.

<sup>685</sup> რადგან, წესით, მხარეს თავის მტკიცებულებად მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო ინფორმაცია არ უნდა ჰქონდეს მითითებული.

დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.<sup>686</sup>

8. დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების დაშვების შესახებ ბრალდების მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი, საქმეში უკვე არსებულ იმ მტკიცებულებებთან ერთად, რომლებიც მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს ადგენენ, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დამატებით განხილული და შეფასებული იქნება მსჯავრდებულის საწინააღმდეგო მტკიცებულება. აღნიშნულმა კი, გარდა იმისა, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს<sup>687</sup> ეწინააღმდეგება, ასევე შესაძლებელია, უსამართლოდ გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

9. და ბოლოს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებას სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაუშვებენ და ის საფუძველად დაედება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენს, აღნიშნულით დაირღვევა საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძველად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.<sup>688</sup>

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლში შევიდეს შესწორება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებული იქნეს მესამე წინადადება: „მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც.“.

---

<sup>686</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>687</sup> საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>688</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

### 9.3. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა

საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.<sup>689</sup> შესაბამისად, იმისათვის, რომ სასჯელის დანიშვნის საკითხის განხილვაში ნაფიცმა მსაჯულებმა მონაწილეობა მიიღონ, ორივე მხარის თანხმობა აუცილებელია; ანუ ამ შემთხვევაში დაცვის მხარის პოზიციასთან ერთად პროკურორის პოზიციის გათვალისწინებაც სავალდებულოა და, თუ ბრალდების მხარე წინააღმდეგია, სასჯელის დანიშვნის სხდომა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე ჩატარდება. აღნიშნული კი, განსხვავდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურისგან, სადაც ბრალდების მხარის პოზიციას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.<sup>690</sup>

სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის შემთხვევაში, მოსამართლის უფლებამოსილება მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში ფაქტობრივად იზღუდება, რადგან სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით.<sup>691</sup> საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე დამოუკიდებლად ნიშნავს სასჯელს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შესწევს უნარი, მიიღოს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.<sup>692</sup> დანარჩენ შემთხვევებში, საქართველოს სსსკ-ის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ ეჭვი არ უნდა შეიტანოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტში და არც სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების

---

<sup>689</sup> იქვე.

<sup>690</sup> საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მოსამართლე არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს.

<sup>691</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

<sup>692</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

რეკომენდაციაში.<sup>693</sup> ამასთან, მოსამართლე ვალდებულია, ნაფიც მსაჯულთა განაჩენი დაასაბუთოს სასჯელის ნაწილში, რადგან მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე ვერდიქტს არ ასაბუთებს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით მოტივირებული უნდა იყოს სასჯელის ნაწილში.<sup>694</sup>

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის<sup>695</sup> და ევროპის საბჭოს 2014 წლის 22 აგვისტოს ერთობლივ მოსაზრებაში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ“ ასახული რეკომენდაციები.<sup>696</sup> მოცემულ ერთობლივ მოსაზრებაში ძირითადი რეკომენდაციების სახით მითითებულია, რომ საქართველოს სსსკ-ის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, გადაიხედოს ნაფიც მსაჯულთა ფუნქცია სასჯელის შეფარდების კუთხით ან მოსამართლეთა მონაწილეობა სასჯელის დასაბუთების პროცესში.<sup>697</sup>

ანალოგიური მოსაზრება აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს ირინა აქუბარდიას, რომელიც მიიჩნევს, რომ: „აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს, რადგან მოსამართლეს თავისი შინაგანი რწმენით, კანონის საფუძველზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, არ შეუძლია დანიშნოს სასჯელი. გამოდის, რომ ნაფიცი მსაჯულები ფაქტის საკითხთან ერთად სამართლის საკითხებსაც წყვეტენ, რაც ვფიქრობთ, მოსამართლის როლს აკნინებს და

---

<sup>693</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>694</sup> საქართველოს სსსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>695</sup> OSCE/ODIHR.

<sup>696</sup> იხ.: *OSCE/ODIHR and Council of Europe, Joint Opinion on the Criminal Code of Georgia, Opinion-Nr.: CRIM \_ GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, paragraph 28.*

<sup>697</sup> იხ.: *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ., ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 11.*



იმავდროულად გაუმართლებლად აფართოებს ნაფიც მსაჯულთა უფლებამოსილებას.<sup>698</sup>

ამ პოზიციიდან გამომდინარე, არსებობს რეკომენდაციები და წინადადებები, რომ პროფესიონალი მოსამართლე არ უნდა იზღუდებოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცემული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციით.<sup>699</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი და ევროპის საბჭო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარიანტების განხილვის შესაძლებლობაზე ამხვილებენ ყურადღებას, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი გულისხმობს სასჯელის შეფარდების მთლიანი უფლებამოსილების მოსამართლეებისათვის მინიჭებას.<sup>700</sup> მეორე ალტერნატივაა მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულების ერთობლივი მონაწილეობა სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო მოსამართლეებისათვის მთლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება დანიშნული სასჯელის დასაბუთებაზე.<sup>701</sup>

სასჯელის დანიშვნის საკითხში ნაფიცი მსაჯულებისა და სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებების გამიჯვნასთან დაკავშირებით აღნიშნული მოსაზრებები საკმაოდ საინტერესოა, თუმცა როგორც ცნობილია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის პროცესში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არც სხვა ქვეყნების სასამართლო სისტემებში არსებობს.<sup>702</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებულ ერთ-ერთი პირველ

---

<sup>698</sup> იხ. ციტირება: *აქუბარდია ირ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29), 2011, 131-138.

<sup>699</sup> იხ.: *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 42.

<sup>700</sup> იხ.: *OSCE/ODIHR and Council of Europe*, Joint Opinion on the Criminal Code of Georgia, Opinion-Nr.: CRIM \_ GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, paragraph 28.

<sup>701</sup> იხ.: *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 21.

<sup>702</sup> იხ.: ამ თავის მე-8 პარაგრაფი.

გადაწყვეტილებაში<sup>703</sup> დანიშნული სასჯელების სახესა და ზომაზე მსჯელობისას, აღნიშნული სასჯელები, თავისი სახითა და ზომით, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე ამავე კატეგორიის საქმეებზე დანიშნული სასჯელების თითქმის თანაბარ სასჯელებად იქნა მიჩნეული.<sup>704</sup>

#### 9.4. სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია

რაც შეეხება უშუალოდ ნაფიცი მსაჯულების მიერ სასჯელის რეკომენდაციის მიღების პროცედურას: საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლებელია, მიიღონ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია;<sup>705</sup> ანუ ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, გამოხატონ მსჯავრდებულის მიმართ ლმობიერი ან მკაცრი სასჯელის დანიშვნის პოზიცია. აღნიშნული ურთიერთობა მოწესრიგებულია საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი.<sup>706</sup> განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა განზრახ მკვლელობის ბრალდების საქმე<sup>707</sup> და გამოიტანა გამამტყუნებელი ვერდიქტი, რის შემდეგ ჩატარდა სასჯელის დანიშვნის სხდომა. რადგან არც ერთ მხარეს უარი არ განუცხადებია, სასჯელის

---

<sup>703</sup> საუბარია 2011 წლის 15 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართულ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე, შეკვეთითა და ჯგუფურად განხორციელებული მკვლელობისათვის სამი მსჯავრდებულის მიმართ, ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთხმად მიღებულ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციის თაობაზე.

<sup>704</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგინაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 171.

<sup>705</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

<sup>706</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>707</sup> დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

დანიშვნის სხდომაზე მონაწილეობის შედეგად, ნაფიცმა მსაჯულებმა სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაცია მიიღეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. თუმცა საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად<sup>708</sup>, ამ შემთხვევაში მოსამართლე ფაქტობრივად უფლებამოსილია, სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ზომა განსაზღვროს შვიდიდან ათ წლამდე ვადის ფარგლებში,<sup>709</sup> ნაცვლად შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ვადისა.

განვიხილოთ ასევე შესაძლო ანალოგიური შემთხვევა, რაც დაკავშირებულია სასჯელის დამძიმების რეკომენდაციის არსებობისას მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებთან:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა განზრახ მკვლელობის ბრალდების საქმე<sup>710</sup> და გამოიტანა გამამტყუნებელი ვერდიქტი, რის შემდეგ ჩატარდა სასჯელის დანიშვნის სხდომა. დაცვისა და ბრალდების მხარეების ერთობლივი თანხმობის საფუძველზე, ნაფიცმა მსაჯულებმა მონაწილეობა მიიღეს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე, რის შედეგად, სასჯელის დამძიმების რეკომენდაცია მიიღეს. საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები.<sup>711</sup>

---

<sup>708</sup> თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი.

<sup>709</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის (თავისუფლების აღკვეთის) მაქსიმალური ზღვარია 15 წელი, შესაბამისად მისი ორი მესამედი არის თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

<sup>710</sup> დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

<sup>711</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. თუმცა საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად<sup>712</sup>, ამ შემთხვევაში მოსამართლე ფაქტობრივად უფლებამოსილია, სასჯელად დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე ვადის ფარგლებში,<sup>713</sup> ნაცვლად შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ვადისა.

ამ ორი შემთხვევის განხილვის შედეგად, ნათელია, რომ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციით, გარკვეულწილად იზღუდება მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის ნაწილში მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები. თუმცა ამავდროულად გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:

1. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.<sup>714</sup>

2. ნაფიც მსაჯულთა ჩართულობით სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობასთან დაკავშირებით არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს. ამდენად, ცალსახაა, რომ როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის ერთობლივი თანხმობის გარეშე, შეუძლებელია ამ პროცესში ნაფიცი მსაჯულების ჩართვა და მათ მიერ, შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მიღება.

---

<sup>712</sup> თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები.

<sup>713</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის (თავისუფლების აღკვეთის) მაქსიმალური ზღვარია 15 წელი, შესაბამისად მისი ორი მესამედი არის თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

<sup>714</sup> საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

3. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის ფაქტის შესაძლო თანამდევი სამართლებრივი შედეგი დაცვის მხარისა და ბრალდების მხარისათვის წინასწარ ცნობილია.<sup>715</sup>

4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის პროცესში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია სხვა ქვეყნების სასამართლო სისტემებში არ არსებობს.

ამდენად, ამ მიზნით ნაფიც მსაჯულთა მიერ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მიღების პროცედურის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების ცვლილების აუცილებლობა არ არსებობს.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციის არსებობის დროს სხდომის თავმჯდომარის მიერ სასჯელის დანიშვნისას, შესაძლებელია, კონკრეტული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის ფარგლებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნას. განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით განზრახ მკვლელობის ბრალდების საქმე<sup>716</sup> და გამოიტანა გამამტყუნებელი ვერდიქტი, რის შემდეგ ჩატარდა სასჯელის დანიშვნის სხდომა. რადგან არც ერთ მხარეს უარი არ განუცხადებია, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მონაწილეობის შედეგად, ნაფიცმა მსაჯულებმა სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაცია მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველ ნაწილში სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად<sup>717</sup>, ამ შემთხვევაში

<sup>715</sup> იგულისხმება კონკრეტული დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლების ან ორ მესამედზე მეტის დანიშვნის შეუძლებლობის ფაქტი.

<sup>716</sup> დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

<sup>717</sup> თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ

მოსამართლემ სასჯელად სახედ და ზომად უნდა დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლისა და ოთხი თვის ვადით;<sup>718</sup> მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზღვარია თერთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა; ანუ ფაქტობრივად გამოდის, რომ ინიშნება კანონით განსაზღვრული სასჯელის მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელი. თუმცა ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს უნდა დაენიშნოს თერთმეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა,<sup>719</sup> რადგან სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციის არსებობის დროს სასჯელის დანიშვნისას, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზღვარი აღემატება მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედს, მსჯავრდებულს ენიშნება მინიმალური სასჯელი.<sup>720</sup>

#### **9.5. სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა**

საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციას ხმათა უმრავლესობით იღებენ;<sup>721</sup> ანუ აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად 7 ნაფიცი მსაჯულის ხმა საკმარისია, რადგან ნაფიც

---

დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი.

<sup>718</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის (თავისუფლების აღკვეთის) მაქსიმალური ზღვარია 14 წელი, შესაბამისად მისი ორი მესამედი არის თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 4 თვის ვადით.

<sup>719</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მინიმალური სასჯელი.

<sup>720</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>721</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

მსაჯულთა სასამართლო, როგორც წესი, 12 მსაჯულისაგან და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან შედგება.<sup>722</sup>

ხმის მიცემის ეს წესი განსხვავდება ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღების წესისგან, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება ერთსულოვნად, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, – ფაქტობრივად ხმათა ორი მესამედით.<sup>723</sup>

სასჯელის დანიშვნასთან მიმართებით ხმის მიცემის წესთან დაკავშირებით, უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტის<sup>724</sup> კრიმინოლოგიის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნიკოლაი კოვალიოვი მიიჩნევს, რომ ის ისეთივე უნდა იყოს, როგორც ვერდიქტის გამოტანის წესი. სხვა სიტყვებით, სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ასევე, უნდა იყოს მიღებული ერთსულოვნად ან კვალიფიციური უმრავლესობით. მეტიც, მსჯავრდებულისათვის ზედმეტად მკაცრი სასჯელის დაკისრებისგან დასაცავად, ერთსულოვნად მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნა უნდა ვრცელდებოდეს უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯის შემთხვევებზეც.<sup>725</sup>

---

<sup>722</sup> საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>723</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილებების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილებები მომდევნო 8 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 10 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 9 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 8 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 4 ხმით.

<sup>724</sup> ბრენტფორდი, კანადა.

<sup>725</sup> იხ. ციტირება: *კოვალიოვი ნ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ანალიზი, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 26.

აღსანიშნავია, რომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, პროფესიონალი მოსამართლეების მიერ საქმის კოლეგიურად განხილვის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით;<sup>726</sup> გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ კი, მიიღება მხოლოდ ერთხმად.<sup>727</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციით, გარკვეულწილად იზღუდება მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის ნაწილში მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები.<sup>728</sup> შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეიცვალოს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მიერ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მისაღებად საჭირო ხმათა არსებული რაოდენობა და ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, დადგინდეს გადაწყვეტილების ერთსულოვნად ან ხმათა ორი მესამედით მიღების სტანდარტი.

სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში, გადაწყვეტილების ერთხმად მიღების ნაცვლად, უმჯობესია, დადგინდეს რეკომენდაციის ხმათა ორი მესამედით მიღების წესი. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა ფაქტობრივად ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მიღებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობაზე ნაკლები არ იქნება, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში გადაწყვეტილების ერთხმად მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვერდიქტს მომდევნო 8 საათის განმავლობაში, როგორც წესი, ხმათა ორი მესამედით იღებს.<sup>729</sup>

ასევე არ უნდა იქნეს გაზიარებული უილფრიდ ლორიერის უნივერსიტეტის<sup>730</sup> კრიმინოლოგიის ასოცირებული პროფესორის, დოქტორ ნიკოლაი კოვალიოვის მოსაზრება, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯის შემთხვევებზე

<sup>726</sup> საქართველოს სსსკ-ის 193-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>727</sup> იქვე.

<sup>728</sup> იხ.: ამ თავის 9.4. ქვეპარაგრაფი.

<sup>729</sup> საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>730</sup> ბრენტფორდი, კანადა.



გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღების მოთხოვნა უნდა გავრცელდეს, რადგან საქართველოს სსსკ-ის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები სასჯელის კონკრეტულ სახესა და ზომასთან დაკავშირებით არ იღებენ გადაწყვეტილებას<sup>731</sup> და ისინი მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების ზოგად რეკომენდაციას გასცემენ.

ამდენად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში შევიდეს ცვლილებები; კერძოდ:

1. საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის არსებულ რედაქციაში: „თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი, ხოლო თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზღვარი აღემატება მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედს, მსჯავრდებულს ენიშნება მინიმალური სასჯელი.“ სიტყვები: „ხმათა უმრავლესობით“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხმათა ორი მესამედით“ და საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა ორი მესამედით მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი, ხოლო თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზღვარი აღემატება მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედს, მსჯავრდებულს ენიშნება მინიმალური სასჯელი.“;

2. საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის არსებულ რედაქციაში: „თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს

---

<sup>731</sup> მაგ.: არ მსჯელობენ იმაზე, რომ მსჯავრდებულს დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები.“ სიტყვები: „ხმათა უმრავლესობით“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხმათა ორი მესამედით“ და საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა ორი მესამედით მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები.“.

## 10. სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

### გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება

(საერთაშორისო გამოცდილება)

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საკითხის თაობაზე მსჯელობამდე სასურველია, განხილული იქნეს ის სპეციფიური პროცედურა, რაც ზოგადად, მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტისათვის არის დამახასიათებელი და, როგორც წესი, წარმოშობს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების გარეშე, მისი გაუქმების ალტერნატიულ შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ნაფიც მსაჯულთა თათბირში მონაწილეობისა და, შესაბამისად, ვერდიქტის მიღების უფლებამოსილება არ აქვს, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ გარკვეულ შემთხვევებში მოსამართლემ გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი. ასე მაგ.: რუსეთში გამამართლებელი ვერდიქტისგან განსხვავებით, გამამტყუნებელი ვერდიქტი, სავალდებულო პრინციპიდან გამონაკლისის წესით, შეიძლება დაექვემდებაროს მოსამართლის მიერ რევიზირებას შემდეგ ორ შემთხვევაში:

1. ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის მიუხედავად, მოსამართლეს შეუძლია, დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი, თუ იგი მიიჩნევს, რომ განსასჯელის ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

2. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოტანილია უდანაშაულო პირის მიმართ და, ამდენად, არსებობს გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საკმაო საფუძველი იმის გამო, რომ არ არის დადგენილი დანაშაულის შემთხვევა,<sup>732</sup> ანდა არ არის დადგენილი განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში,<sup>733</sup> მას გამოაქვს დადგენილება ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის დათხოვნის და სისხლის სამართლის საქმის სხვა შემადგენლობის მიერ ხელახალი განხილვისათვის გაგზავნის შესახებ, წინასწარი მოსმენის სტადიიდან.<sup>734</sup>

ამერიკული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ შტატების უმრავლესობაში დაცვის მხარეს უფლება აქვს გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ გამოკითხოს თითოეული მსაჯული და გაარკვიოს, თუ რამდენად ერთსულოვნად არის მიღებული ვერდიქტი.<sup>735</sup> თუ გამოკითხვის დროს, ნაფიცი მსაჯული მიღებულ ვერდიქტთან დაკავშირებით შეიცვლის პოზიციას, ვერდიქტი უნდა გაუქმდეს, როდესაც აღარ არსებობს გამამტყუნებელი ვერდიქტისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულები სხდომის თავმჯდომარის მითითებით ბრუნდებიან სათათბირო ოთახში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>736</sup> თუმცა საინტერესოა ისიც, რომ აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა 81% შემთხვევებში, მოსამართლე ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს; განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა 19% შემთხვევებში კი, მოსამართლე არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს. ამასთან, ამ შემთხვევებში აღინიშნა ტენდენცია, რომ მოსამართლე გაამტყუნებდა იმათ, ვინც ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს.<sup>737</sup>

<sup>732</sup> პირველი თვითკმარი პირობა.

<sup>733</sup> მეორე თვითკმარი პირობა.

<sup>734</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 308-309.

<sup>735</sup> ინგლისურად – Polling of the Jurors.

<sup>736</sup> *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 88.

<sup>737</sup> იხ.: *Bureau of International Information Programs United States Department of State*, Outline of the U.S. Legal System, 2004, p. 114.

## 11. საქართველოში სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება

საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.<sup>738</sup>

ამდენად, გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების გარეშე, მისი გაუქმების ალტერნატიულ შესაძლებლობას ადგენს; კერძოდ:

1. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი შესაძლებელია გაუქმდეს, თუ ვერდიქტი:
  - ა) აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას;
  - ბ) უსაფუძვლოა;
  - გ) გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა.
2. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაუქმებისათვის ზემოაღნიშნული სამივე პირობის ერთდროულად არსებობა აუცილებელია.
3. თუმცა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაუქმება დაუშვებელია მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მოსამართლე არ ეთანხმება:
  - ა) ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან
  - ბ) რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.

<sup>738</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

4. საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით შესაძლებელია, გაუქმდეს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი. ამ საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმება დაუშვებელია.

5. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაუქმების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეს.

6. ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმებისას მოსამართლეს სისხლის სამართლის საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი უნდა დანიშნოს; ანუ ნაფიც მსაჯულთა სხვა შემადგენლობამ ეს სისხლის სამართლის საქმე ფაქტობრივად თავიდან არსებითად უნდა განიხილოს და მიიღოს ახალი ვერდიქტი.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, საქმის განმხილველი მოსამართლის აღნიშნული უფლებამოსილება ხომ არ ეწინააღმდეგება საზოგადოების უშუალო წარმომადგენლების<sup>739</sup> მიერ ვერდიქტის მიღების იდეას, რადგან ამ შემთხვევაში მოსამართლე აუქმებს ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებას. ამან კი, შესაძლებელია, მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების წარმომადგენლების პირდაპირი მონაწილეობის ფაქტი ფაქტობრივად ფორმალურად აქციოს. თუმცა, მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში, მოსამართლეს საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ აქვს და ამ სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს და ახალ ვერდიქტს იღებს ნაფიც მსაჯულთა სხვა შემადგენლობა. შესაბამისად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების უშუალო წარმომადგენლების მონაწილეობა და მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გარანტირებულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილი მექანიზმების რეალიზების შედეგად, ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა შესაძლებელია, გაუმჯობესდეს, მაგრამ ის არც ერთ შემთხვევაში არ

---

<sup>739</sup> ანუ ნაფიცი მსაჯულების და არა პროფესიონალი მოსამართლის.

გაუარესდება, რადგან სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, გამამართლებელ ვერდიქტზე არ ვრცელდება.

ამასთან, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის უფლებამოსილება – გააუქმოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დაადგინოს საქმის გადასინჯვა, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა – შეესაბამება *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ*<sup>740</sup> საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას.<sup>741</sup>

თუმცა გასარკვევია, რა ხდება მაშინ, როდესაც მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების მიუხედავად, ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობაც გამამტყუნებელ ვერდიქტს მიიღებს, რომელსაც მოსამართლე კვლავ არ ეთანხმება? განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად გამოიტანა გამამტყუნებელი ვერდიქტი. სხდომის თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ აღნიშნული ვერდიქტი იყო უსაფუძვლო, ის აშკარად ეწინააღმდეგებოდა მტკიცებულებათა ერთობლიობას და მისი გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობა იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლემ გააუქმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი. შესაბამისად, შეირჩნენ ახალი ნაფიცი მსაჯულები, რომლებმაც თავიდან არსებითად განიხილეს იგივე სისხლის სამართლის საქმე და

---

<sup>740</sup> *Taxquet v. Belgium*.

<sup>741</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 80-81. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

მათაც გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღეს. მოსამართლე<sup>742</sup> ამჯერადაც მიიჩნევს, რომ ეს ვერდიქტიც აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და მისი გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის არსებული რედაქციის შესაბამისად, მას უფლება აქვს, კვლავ გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი<sup>743</sup> და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.<sup>744</sup> ეს კი, ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვას კიდევ უფრო მეტად გააჭიანურებს, რადგან, მართალია, ერთის მხრივ, საქართველოს საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვა დიდ ხანს არ გრძელდება;<sup>745</sup> თუმცა, მეორეს მხრივ, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს.<sup>746</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ვადის, ისე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ვადის ზედა ზღვრებს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა;<sup>747</sup> საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ

---

<sup>742</sup> რომელიც მანამდე იმავე სისხლის სამართლის საქმის განხილველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე იყო.

<sup>743</sup> ამჯერად რიგით მეორე.

<sup>744</sup> ამჯერად რიგით მესამე.

<sup>745</sup> უმრავლეს შემთხვევებში, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვას ერთ ან ორ კვირას ანდომებს.

<sup>746</sup> არც თუ იშვიათ შემთხვევებში, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ერთი, ორი ან რამდენიმე თვე გრძელდება.

<sup>747</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

უნდა აღმატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.<sup>748</sup>

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის არსებულმა რედაქციამ შესაძლებელია, გარკვეულწილად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის უსასრულო გაჭიანურება გამოიწვიოს, რაც, თავის მხრივ, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორია. შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის არსებულ რედაქციაში გარკვეული ცვლილება შევიდეს. განვიხილოთ ცვლილების 3 შესაძლო ვარიანტი:

**ვარიანტი 1.** საქართველოს სსსკ-იდან<sup>749</sup> ამოღებული იქნეს 261-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რის შედეგად, მოსამართლეს აღარ ექნება უფლება, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი.

ამ შემთხვევაში, ერთის მხრივ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმებისა და, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის განხილვის უსასრულოდ გაჭიანურების შესაძლებლობა თეორიულადაც გამოირიცხება. თუმცა, მეორეს მხრივ, ამ ცვლილებით ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა ფაქტობრივად აღარ იარსებებს, რადგან სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელ ვერდიქტს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გააუქმებს, მიუხედავად იმისა, რომ მას უსაფუძვლოდ მიიჩნევდეს და ფიქრობდეს, რომ ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, რის გამოც, სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობა მისი გაუქმებაა. ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილების გაუქმება, არსებული პრობლემის გადაჭრის სწორ გზად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

---

<sup>748</sup> იქვე.

<sup>749</sup> იქვე.



**ვარიანტი 2.** საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმად, მოსამართლეს მხოლოდ ერთჯერადად ექნება უფლება, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი.

ამ შემთხვევაში, ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებელობა ისევ იარსებებს, რადგან სხდომის თავმჯდომარეს ექნება უფლება, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი. ამასთან, არც სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაჭიანურდება უსასრულოდ, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება მოსამართლეს მხოლოდ ერთჯერადად შეეძლება. ამდენად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის მიერ საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული უფლებით მხოლოდ ერთჯერადად სარგებლობის შესაძლებლობა, შეიძლება არსებული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად იქნეს მიჩნეული.

**ვარიანტი 3.** საქართველოს სსსკ-ში შევიდეს დამატება, რომლის თანახმად, როდესაც მოსამართლე გააუქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელ ვერდიქტს, ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომასა და მათ მიერ ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის სხდომას წარუძღვეს სხვა მოსამართლე.

ამ შემთხვევაში, ერთის მხრივ, ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებელობა ისევ იარსებებს, რადგან სხდომის თავმჯდომარეს ექნება უფლება, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი. ამასთან, მეორეს მხრივ, სისხლის სამართლის საქმის განხილვის უსასრულოდ გაჭიანურების საფრთხე ნაკლებად იარსებებს, რადგან ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის მიღების შემთხვევაში, საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული უფლებამოსილებით ისარგებლებს ახალი

მოსამართლე<sup>750</sup> და არა ის მოსამართლე, რომელმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი პირველ ჯერზე გააუქმა და, შესაბამისად, მის მიუკერძოებლობას, ობიექტურობასა და ამ მოსამართლის მიერ მეორე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების ალბათობის მაღალ ხარისხთან დაკავშირებით შესაძლებელია, გარკვეული ეჭვები არსებობდეს. ამდენად, თუ მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელ ვერდიქტს გააუქმებს, ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის სასამართლოს სხდომის თავმჯდომარედ სხვა მოსამართლის დანიშვნის შესაძლებლობა, ასევე შეიძლება არსებული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად იქნეს მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს სსსკ-ში<sup>751</sup> შევიდეს ცვლილება; კერძოდ:

1. საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის არსებულ რედაქციაში: „სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.“ სიტყვების: „სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია“ შემდეგ დაემატოს სიტყვა: „ერთჯერადად“ და საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთჯერადად გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას,

<sup>750</sup> რომელიც „გარკვეულწილად შეზღუდული არ იქნება“ პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

<sup>751</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.“;

ანდა:

2. საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის<sup>752</sup> არსებულ რედაქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> ნაწილი: „მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევასა და მათ მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ მან მანამდე ამ სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტი გააუქმა.“.

## 12. ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრება

### (საერთაშორისო გამოცდილება)

ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა განაჩენის გასაჩივრების უფლების არსებობის ფაქტი სამართალწარმოებისას თვითნებობის საფრთხის აღმკვეთი ერთ-ერთი საპროცესო გარანტიაა, რაც, თავის მხრივ, ბრალდებულისთვის ქმნის შესაძლებლობას, გაიგოს ის, თუ რატომ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ*, საჩივარი დაუშვებლად ცნო, მიუხედავად იმისა, რომ, მომჩივნის მტკიცებით, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობამ შეზღუდა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება, კერძოდ, ვერდიქტის

---

<sup>752</sup> სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები.

დაუსაბუთებლობის გამო მან ვერ შეძლო საქმის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება.<sup>753</sup>

მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სისხლის სამართლის პროცესში გასაჩივრების უფლებას არ უზრუნველყოფს, მაშინ როდესაც ეროვნული კანონმდებლობა უშვებს საჩივრის შეტანას სისხლისსამართლებრივი ბრალდების გადასინჯვის თვალსაზრისით, მაგრამ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გარანტიები ძალაში რჩება სააპელაციო პროცესებთან მიმართებითაც; ეს პროცესი სამართალწარმოების მთელი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც იკვლევს მოცემული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობას.<sup>754</sup> შესაძლებელია, ამ უფლებაზე საუბარი უცნაურიც ჩანდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიების კონტექსტში, რადგან გადაწყვეტილების არგუმენტირება რელევანტურობას იძენს მხოლოდ სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ. მაგრამ ეს მოსაზრება თავის ძალას კარგავს, თუ სამართლიანობის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლოს<sup>755</sup> მიერ საქმის განხილვაზე, არამედ სამართალწარმოების მთლიან პროცესზე.<sup>756</sup> თუმცა, მეორეს მხრივ, აღიარებული ფაქტია, რომ არ ხდება ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა აპელაციის ან კასაციის გზით. ამ შემთხვევის მთავარი

---

<sup>753</sup> *პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ (Planka v. Austria (dec.))*, N25852/94, ECHR 1996). იხ.: *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 25. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>754</sup> *McBride J.*, Human Rights and Criminal Procedure (The Case Law of European Court of Human Rights), Council of Europe, 2009, p. 307. იხ.: *როსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ross v. United Kingdom)*, N11396/85, paragraph 3, ECHR 11 December 1986, DR50, 179).

<sup>755</sup> იგულისხმება პირველი ინსტანციის სასამართლო.

<sup>756</sup> *ტრეესელი შ., სამერსი ს. ჯ.-ს დახმარებით*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, გვ. 129.

გამართლება არის ის, რომ პროფესიონალ მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ მოქალაქეთა გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა.<sup>757</sup>

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, ადგენს თუ არა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას და, შესაბამისად, როგორია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ* მიღებულ გადაწყვეტილებაში, განსაზღვრა როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც ადგენენ ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის გასაჩივრების შესაძლებლობას, ისე იმ ქვეყნების სია, სადაც ასეთი გასაჩივრება შეუძლებელია; კერძოდ: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება შესაძლებელია იმ ქვეყნებში, რომლებმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ტრადიციული“ სისტემა აირჩიეს. ეს ქვეყნებია: საქართველო, ირლანდია, მალტა, ესპანეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება კი შეუძლებელია: ავსტრიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში, რუსეთსა და შვეიცარიაში (ჟენევის კანტონი). ამასთან, ავსტრიაში, სასამართლოში მსჯავრდებულებს მხოლოდ სასჯელის გასაჩივრება შეუძლიათ. მათ, ასევე, შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი უზენაეს სასამართლოში განაჩენის გაუქმების მოთხოვნით.<sup>758</sup>

---

<sup>757</sup> *ბურჯანაძე გ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011, 25-46. იხ.: *Jackson J. D., Kovalev N. P.*, Lay Adjudication and Human Rights in Europe, *Columbia Journal of European Law*, 2006, Vol. 13, 83-123.

<sup>758</sup> *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (Taxquet v. Belgium [GC], N926/05, paragraph 58, ECHR 2010)*. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 14. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://supremecourt.ge/fiels/upload-file/pdf/nafici-msajulebi.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

ირლანდიაში, ინგლისში, უელსში, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში ბრალდებულს ზოგადად შეუძლია, გამამტყუნებელი ვერდიქტი გასაჩივროს სამართლებრივ საკითხებსა და სასამართლო განხილვისას დაშვებულ საპროცესო ხარვეზებთან დაკავშირებით, ანდა როდესაც საამისოდ სხვა საკმარისი საფუძველი არსებობს; თუმცა მთლიანი საქმის ხელახალი განხილვა არ არის შესაძლებელი. რაც შეეხება ბრალდების მხარის მიერ გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრებას: მას ამის უფლება არ გააჩნია, თუმცა შეუძლია სამართლებრივი საკითხების გასაჩივრება, რომლებიც არ ეხება გამამართლებელ ვერდიქტს.<sup>759</sup>

მე-20 საუკუნემდე ინგლისში მოქმედებდა დადგენილი ნორმა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. შემდგომში მიღებულმა კანონებმა ეს „ტრადიცია“ შეცვალეს. ამჟამად, ვერდიქტის გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში. ამასთან, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება დაცვისა და ბრალდების მხარეების აპელაციები.<sup>760</sup>

ინგლისში დაცვის მხარის აპელაცია დაიშვება მხოლოდ საქმის განმხილველი სასამართლოს, ანდა თვით სააპელაციო სასამართლოს თანხმობით. ეს შეეხება როგორც ფაქტის, ისე სამართლის საკითხებს.<sup>761</sup> საინტერესოა ის, რომ ამ ნებართვის მიღების შესახებ განცხადებათა დიდი ნაწილი<sup>762</sup> დაუკმაყოფილებელი რჩება.<sup>763</sup>

---

<sup>759</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.*, შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 67-68. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>760</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 25-26.

<sup>761</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 316.

<sup>762</sup> განცხადებათა 75%.

დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით უნდა მიმართოს 28 დღის განმავლობაში. აღნიშნული შუამდგომლობა განიხილება ერთპიროვნულად საქმის განმხილველ სასამართლოში. შუამდგომლობაზე უარი კი, 14 დღის განმავლობაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, სადაც მას განიხილავს 2 ან 3 მოსამართლე; თუ მათგან ერთი მაინც იქნება თანახმა, შუამდგომლობა გამოცხადდება დასაშვებად.<sup>764</sup>

ინგლისში ბრალდების მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება ასევე 1907 წელს მიეცა, ოღონდ ერთადერთი გამონაკლისის სახით: საჯარო დევნათა გენერალურ პროკურორს შეეძლო, ლორდთა პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანა „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხის“ არსებობის მოტივით.

1972 წელს გენერალურ პროკურორს უფლება მიეცა, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარი შეეტანა იმ საქმეებზე, რომლებზეც ბრალდებული გამართლებულ იქნა, ოღონდ არა გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმების მიზნით,<sup>765</sup> არამედ იმისთვის, რომ მომავალში არ ყოფილიყო დაშვებული ანალოგიური სასამართლო შეცდომა.

1988 წელს გენერალურ პროკურორს უკვე მიეცა იმის უფლება, რომ განაჩენი გაესაჩივრებინა სასჯელის სიმსუბუქის მოტივით.

1996 წელს, კანონმდებლობამ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, დაუშვა კიდევ ერთი გამონაკლისი: თუ არის საფუძველი იმის გულზევისათვის, რომ გამამართლებელი ვერდიქტი გამოტანილ იქნა ნაფიც მსაჯულებზე ან მოწმეებზე არამართლზომიერი ზემოქმედების შედეგად, ბრალდების მხარეს აქვს სააპელაციო გასაჩივრების უფლება, ოღონდ ამჯერად საჩივარი, გამონაკლისის წესით, შეიტანება უზენაეს სასამართლოში, რომელიც

---

<sup>763</sup> *Van Den Wingeart Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 118.

<sup>764</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 25-26.

<sup>765</sup> ანუ გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმების მოთხოვნით.

უფლებამოსილია, გააუქმოს ვერდიქტი. ეს კი სახელმწიფო ბრალდებას უფლებას აძლევს, ხელახლა დაიწყოს ამავე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საერთო წესით, რადგან პირობითად პრეზიუმირებულია, რომ საქმე ჯერ არ განხილულა სასამართლოს მიერ.<sup>766</sup>

სააპელაციო სასამართლოში საქმე იხილება ხელახლა, 3 პროფესიონალი მოსამართლის მონაწილეობით.<sup>767</sup> სამართლებრივად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია:

- ა) გააუქმოს განაჩენი;
- ბ) მიიღოს ახალი მტკიცებულებები;
- გ) დააბრუნოს საქმე ხელახალ განხილვაში;

დ) ბრალდებული დამნაშავედ ცნოს ალტერნატიული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ქვეშეცნობილად იგულისხმება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტში.<sup>768</sup>

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თუ ვერდიქტი სწორად იქნა მიჩნეული, საპროცესო დარღვევების გამო ის არ უქმდება,<sup>769</sup> რადგან სააპელაციო სასამართლო იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ნაფიცი მსაჯულების უპირატესობაა, უშუალოდ მოუსმინონ ბრალდებულს და მოწმეებს, რის გამოც, მტკიცებულების

---

<sup>766</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 316.

<sup>767</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 25-26.

<sup>768</sup> Van Den Wingaert Cr., Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 118.

<sup>769</sup> ბეჟაშვილი თ., სამეცნიერო რედაქტორი მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 25-26.



შეფასების თვალსაზრისით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საუკეთესო პოზიციებზე დგას.<sup>770</sup>

შოტლანდიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრება დასაშვებია.<sup>771</sup> 1980 წლიდან, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების ერთადერთი, ამასთან, მეტად ზოგადი და აბსტრაქტული საფუძველი<sup>772</sup> არსებობს. „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ 1997 წლის კანონმა განმარტა, რომ იგი მოიცავს ნაფიც მსაჯულთა მიერ ისეთი ვერდიქტის გამოტანას, რომელსაც, სწორი სასამართლო მითითების შემთხვევაში, „არც ერთი გონიერი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ გამოიტანდა“.<sup>773</sup> ამასთან, შოტლანდიაში საპროცესო დარღვევათა შორის ყველაზე სერიოზულ დარღვევად მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის არასწორი სახელმძღვანელო მითითებების მიცემა მიიჩნევა.<sup>774</sup> ე.წ. „მართლმსაჯულების შეცდომა“ შეიძლება ასევე გამოიხატოს არასწორი ვერდიქტის მიღებაში ან ნაფიცი მსაჯულებისა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ცალკეულ საპროცესო დარღვევებში.<sup>775</sup>

ირლანდიაში ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლოში,<sup>776</sup> თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაშვებული იქნა არსებითი ხასიათის სამართლებრივი შეცდომა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო მსჯელობს

---

<sup>770</sup> *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 96.

<sup>771</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 112.

<sup>772</sup> ე.წ. „მართლმსაჯულების შეცდომა“.

<sup>773</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 324.

<sup>774</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 27.

<sup>775</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 112.

<sup>776</sup> ინგლისურად – Court of Criminal Appeal.

მხოლოდ სამართლებრივ ხარვეზებზე. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიაში სააპელაციო საჩივრები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში დაიშვება.<sup>777</sup>

აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების პროცედურები კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ინგლისში, რადგან გასაჩივრების „უნივერსალურ“ საფუძველს წარმოადგენს არსებითი სასამართლო შეცდომა, რომელმაც ზიანი მიაყენა ბრალდებულის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.<sup>778</sup> ამასთან, აშშ-ში სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება ტრადიციულად დაცვის მხარის უფლებამოსილება იყო, მაგრამ თანდათან ამგვარი უფლება, შეზღუდულ ფარგლებში, პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებელსაც დაუმკვიდრდა.<sup>779</sup>

კანადაში დაცვის მხარეს უფლება აქვს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელ ვერდიქტთან დაკავშირებით შეიტანოს სააპელაციო საჩივარი, რომელიც შეიძლება ეხებოდეს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებულ როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს. საჩივარი მსჯავრდებულს შეაქვს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო სააპელაციო საჩივარს დასაშვებად ცნობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს დასაბუთებულად მიიჩნევს როგორც გამამტყუნებელი განაჩენის მიმღები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოსამართლე, ისე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.<sup>780</sup>

კანადაში გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრების უფლება შეზღუდულია. პროკურორის ეს უფლება, როგორც წესი, მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს<sup>781</sup>

---

<sup>777</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 119.

<sup>778</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 321.

<sup>779</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>780</sup> ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 102.

<sup>781</sup> მაგ.: მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის არასწორი მითითებების მიცემა.

შეეხება.<sup>782</sup> მას ასევე შეუძლია, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციალური ვერდიქტის მიმართ, რომელიც პირს სულიერი დაავადების ნიადაგზე ათავისუფლეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.<sup>783</sup> რაც შეეხება სხვა, არასამართლებრივი საფუძვლით გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმებასა და საქმის ხელახალი არსებითი განხილვისათვის გადაცემას, ეს მხოლოდ ცალკეულ არაორდინარულ, საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი.<sup>784</sup>

ავსტრალიაში გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმება შეუძლებელია – ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ პასუხისმგებლობის პრინციპიდან<sup>785</sup> გამომდინარე.<sup>786</sup> ამ წესს *Autrefois Acquit* ეწოდება.<sup>787</sup>

რაც შეეხება გამამტყუნებელ ვერდიქტს, ავსტრალიაში მასზე საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნეს როგორც სამართლის, ისე ფაქტის საკითხებზე. ამასთან, სააპელაციო საჩივარს ძირითადად იმის დასადგენად ამოწმებენ, არის თუ არა

---

<sup>782</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 322.

<sup>783</sup> *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013, გვ. 102.

<sup>784</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 322.

<sup>785</sup> ინგლისურად – *Double Jeopardy*.

<sup>786</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 42.

<sup>787</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 323-324.

დაშვებული „მართლმსაჯულების შეცდომა“,<sup>788</sup> რის გამოც, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი „არამყარი და არადადამაკმაყოფილებელია“.<sup>789</sup>

ნორვეგიაში ფორმალურად ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არ საჩივრდება, თუმცა საპროცესო ან მატერიალური სამართლებრივი შეცდომების გამო განაჩენი შესაძლებელია, გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.<sup>790</sup> ამასთან, ნორვეგიაში ვერდიქტის გაუქმების განსხვავებული წესი მოქმედებს; კერძოდ: თუ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი გამამართლებელია, მისი გაუქმება შეუძლია სამ მოსამართლეს, რომლებიც ერთსულოვნად თვლიან, რომ ბრალდებული ეჭვის გარეშე დამნაშავეა. გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრების შემთხვევაში კი, ვერდიქტის გაუქმება სამ მოსამართლეს ხმების უმრავლესობით შეუძლია.<sup>791</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ნორვეგიაში ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში<sup>792</sup> საქმეს ხელახლა იხილავს შერეული სასამართლო, სამი მოსამართლისა და ოთხი მსაჯულის შემადგენლობით.<sup>793</sup>

დანიაში შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის სრული მოცულობით გასაჩივრება სააპელაციო წესით, თუმცა ასევე შესაძლებელია კანონის გამოყენებასთან, სასჯელის შეფარდებასა და საპროცესო საკითხებთან დაკავშირებით საჩივრის შეტანა უზენაესი სასამართლოში.<sup>794</sup>

---

<sup>788</sup> მაგ.: მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება; მტკიცებულებათა არასწორად დაშვება ან ამორიცხვა და ა.შ.

<sup>789</sup> *ბეჟაშვილი თ.*, სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014, გვ. 42.

<sup>790</sup> *იორჰენდი ლ.*, *წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007, გვ. 76.

<sup>791</sup> *იორჰენდი ლ.*, *წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ზონა კაუზა, 2009, გვ. 82.

<sup>792</sup> გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურატურა უარს ამბობს ბრალდებაზე.

<sup>793</sup> *იორჰენდი ლ.*, *წიქარიშვილი კ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ზონა კაუზა, 2009, გვ. 82.

<sup>794</sup> *ბახმაიერ უინტერი ლ.*, *დალი ბ.ლ.* ტ.ჯ., შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს

ბელგიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ კასაციის წესით; საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში კი, ინიშნება ახალი სასამართლო განხილვა ახალი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიაში სამ პროფესიონალ მოსამართლეს, რომლებიც შედიან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში, შეუძლიათ მხოლოდ გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება, თუ დაასკვნიან, რომ ვერდიქტი ურთიერთწინააღმდეგობრივია, ამკარად შეიცავს მტკიცებულებებთან დაკავშირებულ ან სამართლებრივ შეცდომებს. ამ შემთხვევაში საქმე ხელახლა განიხილება სხვა ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლეების მონაწილეობით.<sup>795</sup>

იტალიაში შერეული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შესაძლებელია გასაჩივრდეს საერთო წესით, ისე როგორც სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებები, რადგან არანაირი სპეციალური ნორმები შერეული ტრიბუნალის გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან მიმართებით არ არსებობს.<sup>796</sup>

რუსეთში განაჩენი, რომელიც დამყარებულია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე, შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სამართლებრივი<sup>797</sup> საფუძველით – სასამართლო განხილვისას და/ან ვერდიქტის გამოტანისას თუ განაჩენის დადგენისას არსებითი საპროცესო დარღვევების გამო.<sup>798</sup>

---

პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 68. იხ.:

[http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc),

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>795</sup> იქვე, გვ. 69-70.

<sup>796</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>797</sup> და არა ფაქტობრივი.

<sup>798</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 311.

რუსეთში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო წესით გაუქმების ან შეცვლის საფუძველი შეიძლება იყოს:

- 1) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევა;
- 2) სისხლის სამართლის<sup>799</sup> კანონის არასწორი გამოყენება;
- 3) განაჩენის უსამართლობა.

აღსანიშნავია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტი შესაძლებელია გაუქმდეს პროკურორის წარდგინებით ან დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის საჩივრით, თუ არსებობს ისეთი საპროცესო დარღვევა, რომელმაც შეზღუდა მათი უფლებები მტკიცებულებათა წარდგენის სფეროში, ანდა იმოქმედა ნაფიც მსაჯულთათვის დასმული კითხვებისა და მათზე პასუხების შინაარსზე.<sup>800</sup> საინტერესოა ისიც, რომ 1994 წელს რუსეთის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განაჩენების 42.9% და მათ შორის, – გამამართლებელი განაჩენების 20.1%; 1995 წელს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განაჩენების 35.1%, ხოლო 1996 წელს – 22.2%. ამასთან, 1995 წელს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენების 17.3%, 1996 წელს – 30.7%, ხოლო 1997 წელს – 48.6%.<sup>801</sup>

ამდენად, ნათელია, რომ ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების შესაძლებლობასა და პროცედურასთან დაკავშირებით თანამედროვე პერიოდში ერთიანი მიდგომა არ არსებობს.

---

<sup>799</sup> „მატერიალური“.

<sup>800</sup> *გაბისონია ი.*, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008, გვ. 311.

<sup>801</sup> იხ.: *ვიდმარი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005, გვ. 340.

### 13. საქართველოში ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრება

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა განსხვავებულ პროცედურას ადგენს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.<sup>802</sup> აღნიშნული დათქმა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს შეზღუდვა ზუსტად ასახავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იდეას, რომლის მიხედვით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ხალხის უშუალო წარმომადგენლები ახორციელებენ და ამ შემთხვევაში<sup>803</sup> დაუშვებელია, პროფესიონალმა მოსამართლეებმა გადასინჯონ ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრების საკითხს: საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს შეუძლია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ:

ა) სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო;

ბ) სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი;

გ) სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა;

დ) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს;

ე) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს;

<sup>802</sup> საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>803</sup> ანუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამამართლებელი ვერდიქტის მიღების შემთხვევაში.

ვ) სასჯელი უკანონო ან/და აშკარად დაუსაბუთებელია;

ზ) სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.<sup>804</sup>

ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრების საფუძვლებთან დაკავშირებით ზოგადად, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ასე მაგ.: საქართველოს მიერ წარდგენილ, პაქტის<sup>805</sup> შესრულების შესახებ მეოთხე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით, 2014 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებულ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნით რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ კომიტეტი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა არ იძლევა გამამტყუნებელი ვერდიქტის შინაარსობრივი გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება პაქტის<sup>806</sup> მე-14 მუხლს.<sup>807</sup> თუმცა, მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითად კომპონენტად მიიჩნია, განმარტა, რომ ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას შესაბამისი კონსტიტუციური საფუძვლების არსებობისას.<sup>808</sup>

საყურადღებოა ის, რომ 2016 წლის 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტითა<sup>809</sup> და შესაბამისი

<sup>804</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>805</sup> იგულისხმება 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი.

<sup>806</sup> იგულისხმება 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი.

<sup>807</sup> იხ.: *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 11-12. იხ.: *United Nations Human Rights Committee, Concluding Observations on the Fourth Periodic Report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/4, 19 August 2014, paragraph 14.*

<sup>808</sup> *ერემაძე ქ.*, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში – საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, მერიდიანი, 2018, გვ. 259.

<sup>809</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123250?>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.



განმარტებითი ბარათით<sup>810</sup> სხვა ცვლილებებსა და დამატებებთან ერთად, ვერდიქტის გასაჩივრებასთან დაკავშირებულ დებულებებშიც ცვლილებები იქნა ინიცირებული; კერძოდ: ცვლილებათა პაკეტის თანახმად, საქართველოს სსსკ-სის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით:

„დაცვის მხარეს შეუძლია საერთო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ ვერდიქტი, რომელსაც განაჩენი ეყრდნობა, აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა.“.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილების პროექტით შეთავაზებული განაჩენის გასაჩივრების საფუძვლები<sup>811</sup> აბსოლუტურად იდენტური იყო იმ საფუძვლებისა, რომელთა თანახმად, საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხდომის თავმჯდომარის მიერ განაჩენის გაუქმების შემთხვევაში, ხელახალ გადაწყვეტილებას ისევ ნაფიცი მსაჯულები<sup>812</sup> იღებენ.<sup>813</sup> მაგრამ ცვლილების პროექტით გასხვავებული სამართლებრივი შედეგი დგებოდა, რადგან გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიონალი მოსამართლეები<sup>814</sup> მიიღებდნენ, რითაც პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მიერ სისხლის

---

<sup>810</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123251?>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>811</sup> ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა.

<sup>812</sup> ანუ ხალხის უშუალო წარმომადგენლები.

<sup>813</sup> იხ.: ამ თავის მე-11 პარაგრაფი.

<sup>814</sup> ანუ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 3 მოსამართლე.

სამართლის საქმის განხილვა და შესაბამისი ვერდიქტის მიღება სამართლებრივად აზრს კარგავდა.

საინტერესოა ისიც, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ცვლილების პროექტსაც ასევე არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ასე მაგ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კონსტიტუციური კვლევების ცენტრის, მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრისა და თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივი განცხადების თანახმად, ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრების პროცესი ბუნდოვანებას ბადებდა, რადგან არც კანონპროექტი და არც იმჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები ვერდიქტის მიღებისას არ ითვალისწინებდა იმის განმარტებას, თუ რომელ მტკიცებულებებს დაეყრდნენ ნაფიცი მსაჯულები. შესაბამისად, გაურკვეველი იყო, თუ როგორ უნდა მომხდარიყო, გადაწყვეტილების ამ მოტივით გასაჩივრება.<sup>815</sup> თუმცა, მეორეს მხრივ, არსებობდა რეკომენდაციები, რომ მიღებული ყოფილიყო ცვლილება, რომელიც ადვოკატს მისცემდა უფლებას, გაესაჩივრებინა გამამტყუნებელი განაჩენი, თუკი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი დაუსაბუთებელი იყო, აშკარად ეწინააღმდეგებოდა მტკიცებულებათა ერთობლიობას და მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთი გზა მისი გაუქმება იყო.<sup>816</sup> მაგრამ, ამავდროულად, გაუგებარი იყო, თუ როგორ უნდა შეფასებულიყო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის მტკიცებულებათა ერთობლიობასთან წინააღმდეგობა, რადგან წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს არ ეკისრებოდათ ვალდებულება, ვერდიქტში მიეთითებინათ, თუ რომელი მტკიცებულებები გაიზიარეს და კონკრეტულად რომელ მტკიცებულებათა ერთობლიობას დააყრდნეს

---

<sup>815</sup> იხ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრი, თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი, ერთობლივი განცხადება, 30.10.2015. იხ.: <https://conlaw.iliauni.edu.ge/erthoblivi-gantskhadeba-conlaw-jelec-nihr/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 02.06.2021.

<sup>816</sup> შეად.: კოვალიოვი ნ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ანალიზი, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 68.

თავიანთი გადაწყვეტილება. შესაბამისად, ცვლილებათა პაკეტში შეთავაზებული ფორმით ვერდიქტის გასაჩივრება მიუღებელი იყო, რადგან სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის მიერ გასაჩივრებული ვერდიქტის საერთო წესით განხილვა და ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღება ასევე წინააღმდეგობაში მოვიდოდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსთან.<sup>817</sup>

საბოლოოდ, 2016 წლის 20 ივნისს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტიდან ვერდიქტის გასაჩივრებასთან დაკავშირებული შესაბამისი დებულებები ამოღებული იქნა და ამით ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი განაჩენის დამატებითი საფუძვლით გასაჩივრების პროცედურის შემოღებაზე ფაქტობრივად უარი ითქვა.

### **13.1. გამამტყუნებელ განაჩენზე შეტანილი საკასაციო საჩივრის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილვა**

საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს შეუძლია ერთჯერადად გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი;<sup>818</sup> ამასთან, განაჩენი საკასაციო წესით საჩივრდება, თუმცა საინტერესოა ის, რომ ამ საკასაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლო იხილავს.

ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელ განაჩენზე შეტანილი საკასაციო საჩივრის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილვის პროცედურა უნიკალურია, რადგან:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში პროფესიონალი მოსამართლის (მოსამართლეების) მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის შედეგად მიღებული ყველა განაჩენი ყველა შემთხვევაში სააპელაციო წესით საჩივრდება;

ბ) საქართველოს სსსკ-ის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განხილვა დაუშვებელია;

<sup>817</sup> შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ., ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, გვ. 40.

<sup>818</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

გ) სამოქალაქო/ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებისას, სააპელაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განხილვა ფაქტობრივად ასევე შეუძლებელია;

დ) ფაქტობრივად არც სხვა ქვეყნების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების სისტემები ადგენენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განხილვის შესაძლებლობას.

თუმცა, მეორეს მხრივ, ეს განსხვავებული პროცედურა რაიმე განსაკუთრებულ სამართლებრივ პრობლემას არ წარმოშობს, რადგან დაინტერესებული მხარის მიერ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების უფლება და ამ საჩივრის ზემდგომი სასამართლოს მიერ განხილვა, საქართველოს სსსკ-ის შესაბამისად, უზრუნველყოფილია. ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის არსებულ რედაქციაში რაიმე ცვლილების შეტანის აუცილებლობა არ არსებობს.

### **13.2. მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილების გამო გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება**

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების საფუძვლებიდან ერთ-ერთ საფუძველს მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხი წარმოადგენს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეს შეუძლია გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო.<sup>819</sup>

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე, არამედ ამ საქმის წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, რადგან საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის

---

<sup>819</sup> იქვე.

მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე;<sup>820</sup> ანუ მტკიცებულების საქმეზე დაშვება-არ დაშვების საკითხი, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დაწყებამდე გაცილებით ადრე განიხილება. ამდენად, საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულები უკვე დაშვებულია, ხოლო საქმეზე დაშვებული მტკიცებულებების სხდომის თავმჯდომარის მიერ დაუშვებლად ცნობა, ამ ეტაპზე სამართლებრივად შეუძლებელია.

ამასთან, საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ საქმის არსებითად განხილვისას დადგინდება, რომ მტკიცებულება არსებითი დარღვევით არის მოპოვებული, რაც წესით მისი დაუშვებლად ცნობის უპირობო საფუძველია,<sup>821</sup> ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე ამ მტკიცებულებას არ იზიარებს.<sup>822</sup>

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლში შევიდეს ცვლილება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის არსებულ რედაქციაში: „სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო;“ სიტყვები: „სხდომის თავმჯდომარემ“ შეიცვალოს სიტყვებით: „წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ“ და საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო;“.

### 13.3. დაკმაყოფილებული საკასაციო საჩივრის სამართლებრივი შედეგი

საქართველოს კანონმდებლობა მხარის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას ადგენს; კერძოდ:

---

<sup>820</sup> იქვე.

<sup>821</sup> საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>822</sup> მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის ნაცვლად.

საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი საჩივრდება, თუ:

ა) სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო;

ბ) სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი;

გ) სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა;

დ) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს;

ე) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს;

ვ) სასჯელი უკანონოა ან/და აშკარად დაუსაბუთებელია;

ზ) სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.<sup>823</sup>

ამასთან, ნიშანდობლივია ის, რომ საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების შემთხვევაში განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დგება; ასე მაგ.: ზოგიერთი საფუძვლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის<sup>824</sup> დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას,<sup>825</sup> რის შედეგად, შესაძლებელია, მანამდე დაშვებული სამართლებრივი შეცდომა გასწორდეს. თუმცა საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“<sup>826</sup> და „ზ“<sup>827</sup> ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

<sup>823</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>824</sup> იგულისხმება საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრები.

<sup>825</sup> საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>826</sup> სასჯელი უკანონოა ან/და აშკარად დაუსაბუთებელია.

საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო განაჩენით ადგენს ახალ სასჯელს.<sup>828</sup> ამასთან, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.<sup>829</sup>

შესაბამისად, საინტერესოა, საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი სასჯელის დანიშვნის უფლებამოსილება, ერთის მხრივ, ხომ არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების წარმომადგენლების<sup>830</sup> პირდაპირი მონაწილეობის იდეას და, მეორეს მხრივ, ამით ხომ არ იზღუდება ბრალდებულის უფლება. ამ ვერსიის შესამოწმებლად (დასადასტურებლად ან უარსაყოფად) განვიხილოთ შესაძლო შემთხვევა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანა. იმის გათვალისწინებით, რომ არც ბრალდების და არც დაცვის მხარეს აღნიშნულზე უარი არ განუცხადებიათ, სასჯელის დანიშვნის სხდომა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით დაინიშნა. თუმცა სასჯელის დანიშვნის სხდომის გახსნისთანავე, მოსამართლემ სასჯელი დანიშნა და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა ისე, რომ მხარეების პოზიციები არ მოუსმენია და არც ნაფიც მსაჯულებს მისცემიათ შესაძლებლობა, მიეღოთ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.

დაცვის მხარემ სხდომის თავმჯდომარის მიერ დანიშნული სასჯელი მიიჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად და საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა; სააპელაციო სასამართლომ კი, დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა, რის შედეგად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში გააუქმა და საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ახალი სასჯელი თავად დანიშნა.

---

<sup>827</sup> სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.

<sup>828</sup> საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>829</sup> იქვე.

<sup>830</sup> ანუ ნაფიცი მსაჯულების.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება; კერძოდ:

1. სააპელაციო სასამართლომ სასჯელი ფაქტობრივად ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის გათვალისწინების გარეშე დანიშნა, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაფიც მსაჯულებს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მიღების შესაძლებლობა სხდომის თავმჯდომარემ არ მისცა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის შესაძლებლობას საქართველოს სსსკ არ ითვალისწინებს. შესაბამისად, საზოგადოების წარმომადგენლებს სასჯელის დანიშვნის საკითხის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ, რითაც საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 ნაწილების მოთხოვნები დაირღვა, რადგან სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით.<sup>831</sup> ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი;<sup>832</sup> ხოლო, თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები.<sup>833</sup>

2. სააპელაციო სასამართლომ სასჯელი ფაქტობრივად მხარეების მოსაზრებების მომენის გარეშე დანიშნა, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში სასჯელთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა დაცვის მხარესა და ბრალდების მხარეს სხდომის თავმჯდომარემ არ მისცა, ხოლო სააპელაციო სასამართლო ასეთი ტიპის საჩივრებს, როგორც წესი,

<sup>831</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

<sup>832</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>833</sup> საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს. შესაბამისად, მხარეებს სასჯელის დანიშვნის საკითხის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ, რითაც საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები დაირღვა, რომლის თანახმად, სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით, მხარეები სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსაზრებებს წარადგენენ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.<sup>834</sup>

3. სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს შეუძლია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი,<sup>835</sup> ანუ საქართველოს კანონმდებლობა ამ შემთხვევაში მხარეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას არ აძლევს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სასჯელთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა მხარეებს სხდომის თავმჯდომარემ არ მისცა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სასჯელი ფაქტობრივად დანიშნა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუმცა მხარე ამ სასჯელს ვერ ასაჩივრებს, რითაც საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები ირღვევა, რომლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს, თუ სასჯელი უკანონოა ან/და აშკარად დაუსაბუთებელია.<sup>836</sup>

ფაქტობრივად ანალოგიური სამართლებრივი შედეგი დგება საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის<sup>837</sup> საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაშიც.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის არსებული რედაქცია შედარებით ახალია<sup>838</sup> და მანამდე მოქმედი ნორმის მიხედვით,

<sup>834</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>835</sup> იქვე.

<sup>836</sup> იქვე.

<sup>837</sup> სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.

იმავე საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.<sup>839</sup>

ამ სამართლებრივ პრობლემაზე საუბრისას, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფაქტობრივად იდენტურ საკითხთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება,<sup>840</sup> კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ნოემბრის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენით ბრალდებული ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და გამართლდა, თუმცა ის ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს და ხელახალი განხილვისა და სასჯელის დანიშვნის მიზნით, მოითხოვეს საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში დაბრუნება. საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი გახლდათ ის, რომ მართალია, სასჯელის დანიშვნის სხდომა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე უნდა ჩატარებულიყო,<sup>841</sup> მაგრამ მოსამართლემ სასჯელის დანიშვნის სხდომა არ ჩაატარა, რადგან მან მხარეებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა არ მისცა და სხდომის დარბაზში შესვლისთანავე გამოაცხადა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

---

<sup>838</sup> საქართველოს სსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის დღეის მდგომარეობით არსებული რედაქცია 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

<sup>839</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>840</sup> იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-05-16.

<sup>841</sup> ვინაიდან ბრალდების მხარემ სასჯელის დანიშვნის სხდომაში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსამართლემ მხარეთა პოზიციების მოსმენის გარეშე დანიშნა სასჯელი და გამოაცხადა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.<sup>842</sup> შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა დაირღვა, რის გამოც, მან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში გააუქმა და იმჟამად მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის დაუბრუნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.<sup>843</sup>

ამრიგად, ამ შემთხვევების განხილვის შედეგად, ნათელია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი სასჯელის დანიშვნისას, მხარეები სასჯელთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციებს ფაქტობრივად ვერ წარადგენენ და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განაჩენს ვერ ასაჩივრებენ, ხოლო ნაფიცი მსაჯულები სასჯელის დანიშვნის საკითხის განხილვაში მონაწილეობას ვერ იღებენ<sup>844</sup>; მაშინ როდესაც, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გააუქმებისა და სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარისათვის დაბრუნების შემთხვევაში, მხარეები სასჯელთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციებს წარადგენენ და სათანადო სურვილის არსებობისას, სააპელაციო სასამართლოში განაჩენს ასაჩივრებენ, ხოლო ნაფიცი მსაჯულები სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციას იღებენ.<sup>845</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის არსებული რედაქცია: „ამ მუხლის მე-2 ნაწილის

---

<sup>842</sup> იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-05-16.

<sup>843</sup> იქვე.

<sup>844</sup> იგულისხმება შემთხვევა, როდესაც სასჯელის დანიშვნის სხდომაში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობაზე უარი მხარეებს არ განუცხადებიათ.

<sup>845</sup> იგულისხმება შემთხვევა, როდესაც სასჯელის დანიშვნის სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ.

„ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო განაჩენით ადგენს ახალ სასჯელს. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.“ შეიცვალოს და საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.“; ანუ ფაქტობრივად აღდგეს 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია.

#### 14. საქართველოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

##### ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საკითხების შეფასებისას სასურველია, ასევე განხილული იქნეს ისეთი სპეციფიური პროცედურა, როგორცაა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება,<sup>846</sup> საქართველოს კანონმდებლობა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას ადგენს, რის საფუძველსაც ახლად გამოვლენილი გარემოებები წარმოადგენს. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში ასეთი გარემოებები დეტალურად არის ჩამოთვლილი.<sup>847</sup> ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ ზოგ შემთხვევაში ეს გარემოებები შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენთან მიმართებითაც გამოვლინდეს; ასე მაგ.:

<sup>846</sup> საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>847</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

1. ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ დადგინდეს, რომ არსებობდა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯულის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას,<sup>848</sup> რაც სისხლის სამართლის პროცესში ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებაა;<sup>849</sup> ანუ ამ შემთხვევაში, არსებობს ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს<sup>850</sup> უკანონო შემადგენლობას;<sup>851</sup>

2. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდეს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით დანაშაული ჩაიდინა ნაფიცმა მსაჯულმა,<sup>852</sup> ანდა ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ჩაიდინა დანაშაული;<sup>853</sup> ეს კი, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ახლად გამოვლენილ გარემოებას წარმოადგენს;<sup>854</sup> და ა.შ.

ამდენად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ გამორიცხავს. შესაბამისად, საინტერესოა, განაჩენის გადასინჯვის მომწესრიგებელი ნორმები რამდენად შესაბამისობაშია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცედურასთან და რაიმე ფორმით ხომ არ იზღუდება ბრალდებულის უფლებები.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წერილობით შეაქვთ სააპელაციო

---

<sup>848</sup> მაგ.: ნაფიცი მსაჯული ბრალდებულის ბიძაშვილი აღმოჩნდა, თუმცა მას თვითაცილება არ განუცხადებია და ეს ფაქტი არც მხარეებისთვის იყო ცნობილი.

<sup>849</sup> საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>850</sup> ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

<sup>851</sup> საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>852</sup> მაგ.: ნაფიცმა მსაჯულმა ამ საქმესთან დაკავშირებით ქრთამი აიღო, ანუ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

<sup>853</sup> მაგ.: სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ნაფიც მსაჯულზე მუქარა განახორციელა, ანუ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

<sup>854</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

სასამართლოში განსჯადობის მიხედვით;<sup>855</sup> სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში<sup>856</sup> კი, საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად;<sup>857</sup> ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შეიტანება საკასაციო საჩივარი,<sup>858</sup> ხოლო საკასაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი დასაშვებობის შემოწმების გარეშე.<sup>859</sup>

ამრიგად, ვიღებთ სიტუაციას, როდესაც:

1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად; ანუ, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გადასინჯვის უფლებამოსილება ფაქტობრივად მოსამართლეებს ენიჭებათ; ამ უფლებამოსილების ფარგლებში კი, შესაძლებელია, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების<sup>860</sup> მიერ მიღებული ვერდიქტი პროფესიონალმა იურისტებმა<sup>861</sup> გააუქმონ, რითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იდეას აზრი ეკარგება და, რაც მთავარია, ფაქტობრივად იგნორირებულია საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-3 ნაწილით გარანტირებული ბრალდებულის უფლება, მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.<sup>862</sup>

2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შედეგად სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენზე საკასაციო საჩივარი შეიტანება, რომელსაც საკასაციო სასამართლო

---

<sup>855</sup> საქართველოს სსსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>856</sup> საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>857</sup> საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>858</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

<sup>859</sup> საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>860</sup> ანუ ნაფიცი მსაჯულების.

<sup>861</sup> ანუ მოსამართლეებმა.

<sup>862</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009, მუხლი 330.

დასაშვებობის შემოწმების გარეშე განიხილავს; ანუ, შესაძლებელია, მივიღოთ სიტუაცია, როდესაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შედეგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენი ბრალდების მხარემ საკასაციო სასამართლოში გაასაჩივროს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, საკასაციო საჩივარი განიხილოს; ეს კი, ფაქტობრივად ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, რომლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება, ხოლო მხარეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება და ისიც – ერთჯერადად, საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში.<sup>863</sup>

ამრიგად, ამ ნორმების განხილვის შედეგად, ნათელია, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის მომწესრიგებელი ნორმები ბრალდებულის უფლებას ფაქტობრივად ზღუდავს და ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცედურასთან შეუსაბამოა. თუმცა, ბუნებრივია, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტზეც უნდა გავრცელდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საქართველოს სსსკ-ში განისაზღვროს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის სპეციალური პროცედურა, რომლის თანახმად, შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმებაზე სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს,<sup>864</sup> ხოლო შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში, საქმეს არსებითად განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალი შემადგენლობა. შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი: „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის

---

<sup>863</sup> იქვე.

<sup>864</sup> ანუ, ისე როგორც საერთო წესით არის დადგენილი.

შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში, საქმეს არსებითად იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალი შემადგენლობა, რომლის განაჩენიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.“.



## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ერთ-ერთი პირველია, რომლითაც საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ინსტიტუტი იქნა შესწავლილი. ამ კვლევის მნიშვნელობა და აქტუალობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი და ვერდიქტის მიმღები ერთადერთი ორგანო, 2010 წლიდან ამოქმედდა. შესაბამისად, ქართულ სისხლის სამართლის პროცესში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტთან დაკავშირებული საკითხებისა და არსებული პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კვლევის მიზნით, შესწავლილი იქნა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ინსტიტუტი.

კვლევის ფარგლებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორიისა და განვითარების ტენდენციების მიმოხილვის შედეგად (როგორც საქართველოში, ისე იმ სახელმწიფოებში, სადაც ეს ინსტიტუტი ფაქტობრივად შეიქმნა და დროთა განმავლობაში განვითარდა), გამოიკვეთა ამ ინსტიტუტის მიმართ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება.

თანამედროვე პერიოდში არსებული ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მიღების პროცედურების განზოგადების საფუძველზე, დადგინდა, თუ რა ტიპის სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემები წარმოიშობა ვერდიქტის მიღებასთან, მის დასაბუთებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებით; შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მარეგულირებელი ნორმების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები:

1. ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღებასთან დაკავშირებული, ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საკითხია. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლებას განამტკიცებს; სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა კი, უშუალო კავშირშია სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურ განხორციელებასთან და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ამასთან,

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში, ტრიბუნალი არ ნიშნავს აუცილებლად საქმის განხილვას პროფესიონალი მოსამართლეებისა და იურისტების მონაწილეობით. შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა ასევე ეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, სადაც ნაფიც მსაჯულებს არ მოეთხოვებათ მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთება. თუმცა დასაბუთებას მოკლებული ვერდიქტის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, რამდენად შესწევს სამართალწარმოებას უნარი, წინ აღუდგეს თვითნებობას და მისცეს ბრალდებულს საშუალება, გაიგოს, თუ რატომ ცნეს დამნაშავედ. შესაბამისად, იმისათვის, რომ, ერთის მხრივ, სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხე აღიკვეთოს და, მეორეს მხრივ, ბრალდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, გაიგოს ის, თუ რატომ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფაქტობრივად სამი სახის საპროცესო გარანტია დაადგინა:

ა) სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების ან მითითებების მიცემა;

ბ) მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ზუსტი, ცალსახა კითხვების დასმა, რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს;

გ) ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან საქართველოს სამართლებრივი ბაზისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების კუთხით ქართული სისხლის სამართლის პროცესი მოიცავს იმ პროცედურებს, რომლებიც აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს.

2. საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ნაფიცი მსაჯულებისათვის მოსამართლის მიერ სამართლებრივ და ფაქტობრივ საკითხებზე ობიექტური და მიუკერძოებელი განმარტებების წარდგენის ვალდებულებას და ამ პროცესში როგორც მხარეების ჩართულობას, ისე თავად ნაფიცი მსაჯულების მიერ დამატებითი განმარტებების მოთხოვნის უფლებამოსილებას. ამრიგად, საქართველოს სსსკ-ით დადგენილია ნორმები და განსაზღვრულია პროცედურები, რითაც უზრუნველყოფილია, ქართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის გამომრიცხავი, შესაბამისი საპროცესო გარანტიის არსებობა.

თუმცა საქართველოს სსსკ-ის ზოგიერთ ნორმასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვის ნიშნები არსებობს;

3. საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ მის მიერ მომზადებულ გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შუამდგომლობით. თუმცა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადების მიხედვით, თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი. შესაბამისად, თუ სათათბირო ოთახში გასვლამდე მხარე არ მიმართავს შუამდგომლობით სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს და არ მოითხოვს მის მიერ მომზადებული გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტებებში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანს, ის კარგავს უფლებას, საკასაციო საჩივრით გაასაჩივროს ამ განმარტებების სამართლიანობა და კანონიერება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიურად წესრიგდება მტკიცებულებების შეფასების წესის შესახებ განმარტებების მიცემის პროცედურაც, რადგან საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე აღნიშნულ განმარტებებს იძლევა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით, ანუ მხარის მიერ საკასაციო საჩივრის წარდგენის შეუძლებლობის შესახებ

არსებული წესი ვრცელდება მტკიცებულებების შეფასების წესის შესახებ მოსამართლის მიერ შემუშავებულ განმარტებებზეც.

საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადების არსებული რედაქცია შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რადგან ეს ნორმა არ იძლევა გამოსაყენებელი კანონისა და მტკიცებულებების შეფასების წესის შესახებ განმარტებებში მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომისა და მისი თანამდევ კანონსაწინააღმდეგო შედეგის გასაჩივრების გზით გასწორების შესაძლებლობას.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლში შევიდეს შესწორება და მხარეებს ამ საფუძვლითაც ჰქონდეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების უფლება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებული იქნეს მესამე წინადადება: „თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.“.

ამ ცვლილების განხორციელების აუცილებლობა ასევე დასტურდება ფაქტობრივად იდენტურ საკითხთან დაკავშირებით, 2016 წლის 11 აპრილს, N1/ზ-05-16 საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მიღებული განაჩენით, სადაც სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ დაცვის მხარეს შესაბამის განმარტებაში ცვლილების შეტანის შესახებ შუამდგომლობით სხდომის თავმჯდომარისათვის არ მიუმართავს, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ განმარტება მხარეებს დროულად გადასცა. შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადებიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ამ ნაწილში დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

4. საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი. ამ ნორმაში გამოყენებული სიტყვა: „უფლებამოსილია“ არანაირად არ გულისხმობს აუცილებლად შესასრულებელ დავალებას და ფაქტობრივად ასოცირდება მოსამართლის დისკრეციასთან, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს განმარტებების გაკეთების საკითხი; ანუ თავად სხდომის თავმჯდომარემ დაადგინოს, განუმარტოს თუ არა ნაფიც მსაჯულებს მტკიცებულებების შეფასების წესი. ასეთი შეფასების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც. ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებაში სიტყვა: „უფლებამოსილია“-ს არსებობის ფაქტი შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითქმის ანალოგიურ შემთხვევაში, ანუ მოსამართლის მიერ გამოსაყენებელი კანონის თაობაზე განმარტებების მიცემის პროცედურის ნაწილში, საქართველოს კანონმდებლობა სიტყვას „უფლებამოსილება“ არ იყენებს და შესაბამისი ნორმის არსებული რედაქცია ამ ნაწილში იმპერატიული ხასიათისაა; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე.“ ფაქტობრივად ასეთივე ვალდებულებითი შინაარსის მატარებელია ის ნორმა, რაც განმარტებების მხარეებისათვის გადაცემის საკითხს აწესრიგებს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს; ანუ ამ ორ ანალოგიურ სიტუაციაში გამოყენებულია სიტყვები: „აძლევს განმარტებებს“ და „უნდა გადაეცეთ“, რაც გულისხმობს აუცილებლად შესასრულებელს და არა უფლების ქონას.

საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებიდან ასევე ამოღებული უნდა იქნეს სიტყვა: „მოკლედ“, რადგან სიტყვათა წყობა: „მოკლედ

განუმარტოს“ უშვებს ისეთი შემთხვევის არსებობის შესაძლებლობასაც, სადაც გარკვეული მიზეზების გამო, მოსამართლე სრულყოფილად არ განმარტავს მტკიცებულებების შეფასების წესს. აღნიშნული კი, შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლში შევიდეს შესწორება და ამ მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება შეიცვალოს რედაქციით:

„სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი.“;

ანდა შემდეგი რედაქციით:

„სხდომის თავმჯდომარე სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს აძლევს განმარტებებს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესის თაობაზე.“.

5. საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის გამოსაყენებელი კანონისა და სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესის თაობაზე განმარტებების მიცემის შემდეგ, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, მიიღონ დამატებითი განმარტებები, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამორიცხვისათვის მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა. ამასთან, აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსამართლე მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას; ანუ ამ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულის მოთხოვნის დაკმაყოფილება სხდომის თავმჯდომარისათვის სავალდებულო არ არის და ეს მოთხოვნა ფაქტობრივად შუამდგომლობის მსგავსად განიხილება, რაც შეიძლება აღქმული იქნეს ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების შეზღუდვად. მაგრამ, მეორეს მხრივ, დამატებითი განმარტების შესახებ ნაფიცი მსაჯულის

მოთხოვნა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია არ ეხებოდეს არც კანონს, არც ფაქტობრივ გარემოებებს და არც დასკვნით სიტყვას ან/და შესაბამისი კითხვები არ იყოს ზუსტად ფორმულირებული. ამიტომაც აუცილებელია ასეთი ე.წ. „ფილტრის“ არსებობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნაფიცი მსაჯულების მიერ არარელევანტური ან არასწორად ფორმულირებული კითხვების დასმა.

თუმცა საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლის მესამე წინადადების თანახმად, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ნაფიც მსაჯულს წერილობითი მოთხოვნის წარდგენა შეუზღუდოს, რაც არასწორია, რადგან ამით ნაფიც მსაჯულს ფაქტობრივად ერთმევა უფლება, გაარკვიოს მისთვის ბუნდოვნად დარჩენილი საკითხი. ასეთმა შეზღუდვამ კი, გამორიცხული არ არის, ნაფიცი მსაჯულების მიერ არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვიოს; მაგ.: ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლებელია, გამამტყუნებელი ვერდიქტი დააფუძნონ იმ მტკიცებულებას, რაც დასკვნითი სიტყვის წარდგენისას ბრალდების მხარეს მტკიცებულებად ფაქტობრივად არ მიუჩნევია. აღნიშნული კი, იმით იყოს გამოწვეული, რომ მოსამართლემ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ნაფიცი მსაჯულის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მას არ მისცა დამატებითი განმარტება კონკრეტული მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლის მესამე წინადადების არსებული რედაქცია შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რადგან ეს ნორმა უსაფუძვლოდ ზღუდავს ნაფიცი მსაჯულის უფლებას, მოითხოვოს დამატებითი განმარტებები. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ნორმაში საუბარია არა წარდგენილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესაძლებლობაზე, არამედ ზოგადად მოთხოვნის წარდგენის შეზღუდვაზე, რაც არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული, თუნდაც ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ან ნაფიც მსაჯულთა თათბირის ვადის შესაძლო გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით იყოს განპირობებული.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლში შევიდეს შესწორება და ამოღებული იქნეს ნაფიცი მსაჯულის დამატებითი განმარტებების

თაობაზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შეზღუდვის შესაძლებლობა; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 257-ე მუხლიდან მესამე წინადადება ამოღებული იქნეს.

6. საქართველოს სსსკ-ის 237-ე მუხლის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აწვდის ინფორმაციას განსახილველ საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხებზე საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე. ნაფიცი მსაჯულების ამგვარი ინფორმირება, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია, რათა მათ ჰქონდეთ ბრალდებულთან მიმართებით სრულყოფილი მონაცემები, რაც ვერდიქტის მიღებაში დაეხმარებათ. თუმცა, მეორეს მხრივ, აღნიშნული ინფორმაცია ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება ამ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის საზიანოდ ან სასარგებლოდ არსებული მტკიცებულება. ეს საპროცესო შეთანხმება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს დაკავშირებული ამ ბრალდებულის მიმართ ამ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ბრალდებასთან. ნებისმიერ შემთხვევაში იგი სხვა სისხლის სამართლის საქმეში ამ ან სხვა პირის ბრალდებასთან მიმართებით უნდა იყოს გაფორმებული.

ამასთან, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის საპროცესო შეთანხმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს; კერძოდ: ამ ინფორმაციით ბრალდების მხარე შეეცადოს, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებაზე არასწორი ზემოქმედება მოახდინოს; მაგ.: პროკურორმა წარმოადგინოს საპროცესო შეთანხმება, რომელიც ამ სისხლის სამართლის საქმისგან ბრალდებულის თანამონაწილე პირის მიმართ გამოყოფილ საქმეზე გაფორმდა, სადაც მან ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ჩადენის ფაქტი აღიარა. ეს კი, დიდი ალბათობით ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა თათბირის დროს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად ამ ინფორმაციითაც იხელმძღვანელონ, რაც წესით დაუშვებელია, რადგან ეს ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. აღსანიშნავია ისიც, რომ არც თუ ისე იშვიათად, ასეთი შინაარსის მქონე საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებული პირი, ნებისმიერ შემთხვევაში უნებლიედ, ასახელებს მისი თანამონაწილის ვინაობას, რაც ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებაზე ამ გზით არასწორი ზეგავლენის მოხდენის საფრთხის დონეს კიდევ უფრო ზრდის.



ამრიგად, გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი მიზნის მიღწევას ემსახურება საქართველოს სსსკ-ის 237-ე მუხლის არსებული რედაქცია. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის აღნიშნული მუხლი შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რადგან ეს ნორმა სხდომის თავმჯდომარეს ავალდებულებს, ნაფიც მსაჯულებს მიაწოდოს ინფორმაცია, რაც შესაძლებელია ბრალდებულისათვის უსაფუძვლოდ ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

შესაბამისად, სასურველია, რომ საქართველოს სსსკ-იდან 237-ე მუხლი ამოღებული იქნეს.

7. საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლის მიხედვით, ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

ზოგადად, აღნიშნული შეზღუდვა მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი ტიპის ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლებელია, ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებაზე არასწორი ზეგავლენა მოახდინოს. ასევე სამართლიანია, რომ ნაფიც მსაჯულებს არ მიეწოდოთ ინფორმაცია ნემისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან. თუმცა საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლი ადგენს საერთო წესიდან გამონაკლისებს, ანუ როდესაც ნაფიცი მსაჯულებისათვის ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვა არ ვრცელდება ორ შემთხვევაზე. მათგან აღსანიშნავია სიტუაცია, როდესაც ნაფიცი მსაჯულებისათვის ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან

ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია, თუ ეს გამიზნულია ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად.

ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რა სამართლებრივი მიზანი აქვს ასეთი ტიპის ინფორმაციის ნაფიცი მსაჯულებისათვის მიწოდებას, რადგან ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად. უფრო მეტიც, თეორიულადაც კი, თითქმის წარმოუდგენელია რაიმე კავშირის აღმოჩენა ამ ორ მოცემულობას შორის; ზოგიერთ შემთხვევაში კი, ამან შეიძლება ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას გარკვეული საფრთხე შეუქმნას; მაგ.: პროკურორი შეეცადოს ბრალდებულის საზიანოდ გამოიყენოს მისი მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის ანდა ცრუ ჩვენების მიცემისათვის ადრინდელი ნასამართლობის ფაქტი. ეს კი, შესაძლებელია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას, თვითნებობის რისკის არსებობის გამომრიცხავი შესაბამისი საპროცესო გარანტიის მოქმედებისათვის საფრთხის შემცველი იყოს, რადგან მისი თანამდევი შედეგი შეიძლება ბრალდებულისათვის უსაფუძვლოდ ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

შესაბამისად, სასურველია, რომ საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლიდან ამოღებული იქნეს სიტყვები: „ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად“.

**8.** ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის დამბალანსებელ ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას შესაძლებელია, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმული ზუსტი და ცალსახა შეკითხვები წარმოადგენდეს; თუმცა საქართველოს სსსკ-ი ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, რადგან საქართველოს კანონმდებლობით არჩეული იქნა ე.წ. ანგლოსაქსური მიდგომა, რომლის მიხედვით, მსაჯულთათვის შეკითხვების დასმა ფაქტობრივად არ ხდება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ზუსტი, ცალსახა შეკითხვების წარდგენის პროცედურა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიჩნეულია სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხის აღმკვეთ ერთ-ერთ და არა ერთადერთ საპროცესო გარანტიად. შესაბამისად, რადგან საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილია სამართლებრივ საკითხებთან/მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ახსნა-განმარტებების/მითითებების მიცემისა და ბრალდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრების პროცედურები (ანუ სხვა შესაბამისი საპროცესო გარანტიები), სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების წარუდგენლობა სამართალწარმოების თვითნებობის საფრთხეს ფაქტობრივად არ წარმოშობს.

9. თანამედროვე პერიოდში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში მსაჯულები განსხვავებული რაოდენობით არიან წარმოდგენილნი და ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი დამოკიდებულება არ არსებობს. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების უმრავლესობის მსგავსად, საქართველოშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა 12 მსაჯულით განისაზღვრება. საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც წესი, 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულების შერჩევა საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე ხდება, შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ეტაპზეც წარმოიშვას საქმეში მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება ან სხვა მიზეზის გამო ვერ შეძლოს ნაფიცმა მსაჯულმა საქმის განხილვაში მონაწილეობის გაგრძელება. სწორედ ამ მიზნით არის განპირობებული სისხლის სამართლის პროცესში სათადარიგო მსაჯულის ინსტიტუტის არსებობა, რათა მან საქმიდან დათხოვნილი ნაფიცი მსაჯული ჩაანაცვლოს და შესაბამისად, საქმის განხილვა გაგრძელდეს.

საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისას, მსაჯულის მიერ კანონის სხვადასხვა ფორმით აშკარად დარღვევის შემთხვევაში, მოსამართლე აფრთხილებს მას, ხოლო მსაჯულის მიერ დარღვევის განმეორებისას, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს იგი და სათადარიგო მსაჯულით შეცვალოს. ამასთან, თუ წარმოიქმნა ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ვალდებულება და სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოწურული აღმოჩნდა, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს სსსკ ნაფიც

მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის შემცირების შესაძლებლობას ითვალისწინებს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული მოსამართლის ვალდებულება, ნაფიცი მსაჯულის დათხოვნისას, თუ სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოწურული აღმოჩნდება, დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა, ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 232-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რომლებიც ამ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულების თათბირის გაგრძელებისა და ვერდიქტის გამოტანის შესაძლებლობას ადგენენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის მე-4 ნაწილის არსებულ რედაქციაში შევიდეს ცვლილება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის მე-4 ნაწილის ბოლო წინადადება: „თუ წარმოიქმნა ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ვალდებულება და სათადარიგო მსაჯულთა შემადგენლობა ამოწურული აღმოჩნდა, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.“ შეიცვალოს წინადადებით: „თუ წარმოიქმნა ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ვალდებულება და ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა ამ კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, მოსამართლე ვალდებულია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.“.

**10.** სათათბირო ოთახში სათადარიგო მსაჯულის ყოფნა დაუშვებელია, რადგან საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა გარდა, არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა

ვერდიქტზე. შესაბამისად, როდესაც ნაფიც მსაჯულთა თათბირისას, მოსამართლე დაითხოვს მსაჯულს და მას სათადარიგო მსაჯულით შეცვლის, მაშინ სამართლებრივი პრობლემა წარმოიქმნება, რადგან სათადარიგო მსაჯულის სათათბირო ოთახში არ ყოფნის ფაქტი ფაქტობრივად თათბირის თავიდან დაწყების ვალდებულებას წარმოშობს იმის გამო, რომ სათადარიგო მსაჯულისთვის უცნობია სათათბირო ოთახში მის არყოფნამდე მიმდინარე თათბირის დეტალები; მაშინ როდესაც, სათადარიგო მსაჯულის სათათბირო ოთახში თათბირის დაწყებიდანვე ყოფნის შემთხვევაში, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა თათბირი გაგრძელდება და მისი თავიდან დაწყების ვალდებულება არ წარმოიშობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირის ვადა შეზღუდულია, ხოლო სათათბირო ოთახში ნაფიცი მსაჯულის სათადარიგო მსაჯულით შეცვლის გამო, თათბირის ვადის თავიდან ათვლის შესაძლებლობას საქართველოს სსსკ არ ითვალისწინებს.

ნაფიც მსაჯულთა სისტემა შესაძლებელია, უშვებდეს ან არ ითვალისწინებდეს ნაფიც მსაჯულთა თათბირისას მსაჯულის სათადარიგო მსაჯულით შეცვლის შესაძლებლობას. თუმცა, თუ კანონმდებლობა თათბირის მიმდინარეობის დროს მსაჯულის შეცვლის შესაძლებლობას ადგენს, ამ შემთხვევაში უმჯობესია, სათადარიგო მსაჯული სათათბირო ოთახში იმყოფებოდეს, რათა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება თავიდან იქნეს აცილებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სათადარიგო მსაჯული სათათბირო ოთახში თათბირის დაწყების მომენტიდან იმყოფებოდეს; ანუ ფაქტობრივად აღდგეს 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის რედაქცია. შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის პირველი ნაწილის არსებულ რედაქციაში შევიდეს ცვლილება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებაში: „ნაფიც მსაჯულთა გარდა, არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.“ სიტყვები: „ნაფიც მსაჯულთა გარდა“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა გარდა“.

11. საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარემ ყოველ ბრალდებულზე უნდა მოამზადოს ვერდიქტის 2 ფორმა, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს წარედგინება: ერთი – გამამართლებელი ვერდიქტის, მეორე – გამამტყუნებელი ვერდიქტის. ამ ნორმით დადგენილი წესი ლოგიკურია, რადგან ნაფიცი მსაჯულები უფლებამოსილები არიან, მიიღონ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა ფაქტობრივად ვერდიქტის დამატებითი ფორმის წარდგენის ვალდებულებას ადგენს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული. ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს დამატებით უნდა წარედგინოთ გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა. შესაბამისად, თუ პროკურორი, საქართველოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო მსჯავრდებას მოითხოვს, მოსამართლე, საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს ამ ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით ვერდიქტის ფორმას ვერ წარუდგენს.

ამდენად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 262-ე მუხლის პირველ ნაწილში შევიდეს შესწორება; კერძოდ: სიტყვების: „სხდომის თავმჯდომარემ“ წინ დაემატოს სიტყვები: „ამ კოდექსის 231-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა,“.

12. საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლი ვერდიქტის გამოცხადების წესს განსაზღვრავს. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის ხელმოწერის შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ვერდიქტს. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის გამოცხადებამდე, მოსამართლე ვალდებულია, ვერდიქტის ფორმის კანონის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში დარწმუნდეს. შესაბამისად, თუ მოსამართლე ვერდიქტის ფორმას კანონის მოთხოვნების შეუსაბამოდ მიიჩნევს, იგი

ვერდიქტს უბრუნებს უფროს მსაჯულს და მოითხოვს შეცდომების გასწორების მიზნით, სათათბირო ოთახში ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას. ამდენად, აუცილებელია, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტის ფორმის სავალდებულო მოთხოვნები სრულყოფილად იქნეს განსაზღვრული.

საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვერდიქტის წაკითხვის შედეგად, სხდომის თავმჯდომარე უნდა დარწმუნდეს შემდეგში:

ა) ვერდიქტი თითოეულ ბრალდებაზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული;

ბ) არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის;

გ) ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე.

აღნიშნული ნორმა შესაბამის საფუძვლებს, ერთის მხრივ, ამომწურავად ჩამოთვლის. თუმცა მასში ვერდიქტის ნაფიცი მსაჯულების მიერ ხელმოწერით დადასტურების შესახებ არ არის მითითებული, რაც სამართლებრივ პრობლემას წარმოშობს; მაგ.: 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა კანონით დადგენილ ვადაში, კანონით დადგენილი ხმების რაოდენობით მიიღო ვერდიქტი, სადაც კენჭისყრის შედეგები სწორად არის ასახული, მაგრამ ვერდიქტს ხელი მხოლოდ 11-მა მსაჯულმა მოაწერა. ამ შემთხვევაში დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნა, რადგან კენჭისყრის საერთო შედეგებს ყველა ნაფიცი მსაჯული ხელმოწერით არ ადასტურებს; თუმცა ამით საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არ ირღვევა, რადგან აღნიშნული ნორმა ხაზს უსვამს მხოლოდ ვერდიქტის სწორი კენჭისყრის შედეგად მიღების საკითხს. ამდენად, ამ შემთხვევაში მოსამართლე უფროს მსაჯულს ვერდიქტს ვერ დაუბრუნებს და შეცდომების გასასწორებლად სათათბირო ოთახში ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას ვერ მოითხოვს. ამას კი, ფაქტობრივად კანონის მოთხოვნის დარღვევით მიღებული ვერდიქტის გამოცხადება მოჰყვება, თავისი თანამდევით სამართლებრივი შედეგით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ჩამონათვალში ასევე მითითებული იყოს

ვერდიქტის ნაფიცი მსაჯულების მიერ ხელმოწერით დადასტურების შესახებ. შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტი: „ვერდიქტს ყველა ნაფიცი მსაჯული ხელმოწერით ადასტურებს.“.

**13.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები უფლებამოსილნი არიან, როგორც, თავის მხრივ, წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით, ისე გამოხატონ პოზიცია მეორე მხარის მიერ წარდგენილ ანალოგიურ მოსაზრებაზე. ბუნებრივია, აღნიშნული მოსაზრებები უნდა დაეყრდნოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ უკვე განხილულ, სისხლის სამართლის საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებებს. თუმცა პრობლემურია ის, რომ საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეებს შეუძლიათ ასევე წარადგინონ სხვა მტკიცებულებები; ანუ ის მტკიცებულებები, რომლებიც წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს ამ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად არ დაუშვია და მხარეებს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე არ გამოუკვლევიათ. შესაბამისად, შესაძლებელია, სასამართლოს განაჩენი დაეფუძნოს სასამართლო სხდომაზე არგამოკვლეულ მტკიცებულება(ებ)ს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარემ შესაძლებელია, წარადგინოს სხვა გამოუკვლევ მტკიცებულებები, რომლებიც არ ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. აღნიშნული კი, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, რადგან ამ მტკიცებულებ(ებ)ით ბრალდების მხარე შეეცადოს, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნაზე არასწორი ზემოქმედება მოახდინოს; მაგ.: ბრალდების მხარემ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე წარადგინოს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც პროკურორმა საქართველოს სსსკ-ით დადგენილი ვადის დარღვევით მოიპოვა და ის, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულება, ამ მიზეზით ვერ დაურთო სისხლის სამართლის საქმეს. ბრალდების მხარეს ამ მტკიცებულებით შესაძლებელია, სურდეს, რომ მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს ნაფიც



მსაჯულებზე და მსჯავრდებულის დამატებითი მამხილებელი მტკიცებულების წარდგენით, უზრუნველყოს მისი უსამართლოდ უფრო მკაცრად დასჯა, რისი განხორციელების შესაძლებლობაც ამ შემთხვევაში რეალურია.

ამდენად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ის სხვა გამოუკვლევ მიტკიცებულებები, რომლებიც მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს არ ადგენენ, შესაძლებელია, ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. ანალოგიური სიტუაცია შესაძლებელია, შეიქმნას დაცვის მხარის მიერ იმ სხვა გამოუკვლევ მიტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში, რომლებიც არ ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. ამასთან, აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმად, დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლში შევიდეს შესწორება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში სიტყვები: „საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით,“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს,“ და საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც ადგენენ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით.“.

14. საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადების თანახმად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც; ანუ ვიღებთ სიტუაციას, როდესაც დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება შესაძლებელია, გამოკვლეული იქნეს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე და ის საფუძველად დაედოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს სსსკ არ ადგენს შესაძლებლობას იმისა, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დაშვებული, გამოკვლეული და გამოყენებული იქნეს მანამდე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის არსებული რედაქცია მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის პროცედურასთან დაკავშირებით არასწორ დებულებას შეიცავს; კერძოდ: სიტყვები: „საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც“ საქართველოს სსსკ-ის მოთხოვნებს არ შეესაბამება, რადგან მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა არ ხდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ თითქმის ანალოგიური შინაარსის ნორმა არსებობდა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს სსსკ-ში, რომლის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით; თუმცა აღნიშნული ნორმის რედაქცია მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადების არსებული რედაქციისგან.

დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების დაშვების შესახებ მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმეში უკვე არსებულ იმ მტკიცებულებებთან ერთად, რომლებიც მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს ადგენენ, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დამატებით განხილული და შეფასებული იქნება მსჯავრდებულის სასარგებლო ან საზიანო მტკიცებულება. აღნიშნულმა კი, გარდა იმისა, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ეწინააღმდეგება, ასევე

შესაძლებელია, მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში უსამართლოდ გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებას სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაუშვებენ და ის საფუძვლად დაედება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენს, აღნიშნულით დაირღვევა საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლში შევიდეს შესწორება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებული იქნეს მესამე წინადადება: „მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც.“.

15. საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ამასთან, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის შემთხვევაში, მოსამართლის უფლებამოსილება მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში ფაქტობრივად იზღუდება, რადგან სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით; კერძოდ: თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი; ხოლო თუ ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები. ამასთან, რადგან სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის ფაქტის შესაძლო თანამდევი სამართლებრივი შედეგი

დაცვის მხარისა და ბრალდების მხარისათვის წინასწარ ცნობილია, შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების ცვლილების აუცილებლობა არ არსებობს.

თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციას ხმათა უმრავლესობით იღებენ. ხმის მიცემის ეს წესი განსხვავდება ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღების წესისგან, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება ერთსულოვნად, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, – ფაქტობრივად ხმათა ორი მესამედით. შესაბამისად, რადგანაც სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციით, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის ნაწილში მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები გარკვეულწილად იზღუდება, მიზანშეწონილია, შეიცვალოს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულების მიერ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მისაღებად საჭირო ხმათა არსებული რაოდენობა და ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, დადგინდეს გადაწყვეტილების ხმათა ორი მესამედით მიღების წესი. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა ფაქტობრივად ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მიღებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობაზე ნაკლები არ იქნება. ასევე არ უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯის შემთხვევებზე გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღების მოთხოვნა უნდა გავრცელდეს, რადგან საქართველოს სსსკ-ის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები სასჯელის კონკრეტულ სახესა და ზომასთან დაკავშირებით არ იღებენ გადაწყვეტილებას და ისინი მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების ზოგად რეკომენდაციას გასცემენ.

ამდენად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში შევიდეს ცვლილებები; კერძოდ: სიტყვები: „ხმათა უმრავლესობით“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხმათა ორი მესამედით“.

16. საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.

საქმის განმხილველი მოსამართლის აღნიშნული უფლებამოსილება შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების უშუალო წარმომადგენლების მიერ ვერდიქტის მიღების იდეას, რადგან ამ შემთხვევაში მოსამართლე აუქმებს ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებას. ამან კი, მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების წარმომადგენლების პირდაპირი მონაწილეობის ფაქტი ფაქტობრივად შეიძლება ფორმალურად აქციოს. თუმცა, მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში, მოსამართლეს საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ აქვს და ამ სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს და ახალ ვერდიქტს იღებს ნაფიც მსაჯულთა სხვა შემადგენლობა. შესაბამისად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების უშუალო წარმომადგენლების მონაწილეობა და მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გარანტირებულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილი მექანიზმების რეალიზების შედეგად, ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა შესაძლებელია, გაუმჯობესდეს, მაგრამ ის არც ერთ შემთხვევაში არ გაუარესდება, რადგან სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, გამამართლებელ ვერდიქტზე არ ვრცელდება.

თუმცა შესაძლებელია, მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების მიუხედავად, ნაფიც მსაჯულთა ახალმა შემადგენლობამაც გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღოს, რომელსაც მოსამართლე კვლავ არ ეთანხმება. საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის არსებული რედაქციის შესაბამისად, მას უფლება აქვს, კვლავ გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი (ამჯერად რიგით მეორე) და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი (ამჯერად რიგით მესამე). ეს კი, ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვას კიდევ უფრო მეტად გააჭიანურებს.

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის არსებულმა რედაქციამ შესაძლებელია, გარკვეულწილად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის უსასრულო გაჭიანურება გამოიწვიოს, რაც, თავის მხრივ, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორია. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების უფლება მოსამართლეს მხოლოდ ერთჯერადად ჰქონდეს ანდა მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელ ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომასა და მათ მიერ ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის სხდომას სხვა მოსამართლე წარუძღვეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს სსსკ-ში შევიდეს ცვლილება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის არსებულ რედაქციაში სიტყვების: „სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია“ შემდეგ დაემატოს სიტყვა: „ერთჯერადად“;

ანდა:

საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის არსებულ რედაქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> ნაწილი: „მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევასა და მათ მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ მან მანამდე ამ სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტი გააუქმა.“.

17. ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა განაჩენის გასაჩივრების უფლების არსებობის ფაქტი სამართალწარმოებისას თვითნებობის საფრთხის აღმკვეთი ერთ-ერთი საპროცესო გარანტიაა, რაც, თავის მხრივ, ბრალდებულისთვის ქმნის შესაძლებლობას, გაიგოს ის, თუ რატომ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ*, საჩივარი დაუშვებლად ცნო, მიუხედავად იმისა, რომ, მომჩივნის მტკიცებით, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობამ შეზღუდა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება, კერძოდ, ვერდიქტის დაუსაბუთებლობის გამო მან ვერ შეძლო საქმის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა განსხვავებულ პროცედურას ადგენს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება. აღნიშნული დათქმა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს შეზღუდვა ზუსტად ასახავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იდეას, რომლის მიხედვით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ხალხის უშუალო წარმომადგენლები ახორციელებენ და ამ შემთხვევაში დაუშვებელია, პროფესიონალმა მოსამართლეებმა გადასინჯონ ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს შეუძლია ერთჯერადად გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი; საინტერესოა ის, რომ განაჩენი საკასაციო წესით საჩივრდება, თუმცა ამ საკასაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლო იხილავს, რაც უნიკალური პროცედურაა. ამასთან, ეს განსხვავებული პროცედურა რაიმე განსაკუთრებულ სამართლებრივ პრობლემას არ წარმოშობს, რადგან დაინტერესებული მხარის მიერ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების უფლება და ამ საჩივრის ზემდგომი სასამართლოს მიერ განხილვა, საქართველოს სსსკ-ის შესაბამისად, უზრუნველყოფილია.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების საფუძვლებიდან ერთ-ერთ საფუძველს მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხი წარმოადგენს; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეს

შეუძლია გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო.

მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე, არამედ ამ საქმის წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, რადგან საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე; ანუ მტკიცებულების საქმეზე დაშვება-არ დაშვების საკითხი, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დაწყებამდე გაცილებით ადრე განიხილება. ამდენად, საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულები უკვე დაშვებულია, ხოლო საქმეზე დაშვებული მტკიცებულებების სხდომის თავმჯდომარის მიერ დაუშვებლად ცნობა, ამ ეტაპზე სამართლებრივად შეუძლებელია. საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ საქმის არსებითად განხილვისას დადგინდება, რომ მტკიცებულება არსებითი დარღვევით არის მოპოვებული, რაც წესით მისი დაუშვებლად ცნობის უპირობო საფუძველია, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე ამ მტკიცებულებას არ იზიარებს.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლში შევიდეს ცვლილება; კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის არსებულ რედაქციაში სიტყვები: „სხდომის თავმჯდომარემ“ შეიცვალოს სიტყვებით: „წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ“.

**18.** საქართველოს სსსკ-ის თანახმად, მხარის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენზე შეტანილი საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების შემთხვევაში განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დგება; ზოგიერთი საფუძვლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას, რის შედეგად, შესაძლებელია, მანამდე დაშვებული სამართლებრივი შეცდომა გასწორდეს. თუმცა საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითა (სასჯელი უკანონოა ან/და აშკარად



დაუსაბუთებელია) და „ზ“ ქვეპუნქტით (სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია) გათვალისწინებული საფუძვლებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განაჩენით ადგენს ახალ სასჯელს. ამასთან, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი სასჯელის დანიშვნის უფლებამოსილება გარკვეულწილად მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების წარმომადგენლების პირდაპირი მონაწილეობის იდეას ეწინააღმდეგება და ბრალდებულის უფლებას ზღუდავს; მაგ.: თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსამართლე სასჯელს დანიშნავს და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს გამოაცხადებს ისე, რომ მხარეების პოზიციებს არ მოისმენს და არც ნაფიც მსაჯულებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, ამ შემთხვევაში დაცვის მხარეს უფლება აქვს დანიშნული სასჯელის უკანონობისა და დაუსაბუთებლობის საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს. შესაბამისად, თუ სააპელაციო სასამართლო საჩივარს დააკმაყოფილებს, მან განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა გააუქმოს და ახალი სასჯელი თავად დანიშნოს.

ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სასჯელს ფაქტობრივად ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის გათვალისწინების გარეშე ადგენს, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაფიც მსაჯულებს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის მიღების შესაძლებლობა სხდომის თავმჯდომარემ არ მისცა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის შესაძლებლობას საქართველოს სსსკ არ ითვალისწინებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლო სასჯელს ფაქტობრივად ასევე მხარეების მოსაზრებების მოსმენის გარეშე ნიშნავს, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში სასჯელთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა დაცვის მხარესა და ბრალდების მხარეს სხდომის თავმჯდომარემ არ მისცა, ხოლო სააპელაციო სასამართლო ასეთი ტიპის საჩივრებს, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე

იხილავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის გასაჩივრება დაუშვებელია.

ამრიგად, ნათელია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი სასჯელის დანიშვნისას, მხარეები სასჯელთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციებს ფაქტობრივად ვერ წარადგენენ და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განაჩენს ვერ ასაჩივრებენ, ხოლო ნაფიცი მსაჯულები სასჯელის დანიშვნის საკითხის განხილვაში მონაწილეობას ვერ იღებენ; მაშინ როდესაც, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გააუქმებისა და სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარისათვის დაბრუნების შემთხვევაში, მხარეები სასჯელთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციებს წარადგენენ და სათანადო სურვილის არსებობისას, სააპელაციო სასამართლოში განაჩენს ასაჩივრებენ, ხოლო ნაფიცი მსაჯულები სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციას იღებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის არსებული რედაქცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.“; ანუ ფაქტობრივად აღდგეს 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია.

**19.** კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის განმაპირობებელი ახლად გამოვლენილი გარემოებები ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენთან მიმართებითაც გამოვლინდეს; მაგ.: დადგინდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გამომტანი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკანონო შემადგენლობა; ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდეს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ნაფიცმა მსაჯულმა ანდა მის მიმართ სხვა პირმა დანაშაული ჩაიდინა და ა.შ. ამდენად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ გამოორიცხავს.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წერილობით შეაქვთ სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში, საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად; ანუ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად; შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გადასინჯვის უფლებამოსილება ფაქტობრივად მოსამართლეებს ენიჭებათ; ამ უფლებამოსილების ფარგლებში კი, შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტი პროფესიონალმა იურისტებმა გააუქმონ, რითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იდეას აზრი ეკარგება და, რაც მთავარია, ფაქტობრივად იგნორირებულია საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-3 ნაწილით გარანტირებული ბრალდებულის უფლება, მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შეიტანება საკასაციო საჩივარი, რომელსაც საკასაციო სასამართლო დასაშვებობის შემოწმების გარეშე განიხილავს; ანუ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შედეგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენი ბრალდების მხარემ შესაძლებელია საკასაციო სასამართლოში გაასაჩივროს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, საკასაციო საჩივარი განიხილოს; ეს კი, ფაქტობრივად ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 266-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, რომლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება, ხოლო მხარეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება და ისიც – ერთჯერადად, საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში.

ამრიგად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის მომწესრიგებელი ნორმები ბრალდებულის

უფლებას ფაქტობრივად ზღუდავს და ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცედურასთან შეუსაბამოა. თუმცა, ბუნებრივია, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტზეც უნდა გავრცელდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საქართველოს სსსკ-ში განისაზღვროს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის სპეციალური პროცედურა, რომლის თანახმად, შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმებაზე სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს, ხოლო შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში, საქმეს არსებითად განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალი შემადგენლობა. შესაბამისად, სასურველია, საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი: „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში, საქმეს არსებითად იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალი შემადგენლობა, რომლის განაჩენიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.“.

## ბიბლიოგრაფია

### საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები:

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950.

### საქართველოს კანონმდებლობა:

- საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09.10.2009;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22.07.1999;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 20.02.1998.

### საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

- Federal Rules of Criminal Procedure for the United States District Courts, Federal Criminal Code and Rules, West Group, 2000;
- Canadian Chapter of Rights and Freedoms, ხელმისაწვდომია: <http://www.efc.ca/pages/law/chapter/chapter.text.html> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- Criminal Code of Canada, ხელმისაწვდომია: <http://www.efc.ca/pages/law/cc/cc.html> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021].

### ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

- აბაშიძე ირ., მეტრეველი რ., ჩიქობავა არნ., ძიძიგური შ., ჭაბაშვილი მ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986;
- აქუბარდია ირ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, No.2(29), 2011;

- *ბახმაიერ უინტერი ლ., დალი ბ.ლ. ტ.ჯ.,* შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა, ევროპის საბჭო, 2013, ხელმისაწვდომია: [http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti\\_analizi.doc](http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2Fiuridiuli%2Fshedarebiti_analizi.doc) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *ბეჟაშვილი თ.,* სამეცნიერო რედაქტორი *მეიშვილი ზ.,* ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014;
- *ბოხაშვილი ბ.,* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004;
- *ბურჯანაძე გ.,* ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, სტატიათა კრებული, GIZ, 2011;
- *გაბისონია ი.,* ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, მერიდიანი, 2008;
- *გურგენიძე ე.,* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული – 1918-1921, ივერთა მხარე, 1990;
- *დავიდი რ.,* თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, განათლება, 1993;
- *დოლიძე ა.,* ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (სტატიათა კრებული), საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013;
- *ერემაძე ქ.,* თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში – საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, მერიდიანი, 2018;
- *ვიდმარი ნ.,* ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2005;

- ვიდმარი ნ., ჰანსი ვ. პ., ამერიკელი ნაფიცი მსაჯულები – ვერდიქტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019;
- იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ლეთა, 2007;
- იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), ბონა კაუზა, 2009;
- კაკაბაძე ს., ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 წწ., მე-2 გამოცემა, ნეკერი, 2003;
- კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია XIX-XX სს. (1861-1921 წწ.), წიგნი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959;
- კოვალიოვი ნ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ანალიზი, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016;
- კორძაძე ზ., ნემსწვერიძე თ., ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016;
- კუბლაშვილი კ., მუმლაძე გ., გაბუნია მ., მელიქიძე თ., სიმსივე თ., ცოცხალი კონსტიტუცია – კონსტიტუციურ ნორმათა განმარტებანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018;
- კუსიანი ე., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – დემოკრატიის იდეალი? ჟურნ. „ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი“, №2(18), 2011;
- მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი), ევროპის საბჭო, 2011;
- მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XI, მერანი-3, 2000;
- მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა), ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, N1, 2020.

- *მეტრეველი ვ.*, აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980;
- *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, ივერიონი, 2013;
- *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., გოგნიაშვილი ნ., თუმანიშვილი გ.*, პროექტი – „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლისა და ანალიზისათვის“, თბ., 2013;
- *პრადელი ჟ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, სანი, 1999;
- *რეხვიაშვილი თ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: ანალიტიკური მიმოხილვა, თბილისი, 2010;
- *საქართველოს უზენაესი სასამართლო*, სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, ბონა კაუზა, 2010;
- *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018;
- *სონგულია ნ.*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №.1(32), 2012;
- *ტრექსელი შ., სამერსი ს. ჯ.-ს* დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009;
- *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მერიდიანი, 2015;
- *ქოლინი პ., ჭანტურია ლ., კვაჭაძე მ., პაპავა ვლ.*, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, მეორე ქართული ჩასწორებული, შევსებული და დამატებული გამოცემა, პროფესიული ლექსიკონების სერია 2004–013, რევაზ ბერულავას გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“, 2004;
- *შარმანაშვილი ნ.*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარების ისტორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო



უნივერსიტეტის იურიდიული ფაქულტეტის სისხლის სამართლის ჟურნალი (ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს), 1, 2018;

- *შვანგირაძე თ., ჩხაიძე გ.*, ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016;
- *ჯალაბაძე დ.*, ქართული ჩვეულებითი სამართალი 2, მეცნიერება, 1990;
- *Van Den Wingaert Cr.*, Criminal Procedure Systems in the European Community, Butterworths, London, Brussels, Dublin, Edinburgh, 1993. (ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002.

#### ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

- *Abramson J.*, We, The Jury: The Jury System and the Ideal of Democracy, Harvard University Press, Third printing, 2003;
- *Alschuler A. W., Deiss A. G.*, A Brief History of the Criminal Jury in the United States, University of Chicago Law School Review, 1994, 61;
- *Bornstein B. H., Greene E.*, Jury Decision Making: Implications for and from Psychology, Current Directions in Psychological Science, February 2011, 20 (1), ხელმისაწვდომია:  
[https://www.researchgate.net/publication/258128199\\_Jury\\_Decision\\_Making\\_Implications\\_For\\_and\\_From\\_Psychology](https://www.researchgate.net/publication/258128199_Jury_Decision_Making_Implications_For_and_From_Psychology) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Burke E.*, Letter to the Sheriffs of Brison, in 2 The Works of the Right Honorable Edmund Burke, Little, Brown, 9th ed., 1889;
- *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States – Third Edition, West Group, 2003;
- *Duff P.*, The Scottish Criminal Jury: a Very Peculiar Institution, Law and Contemporary Problems, Spring 1999, 62, 2, ხელმისაწვდომია:  
<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1129&context=lcp> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];

- *Feinman J. M.*, 1001 Legal Words You Need to Know, Oxford University Press, 2005;
- *Frank J.*, Courts on Trial, Princeton University Press, 1949;
- *Guinther J.*, The Jury in America, Facts on File Publications, 1988;
- *Hans V.P., Vidmar N.*, The Verdict on Juries, *Judicature*, March-April 2008, 91, ხელმისაწვდომია:  
<https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1376&context=facpub>  
 [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Hannaford-Agor P.L., Hans V.P., Mott N.L., Munsterman G.T.*, – *The National Center for State Courts*, Are Hung Juries a Problem? September 30, 2002, ხელმისაწვდომია:  
<http://www.ncsc-jurystudies.org/What-We-Do/~media/Microsites/Files/CJS/What%20We%20Do/Are%20Hung%20Juries%20A%20Problem.ashx>     <http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAJuryprinciples.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Hendler E. S.*, Lay Participation in the Judicial Process: The Situation in Argentina, St. Louis-Warsaw Trans`l, 2001;
- *Hunter M.*, Improving the Jury System: Nonunanimous Verdicts, Abstract, Public Law Research Institute, ხელმისაწვდომია: [www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf](http://www.gov.uchastings.edu/public-law/docs/nonunanimous.pdf) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Jackson J. D., Kovalev N. P.*, Lay Adjudication and Human Rights in Europe, *Columbia Journal of European Law*, Vol. 13, 2006;
- *Jacobsohn G. J.*, The Unanimous Verdict: Politics and the Jury Trial, *Washington University Law Review*, Vol. 1977, Issue 1, 1977, ხელმისაწვდომია:  
[https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2574&context=law\\_law\\_review](https://openscholarship.wustl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2574&context=law_law_review) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Levy L. W.*, Emergence of a Free Press, Oxford University Press, 1985;
- *Lloyd-Bostock S., Thomas Ch.*, Decline of the “Little Parliament”: Juries and Jury Reform in England and Wales, *Law and Contemporary Problems*, Spring 1999, 62, 2, ხელმისაწვდომია:  
<https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1124&context=lcp>  
 [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];

- *McBride J.*, Human Rights and Criminal Procedure (The Case Law of European Court of Human Rights), Council of Europe, 2009;
- *Pound R.*, Readings on the History and System of the Common Law, Second Edition, Boston, 1925, ხელმისაწვდომია: [https://famguardian.org/Publications/ReadOnHistSystCommLaw/Readings\\_on\\_the\\_History\\_and\\_System\\_of\\_th.pdf](https://famguardian.org/Publications/ReadOnHistSystCommLaw/Readings_on_the_History_and_System_of_th.pdf) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Rutherford L.*, John Peter Zenger, His Press, His Trial and a Bibliography of Zenger Imprints, Dood, Mead & Company, 1904;
- *Sankoff P.*, Majority Jury Verdicts and the Chapter of Rights and Freedoms, University of British Columbia Law Review, Vol. 39, 2006, ხელმისაწვდომია: [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=929396](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=929396) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Ubbelohde C.*, The Vice-Admiralty Courts and The American Revolution, University of North Carolina Press, 1960;
- *Vitkauskas D., Dikov G.*, Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2012;
- *Wiedmar N.*, World Jury Systems, Oxford University Press, 2000.

#### რუსულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

- *Гернем У.*, Суд присяжных заседателей, Москва, 1987;
- *Грузенбергъ М. О.*, Судъ Присяжныхъ въ Закавказьѣ, Типографія Канцеляріи Особаго Закавказскаго Комитета, 1917.

#### სასამართლოს გადაწყვეტილებები

##### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- *ბელერინ ლაგარეს ესპანეთის წინააღმდეგ (Bellerin Lagares v. Spain (dec.)),* N31548/02, ECHR 2003);

- გოკტეპე ბელგიის წინააღმდეგ (*Goktepe v. Belgium*, N50372/99, ECHR 2005);
- გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gregory v. The United Kingdom*), 25.02.1997;
- ზაროული ბელგიის წინააღმდეგ (*Zarouali v. Belgium* (dec.), N20664/92, ECHR 1994);
- კუპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Cooper v. United Kingdom* [GC], N48843/99, ECHR 2003);
- ლეგილონი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Legillon v. France*, N53406/10, ECHR 2010);
- ლერმიტე ბელგიის წინააღმდეგ (*Lhermite v. Belgium*, no. N34238/09, 26 May 2015);
- მიდლტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Middleton v. United Kingdom* (dec), N23934/94, ECHR 1996);
- პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Papon v. France (No.2)* (dec.), N54210/00, ECHR 2001);
- პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ (*Planka v. Austria* (dec.), N25852/94, ECHR 1996);
- რ. ბელგიის წინააღმდეგ (*R. v. Belgium* (dec.), N15957/90, ECHR 1992);
- როსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ross v. United Kingdom*, N11396/85, ECHR 11 December 1986, DR50, 179);
- სარიკი დანიის წინააღმდეგ (*Saric v. Denmark* (dec.), N31913/96, ECHR 1996);
- ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (*Taxquet v. Belgium* [GC], N926/05, ECHR 2010).

#### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/557,571,576 „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

### საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-05-16.

### ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- *ბალიუ ჯორჯიის წინააღმდეგ (Ballew v. Georgia, United States Supreme Court, 435 U.S. (1978))*;
- *დუნკანი ლუიზიანას წინააღმდეგ (Duncan v. Louisiana, United States Supreme Court, 391 U.S. 145 (1968))*;
- *სტრაუდერი დასავლეთ ვირჯინიის წინააღმდეგ (Strauder v. West Virginia, United States Supreme Court, 100 U.S. 303 (1880))*.

### ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- Anonymous Case Lib. Assisarum, 41, 11, 1367.

### საქართველოს კანონის პროექტები:

- „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, 20.06.2020, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123250?> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, 20.06.2020, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123251?> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021].

### ვებ-რესურსები:

- აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სასამართლო პროგრამების ოფისის სასამართლო სტატისტიკის ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: [www.bjs.gov/content/pub/pdf/sco98.pdf](http://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco98.pdf) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.tsu.ge> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.msajuli.ge> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოსთან არსებული სასამართლო დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.cdep.ru> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.justice.gov.ge> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.parliament.ge> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.constcourt.ge> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021].

### სხვა ქართულენოვანი წყაროები:

- *ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობით*, ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების შესახებ: მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის – პროფესიული მომზადების გამოცემათა სერია N9), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2003;
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10.03.1920., ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=797> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 06.03.1920., ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=797> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25.11.1920., ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=797> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.02.1920., ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=797> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- გაზ. „სახალხო საქმე“, 04.12.1920., ქართული ისტორია – ისტორია პრესაში – ქართული მართლმსაჯულების ისტორია გაზეთებში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=797> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრი, თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი*, ერთობლივი განცხადება, 30.10.2015, ხელმისაწვდომია:

<https://conlaw.iliauni.edu.ge/erthoblivi-gantskhadeba-conlaw-jelec-nihr/>

[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];

- კომპანია „ნიკოლო შ“, სოციოლოგიური კვლევა „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ინფორმირებულობა და დამოკიდებულება (ძირითადი დასკვნები და შედეგები)“, კვლევა ჩატარებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის“ პროექტის დაკვეთით, თბ., 2007, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/uploads/2007.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა, 2019, ხელმისაწვდომია: <http://supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nafici-msajulebis-mier-ganxiluli-saqmeebis-statistika.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- სოციალური კვლევების ინსტიტუტი (*Institute of Social Researches*), საბაზისო ცოდნისა და აღქმის კვლევა საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ (საბოლოო ანგარიში), კვლევა ჩატარებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის“ პროექტის დაკვეთით, თბ., 2009, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/uploads/2009.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ქართული ისტორია – მთის სამართალი - სამედიატორო სასამართლო, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=794> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ქართული ისტორია – მთის სამართალი - სამედიატორო სასამართლო ხევსურეთში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=794> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლო სვანეთში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=794> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლოს არსი სვანეთში, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=794> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];



- ქართული ისტორია – მთის სამართალი – სამედიატორო სასამართლოები – ფშავი, მთიულეთი, ხევი, თუშეთი, 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=794> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- ქართული ისტორია – 1917-1921 წლები – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წლები), 2010, ხელმისაწვდომია: <http://msajuli.ge/index.php?m=794> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021].

#### სხვა ინგლისურენოვანი წყაროები:

- *Administrative Office of the United States Courts, Handbook for Trial Jurors Serving in the United States District Courts, Administrative Office of the United States Courts*, ხელმისაწვდომია: <https://www.flmd.uscourts.gov/sites/flmd/files/documents/handbook-for-trial-jurors.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *American Bar Association, Principles for Juries and Jury Trials, August 2005*, ხელმისაწვდომია: <http://aja.ncsc.dni.us/2008AnnualConferenceEducationSessions/Mize-ABAjuryprinciples.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *A Review of the Criminal Courts of England and Wales by The Right Honourable Lord Justice Auld: Interpreters Chapters 155-161 (2001), Chapter 11 – The Trial: Procedures and Evidence*, ხელმისაწვდომია: <https://zakon.co.uk/admin/resources/downloads/2001-lord-auld-report-on-the-review-of-criminal-justice-system-interpreters-chapters-155-161.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];
- *Bureau of International Information Programs United States Department of State, Outline of the U.S. Legal System, 2004*;
- *Malega R., Cohen Th. H.*, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics, State Court Organization, 2011, Special Report, November 2013, ხელმისაწვდომია: [www.bjs.gov/content/pub/pdf/sco11.pdf](http://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco11.pdf) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021];

- *OSCE/ODIHR and Council of Europe*, Joint Opinion on the Criminal Code of Georgia, Opinion-Nr.: CRIM – GEO/257/2014 [RJU], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014;
- *Rottman Et Al., David B.*, State Court Organization 1993, 1995;
- *The Committee on Standard Jury Instructions, Criminal of the Superior Court of Los Angeles County (California)*, California Jury Instructions (Criminal), Sixth Edition, Vol. 2, West Publishing Co., 1996;
- *United Nations Human Rights Committee*, Concluding Observations on the Fourth Periodic Report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/4, 19 August 2014;
- *U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics*, State Court Organization 1998, ხელმისაწვდომია: [www.bjs.gov/content/pub/pdf/sco98.pdf](http://www.bjs.gov/content/pub/pdf/sco98.pdf) [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 02.06.2021].

**ქვეყნები, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მოქმედებს:**

**ავსტრალია:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**ახალი ზელანდია:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**აშშ:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**ბელგია:** რომანულ-გერმანული სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**ესპანეთი:** რომანულ-გერმანული სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**თურქეთი:** რომანულ-გერმანული სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**იამაიკა:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**ინგლისი:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**ირანი:** იხილავს მუსულმანური სისხლის სამართლის საქმეებს.

**ირლანდია:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**კაიკის კუნძულები:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**კანადა:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**კვიპროსი:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**მალტა:** ანგლოსაქსური (შერეული) სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**მექსიკა:** რომანულ-გერმანული (ლათინოამერიკული ჯგუფი) სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**რუსეთი:** რომანულ-გერმანული სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**ტრინიდადი:** ანგლოსაქსური სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**შვედეთი:** სკანდინავიური (ჩრდილოური) სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**შვეიცარია:** რომანულ-გერმანული სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**შოტლანდია:** შერეული სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს.

**შრილანკა:** შერეული (ანგლოსაქსური, რომანულ-გერმანული) სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**ჰონგ-კონგი:** ანგლოსაქსური (შერეული) სისტემა – იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს.

**ქვეყნები, სადაც არსებობდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი:**

**საფრანგეთი:** ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა 1808 წლის ნაპოლეონის კოდექსით. მოგვიანებით ის გაუქმდა და დღეს მოქმედებს შერეული მოდელით, რომელსაც ასიზთა სასამართლო ეწოდება.

**საბერძნეთი:** ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დაარსდა 1834 წელს. მოქმედებდა რომანულ-გერმანული სისტემა. 1968 წელს შეიცვალა შერეული კოლეგიებით.

**გერმანია:** დაარსდა 1847 წელს. მოქმედებდა რომანულ-გერმანული სისტემა. 1867 წელს გაუქმებას გადაურჩა კომპრომისის წყალობით. საბოლოოდ გაუქმდა 1924 წელს ვაიმარის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ – რეფორმების ეგიდით.

**ლუქსემბურგი:** ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შეიქმნა 1848 წელს. მოქმედებდა რომანულ-გერმანული სისტემა. 1968 წელს შეიცვალა შერეული კოლეგიებით.

**ავსტრია:** ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი შეიქმნა 1849 წელს. მოქმედებდა რომანულ-გერმანული სისტემა. პირველად გაუქმდა 1850 წელს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის გამო. 1873 წელს აღსდგა კონსტიტუციის საფუძველზე. 1977 წელს შეიცვალა შეფენების სასამართლოთი.

**იტალია:** შეიქმნა 1865 წელს. მოქმედებდა რომანულ-გერმანული სისტემა. 1931 წელს კი შეიცვალა შერეული კოლეგიებით – ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ.

**ჩეხეთი:** ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შეიქმნა 1867 წელს. მოქმედებდა რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა. 1923 წელს შეიცვალა შერეული კოლეგიებით.

**უნგრეთი:** ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შეიქმნა 1896 წელს და მოქმედებდა რომანულ-გერმანული მოდელი. 1919 წელს გააუქმა ხორტის რეჟიმმა.

**მალაიაზია:** შეიქმნა 1896 წელს და მოქმედებდა შერეული, ანგლოსაქსური და ადგილობრივი სისტემით. 1994 წელს შეიცვალა შერეული კოლეგიებით.

**იაპონია:** 1923 წელს შეიქმნა და მოქმედებდა შერეული, რომანულ-გერმანული, ანგლოსაქსური და ადგილობრივი სამართლებრივი სისტემა. გაუქმდა 1946 წელს. ამჟამად იაპონიაში მოქმედებს სასამართლო სისტემა, რომელიც პროფესიონალი მოსამართლეებით არის დაკომპლექტებული. მიუხედავად იმისა, რომ არაპროფესიონალი მოსამართლეები მონაწილეობენ პროცესში, პროფესიონალ მოსამართლეზეა დამოკიდებული მთელი პროცესი. (თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ იაპონიაში, 2009 წლის მაისიდან, ამოქმედდა კანონმდებლობა ისეთი სისტემის დასაწერად, რომელიც საერთო სამართლის ქვეყნებში არსებული მსაჯულთა სისტემის მსგავსია.).

**სინგაპური:** ანგლოსაქსური და მუსულმანური ელემენტებით არსებობდა. ნაწილობრივ გაუქმდა 1959 წელს, ხოლო 1969 წელს მთლიანად შეიცვალა შერეული კოლეგიებით.

**ვენესუელა:** 1999 წელს შეიქმნა ექსპერიმენტის სახით და ლათინოამერიკული სისტემით არსებობდა. 2001 წელს შეიცვალა შეფენების სასამართლოთი.

**არგენტინა:** 1858 წლის კონსტიტუციაში ჩაიწერა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების თაობაზე, მაგრამ პრაქტიკულად არ ამოქმედებულა.